

# თანამედროვე გერბის იური

ყოველთვიური საგურანტო სამსიმორო უსრიალი

**№ 10—II**

ოფიციალური და ცოდნული

**1925**



ცენტრალური უნივერსიტეტის უმცროს მასტერალური კოლეგიუმის გამოცემა

აუგისტი მისამართი თბილისი მოსკოვის გამზირის 1926 წლის 20 ივნისი

## მისამართი თბილისი მოსკოვის 1926 წლის 20 ივნისი

ქოშელთვიურ სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალზე

## „თანამედროვე ელექტრონიკის განვითარების შემთხვევაზე“

ეურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც  
გამოდიოდა 1925 წ. განმავლობაში.

ეურნალში შემდეგი განვითარების შესრულებებია:

თაორიუმი და კლინიკური მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოწილვები, კორესორიდების და რეალიზაციის და მროვები.

ეურნალში მუდმივად თანამშრომლობები ტფილისის სახელმწ.  
უნივერსიტეტის პროფესორები, ასისტენტები, ორდინატორები, პროფისიონალები.

ეურნალის ფასი:	1 წლით . . . . . 10 ბაზ.
	$\frac{1}{2}$ წლით . . . . . 5 ბაზ.
	დალვა ნოტირი . . . . . 1 ბაზ.

აუგისტი მისამართი თბილისი მოსკოვის 1926 წლის 20 ივნისი

---

ეურნალის რედაქცია: { შ. მაისურაძე, მ. მგალობლიშვილი, უ. მიქელაძე,  
ვ. ქავთარაძე და ნ. ყიფშიძე.

---

გამოცემის წელი მეორე.

# თანამედროვე

## ეთნოლოგია

ყოველთვიური სამურნელო სამიზნერო ჟურნალი

**№ 10—11**

ოქტომბერი და ნოემბერი

1925



ფინანსის უნივერსიტეტის უმცროველი მასტერის მასტერის მასტერის კულტურის გამოცემა

ტეილონი



## I. ოეორიული და კლინიკური მედიცინა:

1. გ. ცეცხლაძე. შემთხვევა აღარინის დიდი ბალექონის (Omentum majus) ანატომიურ მდებარეობის თავისებურობისა . . . . .	563
2. ლ. კულეში. სისხლის ლიმფური ჯირკვლების მორფოლოგიის შესახებ . . . . .	572
3. ი. გიგინე შვილი და თ. კობიაშვილი. ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელება გურიის ზოგიერთ სოფლებში . . . . .	577
4. გ. მ. შენგელაძე. წარმატებით მავალ სიდანბლავის თერაპია . . . . .	593
5. გ. ჯიბუტი. თირკმლების კენჭებით დაავალება და მისი გავრცელება საქართველოში . . . . .	605
6. ა. ჯავრი შვილი. სიფილისი და მასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები . . . . .	620
7. ა. ხმალაძე. დასავლეთ საქართველოს რკინისგზელთა საბინაო პირობების სანიტარულ დახასიათებისთვის . . . . .	627
8. გ. გელოვანი. შარდის ბუშტის საზარდულის თაღქრის კაზუისტიკასთვის . . . . .	640
9. ანდრია დგებუაძე. შემთხვევა ექლამპსიის დროს სიბრმავისა . . . . .	646
10. ს. ყიფშიძე. ბიოლოგიური რეაქციების მნიშვნელობა ნევროპატოლოგიაში . . . . .	649
II. კორესპონდენციები . . . . .	668
III. ქრონიკა . . . . .	681

## Thanamedrové medecina

## Sommaire:

## I. Médecine théorique et clinique.

1. V. Tsetskladzé. Cas de la situation particulière anatomique du grand épiploon chez l' homme. . . . .	563
2. L. Koulech. Au sujet de la morphologie des glandes lymphatiques songines. . . . .	572
3. J. Guiguineichvili et Th. Kobiachvili. La propagation de l' infection tuberculeuse dans certains villages de gouri. . . . .	577
4. G. Chenguelaia. Thérapeutique de la paralysie progressive. . . . .	593
5. H. Djibouti. La lithiasis rénale et sa propagation en Géorgie. . . . .	605
6. A. Djavrichvili. La syphilis et les méthodes actuelles de la lutte contre elle. . . . .	620
7. A. Kmaladzé. Le caractère sanitaire des conditions de logement des amphogliés du chemin de fer de la Géorgie occidentale. . . . .	627
8. G. Guelovani. Cas de hernie inguinale de la vessie urinaire . . . . .	640
9. A. Dguebouadzé. Cas de cécité au caus de l' éclampsie. . . . .	646
10. S. Kipchidze. Valeur des réactions biologiques en nérvopathologie . . . . .	649
II. Correspondances . . . . .	668
III. Chronique . . . . .	681



### 3. ცეცხლაძე.

კათედრის ასისტენტი.

## შემთხვევა აღამიანის დიდი ბალეფონის (OMENTUM MAJUS) ანატომიური მდგრადეობის თავისებურობისა. \*)

(სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიური ინსტიტუტიდან გამგე—პროფ.

ა. ნათიშვილი).

ჩემ მიერ განზრახული მოხსენება დიდი ბალექონის ანატომიური მდებარეობის თავისებურობის შესახებ პრეპარატის დემონსტრაციით მით არის საყურადღებო, რომ უკანასკნელ ხანებში როგორც საზღვარგარეთ, აგრეთვე ჩვენშიც მრავალი ცდები და გამოკვლევები სჭარმობენ, რომლებითაც სურთ გააშუქონ დიდი ბალექონის მორფოლოგიური და ბიოლოგიური მნიშვნელობა. ვინც თვალყურს ადევნებს საზოგადოთ ბიოლოგიურს და კერძოთ საექიმო ლიტერატურას, მან ალბათ იცის, რომ ბალექონის ორგვლივ დიდი კამათი არსებობს და საყითხი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სხეულისათვის, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მეცნიერების ერთი რიგი გვარწმუნებს, რომ დიდი ბალექონი პასიური ორგანოა, ის არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ თვისებებს; მეცნიერების მეორე რიგი კი, პირიქით, დიდ ბალექონს ანიჭებს რთულ ბიოლოგიურ თვისებებს სხეულის მუცლის ლრესათვის. როგორც პირველის, ისე მეორე შეხედულობის მეცნიერები თავის მოსაზრებებს დიდი ბალექონის შესახებ ცდებზედ ამყარებენ და ამ ცდებიდანვე გამოჰყავთ ერთი შეორეს მოწინააღმდეგე დებულებები.

დროს უქონლობის გამო ამ მოკლე მოხსენებაში მე არ მოვიყენ დაწვრილებით ლიტერატურულ ცნობებს დიდ ბალექონზე ცდების და კამათის შესახებ, აღნიშვნავ მხოლოდ რამდენიმე მეცნიერების შეხედულობას, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ აზრის საოცარი სხვადასხვაობა ამ ორგანოზე.

მეცნიერი Heusner-ი ფიქრობს, რომ ბალექონში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ვადაჭიმულია კუჭს და გარდიგარდმო კოლინჯის შორის. ეს არის lig. gastro-colicum, რომელიც, Heusner-ის აზრით, ამ ორ ორგანოთა შორის ფიქსაციის როლს თამაშობს. რაც შეეხება მის თავისუფალ ნაწილს, რომელიც გარდიგარდმო კოლინჯიდან ქვევით პერიტონეალურ ღრუში ეშვება, მას Heusner-ი სთვლის რუდიმენტალურ ორგანოთ, როგორიც არიან, მაგალითად, ჭიაყელა ნაწლავი და სხვები. დაახლოებებით ასეთივე აზრს დიდი ბალექონის შესახებ იზიარებენ თავის დისერტაციებში რუსეთის მეცნიერები კონდრათევ-ი, ქაიხისონ-ი და სხვები. მრავალი ცდების შემდეგ უკანასკნელებმა ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ბალექონის ამოკვეთა ცხოველს დიდ ზოანს არ მოუტანს.

\*) მოხსენდა საქართველოს ექიმთა მესამე კონგრესს.



მეორე მხრით ვხედავთ მრავალ მეცნიერების გამოკვლევებს, ოოლენბიც თავის მოსაზრებას აგრეთვე ცდებზე ამყარებენ და ამტკიცებენ, რომ ბადექონი შეიცავს ფრიად საჭირო ბიოლოგიურ თვისებებს. მაგალითად Milian-ი ბადექონის მოძრაობაში ხედავს კონიერ მოქმედებას („une sorte d'intelligence“). Morison-ი ბადექონს უწოდებს მუცლის ღრუს მცველს, რომელიც მიეშურება იქით, საიდანაც მუცლის ღრუს უბედურება ეწვევა და სხვა.

როცა დიდი ბადექონის შესახებ აზრის ასეთ სხვა და სხვაობას გაეცნა-ბით, სავსებით დაეთანხმებით რუსეთის დისერტანტებს გირგალავ-ას, (1907 წ.) და ცულაკოვ-ს (1908 წ.), რომლებიც შენიშვავინ, რომ ჯერჯერობით ბადექონზე ერთი მეორეს მოწინააღმდეგე აზრები არსებობს. ხარკოვის პროფესორი Przewalski მას დასძებს, რომ „Die schon von Winslow ziemlich genau anatomisch untersuchten und von Meckel, j. Müller, Hennecke, Toldt, Klaatsch und Bromann embriologisch und vergleichend anatomisch vielseitig beleuchteten Netzbildungen sind hinsichtlich ihrer physiologischen Bedeutung auch zurzeit nicht definitiv erklärt“ \*) ასე სდგას საკითხი დიდი ბადექონის შესახებ საზღვარგარეთ.

როგორც ზევით გაკვრით მოვიხსენით, ბადექონის შესახებ გამოკვლევები ჩვენშიაც დაიწყო. ამა წ. 14 მაისს ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტმა ა. წულუკიძემ—პროფ. მუხაძის ქირურგიულ კლინიკიდან—საქართველოს საექიმო კრებაზე წარმოადგინა მოხსენება, სადაც ის აღნიშნავს, რომ ბადექონის თვისებების შესახებ მან აწარმოვა ცდები, რომლების შემდეგ მან გამოიყვნა სათანადო დასკვნები. სამწუხაროთ, ჩვენ ჯერ ხელთ არ გვაქვს ექიმ წულუკიძის წერილობითი გამოკვლევა. ყოველ შემთხვევაში ის შედარებითი მოქლე ცნობები, რომლებიც მან საექიმო კრებაზედ გადმოგვცა, ფრიად საყურადღებოა და მხედველობაში მისალები.

ამ უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში პროფ. ალექსანდრე ნათიშვილის წინადადებით და ხელმძღვანელობით მეც ვეწერილი დიდი ბადექონის შესწავლას გვამებზედ მორფოლოგიის მხრით. თუმც ჩემ მიერ დაგროვილი მასალა ჯერ არ მაქვს საბოლაო სისტემაში მოყვანილი, მაგრამ ბადექონის ასეთმა მასიურმა გამოკვლევამ მაინც მოვგერა ერთი შთაბეჭდილება, სახელდობრ ის, რომ მისი მდებარეობა პერიტონეუმის ღრუში არ არის ერთნაირი, ასე ვთქვათ, ტიპიური; არამედ ამ მხრით ის დიდ სხვა და სხვაობას განიცდის. და ამ გარემოებას კი, ჩვენის აზრით, ანგარიში უნდა ვადგინოს.

სხვათა შორის ბადექონის ფორმის და მდებარეობის ასე შეცვლის სურათს წარმოადგენს ის პრეპარატი, რომელიც თქვენს წინაშე არის წარმოდგენილი. ზემონათქვამის გამო მივცემ ჩემს თავს ნებას რამოდენიმეთ დაწვრილებით ავსწერო ამ აღაშიანის ბადექონი.

გვამი ეკუთვნის დედაკაცს, დაახლოვებით ვ5 წ., გაცვეთილია 13/II 1925 წ. ანატომიურ ინსტიტუტში სტუდენტებთან პრაქტიკულ გარჯიშობის დროს. ამ გვამის შესახებ სამწუხაროთ ვერავითარი ცნობები ვერ შევკრიბეთ, ასე რომ ჩვენ არ ვიცით, რით იყო დედაკაცი ავათ, რომ მოქლა და სხვა. ალბათ გვამი პირდა-

\*) „Veber das grosse Netz“ 1908.

პირ ანატომიურ ინსტიტუტში მოიტანეს. ეხლა გადავიდეთ მისი ბადექონის ძალწერაზე.

Omentum majus იწყება კუჭის დიდი სიმრუდიდან კარდიალან დაწყებული კუჭის პილორიულ ნაწილამდის. აქედან მისი ნაცრები მიიმართებიან მარცხნივ, ქვევით და მარჯნივ და გვაძლევენ შემდეგ ანატომიურ ფორმებს:

### 1. მარცხენა კიდე.

კუჭის შესავლიდან და ფუძიდან დიდი ბადექონის ერთი ვიწრო მორჩი მიიმართება ზევით და ფართოდ გადადი; შუასაძები — კუჭის იოგში. მარცხენა კიდის მეზე — შუა ნაცერი მიდის მარცხნივ ელენთასაკენ და ორათ განიყოფება: ზევათა ნაცერი უმაგრდება ელენთას მედიალურ ზედაპირს; ქვედა ნაცერი კი — უცლის ელენთას წინიდან, ეშვება მარცხნივ ელენთა და დიაფრაგმას შორის და იქ თავისუფლად თავდება. მარცხენა კიდის მესამე — ქვედა ნაცერი შეზრდილია გარდიგარდმო კოლინჯის მარცხენა ნაცეცთან, აქედან მიიმართება მარცხნივ, უცლის ელენთას ქვევიდან და მიმაგრებულია დიაფრაგმის მარცხენა გვერდზე. მარცხენა კიდის ეს მტამე ნაცერი წარმოადგენს მარცხენა საძგიდ კოლინჯის იოგს — lig. phrenico colicum sin. strum.

### II. ქვედა კიდე.

კუჭის დიდი სიმრუდიდან ქვედა კიდე ეშვება გარდიგარდმო კოლინჯზე, რომელთანაც ის შეზრდილია. ეს ნაწილი წარმოადგენს ბადექონის ჩვეულებრივ იოგს — lig. gastro — colicum. მისი სიგრძე აქ სხვადასხვა ნაირია, ვინაიდან გარ დიგარდმო კოლინჯის მდებარეობა არ წარმოადგენს გარდიგარდმოთ ერთ სწორ ხასს, არამედ ის ერთობ ქვევით არის დაწეული მარცხნივ მის მარჯვენა კიდესთან შეზარებით. ამიტომ ამ იოგის სიგრძე მარჯვენა მხარეზედ უდრის 4—6 სანტიმეტრს, მარცხნივ — 8 სანტიმეტრს.

გარდიგარდმო კოლინჯიდან დიდი ბადექონის თავისუფალი კიდე ეშვება ქვევით. ამ კიდის მარცხენა გვერდითი ნაწილი მიიმართება მარცხნივ და ქვევით, ესვევაც წინიდან ნაწლავების გრეზილებს და თავისუფლად თავდება ამ გრეზილებს და მუცულის ღრუს გვერდითი კედელს შორის. ბადექონის ამ მარცხენა კიდიდან მიიმართება ერთი ნაცერი ქვევით, ჩადის წვრილი ნაწლავების გრეზილებს მორჩის და იქ იძლევა ორ ზონას. პირველი მარცხენა ზონარი სიგრძით 15 სანტ უმაგრდება წვრილი ნაწლავის ჯორჯალის თავისუფალ ბოლოს, ესე იგი იქ. სადაც ჯორჯალიდან ნაწლავის ჯორჯალოვანი კიდე იწყება; მეორე ზონარი უცლის გარშემო რამოდენიმე წვრილი ნაწლავების გრეზილებს მარცხნიდან მარჯვენივ, შემდეგ მარჯვენიდან ისევ მარცხნივ გადმოდის, გაივლის წვრილი ნაწლავების ჯორჯალის ფესვის წინ, მიჰყება ჯორჯალის ფესვს ზევით და უერთდება ჯორჯალის თავისუფალ ბოლოს. როგორც ვთქვით, ეს ზონარი გარს უცლის და იმწყვდებს თავის რგოლში ნაწლავების რამოდენიმე გრეზილებს.

თავისუფალი კიდის შუა ნაწილიდან მიიმართება მესამე ზონარი, რომელიც შუა ხაზის მიმართულებით ქვევით ეშვება წვრილი ნაწლავების გრეზილებს შორის, ჩადის მენჯში და იქ უმაგრდება წვრილი ნაწლავის სეროზულ აპს; შემდეგ გადადის შარდის ბუშტზე და შეზრდილია მის მწვერვალთან, სახელდობრ იქ, სადაც იწყება lig. vesico-umbilicale mediale.

### III. მარჯვენა კიდე.

ამ კიდის ჭვედა ნაწილიდან გარდიგარდმო კოლინჯის მიმართულებით მუცულის ღრუს მარჯვენა კედლისაკენ მიიმართება ერთი ნაჭერი, რომელიც მუცულის ღრუს მარჯვენა კედელთან არის შეერთებული. ამავე კიდიდან ღვიძლი-საკენ მიიმართებან რამოდენიმე კონები, რომელთა შორის სამი ცალ ცალკე უმაგრდება ღვიძლის მარჯვენა წილის ჭვედა ზედაპირს (lig. hepato—colicum) ერთიც ნაღვლის ბუშტს (lig. cisto—colicum).

Foramen Winslovi გახსნილია.

ბადექონის ფურცლები შეზრდილია.

სიგრძე ნაჭერის, რომელიც შარდის ბუშტის მწვერვალთან მიდის 35 სანტ. (კუჭიდან გარდიგარდმო კოლინჯამდის არის 7 სანტ., აქედან ბუშტის მწვერვალმდის 28 სანტ.).

სიგანე ბადექონის გარდიგარდმო კოლინჯის მიმართულებით=37 სანტ.

წვრილი ნაწლავების სიგრძე უდრის 378 სანტიმეტრს. სიგრძე ნაწლავის პილორიუსიდან ბადექონის შეზრდის წერტილამდის არის 235 სანტ., აქედან—წვრილ ნაწლავის ბოლომდის უდრის 143 სანტიმეტრს. ბადექონის რგოლში არიან მოქცეული მლივი ნაწლავის გრეხილები სიგრძით 177 სანტიმეტრი.

მუცულის ღრუს სიგრძე შუახაზის მიმართულებით დაწყებული შახვილისებრ მორჩის დასაწყისიდან ბოქვენის ძვლების სიმფიზამდის=34 სანტიმეტრს. სიგანე მუცულის ღრუს უშორეს გვერდითი წერტილებს შორის=25 სანტიმეტრს.

ეხლა თუ ჩვენ ვიკოთხავთ, რაში შესდგება წარმოდგენილ დიდი ბადექონის ანატომიური თავისებურობა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ძველი და თანამედროვე მორფოლოგების განსაზღვრა დიდი ბადექონის ფორმის და მდებარეობის შესახებ. დაწყებული მე 19 საუკუნის ნახევრიდან და დამთავრებული უკანასკნელ წლებით მორფოლოგების წარმომადგენლები ბადექონს თითქმის ერთნაირათ აგვიწერება. ისინი ამბობენ, რომ ბადექონი არის პერიტონეუმის დუბლიკატურა, რომელიც იწყება კუჭის დიდი სიმრუდიდან, გადადის გარდიგარდმო კოლინჯზე და შეძლებ ქვევით თავისუფლათ ეშვება. აქ ის ფარავს წვრილ ნაწლავებს „წინასაფარის მზგავსათ“. გარდიგარდმო კოლინჯის ქვევით კუჭიდან წამოსული ფურცელი ისევ ზევით ბრუნდებიან ამ გვარათ: შიგნითა ფურცელი უვლის კუჭს უკნიდან, მიიმართება ღვიძლისაკენ და იქ ღვიძლს და დიაფრაგმას შორის გადადის ღვიძლის პერიტონეალურ შორის ვისცერალურ ფურცელში. ამნაირათ ეს ფურცელი აღვენს ბადექონის აბგის უკანა კედელს. დიდი ბადექონის მეორე ფურცელი, ესე იგი, რომელიც კუჭის წინა ზედაპირიდან არის დაშვებული, პირველ შიგნითა ფურცლის ქვევით უხვევს ზევით, გადაივლის ხელმეორეთ გარდიგარდმო კოლინჯს, ჩიგვება ხერხემლისაკენ და იქ პანკრეატულ ჯირკვლის წინაზედაპირის მიდამოში გადადის მუცულის აპკის პარიფ-ტალურ ფურცელში. აი დიდი ბადექონის ფორმა და მდებარეობა გასულ და თანაძედროვე მორფოლოგიური ლიტერატურის თვალთაზრისით.

(Ebi, Marshall, Hirtl, Henle, Heizmann, Spalteholz, Sobotta, Toldt, Merkel, Ellenberger, Baum, Testut, Rauber, Broesike, Зернов, Тонков, Яцута, Батуев და სხვები).

ეხლა თუ ჩვენ დიდი ბადექონის ფორმის და მდებარეობის განსაზღვრას შევადარებთ აღნიშნულ გვამის ბადექონის ფორმას და მდებარეობას, ვნახავთ, რომ ის შეიცავს შემდეგ მორფოლოგიურ განსაკუთრებულ ნიშნებს:

1) ის არ ფარავს წვრილი ნაწლავების უმეტეს ნაწილს, მაშასადამე მას არ აქვს წინასაფარის მდებარეობა.

2) მისი მარცხენა ნაწილი იძლევა დამატებითი მორჩებს, რომლების საშუალებით ის შეერთებულია ზევით დიაფრაგმასთან და მარცხნივ ელენთასან.

3) მისი თავისუფალი ნაწილი იძლევა სამ დამოკიდებელ ზონრებს, რომელთა შორის ერთი უერთდება წვრილ ნაწლავს მლივ და თეძოს ნაწლავის საზღვარზე, აქედან შარდის ბუზტის მწვერვალს. მეორე და მესამე ზონრები უერთდებიან ნაწლავების ჯორჯლებს და თავის რგოლში იმშევდევენ წვრილი ნაწლავების გრეხილებს.

4) მისი მარჯვენა კიდე აგრეთვე უშვებს დამატებითი მორჩებს, რომლებიც, ერთის მხრით, დიდ ბადექონს მექანიურათ აკავშირებენ მუცლის ღრუს მარჯვენა კედელთან, მეორეს მხრით ვ მორჩით — ღვიძლის ქვედა ზედაპირთან.

აი ის ნიშნები, რომლებითაც ეს ბადექონი განსხვავდება მორფოლოგების ჩვეულებრივ ბადექონიდან. სხვათა შორის ეს შემთხვევაც გვიჩვენებს იმას, რომ ბადექონი იცვლის თავის „ტიპიურ“ ფორმას და მდებარეობას, გვაძლევს დამატებით მორჩებს ჰერიტონეუმის ღრუს სხვადასხვა აღილას და მორჩების შეზრდით ამყარებს განსაზღვრულ ანატომიურ მდებარეობას მუცლის ღრუს ორგანოთა შორის. მაგრამ, როგორც ზევით შევნიშნეთ, ბადექონის გვამებზე მასიური შესწავლა გვაძლევს სურათს ამ ორგანოს ფორმის და მდებარეობის ხშირათ შეცვლისას. და, მართლაც, საკმარისია ერთი გვამი გაკვეთოთ, დაწვრილებით დაათვალიეროთ იქ დიდი ბადექონის ფორმა და მდებარეობა და ერთ მაგალით-ზედაც უთული იპოვნით ბადექონის ისეთ დამატებითი წარმოქმნებს, რომლებიც, შეიძლება, ჯერ ლიტერატურაში არ აღწერილა, ხოლო მათ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეთ იდამიანის მუცლის ღრუსათვის. ერთ შემთხვევაში დიდი ბადექონის წაწვეტიანებული მორჩები ელენთასაკენ მიიმართებიან, ზოგი მორჩი ელენთას გარშემო უკავის, გადადის დიაფრაგმაზე და იქ სილრმეში ან თავისუფლად თავდება ან შეზრდილი არის დიაფრაგმასთან. მეორე შემთხვევაში თავისუფალი კიდე მრავალ მორჩებს იძლევა, რომლებიც მიძვრებიან ჰერიტონეუმის ღრუს სხვადასხვა კუნკულებში. ხან ბადექონის მთელი მასა ჰერიტონეუმის ღრუს მარცხენა კიდისაკენ გადაეშვება და იქ ან თავისუფლად ძევს, ან შეზრდილია რომელიმე იქ მდებარე ორგანოსთან. ხან ბადექონი ღრუს მარჯვენა მხარესაკენ მიდის, იქ ან თავისუფლად თავდება ან რომელიმე ორგანოსთან შეზრდილი არის. ხშირათ ბადექონი მენჯში ეშვება და იქ ან გარს ევლება რომელიმე ორგანოს, ან ორგანოს ნაწილთან შეზრდილია. ხან ბადექონის თავისუფალი კიდე ნაწლავების გრეხილებს შორის მიძვრება, იქ შემდეგ რამოდენიმე მორჩებს იძლევა და ეს მორჩები ჰერიტონეუმის ღრუს სხვადასხვა კუნკულებში წვება. შემთხვევებია ისეთი, რომ თავარის დროს ბადექონის ნაჭრები გრძელდებიან, თან მიჰყებიან იმ მუცლის ღრუს ორგანოებს, რომლებიც თავარის ხერელში მოხვდებიან, ხან, თავარის ხვრელს თვით ბადექონის მორჩი აგსებს, ასე რომ ხერელი ყრუვ-

დება და იქ ორგანოების ნაწილები უკვე ველარ ჩამოდიან. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როცა ბადექონის ნაწილები პერიტონეუმის ღრუს ქვედა სართულიდან ზევით ამოდის (ჯირკველოვან სართულში—ვერიო-ი) და აქაც მდებარეობის და ფორმის დიდ სხვადასხვაობას იჩენს. ხან ის კუჭის წინა ზედა-პირზე ძევს, ხან კუჭის ზევით მიექანება და დიაფრაგმის რომელიმე ნაწილთან არის შეზრდილი. აგრეთვე დიდი ბადექონის მორჩებს ვებდავთ ღვიძლის მიღა-მოში, ხან ღვიძლის სხვადასხვა ნაწილთან არის შეზრდილი, ხან კი, თითქოს წინააღმდეგ ფიზიკური კანონისა, თავდება ზევით ღვიძლს და დიაფრაგმას შო-რის. ჩენ კამბობთ „თითქოს წინააღმდეგ ფიზიკური კანონისა“ იმ აზრით, რომ ამ შემთხვევაში ბადექონის ნაკერი ქვევიდან ზევით მოდის, ვერტიკალურ მდება-რეობას იღებს და აქ შეზრდის პროცესსაც აწარმოებს.

აი, დიდი ბადექონის მდებარეობის რამოფენიმე ფორჩები, რომლებიც ჩვენ ბადექონზედ შევნიშნეთ გვამების შესწავლის დროს. ჩანს, რომ ბადექონს არ უნდა ჰქონდეს მდებარეობის და ფორმის ერთი რომელიმე ტიპი, არამედ მისი ფორმა და მდებარეობა უფრო ხშირად ცვალებადია. ის რაღაც დამოკიდებულე-ბას იჩენს ინტრაპერიტონეალურ ორგანოებთან, მიუხედავათ იმისა, სადაც არ უნდა ძევდენ ეს ორგანოები, დაწყებულ ზევით დიაფრაგმიდან, ქვევით მენჯის ბო-ლომდის, წინ, უკან და გვერდებზე პერიტონეუმის ღრუს კედლებით, ერთი სიტ-ყვით ბადექონის მდებარეობა მუცლის ღრუში იმდენათ სხვადასხვა ნაირია, რომ ჩვენ, ვგონებ, არ შევცდებით თუ მას პერიტონეუმის „ცოომილ ორგანოს“ ვუწოდებთ.

ეხლა დავუბრუნდეთ ჩვენს შემთხვევებს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ მომენტთან. ერთი არის ემბრიონალური მომენ-ტი, მეორე კი—ემბრიონალურ ხანის შემდეგ წარმოშობილი. პირველი, ეს იგი ემბრიონალური მოვლენა ეკუთვნის შარდის ბუშტის დაკავშირება წვრილ ნაწლა-ვის ნაწილთან, მეორე მომენტი ამ პირველ მოვლენით არის გამოწვეული და ეკუთვნის იმ მანიპულიაციებს, რომლებსაც დიდი ბადექონი ახდენს ამ თავისე-ბურ შემთხვევაში. ჯერ გავარჩიოთ ემბრიონალური მომენტი, ეს იგი, როდის და რატომ უნდა მომხდარიყო შარდის ბუშტის შეერთება. ზონრის საშუალებით წვრილი ნაწლავის გრეხილთან.

ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ასე, რომ ყვითრის და ალანტოისის სადინა-რების დაყრუების შემდეგ, უკანასკნელთ შორის მაინც დარჩა კავშირი იოგის სახით და ბავშვის დაბადების შემდეგ ეს იოგი არ გამქრალა. ჩემს ასეთ აზრს იმაზედ ვამყარებ, რომ აღნიშნული იოგი იწყება შარდის ბუშტის მწვერვალი-დან, ეს იგი Urachus-ის დასაწყისიდან და უმაგრდება წვრილი ნაწლავების იმ წერტილს, სადაც არის საზღვარი მლივი და თეძოს ნაწლავებს შორის. ეს ადგილი კი ემბრიონალურ ხანის დროს წარმოადგენს ყვითრის სადინარის დასაწყისს. (ductus omphalo—entericus).

რომ მართლაც აღნიშნული შემაერთებელი იოგი მლივი და თეძოს ნაწლა-ვის საზღვარზედ არის მიმაგრებული, ჩანს წვრილი ნაწლავების გაზომვიდან. რო-გორც ზევით აღვნიშნეთ, პილორიუსის დასაწყისიდან იოგის შეზრდის წერტი-ლამდის არის 235 სანტიმეტრი; ამ წერტილიდან წვრილი ნაწლავების ბოლომ-

დის—143 სანტიმეტრი. ოუ ჩვენ ეხლა პირველ სიგრძეს (235 სანტ.) მეორეს (143 ს.) შევაღარებთ, ვნახავთ, რომ მეორე სიგრძე წარმოადგენს მთელი წვრილ ნაწლავების დაახლოვებით  $\frac{1}{3}$ , პირველი სიგრძე კი შეიცავს  $\frac{2}{3}$ . მაშასადამე იმ-გის შეზრდა წვრილ ნაწლავზედ გვაქვს იქ, სადაც თავდება მლივი და იწყება თემს ნაწლავი, ესე იგი იმ ადგილას, რომელიც ემბრიონალურათ ითვლება ყვითრის საღინარის დასაწყისათ.

ასეთმა ემბრიონალურმა მოვლენამ ალბათ შემდეგ გამოიწვია ბადექონის მდებარეობის ის ცვლილებები, რომლებსაც ჩვენ მასში აქვთ ვხედავთ. თანდაყოლილ შეზრდას ალანტოსის და ყვითრის საღინარების შორის შეეძლო გამოეწვია დიდი ბადექონის მუდმივი გალიზიანება. ექსპერიმენტალურ მედიცინაში დღეს უკვე დამტკიცებულათ არის ალიარებული ის გარემოება, რომ ბადექონი ორგანოებთან შეზრდით უპასუხებს იმ შემთხვევებში, როცა პერიტონეუმის ორუში თამაშე არა ნორმალური მოვლენა ხდება, როგორიც არის, მაგალითად, ჭრილობები, გარეშე საგნის ღრუში მოხდენა და სხვა. ამიტომ დასაშევებია, რომ ზემოაღნიშნულმა გალიზიანებამ გამოიწვია ბადექონის მოძრაობა, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მან ერთი მორჩით შეეზარდა რა ყვითრის საღინარის ყოფილ ადგილს, იმავე დროს შეაჩერა წვრილი ნაწლავების დაშვება ქვევით—მენჯის ღრუში. იმავე მუდმივ გალიზიანებას შეეძლო გამოეწვია ბადექონის დანარჩენი დამატებითი მორჩების წარმოქმნა. ამ დამატებითი მორჩებმაც თავისი მიზანშეწონილი განმავლობა იქონიეს მუცელის ღრუს ორგანოების შედარებით ნორმალურ ფიქსაციის საქმეში, სახელლობრ: ორი წვრილი მორჩით, რომლებსაც ჩვენ მუცელის ღრუს ქვედა სართულში ვხედავთ, ალა შემოერტყა წვრილი ნაწლავების გრეხილებს და მათი ქვევით დაშვება შეჩერებულ იქმნა. გარდა ამისა, გარდიგარდომ კოლინჯის მარცნივ, მარჯვნივ და ზევით აგრეთვე წარმოიქმნა მორჩები, რომლებმაც ეს ორგანო გამაგრა და განსაზღვრულ მდგომარეობაში ჩააყენა. თითქოს ბადექონმა მრავალი მორჩების გამოყოფით და მათი ამა თუ იმ ორგანოებთან შეზრდით გამოისწორა ადამიანის თანდაყოლილ დეფექტი

ასეთი აბსანა აღნიშვნულ პრეპარატზე ბადექქონის მოძრაობის შესახებ, შეიძლება, უსაბუთოთ და სიმამაცეთ გვეჩენოს, მაგრამ ის ცხადია, რომ აქ ბადექონის მორჩები ერთობ მიზანშეწონილათ არიან დალაგებული. საკმარისია, ბადექონის ერთი რომელიმე მორჩი გადაეცერათ და ჩვენ მაშინვე დაგარღვევეთ მუცლის ღრუს ორგანოების ანატომიურ წონასწორობას. შეიძლება ბადექონის ასეთ მოძრაობას და მისი მორჩების შეზრდას ჰქონდეს, მეორე მხრით, რამოდენიმე უარყოფითი მხარეები, როგორიც არის, მაგალითად, მუცლის ღრუს ორგანოების ერთმანეთთან ზედმეტი დაახლოვება (ნაწლავების გრეხილები), მათი სანათურების შემცირება და სხვა, მაგრამ იმავე ორგანოების საჭირო და მიზანშეწონილი ფიქსაცია ბადექონის მხრივ უდიდეს მნიშვნელობის ფაქტურა უნდა ჩაითვალოს.

კველა ზემოხსენებულიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დებულებები:

1. პერიტონეულმის და მისი ლრუს ანატომიურათ შესწავლა გვიჩვენებს, რომ დიდი ბადექონის ფორმები და მდებარეობა აღამიანის გვამებში ოვალუსაჩინო



სხვადასხვაობას განიცდიან, რაც თანატედროვე მორფოლოგიურ ლიტერატურაში ჯერჯერობით სავსებით გაშუქებული არ არის.

2. მორფოლოგების დიდი უმეტესობა ბადექონს ჰყოფენ არ ნაწილად: ერთი არის დიდი ბადექონის არა თავისუფალი ნაწილი, რომელსაც ეკუთვნიან lig. gastro—colicum, lig. gastro-lienale, lig. phrenico—colicum sinistrum და არა მუდმივი lig.phrenico—colicum dextrum. მეორეს, ესე იგი, მის თავისუფალ ნაწილს წარმოადგენს ის ნაკერი, რომელიც ეშვება პერიტონეუმის ღრუში გარდიგარდმო კოლინჯიდან ქვევით და „წინსაფარის“ მგზავსათ ფარავს წინიდან ნაწლავებს.

3. მაგრამ, ადამიანის დიდი ბადექონის დაწვრილებითი შესწავლა გვიმტკიცებს, რომ მისი კიდეები, სახელდობრ, ზევით, მარცხნივ, ქვევით და მარჯნივ არ წარმოადგენენ ერთ სწორ ხაზს, არამედ ძლიერ ხშირათ იძლევიან მრავალ მორჩებს სხვადასხვა სიგრძის, მდებარეობის და სიფართოვისას.

4. აღნიშვნული, ასე ვთქვათ, დამატებითი მორჩები, ხან თავისუფლად მდებარეობენ მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოსთან, ხან კი შეზრდილი არიან მასთან და ამნაირათ ეს უკანასკნელები სხვათა შორის ასრულებენ პერიტონეუმის ოფენვან აპარატის როლს, რომელიც აუნებს მუცლის ღრუს ამა თუ იმ ორგანოს განსაზღვრულ მდგომარეობაში.

5. სხვადასხვა შემთხვევებში ბადექონი ასეთ კავშირს იქერს თითქმის ყველა ინტრაპერიტონეალურ ორგანოებთან და ამას კი ხელს უწყობს მისი თავისუფალი უსწორო კიდიანი მორჩები.

6. ასეთ ზეგავლენას ბადექონი ახდენს არა მარტო იმ ორგანოებზე, რომლებსაც ის ფიზიურათ ეხება, არამედ მუცლის ღრუს იმ ორგანოებზედაც, რომლებიც მისგან დამორჩებული არიან, მაგალითად, ზევით ღიაფრაგმასთან, ღვიძლთან, ქვევით მენჯში მდებარე ორგანოებთან და სხვ.

7. როცა ბადექონი შეზრდილია მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოსთან ერთი მიმართულებით, ხშირათ ემჩნევა მეორე მორჩით ან მორჩებით შეზრდა მეორე ორგანოსთან მოწინააღმდეგე მიმართულებით და ასეთი მრავალ მხრივი ფიქსაცია ახდენს მუცლის ღრუს ორგანოთა წონასწორობას. წარმოდგენილ შემთხვევაში ვხედავთ მორჩების ასეთ დალაგებას: ბადექონი შეეზარდა წვრილი ნაწლავის იმ ნაწილს, სადაც თავდება მლივი და იწყება ოქმის ნაწლავი. ამ მორჩის შეეძლო ძლიერ დაეშია გარდიგარდმო კოლინჯი ქვევით, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ დამატებითი მორჩებს მოწინააღმდეგე მიმართულებით, სახელდობრ, ზევით—დააფრაგმისაკენ, მარცხნივ ელენთასაკენ, მარჯვნივ მუცლის ღრუს მარჯვენა ძედლისაკენ და ღვიძლისაკენ—და საერთოდ ყველა ეს მორჩები აუნებენ მუცლის ღრუს ორგანოებს შედარებით ნორმალურ ანატომიურ მდგომარეობაში.

8. ამიტომ, თუ ჩვენ დიდ ბადექონს მივაწერთ სხვათა შორის მუცლის ღრუს ორგანოების გამამაგრებელ როლს და ეს, როგორც მისი ანატომიური მდებარეობის შესწავლიდან სხანს, შესაძლებელათ უნდა ჩაითვალოს, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ბადექონის ფორმა და მდებარეობა, როგორც მოძრავი ორგანოს, არ უნდა იყოს ერთნაირი, არამედ უნდა იყოს მრავალგვარი, რადგანაც ის ეგუება მუცლის ღრუს ორგანოების სხვადასხვა მოთხოვნილებებს, მათ

შორის მოთხოვნილებას მექანიური ხასიათისას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბადექონის ფორმა და მდებარეობა უფრო ხშირათ არ წააგავს წინსაფარს, როგორც მას ასურათებენ ძველი და თანამედროვე მორფოლოგები, არამედ ის ამ მხრით მრავალ გვარ ცვლილებებს ქმნის ნაკეცის, მორჩების და შეზრდის სახით.

9. ბადექონის ასეთ მანიპულაციებს პრაქტიკული მედიცინის თვალსაზრისით ხანდახან, შეიძლება, დაერთოს უარყოფითი მხარე, ორგორიც არის, მაგალითად, მუცლის ღრუს ორგანოების ერთმანეთთან ზედმეტი დაახლოვება, ორგანოთა სანათურების შევიწროება და სხვა, მაგრამ ბადექონის მიერ ორგანოთა ფიქსაცია საზოგადოთ სხეულისთვის ხშირ და ფრიად საჭირო მნიშვნელობის მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

10. აქედან შეგვიძლია დავსკნათ, რომ გვამებზე დიდი ბადექონის მორფოლოგიის შესწავლა, ერთის შეხედვით, თითქოს მშრალ მასალას მოგვცემს, მაგრამ, მეორეს მხრით, უპირველესად ამ მასალაზედ უნდა აშენდეს პასუხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ბიოლოგიურათ ბადექონი.

აღწერილ დიდი ბადექონის შემთხვევიდან ჩვენ გამოვიყვანეთ ზემოთ აღნიშნული დებულებები, რომლებსაც რამოდენიმეთ თეორიული ხასიათი აქვს. ახლო მომავალში ვეცდები უფრო დაწვრილებით განვმარტოთ თვითეული დებულება, რაც დამყარებული იქნება გვამების მასიურად შესწავლის და სტატისტიკურ ცნობების მასალაზე.

## ლ. კულები.

ასისტენტი.

### სისხლის ლიმფური ჯირკვლების მორცოლობის შესახებ.\*)

(სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰისტოლოგიის კათედრის გამგე—პროფ.

ა. ნ. ნათიშვილი).

ცნობილია, რომ ჩვენს ორგანიზმში არსებობს თავისებური წარმოქმნები, ე. წ. წითელი ლიმფური ჯირკვლები, ან ჰემოლიმფური ჯირკვლები, ან სისხლის ლიმფური ჯირკვლები. ისინი განსხვავდებიან დანარჩენი ლიმფური ჯირკვლებისაგან თავისი წითელი ფერით, მიკროსკოპიულათ კი იმით, რომ ის სივრცეები, რომლებიც ჩვეულებრივი ლიმფური ჯირკვლების სინუსებს ესაბამებიან, ამოვსებულია სისხლის წითელი ბურთულებით. ამის გარდა Herbst'ი, Nukh'ი და სხვა შეკვეთარები აღწერენ, რომ იმ ლიმფას, რომელიც გამოდის წითელი ლიმფური ჯირკვლების აღვილებიდან ხშირად წითელი ფერი აქვს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ზოგი მკვეთვარი, როგორც, მაგალითად, Helly Herbst'ი Gabbi და სხვები სთვლიან, რომ წითელი ლიმფური ჯირკვლები არ წარმოადგენენ ორგანოებს sui generis, თავისებური სტრუქტურით, რომ ყველა ლიმფური ჯირკვლებს ერთი და იგივე სტრუქტურა აქვთ, რომ ერთტროციტების გამოსვლა შესაძლებელია ყველა ჯირკვლებში და ხდება per diapedesin ან per rexin და ჰქმნის ხან მცირე, ხან შედარებით მოზრდილ სისხლის ჩაქცევებს. სერთი სისხლის ჩაქცევის მიზეზი შეიძლება იყოს პაპერემია ან თავისებური აგებულობა სისხლ ძარღვების კედლებისა. მაგრამ ამასთან ერთად Helly ამბობს, რომ მას თუ უნახავს ძარღვებიდან გამოსვლა თეთრი ბურთულებისა per diapedesin, მას არ შეუძლია სთქვას იგივე წითელი ბურთულების შესახებ. ამასთან ერთად მას არასდროს არ უნახავს სისხლის ჩასაქცევის მიღამოში სისხლ ძარღვების დარღვევა, ან ლიმფური სინუსს ენდოტელიუმის გახევა. Schumacher'ი აწარმოებდა ინიეციას წითელი ლიმფური ჯირკვლების სისხლ ძარღვების და შეაჩნია საინიუციო ნივთიერების გამოსვლა ენდოტელის უჯრედებს შორის. ამის და მიხედვით მან დაასკვნა, რომ ლიმფური ძარღვების კედლები ფორმიანია. Helly'მ კი აწარმოა ისეთივე ინიეციები და აღნიშნავს, რომ საინიეციო ნივთიერების გამოსვლას ექსტრავაზატების ხასიათი აქვს, ვინაიდან ამ მოვლენაში არ სიან არც მუდმივობა, არც სისწორე; აგრეთვე მას არ უნახავს რომ ეს ექსტრავაზატები გავრცელებული იყო სინუსებში. ზოგიერთი ავტორები (Orth, Müller, Ziegler და სხვები) მიუთითებდნენ რომ ლიმფური ჯირკვლების გაწითლება აიხსნება ახლო მდებარე სისხლის ჩაქცევის რეზორბციით. მაგრამ Helly ამის შესა-

\*) მოხსენდა საქართველოს ექიმთა მესამე კონგრესს.

ხებ ამბობს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც მეზობელ ლიმფურ ჯირკვლებს აკლიათ მომტანი და წამლებ ლიმფური ძარღვები და, მაშასადამე, როდესაც შეუძლებელია ლაპარაკი სისხლის რეზორბციის შესახებ. ჯირკვლები მაინც უხვად გაცემულია სისხლით.

ამ რიგათ, ვინაიდან დასამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმის შესახებ, რომ სისხლის გამოსვლა ხდება per diapedesin, per rexin, ან სისხლის ჩაქცევის რეზორბციის წარმოადგენს, იძულებული ვართ დაუშვათ განსაკუთრებული სტრუქტურა სისხლ ლიმფურ ჯირკვლებში და დაუშვათ მუდმივი კავშირის არსებობა სისხლის ძარღვებსა და ლიმფურ სინუსებს შორის.

ამის და მიუხედავათ ამ უკანასკნელის შესახებაც ყველა ცდები ჯერ-ჯერობით უშედეგოდ ჩეხება. Thomé ამბობს შემდეგს: „შთაბეჭდილება ასეთია, რომ თითქოს უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი უწვრილეს ძარღვებსა და სინუსებს შორის, მაგრამ მე ვერსად ვერ ვნახე ხვრელები, თუმცა ძარღვები აღწევდნენ აღენოიდურ სუბსტანციის უკიდურეს საზღვარს“.

Gibbes'ი, Weidenreich'ი, Lewes'ი, Vincent'ი და Harrison'ი და სხვები ფიქრობენ, რომ ამ ჯირკვლებში ჩენ გვაქვს ე. წ. ლია სისხლის მიმოქცევის წრე და ამ რიგათ აქ სისხლის და ლიმფის შერევა ხდება, მაგრამ როგორ ხდება ეს შერევა, როგორი სისხლი შედის სინუსში, არსებობს თუ არა ამ ჯირკვლებში ლიმფური ძარღვები და თუ ლიმფას ერევა სისხლი—როგორი ხსიათისაა ეს უკანასკნელი—არტერიული თუ ვენური—აი ყველა ის კითხვები, რომლებიც დღევანდელ დღემდე საიდუმლოს წარმოადგენენ.

პროფეს. ბატონ ალექსანდრე ნათოშვილის წინადადებით მე განვიხირახე ამ დარგში მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰისტოლოგიის კათედრასთან. ამ მოკლე წერილში ვაქვეყნებ იმ შედეგებს, რომელიც მე ჯერ-ჯერობით მიყიდულ.

გამოკვლევას ვაწარმოებდით ძალებზე და აზამიანზე, როგორც ახალგაზრდა, ისე მოზრდილ ჰასაკში. ყველა ძაღლებს, როგორც ლეგვებს, ისე მოზრდილთ—წითელი ლიმფური ჯირკვლები აღმოაჩნდათ. რაც შეეხება ადამიანს, ზოგ შემთხვევაში წითელი ლიმფური ჯირკვლები მიღებული არ იყო. მაკროსკოპიულად სისხლის ზოგიერთი ლიმფური ჯირკვლები მუქ—წითელი ფერისაა. ჩვეულებრივ მათ აქვთ რგვალი ფორმა, მცირე ოდენობა და რბილი კონსისტენცია. მაგრამ შეიძლება იყვნენ ოვალური ფორმისა, მოწითალო ფერისა: ზოგიერთ შემთხვევებში მათ ზედაპირზე არის მხოლოდ წითელი ფერის ზონარი; უკანასკნელი პირველებთან, შედარებით უფრო მოზრდილი და მკარივი კონსისტენციისაა. მრგვალი ჯირკვლები უშუალოთ პერიტონეუმით არიან დაფარული, ოვალური კი მოთავსებული არიან ცხიმოვან ქსოვილში. მუქ—წითელ ფერის მიკროსკოპიულად წითელი ლიმფური ჯირკვლები შეიძლება დაიყოს ორ მოავარ ჯვაფად: პირველს ეტყობა ერთი და იგივეობის ნიშნები ძვლის ტვინთან, მეორეს აქვს საერთო ნიშნები ჩვეულებრივი ლიმფური ჯირკვლების ერთი მხრივ და ელენთისა მეორეს მხრივ. პირველი ჯირკვლის გარშემო სიან თხელი, ფაშარი კაბსულა, შემდგარი შემაერთებელ ქსოვილის ბოჭკოებისაგან, რომელიც გადადიან და იუანტებიან მეზობლად მყოფ ცხიმოვან ქსოვილში. თვით ჯირკვლის ქსოვი-



ლ კ ი წარმოდგენილია მეტად ნაზ, ფაშარი და ლეჩივით დაქვრილ ბადესა-  
გან. ამ ჯირკვალში ჩვენ არ გვინახავს ადენოიდური ქსოვილი, რომელიც ანალო-  
გიური ყოფილიყო ფოლიუმელების ან ელენთის მალპიგიის სხეულაკების აგებუ-  
ლებისა, როგორც ამას ალნიშნავენ ზოგიერთი მკვლევარნი. მაგრამ ბადის დაქ-  
რვას ემჩნევა გარკვეული მიმართულება: მისი შედარებით მკვეთრად გამოხატუ-  
ლი გასწვრივი ხარიხები ვიწრო კედლიან გზების სახით მიღიან ურთიერთ შო-  
რის პარალელურად, რონაც იკლანებიან და ალვა-ალვ იფანტებიან ჯირკვლის  
პერიფერიისაკენ, გარდიგარდმო ხარიხები კი იძღენად წვრილია, რომ თითქმის  
არც კი სიანან. გასწვრივი ხარიხები წარმოდგენინ შედარებით ფართე პროტოპ-  
ლაზმატიურ გასას, რომელშიაც ჩართულია მოგრძო მოყვანილობის ბირთვი,  
გარდიგარდმო ხარიხები კი წარმოდგენილი არიან უწვრილეს ძაფებათ. ლიმფო-  
იდურ ქსოვილის და სინუსის შორის მკაფიო საზღვარი არ არსებობს. სინუსი-  
საგან ფართე სივრცეები მიღიან ლიმფურ ქსოვილში, სადაც იფანტებიან უფრო  
წვრილი ტოტებათ და თანდათანობით გადადიან რეტიკულუმის სივრცეში. სინუ-  
სის ბადე შესდგება უფრო სქელი ხარიხებისაგან და შედარებით უფრო ფართე  
მარყუშოვანია ვიდრე ლიმფურ ქსოვილში. მთელი ქსოვილი გაულენთილია ლიმ-  
ფური ელემენტებით და ერიტროციტებით, ეს უკანასკნელები უფრო დიდ რაო-  
დენობით გვხდებიან სინუსებში და ლიმფური ელემენტები კი ცენტრალურ უფ-  
რო ნაზ ქსოვილში არიან. ჯირკვლის უახლოედება შედარებით მსხვილი ვენური  
ძარღვი, შედის მის კაპსულაში, სადაც ამ ვენის ადვენტიცია უერთდება კაპსუ-  
ლის შემაერთებელ — ქსოვილოვან ბოკკეობს. აქვე — კაპსულაში — ვენა იშლება  
სულ უფრო და უფრო წვრილ ტოტებად, ადვენტიციის ბოჭკოები შორდებიან  
ერმობანეთს და გარშემო ერტყმიან სისხლით საცხე უსწორ-მასწორო სივრცე-  
ებს, ბოლოს ამ სივრცეების შემაერთებელ ქსოვილოვანი კედლები თხელდება,  
სივრცეები თითქმის ერთმანეთს უერთდება ჯირკვლის გარშემო და ჰემინან საერ-  
თო ირგვლივ სინუსს. მთელი ჯირკველი გვეჩევენება უსწორ-მასწორო განუწყვე-  
ტელი ძარღვოვან ქსელის სახით. ჯირკვლის შუაგულში უსწორი და ვიწროკედ-  
ლიანი გზებიდან, ამოგსებულთ ლიმფურ ელემენტებით და აგრეთვე ერიტროცი-  
ტებით, იწყება კაპილარები. ისინი ერთდებიან ერთმანეთში და ჰემინან უფრო  
მსხვილ ტოტებს. ცირკულაცია, როგორც სჩანს, სწარმოებს შემდეგნაირად: სის-  
ხლი შედის ვენით სინუსში და აქედან თავისუფლად გადის რეტიკულუმის მარ-  
ყუშებში; უნდა აღნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორების მიერ აღწერილია ამ  
ჯირკვლებში საზღვროვანი ენდოტელური შრე, მზგავი ჩვეულებრივი ლიმფურ  
ჯირკვლებს ენდოტელისა, რომელიც ხელს უშლის ხოლმე ერიტროციტების გას-  
ვლას — აქ არ არსებობს. შემდეგში სისხლი გადადის რეტიკულუმის ზემოდ აღ-  
ნიშნულ ვიწრო გზებში და აქედან კაპილარებში. ამგვარად, როგორც სჩანს, აქ  
სისხლის მიმოქცევას უენური ხასიათი აქვს.

იმავე ჯგუფის ზოგიერთი ჯირკვლები განსხვავდებიან უკვე ალნიშნულ  
ჯირკვლებისაგან მით, რომ აქ უფრო მეტია უჯრედოვანი ელემენტები და ამი-  
ტომ თვით ქსოვილი უფრო მკვრივი ხასიათისაა. ამის გარდა უჯრედოვან ელე-  
მენტების რიცხვში შედის როგორც ერიტროციტების ისე ლეიკოციტების მოზ-  
რდილ და კაბუკი ფორმები. მათ შორის მოიპოვება მოზრდილი, უსწორო ფორ-

მის უჯრედებიც მსხვილი მქრთალი ბირთვით, რომლებიც როგორც სჩანს ეკუთვნიან მეზენჯიმის ელემენტებს. სტრომის ელემენტებს შორის მოთავსებულია ფიბრობლასტები — ტიპიური პროტოპლაზმატიური სხეულით და მქრთალი ოვალური ბირთვით. ამ ჯირკვლებში მეზენჯიმის ელემენტების არსებობა და სისხლის წარმოშობის მოვლენები ერიტროციტების ახალგაზდა ფორმების განვითარებით — ყველა ეს, ამ ჯირკვლებს აძლევს ემბრიონალურ ან მიელოიდურ ქსოვილის ხასიათს.

მეორე სახე ჯირკვლებისა მოგვაგონებს უკვე ჩვეულებრივ ლიმფურ ჯირკვლებს. მათში შეიძლება ალვინ-შნორ ერთი ნახევარი, რომელიც საცეციით ქერქვანი ნივთიერებისაგან შესდგება და მეორე, რომელიც თავის რიგათ, ორ ნაწილისაგან შესდგება: პოლიუსის მოპირდაპირ ძხარეზედ მდებარეობენ ფოლიკულები, ცენტროში კი მათი მორჩები და სინუსები. ჯირკვლის იმ ნაწილში, რომელიც პირველ შეხედვით ქერქვან ნივთიერების შთაბეჭდილებას სტროვებს, დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ გვიჩვენებს ლიმფოიდური ქსოვილის გროვებს, რომლებიც მოგვაგონებენ ელენთის მაღლივის სხეულაკებს. პერიფერიული სინუსი, ფოლიკულები და აგრეთვე მოთავსებული მათ შორის სივრცეები ამოვსებულია სისხლით. იმ ჯირკვლებში, სადაც სისხლი იმდენად ბევრია არ არის, — შეიძლება ვნახოთ, რომ ფოლიკულს მიმართულს პერიფერიულ სინუსისაკენ არა აქვს ენდოტელური საზღვარი სინუსთან და სისხლი უკანასკნელიდან ფართე ჯებით ფოლიკულებში გადადის. ჯირკვლის ცენტროში ლიმფოიდურ კუნძულების გარშემო მოინახება აგრეთვე თავისებური მდებარეობა ქსოვილისა, რომელიც რეტიკულუმის ესაბამება და რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვთქვით პირველ შემთხვევაში. ჯირკვლებში სისხლის ძარღვების განაწილება შემდეგნაირია: კარში შედის არტერია, იქვე იძლევა წვრილ ტოტებს, რომელთაც კუნთოვანი კედელი არა აქვს და აგრეთვე სწრაფათ კარგავენ შემაერთებელ ქსოვილოვან კედელს და ადენოიდურ გაღაგვარებას განიცდიან. შედარებით უფრო გრძელი და წვრილი ტოტები შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოებთან ერთით — აღწევენ ფოლიკულებს. არტერიის გარდა ჯირკვლებს ვენებიც აქვთ; მათი დასაწყისი ლიმფოიდურ ქსოვილში ისეთივეა, როგორც პირველ შემთხვევაში: განიერი კაბილარები ჰქმნიან საკმარისად განიერ ვენებს, რომელთა კედელი უაღრესად თხელია და შესდგება ენდოტელისაგან და მცირე რაოდენობის შემაერთებელი ქსოვილისაგან. გამორტეცხილ და წინასწარ გაძერილ ჯირკვლებში შეიძლება გავშინჯოთ კაბილარის კედლის აგებულობა. იგი შესდგება ენდოტელური უჯრედებისაგან, რომელზედაც მიყრდნობილია რეტიკულუმის უჯრედები და რომელთაც ეხვევიან წვრილი მორჩები. კაბილარებს აქვთ შეხედულობა თითქმის ისინი განვითარების მდგომარეობაში იმყოფებიან; კარის მომტან და წამლებ ძარღვების გარდა ამნაირ ჯირკვლებში შეიძლება ვნახოთ ვენა, რომელიც მიდის ჯირკვლთან სისხლით გავსებულ პოლიუსის მხრივ და რომელიც hilus'ის პირდაპირ ქეებს. მისი კედელი, როგორც პირველ შემთხვევაში ჯირკვლის კაბსულას ერთვის და სისხლი სინუსში გადადის. როგორც აქაც სჩანს სისხლის მიმოქცევაში მთავარი როლი ეტაზნის ვენებს, რომელიც მოდის ჯირკვლისაკენ პოლიუსის მხრივ და გამოდის კარიდან. შეიძლება დაგრწმუნდეთ იმაში, რომ იმ დროს, როდესაც მომტანი

ვენები გავსებული და გაბერილია სისხლით წამდები ვენები ან სრულიათ ცარი-ელია, ან გაცილებით უფრო ნაკლებ სისხლს შეიცავს. საინტერესოა ოვნიშნოთ ის რომ ამ ვენის სისტემაში არსებობს ფიბრინის ძაფები, რომელთაც ურევია წითელი და თეთრი ბურთულები. იმის დასამტკიცებლათ, რომ სისხლის გაღასვლისათვის ლიმფურ სინუსებში ჰემოლიმფურ ჯირკვლებში უნდა არსებობდეს განსაკუთრებული გზები და რომ ეს სწორედ ის გზებია, რომელებიც მიკროსკოპის საშუალებით ისინჯება და არ აიხსნება სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიურ ცვლილებებით, ჩვენ ვაწარმოეთ ხელოვნური ვენური ჰიპერემია ბაჭის ჩვეულებრივი ლიმფური ჯირკვლებისა. ერიტროციტების გამოსვლა სინუსში მივიღეთ, მაგრამ ამასთან ერთად გაცილებით უფრო მკვეთრად გამოიხატა ვენური შეშუპების მოვლენები, პლაზმის და ეოზინოფილურ ლეიკოკიტების გამოსვლა და სხვადასხვა.

ამ რიგათ სისხლი, რომელსაც ვხედავთ ჰემოლიმფური ჯირკვლების სინუსებში არ წარმოადგენს აქ შემთხვევითი მოვლენას. იგი არ გამოიდის სისხლის ძარღვებიდან დროებით შექმნილ ხერელების საშუალებით ნორმალურ სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს (per diapedesin, per rexin).

მისი არსებობა სინუსებში არის მუდმივი მოვლენა და ორგანიულად შეკავშირებულია ჰემოლიმფურ ჯირკვლის სტრუქტურისთან. ს. ს. ს. ს. ს. იღვრება პერიფერიულ სინუსში პერიფერიიდან მოსულ ვენით. თახდათანობით ვენის დაყოფასთან ერთად მისი კედლები თხელდება და ბოლოს იგი შესდგება მხოლოდ adventicii-ს შემაერთებელ ქსოვილის უჯრედებისაგან და ენდოტელიისაგან. შემდეგში იცვლება მხოლოდ ამ უჯრედოვან ელემენტების მდებარეობა: შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები ლაგდება ბადის მსგავსად, რომელიც უფრო ფართო მარყუშოვანია სინუსების მიღამოში და უფრო ხშირი ლიმფოიდურ ელემენტების გროვების მიღამოში. ვენურ კედლის ენდოტელი ამ ბადის ხარისხებზე გადადის და შემაერთებელ ქსოვილის უჯრედოვან ელემენტებს ეხვევა. მაგრამ იგი არ ჰქმნის მთლიან საფარველს და ამით აიხსნება ის, რომ სინუსის კედელს არა აქვს ჩვეულებრივი ენდოტელი; მის როლს ასრულებენ შემაერთებელ ქსოვილოვან — რეტიკულარული უჯრედები. მაშასადამე, შეიქმნება პირობები მსგავსი ელემენტის ბილროტის ვენებს. ამ რიგათ სისხლი, რომელიც ვენიდან სინუსში ინთენსა ამ უკანასკნელიდან გადადის ლიმფოიდურ უჯრედების გროვებში, უფლის ჯირკვლის მთელ ქსოვილს, აქ არსებულ კაპილარულ ბადეში მოექცევა და შემდეგ ვენურ სისტემის გამტან ტოტებში გადადის.

გაივლის რა ჯირკვლის ქსოვილში, სისხლი ხდება უჯრედოვან ელემენტებს, რომელთა შორის, როგორც წითელი, ისე თეთრი სხვა და სხვა ფორმის ბურთულები მოიპოვება.

ამ რიგათ ამ ორგანოებში მოსულ სისხლს ემატება ახალი დაუმუშავებელი სისხლის ბურთულები.

ზემოაღნიშნულ ბიოლოგიურ და მორფოლოგიურ თვისებებით ჰემოლიმფური ჯირკვლები განსხვავდებიან ჩვეულებრივი ლიმფური ჯირკვლებისაგან და ეს განსხვავება აძლევს მათ უფლებას დაიკავონ განსაკუთრებული ადგილი ლიმფოიდურ ორგანოების და საზოგადოთ ორგანიზმის დანარჩენ ორგანოების შორის.

II. გიგინებული და თ. კობიაზებილი.

კლინიკის ორდინატორი. კლინიკის ექიმი—ექსტერნი.

## ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელება გურიის ზოგიერთ სოცლებში \*).

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკის კლინიკიდან.  
გამგე—პროფ. გ. დ. წინამძღვრიშვილი).

ცნობილია, რომ არც ერთ ინფექციურ ავაღმყოფობას არ მიიქვს იმოდენა მსხვერპლი, როგორც ტუბერკულოზს.

Gottstein-ის ცნობებით ტუბერკულოზი სამჯერ მეტ სიკვდილიანობას იძლევა, ვიდრე ქუნთოუშა, წითელა, ტიფი და ხუნაგი ერთად აღებული და შეადგენს  $\frac{1}{8}$  საერთო სიკვდილიანობისას.

თუ განვიხილავთ სტატისტიკურ მასალას, რომელიც საერთაშორისო ომამდე იყო შეკრებილი და რომელიც უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს, ჩვენ დავინახავთ, რომ მარტო ფილტვის ჭლექისაგან წელიწადში გარდაცვლილა: იტალიაში—80 ათასი; შეერთებულ შტატებში—138 ათასი; საფრანგეთში—100 ათასი.

კულტურულ ქვეყნებში მიღებულ ზომების გამო, სიკვდილიანობა ტუბერკულოზისაგან, ცოტ-ცოტა, მაგრამ შესამჩნევად კლებულობდა. მაგალ. პრუსიაში 1895 წ. 10,000 მცხოვრებზე იყო 23,26 სიკვდილის შემთხვევა; 1913 წელს მხოლოდ—13,65.

1921 წელს საერთაშორისო ანტიტუბერკულოზურ კონფერენციაზე Newmann-მა აღნიშნა, რომ ინგლისში ფართო და სისტემატიურ ბრძოლამ ტუბერკულოზთან, 1850 წლიდან  $75\%$ -ით შეამცირა სიკვდილიანობა ამ სენისაგან. საერთაშორისო ომმა კი ამ მხრივ მდგომარეობა გააუარესა და გააბათილა მიღწეული შედეგები.

Деуске—ფიქჩობს, რომ თვითულ ევროპის სახელმწიფოში სიკვდილიანობის  $\%$  უდრის 2-ს. ამ რიცხვის  $10\%$ -ში სიკვდილიანობის მიზეზი ტუბერკულოზია. ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, 50 მილიონ მცხოვრებზე, კვლება ყოველ წლიურად—ერთი მილიონი; ამათში  $100$  ათასი—ტუბერკულოზისაგან; მასთან ფილტვის ჭლექისაგან— $90\%$ -ი, დანარჩენ ფორმებზე მოდის  $10\%$ -ი.

სოციალური პირობების მიხედვით სიკვდილიანობის შემთხვევები ფილტვის ჭლექისაგან თანახმად Fünk-ის დაკვირვებებისა, განაწილდება შემდეგ ნაირად: ყოველ 10,000 მცხოვრებზე 30—60 წლამდე.

\* ) მოხსენდა საქართველოს ექიმთა მესამე კონგრესს.



ლარიბი—43.

საშუალო პირობებში მცხოვრები—15.

მდიდარი—5,8.

უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს გამოანგარიშება, თუ რამდენი ადა-  
მიანია ტუბერკულოზით დაავადებული, მით უმეტეს, რომ მუდამ ადვილი. არ  
არის იმის გამორჩევა, თუ ვინ უნდა იყოს ცნობილი ავადმყოფად. ბოლო ხა-  
ნებში, ამ საკითხს მიუღებენ იმ ოქალსაზრისით, რომ დაავადებულად უნდა ჩაი-  
თვალოს ის, ვისაც ესაჭიროება მჯურნალობა. Altstadt-ის გამოანგარიშებით ტუ-  
ბერკულოზით ავადმყოფთა რიცხვი, რომელთაც წამლობა ესაჭიროება ყოველ  
50 მილიონ მცხოვრებშე მოდის ერთი მილიონი. მას შემდეგ რაც Naegeli-მ  
მოხრილთა გაკვეთილ გვამებზე 97% -ში აღმოაჩინა ტუბერკულოზური ცვლი-  
ლებები, ცხადი შეიქმნა, რომ ტუბერკულოზური ინფექცია, ანატომიურ ცვლი-  
ლებების სახით, გაცილებით უფრო ხშირია ვიდრე კლინიკური დაავადება ტუ-  
ბერკულოზით და მით უმეტეს სიკვდილიანობა. იმავე Naegeli-ს გამოკვლევით  
13—14 წლის ჰასაკში, გაკვეთამ მხოლოდ 30% -ში აღმოაჩინა ტუბერკულოზურ  
ინფექციის ნაშთი.

Hamburger-მა და Sluk-ამ 11—14 წლიანების გვამებზე აღმოაჩინეს ტუ-  
ბერკულოზური ცვლილებები 70% -ში.

იმავე ავტორებმა აღნიშნეს:

1	წლიანებზე . . . . .	15%
2	" . . . . .	40%
3—4	" . . . . .	60%
7—10	" . . . . .	63%

სხვა ავტორების ციფრები უფრო ნაკლებია. (Fürst).

მას შემდეგ რაც Pirquet-მ 1907 წელს გამოაქვეყნა თავისი შრომა, დარ-  
წმუნდნენ, რომ მოზარდო შორის, ტუბერკულოზური ინფექცია უფრო ხშირია,  
ვიდრე ამას სექციის დროს პოულობდენ.

Pirquet თავისი რეაქციის საშუალებით ამტკიცებდა, რომ ბავშვებს 4 წლის  
შემდეგ ნახევარზე მეტს აქვს ტუბერკულოზური ინფექცია.

Hamburger-მა და Monti-მ 509 ბავშვს გაუკეთეს Pirquet-ს რეაქცია; მასთან  
ვისაც Pirquet-ს რეაქცია უარყოფითი აღმოაჩნდებოდა, უშეაპუნებდენ კან-გვეშ-  
ტუბერკულინს. მათ მიიღეს დადებითი რეაქცია 11-დგან—14 წლამდე 94% -ში.

Ganghofner'მა, პრაგაში, 11-დგან—14 წლამდე დადებითი რეაქცია მი-  
იღო 70% -ში.

Bauer-მა და Engil-მა, დიუსელდორფში, 13—14—წლოვანებში 54% -ში.

Nothmann-მა, იმავე ქალაქებში, 13—14 წლამდე 84% -ში.

Schlosmann-ი იკვლევდა შეძლებულ კლასის ბავშვებს. მან მიიღო დადები-  
თი შედეგი 14 წლამდე მხოლოდ 5% -ში.

აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი ყველა გამოკვლევა და ციფრი შე-  
ქება, უმთავრესად, სხვადასხვა ევროპის ქალაქების მცხოვრებთა პროლეტარულ  
ნაწილს, ან და საავადმყოფოების მასალას.

აღსანიშნავია აგრეთვე ცნობები ავსტრიელი სამხედრო ექიმის Franz-oსა, რომელიც ცდილობდა Koch-ის ზოგადი რეაქციით გამოექცება ტუბერკულოზის სიტუირე ახალ-გაზრდა ჯარისკაცებ შორის. მან მიიღო დადებითი რეაქცია 400 კაციდან — 245 შემთხვევაში, ე. ი. 61%. ყველა ეს პირი სამხედრო სამსახურის-თვის გამოსადეგად იყო ცნობილი, როგორც ჯანსაღი პირები.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში ტუბერკულოზი ძლიერ ხშირი სნეულებაა, სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არ მოვცემოვება ცნობები, ამ ინფექციის გავრცელების შესახებ საქართველოში. არსებობს მხოლოდ დაკვირვება ექ. ნანეიშვილის და კვეჩერელი—კოპასის, რომლებმაც ტფილისში 522 მოსწავლეს გაუკეთეს Pirquet-ს რეაქცია. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მიერ მიღებული შედეგები ბევრად არ განსხვავდება უცხოელ ავტორთა ციტრებისაგან, რადგანაც ცხოვრების პირობები და ინფექციის გავრცელების შესაძლებლობა, ლარიბ მცხოვრებ-თათვის, ერთი და იგივეა ყველა დიდ ქალაქებში.

მით უმეტეს არ არსებობს არაგითარი სტატისტიკური ცნობები ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელების შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხე-ებში, მიუხედავათ იმისა, რომ აქ არა ერთხელ აღუნიშნავთ ტუბერკულოზის ძლიერი გავრცელება. უფრო მეტად კულტურულ ქვეყნებშიაც ნაკლებად არის გაშექებული ტუბერკულოზის გავრცელება სოფლად. პირველად, ლონდონის საერთოშორისო ანტიტუბერკულოზურ კონფერენციაზე 1921 წელს იყო აღნიშნული, რომ სოფლებში ტუბერკულოზურ index-ი ნაკლებია, ვიდრე ქალაქებში; მასთან ავტორებმა, მაგალ. Calmett-მა, აღნიშნა, რომ რაც უფრო დაბალია განსაზღვრულ ადგილებში ზემოხსენებული index-ი, იმდენად უფრო აგზნიანი ხასიათი აქვს ტუბერკულოზურ ავადმყოფობის მიმდინარეობას. ტუბერკულოზურ index-ის გამოანგაიოშება სწარმოებს შემდეგ ნაირად: Pirquet-ს რეაქციის საშუალებით ვიკვლევთ, თუ განსაზღვრულ ადგილებში ან საზოგადოების განსაზღვრულ შრეებში რამდენია ტუბერკულოზური ინფექციით შეპყრობილი. შემდეგ დადებითი შედეგების ციფრს—ყვოფთ უარყოფითი შედეგების რიცხვზე. +P  
-P.

Бакმაისტერი გავრით აღნიშნავს, რომ სოფლებში, რაოდენობა იმ ბავშვებისა, რომლებიც ტუბერკულინზე დადებითს რეაქციას იძლევიან, შეაღენს ყველა ბავშვის საერთო რიცხვის, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ 30%-ისა.

Hamburger-ი მივითოთებს, რომ დიდ ქალაქების პროლეტარულ შრეებში თითქმის ყველას 12 წლამდე მიღწეულს, აქვს ტუბერკულოზური ინფექცია. რაც შეეხება სოფელს—მან არ იცის თუ რა ხდება იქ ამ მხრივ. Hillenberg-ი ფიჭობს, რომ პატარა დაბებში და სოფლებში, ტუბერკულოზური ინფექცია აქვს მცხოვრებლების  $\frac{1}{4}$ -დან  $\frac{1}{3}$ -მდე. Meerpson-ი, რომლის მასალა ნაწილობრივ სოფლელ ავადმყოფებს შეეხება, აღნიშნავს, რომ ტუბერკულოზური index-ი სოფლებში ნაკლები უნდა იყოს, მაგრამ დაავადება—უფრო ძიმებ.

იმ ლიტერატურულ მასალაში, რომელიც ამჟამათ ხელთ გვქონდა, გარდა ზემომყვანილ ზოგადი მოსაზრებებისა, ჩვენ ვერ ვიპოვთ უფრო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირია უცხო ქვეყნებას სოფლებში ტუბერკულოზური ინფექცია.

თანამედროვე მედიცინა № 10—1925.





ჩვენში კი, თუ არ ვცდებით, ასეთი გამოკვლევა ჯერ არავის უწარმოებია. პატივცემულ პროფესის. წინამძღვრიშვილის წინადადებით მე და ექიმი კობიაშვილი შევცადეთ გამოგვეკვლია, თუ რამ ზენად გაერცელებულია ტუბერკულოზური ინფექცია გურიის ზოგიერთ კუთხებში.

საზოგადოების ფართო წრეებში და კერძოთ ექიმებშიც გავრცელებულია შეხედულება, ვითომ ტუბერკულოზი უფრო ხშირი იყოს დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთში.

ადგილობრივი დაბრკოლებების გამო, ჩვენ ვერ შევძელით დაკისრებული გეგმის საფუძით შესრულება, და დროს უქონლობის გამო, ვერ დავამუშავეთ მთელი ის დიდი მასალა, რომელიც შევკრიბეთ. დღეს ჩვენ გვსურს მივაქციოთ თქვენი ყურადღება ჩვენ მიერ მიღებულ შედეგების უფრო მნიშვნელოვან ნაწილზე.

ტუბერკულოზურ ინფექციის აღმოსაჩენად ჩვენ ვსარგებლობდით Pirquet-ს რეაქციით. არ შევჩერდებით ამ რეაქციის დადგებითი და უარყოფითი მხარეებზე, რაღანაც ეს საკმარისად ცნობილია, აღვინიშნავთ მხოლოდ, რომ მასიურ გამოკვლევისათვის იგი საუკეთესო მეთოდია, როგორც ამას ამოწმებს მთელი რიგი ავტორების (Pfaundler, Pirquet, Bartel, Зиминицкий, Никольский, Кисель და სხ.).

რეაქციისთვის გემარობდით გაუზავებელ  $100\%$  Alt-Tuberculin-ს Höchst-ის, ვინაიდან გაზავებული ტუბერკულინი, როგორც კლინიკური გამოცდილება გვიჩვენებს, ნაკლებ რაოდენობას იძლევა დადგებითი შედეგების. მეორეც—როგორც ეტყობა, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ რა ფირმის ტუბერკულინს ხმარობენ.

Moro-სი, Schuster-ის და Joseph-ის გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ სხვა და სხვა ფირმის ტუბერკულინი სხვადასხვანაირად მოქმედობს კანზე. Merck-ის Alt-Tuberculin-ით Schuster-მა 56 შემთხვევაში დადგებითი რეაქცია მიიღო 36. Behring-ის Alt-Tuberculin-ით—47 და Höchst-ის Alt-Tuberculin-ით—54.

უფრო მეტი განსხვავება აღნიშნა Meyer-მა, რომელმაც Merck-ის ტუბერკულინით მიაღო დადგებითი შედეგი  $30\%_0$ -ში, ხოლო Höchst-ის ტუბერკულინით რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, იმავე შემთხვევებში— $75\%_0$ -ში.

Pirquet-ს რეაქციის ვაწარმოებდით ჩვეულებრივი წესით: რეაქციას ვთვლით დადებითად, როდესაც პაპულა თავის დიამეტრით აღემატებოდა 4 მ.მ.-ს; რეაქციის შედეგს ვამოწმებდით მეორე—მესამე დღეს. რეაქციის შემოწმება მე-8 დღეს, (ეგრედ წოდებული დაგვიანებული რეაქციის), ჩვენ არ გვიწარმოებია შემდევი მოსაზრებით.

ექ. ნანეიშვილის და ქვეზერელი-კოპაძის გასული წლის გამოკვლევებიდან სჩანს, რომ 522 შემთხვევაში დაგვიანებული რეაქციის რაოდენობა, რომელიც აღმოჩენდა მხოლოდ მე-8 დღეს, უდრის 5-ს; ე. ი. მხოლოდ ერთ პროცენტამდე აღწევს. მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ნაწილი ამ რიცხვიდან,  $30\%_0$ -ანი ტუბერკულინით იყო აცრილი, შესაძლებელია, რომ ზემოაღნიშნული ციფრი კიდევ ნახევრად უნდა იყოს შემცირებული.

ყველა იმ პირთ, ვისაც კი Pirquet-ს რეაქციას ვუკეთებდით, უსინჯავდით ფილტრს და ტუბერკულოზის შესახებ. ვუსინჯავდით აგრეთვე ჯირკვლებს,



ელენთას, ვიკელევდით სიმაღლეს, გულ-მკერდის გარშემოწირულობას და, სადაც შესაძლებელი იყო, ვწონავდით. ამ დაწვრილებითი ობიექტურ გამოკვლევებს განსაკუთრებით სკოლებში ვაწარმოებდით.

პირკეტიზაცია ჩვენ 2100-ზე მეტს გაუკეთედ, მაგრამ რაღვანაც შესამოწმებლად ყველა არ გამოცხადდა, ამიტომ ჩვენ წარმოგიდგენთ დღეს პირკეტიზაციის შედეგს, რომელიც შეეხება 1875 სულს.

ჩვენი სასალა წლოვანობის მიხედვით განაწილდება შემდეგ ნაირად:

1½ თვიდან—	5 წლამდე . . . . .	39 სულ
6 წლიდან—	15 " . . . . .	1693 "
16 " — 20	" . . . . .	86 "
21 " —104	" . . . . .	57

ჩვენი გამოკვლევების ობიექტს შეადგენდენ უმთავრესად მოსწავლეები 6—15 წლამდე, რაღვანაც ყველა ავტორები აღნიშნავენ, რომ ტუბერკულოზური ინფექციის შეძენა ბავშვის ხანაში ხდება.

ჩვენი გამოკვლევების შედეგი წარმოდგენილია დართულ ცხრილებში.

ჩვენი მასალა სრულიად ერთფეროვანია, იგი შეეხება დასავლეთ გურიის სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ, როგორც ბინის, აგრეთვე კვების და შრომის პირობების მხრივ.

პირველ ცხრილში აღნუსხულია პირკეტიზაციის შედევები, რომლებიც მივიღეთ 6—15 წლიანებზე. აქვე შესადარებლად მოგვყავს სხვა ავტორების ციფრებიც. ე. ნანეიშვილის და კვეზერელი-კობაძის, Hamburger-ის და Ставский-ს. მათი ციფრები შეეხება დიდ ქალაქებს, ტფილისს, ვენას და ოდესას.

ამ ცხრილში არ შეგვიტანია შემთხვევები 5 წლამდე შემდეგი მოსაზრებით: 39 ბავშვიდან დადებითი Pirquet-ს რეაქცია მივიღეთ ორ ბავშვზე; ერთი შეეხებოდა 3 წლის ვაჟს ტუბერკულოზურ სპონდილიტით დაავადებულს, რომლის დედა 1½ წლის ავიდმყოფობის შემდეგ გარდაცვლილიყო ფილტვის ჭლევისაგან. მეორე—5 წლის ქალს, რომელსაც ჰქონდა მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის ტუბერკულოზი (coxitis) და რომლის დედა მძიმე ავადმყოფი იყო ფილტვის ჭლევით. მაშასადამე ორივე შემთხვევაში თვით ოჯახში არსებობდა ძლიერი ინფექცია. აქედან გამოყვანილი საშუალო %—5,2 არ შეეფერება სინამდვილეს და ბევრად ნაკლები უნდა იყოს, რაღვანაც ორივე ბავშვი, მოყვანილი იყო ჩვენთან როგორც ავადმყოფები.

როგორც ცხრილიდან სჩანს, საერთო რაოდენობა მოსწავლეების 6—15 წლამდე, რომელთაც ჩვენ პარკეტიზაცია გაუკეთეთ უდრის 1693-ს. მათში 1012 ვაჟია, ხოლო 681—ქალი. დადებითი შედევების საშუალო რაოდენობა ამ წლოვანობაში უდრის 23,7%—ს. მაშინ, როდესაც ე. ნანეიშვილის და კვეზერელი-კობაძის დავიტოვებით იგი შეადგენს 54%—ს. Hamburger-ის—79,6%; Ставский-ს—47,8%—ს. ამგვარად, ჩვენ მიერ მიღებული საშუალო ციფრი, სხვებთან შედარებით, დაბალია.

რაც შეეხება განსხვავებას ქალებსა და ვაჟებს შორის, როგორც ამავე ცხრილიდან სჩანს, 12 წლამდე ციფრები მერყევია, და ამიტომ რაიმე გარკვეუ-

## Pirquet-ს რამპილის შედეგები 6—15

წლიურანობა	ს უ ლ ი	ამ რიცხვები იყო					
		დაფენითი რეაქციის რაოდუნინა	დაფენითი რეაქციის %				
		ვაერი	ქალი	ვაერი შორის	ქალები შორის	ვაერი შორის	ქალები შორის
6 წლის	17	8	9	—	1	—	11,1
7 "	82	44	38	8	5	18,1	13,1
8 "	130	85	45	10	5	11,7	11,1
9 "	209	122	87	33	12	27	13,7
10 "	278	166	112	35	31	21	27,6
11 "	261	157	104	48	25	30,5	24
12 "	307	193	114	57	32	29,5	28
13 "	185	104	81	28	26	26,3	32
14 "	157	98	59	23	24	23,4	40,6
15 "	67	35	32	17	12	48,5	37,5
	1693	1012	681				

## ტლამდე ჩენი გასაღის მიხედვით.

ცხრილი 1.

% ტული რაოდუნი- ბის ორთა ზუა რიცხვი	ს უ ლ ი	დაფენითი რეაქციის %	Ставский-ს		Hanninger-ის	
			ს უ ლ ი	დაფენითი რეაქციის %	ს უ ლ ი	დაფენითი რეაქციის %
5,8	14	55,3	—	—	63	51
15,8	46	40,9	14	21,4	46	61
11,5	59	37,5	19	42,1	30	73
21,5	67	59,4	24	41,6	35	71
23,7	76	63,2	27	48,1	26	85
27,9	57	48,6	32	46,8	29	93
28,8	71	60,7	36	47,2	19	95
29,1	65	49,3	14	71,4	17	94
29,9	38	69,8	16	45	17	94
43,2	25	61,8	15	66,6	—	—
23,7	518	54	197	47,8	282	79,6

## Pirquet-ს რამპილის შედეგები 6—15

წლისათვე	სული	ამ რიცხვში იყო					
		ვარი	ქალი	ვაკებ შორის	ქალებ შორის	ვაკებ შორის	ქალებ შორის
6 წლის	17	8	9	—	1	—	11,1
7 "	82	44	38	8	5	18,1	13,1
8 "	130	85	45	10	5	11,7	11,1
9 "	209	122	87	33	12	27	13,7
10 "	278	166	112	35	31	21	27,6
11 "	261	157	104	48	25	30,5	24
12 "	307	193	114	57	32	29,5	28
13 "	185	104	81	28	26	26,3	32
14 "	157	98	59	23	24	23,4	40,6
15 "	67	35	32	17	12	48,5	37,5
	1693	1012	681				

## ტლამდე ჩენი გასაღის მიხედვით.

ცხრილი 1.

% ტული რაოდენო- ბის ორთა ზუა რიცხვი	სული	ნანიშვილს და კერიუ- ლი—კაპაძის		Ставский-ს		Hüniguer-ის	
		დაღმითი რეაქციის %	სული	დაღმითი რეაქციის %	სული	დაღმითი რეაქციის %	სული
5,8	14	55,3	—	—	63	51	
15,8	46	40,9	14	21,4	46	61	
11,5	59	37,5	19	42,1	30	73	
21,5	67	59,4	24	41,6	35	71	
23,7	76	63,2	27	48,1	26	85	
27,9	57	48,6	32	46,8	29	93	
28,8	71	60,7	36	47,2	19	95	
29,1	65	49,3	14	71,4	17	94	
29,9	38	69,8	16	45	17	94	
43,2	25	61,8	15	66,6	—	—	
23,7	518	54	197	47,8	282	79,6	




ლი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. თორმეტი წლის შემდეგ, სახელმობრ, 13 და 14 წლის ქალები დადებითი რეაქციის უფრო მეტი რიცხვს იძლევიან, ვიღრე ამავე წლოვანების ვაჟები. იქნებ ეს გარემოება ადასტურებდეს Kirchner-ის სტატისტიკურ ცნობებს, ვითომ 15 წლიდე ქალები ტუბერკულოზისაგან უფრო მეტი სიკვდილიანობას იძლეოდენ, ვიღრე ვაჟები.

როგორც ცხრილიდან სჩანს 15 წლიდან ვაჟები დადებითი რეაქციის მხრივ (იხ. ცხრილი 2) უკვე მუდამ სჭარბობენ ქალებს. ეს ჩვენი ციფრები თითქმის ეთანხმება ავტორების სტატისტიკურ ცნობებს, რომ 20 წლიდან, ტუბერკულოზისაგან უფრო მეტი ვაჟი კვდება, ვიღრე ქალი.

რაც შეეხება ჩვენი მასალის განაწილებას წლოვანობის მიხედვით, 6 წლიანები დადებითი Pirquet-ს იძლევიან ორთა-შუა რიცხვით 5,8%-ს. შემდეგ წლიდან, დადებითი რეაქციის % ყოველ წელს პროგრესიულად იზრდება და 20 წლის შემდეგ იგი 92%-მდე აღწევს (გამონაკლის შეადგენენ 8 წლიანები).


## დიაგრამა I.



ეს უფრო ნათლად სჩანს დართულ დიაგრამაზე. დადებითი რეაქციის ამნაირ თანდათანობითი ზრდას Hamburger-ი დიდ მნიშვნელობას აქციონირებს; მისი აზრით იგი მოწმობს ციფრების სისწორეს. ჩვენი ციფრების სისწორეს, გარდა ამისა უზრუნველყოფს კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენ ერთფეროვან მასალასთან გვქონდა საქმე, ბინის, საზრდოობის და საზოგადოებრივი ციფრების პირობების მხრივ, რაიც არ ითქმის ქალაქში წარმოებულ დაკვირვებების შესახებ, სადაც ერთფეროვანი მასალის შერჩევა ძნელია და ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ავტორების ციფრებს მერყეობა ემჩნევა.

თუ შევაღარებთ ჩვენ ციფრებს ექ. ნანეიშვილის და ქვეზერელი—კოპაძის დაკვირვებას, რომელიც, თუ არ ვცდებით, საქართველოში ერთად-ერთ გამოკვლევას წარმოადგეხს, დიდ განსხვავებას ვხედავთ.

## დიაგნოსტიკა II.



ჩვენს გამოკვლევაში დადგებითი ორაქცია 6 წლიანებ შორის ორთა შუა რიცხვით  $5,8\%$ -ს უდრის. მაშინ როდესაც ზემოხსენებულმა ავტორებმა  $55\%$ -ი მიიღეს. 12 წლიანებში ჩვენ მივიღეთ  $28,8\%$ -ი; მათ  $60,7\%$ . შემდეგ წლებში განსხვავება ჩვენსა და ხელისულ ავტორებმა შორის თანდათან კლებულობს, მაგრამ 15 წლისთვის ისევ თვალსაჩინო რჩება: ჩვენ გვაქვს აღნიშნული  $43,2\%$ -ი, მათ კი  $61\%$ -ი

რასაკვირველია, ეს ადვილი ასახსნელია, რაღაც ისეთ დიდ ქალაქში, როგორიცაა ტფილისი, ტუბერკულოზურ ინფექციის შეძენა უფრო ადვილია, ვიდრე იმ სოფლებში, სადაც ჩვენ ვაწარმოებდით გამოკვლევას.



თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მოსახლეობის მჭიდროობისა და მისგვალის სიხშირის ცირკულაციის განსხვავებასაც კი, გვიმტკიცებს შემდეგი მაგალითი: სოფელი ჯურყვეთი—ნაწილობრივ აკრავს რეინის გზის ლიანდაგს; მოსახლეობის მჭიდროობა ჩვეულებრივია დასაცლეთ გურიისოფლის; სოფლები დასახლებული არიან ზოგი დაბლობში, ზოგიც—მთა-გორაკიან ადგილებზე. მეორე სო-

ცხრილი 2.

**Pirquet-ს რეაქციის შედეგების განსხვავება სქესის მიხედვით  
13 წლის შემდეგ.**

წლოვანობა	13	14	15	16—20	21
გვერდი . . . . .	26,9%	23,4%	48,5%	72,2%	96,2%
ქალი . . . . .	32%	40,6%	37,5%	68%	87,5%

ცხრილი 3.

**Pirquet-ს დადებითი რეაქციის შედარებითი რაოდენობა სოფ. ჯურყვეთში და  
სუფსაში 8—12 წ. \*)**

წლოვანობა	8	9	10	11	12
ჯურყვეთი . . . .	7,9% (57)	12,7% (38)	11,9% (56)	24,3% (52)	26,8% (67)
სუფსა . . . . .	16,6% (16)	34,3% (32)	41,5% (41)	47,7% (37)	37,1% (37)

ფელი სუფსა. მოსახლეობა უფრო მჭიდროა, ვიდრე პირველში; სოფლები ცხოვრობენ უმთავრესად დაბალ ადგილებში; ერთის მხრივ საკმაოდ ბევრი სავაჭროები რეინის გზის სადგურთან, მეორეს—მხრივ გზატკეცილი, რომელიც აერთებს ამ სოფელს ქ. ფოთთან, მოძრაობა ხშირი, როგორც ბათომიდან ფოთში, აგრეთვე მახლობელ სოფლებიდან იმავე ქალაქებში.

თავი რომ არ მოგაბეჭროთ ციფრებით შევადარებთ მხოლოდ რამდენიმე წლოვანობას. როგორც ამ ცხრილიდან სჩანს (ცხრილი III), ტუბერკულოზური

\* ) ცხრილებში ძირითად ციფრების ქვემოთ ნაწევრებია შემთხვევების რაოდენობა.

ინფექცია სოფელ სუფსაში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ჯურყვეთში, თუმცა მანძილი ამ ორ სოფელს შორის 15 ვერს არ აღემატება და ზერელე შეხედულობით თითქოს განსხვავება დიდი არავერია. იმ დროს, როდესაც ჯურყვეთში 8 წლიანები დადგებითი რეაქციას იძლევიან  $7,9\%$ -ში, — სუფსაში იგივე წლოვანობა იძლევა  $16,6\%$ -ს; 9 წლიანები, — ჯურყვეთში  $—12,7\%$ -ს, სუფსაში  $—34,3\%$ -ს და სხვა.

აღსანიშნავია, რომ განსხვავება უფრო მეტია მცირე წლოვანებს შორის, ხოლო წლოვანობის ზრდის მიხედვით, განსხვავება თანდათან ქრება.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ განსხვავდება ჩვენი გამოკვლევის შედეგი სხვა ავტორების ციფრებისაგან. წინამდებარე მასალის საერთო მიმოხილვა, სხვათა შორის, საშუალებას გვაძლევს, რამდენადმე გამოვარკვიოთ, თუ უმთავრესად როგორ ან რა გზით ვრცელდება ტუბერკულოზური ინფექცია გურიაში.

ჩვენი დაკვირვებით ამ წლამდე ტუბერკულოზური ინფექციით შეპყრობილია ის, ვისაც სახლში აქვს ძლიერი ინფექციის წყარო. შემდეგ ინფექციის სიხშირე თანდათანობით მატულობს წლოვანობასთან ერთად და 20 წლის შემდეგ აღწევს უმაღლეს ციფრს  $—92\%$ -ს.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ გარემოებას და ვფიქრობთ, რომ იგი ფრიად საყრადღებო ფაქტს წარმოადგენს. მართლაც, იგი გვიმტკიცებს, თუ რამდენად ხშირია ტუბერკულოზური ინფექცია დასავლეთ გურიაში, სადაც ჩვენ ვაწარმოებდით დაკვირვებას. მისი სიხშირე ისეთივეა, რაც დიდ ქალაქებში. ტუბერკულოზურ ინფექციის სიხშირე სწორედ მოზრდილებ შორის გვაფიქრებინებს, რომ ამის მიხეზი უნდა იყოს მოზრდილების ხშირი მიმოსვლა და ურთიერთ ხშირი შეხედრა.

სხვათა შორის ჩვენ შევეცადეთ ჩვენ მასალაზე გამოვერკვია კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირველად Behring-მა წამოაყენა, ხოლო შემდეგ Remer-მა, მეჩნიკოვ-მა, დეუსკე-მ და რომელიც ჯერ კიდევ საკამათოდ ითვლება. საკითხი შეეხება იმას თუ ბავშობაში შეძნილ ტუბერკულოზურ ინფექციას რა გავლენა აქვს მოზრდილობის დროს ლია tbc-ზით დაავადების მხრივ.

Behring-ის აზრით ადრეული ტუბერკულოზური ინფექცია ქმნის მიღრეკილებას ამ ავადმყოფობისადმი.

Pollak-ი, Ort-ი და De la Camp-ი ამბობენ, რომ ეგრედშოდებული „Habitus phthisicus“ შედეგია ბავშობაში შეძნილ ტუბერკულოზურ ინფექციისა.

მეორეს მხრით, მეჩნიკოვ-ი, Remer-ი და დეუსკე ფიქრობენ, რომ ბავშობაში შეძნილი ინფექცია, პირიქით, იმუნიტეტს იძლევა ამ სნეულებისადმი. მართლადია, იმუნიტეტი არ არის აბსოლუტური, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, იგი მაინც იცავს ორგანიზმს მძიმე დაავადებისაგან.

ჩვენ შევეცადეთ, ნაწილობრივ მაინც, გავვეშუქებინა ეს საკითხი ჩვენი მასალის მიხედვით. ჩვენ ვუსინჯავდით სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს სიმაღლეს, გულ-მკერდის გარშემოწირულობას და, სადაც კი შესაძლებელი იყო, წონასაც.

ამგვარი გამოკვლევა ჩვენ ვაწარმოეთ სულ 1748 მოსწავლეზე 6 წლიდან — 17 წლამდე.



ფიზიკური აგებულობის შედარება Pirquet-ს რეაქციის დაღებითს და უარყო-  
ფითს შემთხვევებში.

## ს ი მ ა ღ ლ ე.

წლოვანება	ქ ა ღ ი	ვ ა ღ ი	კ ა ღ ი	კ ა ღ ი	კ ა ღ ი	კ ა ღ ი
6 წლის	110,8 (7)	113,0 (1)	112,7 (9)	+	111,7 (16)	113,0 (1)
7 "	115,4 (31)	114,2 (4)	117,0 (36)	+	116,2 (67)	115,4 (12)
8 "	121,2 (43)	121,8 (6)	120,7 (65)	+	120,9 (108)	122,4 (13)
9 "	125,3 (68)	127,1 (8)	123,3 (84)	+	124,3 (152)	125,6 (38)
10 "	129,6 (71)	129,4 (26)	129,3 (112)	+	129,4 (183)	128,5 (57)
11 "	135,5 (74)	134,8 (26)	133,8 (92)	+	134,5 (166)	134,0 (69)
12 "	139,5 (70)	142,7 (27)	137,5 (124)	+	138,5 (194)	139,9 (83)
13 "	145,4 (54)	148,1 (27)	144,2 (71)	+	144,8 (125)	145,1 (54)
14 "	151,7 (31)	154,1 (24)	152,0 (74)	149,7 (24)	151,8 (105)	151,9 (48)
15 "	151,7 (20)	154,0 (10)	153,3 (16)	154,7 (18)	152,5 (36)	154,3 (28)
16 "	154,6 (8)	153,8 (10)	159,5 (6)	161,4 (13)	157,0 (14)	157,6 (23)

ფიზიკური აგებულობის შედარება Pirquet-ს რეაქციის დადებითს და  
 უარყოფითს შემთხვევებში.

გ უ ლ - მ კ ე რ დ ი

წლოვანება	ქ უ ლ ი	კ უ ლ ი		
6 წლის	54,6 6	54,5 1	56,5 9	+
7 "	56,5 29	57,2 4	58,3 40	59,9 8
8 "	58,3 41	58,8 6	60,4 68	60,2 7
9 "	60,1 63	60,5 9	61,6 86	61,4 25
10 "	61,7 70	61,5 25	62,5 113	62,0 30
11 "	64,0 79	63,8 28	65,0 90	64,9 40
12 "	66,4 62	68,0 25	66,6 124	66,2 55
13 "	70,6 51	71,3 27	69,6 70	68,2 27
14 "	" "	" "	72,6 75	72,8 25
15 "	" "	" "	74,7 17	76,4 18
16 "	" "	" "	79,2 5	79,3 12

ՑՈՂՈՆԵՐԻ ԱԳԵԲՄԱՆ ԸՆ Դ. ԿՈՅՈԱՄՅՈԼՈ  
Պարզություն և Ապահովություն կազմակերպություն և  
Ապահովություն կազմակերպություն և

Պ Ա Հ Ա

ՎԼՈՎԱՆԵՐԸ	Ժ Ա Ծ Ո	Ց Ա Ծ Ո		
6 Վլուս	20,275 6	18,20 1	21,25 6	+
7 "	20,960 16	21,300 2	22,270 24	22,230 5
8 "	23,45 25	24,400 5	23,420 48	23,800 6
9 "	26,20 46	26,925 6	25,900 64	25,545 18
10 "	27,300 46	28,145 16	28,20 79	26,30 21
11 "	31,00 59	30,860 14	30,550 66	30,855 26
12 "	34,225 48	36,280 20	32,975 94	32,515 44
13 "	39,575 46	41,300 24	37,630 63	36,500 20
14 "	44,600 29	48,430 20	42,700 66	41,400 20
15 "	50,380 18	49,550 10	46,380 13	48,480 13
16 "	54,360 7	49,960 9	51,50 6	54,400 7

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები დართულ სამ (ცხრილი 4, 5, 6) ცხრილშია წარმოდგენილი. ექ იღნიშნულია გულმკერდის გარშემოწერილობა, სიმაღლე და წონა ერთის მხრით იმ მოსწავლეთა, რომლებმაც Pirquet-ს რეაქცია მოგვცეს დადგებით, მეორეს მხრით მათი, ვისაც რეაქცია უარყოფითი აღმოაჩნდა. ცხრილებიდან სჩანს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც იძლეოდენ დადგებით Pirquet-ს და არ ჰქონდათ რამე კლინიკური ნიშნები დაავადებისა, ფიზიკური აგებულობის მხრივ, არაფრით არ ჩამორჩებოდენ მათ, ვისაც ეს რეაქცია უარყოფითი ჰქონდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეულ 1960 მოსწავლეს შორის ფილტვის ღია ტუბერკულოზით დაავადებული აღმოაჩნდა მხოლოდ 3-ი., რაც შეადგენს  $0,15\%$ -ს. ამ რიცხვს საშუალო ადგილი უჭირავს სხვა ავტორების ციფრებთან შედარებით, სახელდობრ: Grancher-ის, აპლიკ-ის და Dock-Düsseldorf-ის, რომლების დაკვირვებით, ღია ტუბერკულოზის სიხშირე სკოლის ასაკში  $0,1\%—1,03\%$ -მდე ირყევა.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ თერმეტი სკოლის პედაგოგიურ პერსონალს, რიცხვით 63-ს, არც ერთს არ ჰქონდა ღია აქტიური ტუბერკულოზი. სამაგიეროთ, ორს მათგანს, ფილტვებში აღმოაჩნდა ინტერსტიციალური პროცესი, ხოლო წარსულში ორთავეს ნახველში Koch-ის ჩსირები აღმოჩენიათ.

ეს შემთხვევები გვიმტკიცებს, რომ გურიის სკოლებშიაც არსებობს წყარო ტუბერკულოზური ინფექციისა, როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მხრივ.

1857 სულზე მკვეთრად გამოხატული ლიმფადენიტი აღმოაჩნდა მხოლოდ 21-ს, რაც შეადგენს  $1\%$ -ს.

რაღანაც ყველა ამ შემთხვევაში Pirquet-ს რეაქცია დადგებითი იყო, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ტუბერკულოზურ ლიმფადენიტებთან გვქონდა საქმე. ყოველსავე ზემონათქვამიდან ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1) ჩვენ მიერ გამოკვლეულ გურიის სოფლებში ტუბერკულოზური ინფექცია ბავშვთა შორის ბევრად ნაკლებია, ვიდრე ქალაქში.

ტუბერკულოზური index-ი ჩვენი მასალის მიხედვით  $6—15$  წლამდე უდრის— $0,34\%$ -ს, ექ. ნანეიშვილის და კვეზერელი-კობაძის, რომელიც ტფილისის ბავშვებს შეეხება— $0,48\%$ -ს.

2) წლოვანობის ზრდის მიხედვით ეს განსხვავება თანდათან კლებულობს და 20 წლის შემდეგ ტუბერკულოზური index-ი ჩვენ მიერ გამოკვლეულ სოფლებში თითქმის უთანასწორდება ქალაქის index-ს (სახელდობრ 20 წლის შემდეგ იგი უდრის  $0,92\%$ -ს).

3) 15 წლის შემდეგ, ვაჟები უფრო მეტ  $\%$ -ს იძლევიან ტუბერკულოზურ ინფექციისა, ვიდრე ქალები.

4) ჩვენი მასალის მიხედვით, ის ახალგაზრდები, რომლებიც იძლევიან დადგებითი Pirquet-ს რეაქციას და სხვა კლინიკური ნიშნები დაავადების არ აქვთ, სამაღლით, გულმკერდის გარშემოწერილობით და წონით არ ჩამორჩებიან მათ, ვისაც ეს რეაქცია უარყოფითი აქვს.

5) სანამ, ტუბერკულოზის შინააღმდეგ, ფართო სოციალურ-ჰიგიენური ზომების გატარება შესაძლებელი გახდება, სასურველად ვთვლით შემდეგს: ა) ყოველწლიურად მაინც უნდა გასინჯულ იქმნან ყველა სკოლის მოსწავლები და მასწავლებლები, ხოლო ის პირნი, რომლებსაც ლია ტუბერკულოზი აღმოაჩნდებათ, უნდა განცალკევებულ იქმნან.

ბ) საჭიროა გაყრცელება ფართოთ სოფლებში, ელემენტალური ცნობების ტუბერკულოზის შესახებ და უმარტივესი ზომების, რომლითაც შეიძლება თავის დაცვა ამ საშინელი სენისგან.

გ) საექიმო პუნქტების გამგეებს დაევალოს, რამდენადაც შესაძლებელია, თვალყური ადევნონ და ალრიცხვაზე იქონიონ ლია ტუბერკულოზით დაავადებულნი.

ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი პირობების გამო (მოსახლეობის ერთი მეორეზე დაშორება, შედარებით სხვა კუთხეებთან ხალხის მაღალი კულტურული დონე და სხვა) ასეთი პალიატიური ზომების მიღებითაც შესაძლებელი იქნება ტუბერკულოზის საგრძნობლად შემცირება გურიაში.

დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად ვთვლით ულრემსი მაღლობა ვუძღვნათ დიდად პატივცემულ პროფ. მ. წინამდებრიშვილს იმ დაუფასებელი ხელმძღვანელობისათვის, რომელიც მან გასწია ამ შრომის შესრულების დროს.

### ლიტერატურა:

(მოგვყავს უმთავრესი წყაროები).

1. პ. ნანეიშვილი და ევ. ქვეზერელი-კოპაძისა. ბავშვის ასაქში ტუბერკულოზის სიხშირის საკითხებსთვის. თანამედროვე მედიცინა. № 6. 1924 წ.
2. ექიმი ი. აბაკელია. ტუბერკულოზი. 1921 წ.
3. П. С. Медовиков. Туберкулез в детском возрасте. 1916 г.
4. А. Шлоссман. Туберкулез у детей.
5. Проф. Ф. Клемперер. Туберкулез легких его патогенез, диагностика и лечение. 1921 г.
6. Д. Л. Меерсон. Реакция Pirquet. 1921 г.
7. Д-р. мед. Г. Д. Белоновский. Иммунитет при туберкулезе. 1922 г.
8. Prof. Dr. Деуске. Практическое руководство по туберкулезу 1923 г.
9. Проф. А. Бакмайстер. Лечение туберкулеза легких и плевры 1925 г.
10. Д-р. А. Соколовский. Болезни органов дыхания. 1906 г.
11. Вопросы туберкулеза. т. 1. Май, июнь август 1923 г.
12. Д-р Франц Гамбургер. Туберкулез у детей. 1923 г.
13. Журнал детских болезней. № 1. 1925 г.
14. Проф. А. Бакмайстер. Болезни легких 1924 г.

## გ. მ. უეგელაია.

ორდინატორი.

### წარმატებით გავალ სიდაგბლავის თერაპია.

(ს. ჯ. კ. ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტიდან. დირექტორი—პროფ.  
მ. ასათიანი).

ამ ბოლო ხანებში სპეციალურ და არა სპეციალურ სამკურნალო წრეებში, სრულიად სამართლიანათ, მეტად დიდ კურალებას იქცევს Paral. progressiva'ს თერაპიის საკითხი.

ეს პრობლემა არ არის ახალი; მას დიდი ისტორია აქვს, დახარჯულია აუ-არებელი დრო და შრომა, მაგრამ დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს წარმატებით მავალ სიდამბლავის საჭინააღმდეგო უტყუარი საშუალება; მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ძალუს წარმატებით ებრძოლოს ამ საშინელ სნეულებას, რომელიც აღამიანს ღუბავს სწორეთ იმ ჰასაკში, როდესაც მისი ძალონე და ინტელექტუალური მუშაობის შესაძლებლობა სრულ განვითარებას აღწევს.

Paral. progressiv'-ის ისტორიის შესწავლა (Monkemöller) გვაძლევს ჩვენ საბუთს ვითაქროთ, რომ ეს სნეულება შემჩნეულია ევროპაში უკვე მე-XVII-ტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მხოლოდ აღმერილია პირველად, როგორც სრულიად თავისებური ავადმყოფობა Bayle'ს მიერ 1822 წელში. 1826 წელს Cal-mail'მა გამოაქვეყნა ოვისი შესანიშნავი მონოგრაფის შემდეგი სახელწოდებით: „Paralysis générale desaliènes,” სადაც ის დაწვრილებით წარმოგვიდგნს ამ ავადმყოფობას კლინიკურად და პატოლოგი-ანატომიურად; მაგრამ წარმატებით მავალ სიდამბლავის გამოყოფა, როგორც დამოუკიდებელ ნიზოლოგიური გრიფულისა, დამახასიათებელ კლინიკურ და ჰისტო-პატოლოგიურ სურათებით (Mendel, Krafft-Ebing, Mickle, Alzheimer, Nissl) და ერთოლოგიურათ (Krafft-Ebing, Fournier, Noguchi) სულ ბოლო ხნის საქმეა.

ამ უამათ ჩვენთვის სრულიად აშერაა, რომ Par. progressiva'-ს წარმოშობის ერთად ერთ მიზეზს ათაშანვი წარმოადგენს; უათაშანვოთ P. P. არ არსებობს. ეს სრულიად უდავო დებულება, რომელიც ეხლა აქვიმათ უნდა ჩაითვალოს, დამტკიცდა მხოლოდ 1913 წელში, Noguchi'-ის შრომით. Noguchi-იმ 200-დან 48 შემთხვევაში, წარმატებით მავალ სიდამბლავით დაავადებულთა ტეინში იპოვა spirochaeta pallida, ლოკალიზაციით ტვინის პარენქიმის სიღრმეში, რომ ნავთიერებაში, იშვიათად განგლიოზურ უჯრედებში, სისხლ ძარღვთა-მილების მოშორებით. Forster'-ის Tomaszewski'-ის, Marie'-ის Levanditi'-ის, Ban kowski'-ის, Jhanel'-ის, Пятницкий'-ის გამოკვლეულებმა სავსებით დაადასტურეს Noguchi'-ის აღმოჩნდა. Jhanel'ი მის მიერ დამუშავებულ პრეპარატებით ამტკი-



ცებს, რომ სპირონეტები მდებარეობენ არა მარტო ტვინის პარენქიმაში სისხლის ძალებთა მოშორებით, არამედ მათი ნახვა შესაძლებელია სისხლის მიღებაში, მიღების კედლებში და კედლების ახლო; თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სპირონეტები შეიჭრებიან აგრეთვე განგლიოზურ უჯრედებში, ნათხებში და ქერქევეშა კვანძებში; მათი გავრცელება ქერქში უმეტესად დაიფუზურია, მაგრამ აპოპლეტიფორმულ და ეპილეპტიფორმულ მოვლების შემდეგ გადაცვლილ ავადმყოფთა ტვინში სპირონეტების გავრცელება უფრო ჯგუფობრივია.

1913 წელში Levanditi'იმ და Danilescu'მ Ulenhuth'ის და Mulzer'ის წესით 15 წლის წინედ ათაშანვით დაავადებულ პარალიზიანის სისხლის ინკულაციით ბაჭის სათესლე პარქში და სათესლე ჯირკვლებში გამოუწვიეს მას ამ ორგანოებზე სპეციფიური დაშალულება, სადაც ულტრა-მიკროსკოპიულათ იყო ნახული მიწრავი სპირონეტები.

1920 წელში Jhonei'მა იპოვა სპირონეტები პარალიზიანთა აორტაში. Tomaserewski'იმ ცერებრო-სპინალური პუნქტატის გადანერგვით ცხოველებზე მიიღო მქრთალი სპირიქტები.

ამავე შედეგებს იძლევიან პარალიზიანთა ციტო და სეროლოგიური გამოკვლევებიც, რომლების რეზულტატი სრულიად ემსგავსება იმას, რასაც ჩენ ვლებულობთ საერთოდ ათაშანვის დროს: უჯრედთა რიცხვის მომატება ცერებრო-სპინალურ სითხეში „პლოუციტოზი“, პლაზმატიურ უჯრედების წარმოშობა, დადებითი Wassermann'ი Liquor'ში და სისხლში თითქმის 99,5% (ორივე შემთხვევაში).

მოყვანილი ცნობები ნათლათ გვიჩვენებენ იმ აზრის შეცდომას, რომ P. P. ვითომდაც არის ავადმყოფობა განვითარებული „ათაშანვის ნიადაგზე, ლუესის შემდგომ განვითარებული რეზიდუალური მდგომარეობა, Fournier'ის Para და Möbius'ის Metha—ათაშანვი.

Nissl'ის აზრით მოყვანილი სახელშოდებების ხმარება ლიტერატურაში, შესაძლებელია მხოლოდ, როგორც ნომენკლატურული თერმინებისა. პროფ. Osi-pov'ი წარმატებით მავილ სიდაბლავეს ათავსებს, ეგრეთ წოდებული, „დაგვიანებულ სიფილიტიური ფსიქოზების“ ჯგუფში.

მაშასადამე Paral. progressiva'ს წარმოშობის ძირითად მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ „ათაშანვი“; ალკოგოლიზმს, ტრამფას, სქესობრივ თავაშვებულებას და სხვ., რასაც წინათ იგრეთვე სთვლიდნენ ამ სნეულების გამომწვევ მიზეზად ამ უამად უნდა ვუკეროთ, როგორც ხელის შემწყობ მომენტებს.

P. P. ეთოლიგიის და პატოგენების შესწავლას, რომლის შესახებ მექნება შესაძლებლობა შემდეგში მოგახსენოთ, წინუსწრებდა ამ ავადმყოფობის წამლობა. არსებობდა სნეულება და მეურნალი შეძლების და გვარად ებრძოდენ მას. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი Spiroch. palid. და Paral. progressiva-თა შორის ცნობილი არ იყო, მაგრამ ფსიქიატრებმა მაინც მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ამგვარ ავადმყოფთა ანამნეზში ხშირად ათაშანვი აღინიშნებოდა: ამის და მიხედვით პარალიზიანებზე ტარდებოდა სინდიუმით თერაპია, მაგრამ შენიშვნეს, რომ ასეთი წამლობა ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებას იწვევდა და ამიტომ ამ მეთოდს მაღალ თავი დაანებეს.

Ziehen'ის, Wagner'ის და Osipov'ის აზრით, პროცესის გენერალიზაციის შემდეგ, სინდიიკით წამლობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რაღაც არ არის არავითარი ძმედი, რომ ამ საშუალებით შესაძლებელია შეჩერებულ იქნას ტვინის სპეციფიური უჯრედების დეგენერაციის და გლიოზური ქსოვილის ზრდის პროცესი. მაგრამ მაინც, როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე ავადმყოფობის დასაწყისთან, სადაც სინდიიკის ხმარებისათვის წინააღმდეგ ჩვენებანი—ავადმყოფის მძლავრი დასუსტება, მხედველობის ნერვში ატროფიული მოვლენები, და სხვა—არ ასებობს, მაშინ სინდიის აქვს ორბრივი მნიშვნელობა: I. მას შეუძლია განათვავისუთლოს ორგანიზმი იმ დაშლის პროდუქტებიდან, რომელიც ჩნდება ორგანიზმში ათაშანგის არსებობის დროს და II. მას შეუძლია დიდი დახმარება გავითავის დიფერენციალური დიაგნოზის გატარების საქმეში P. P.-ს და Lues cerebri-ს შორის.

ბევრი ავტორები გვიტორები გვირჩევენ წარმატებით მავალ სიდამბლავის დროს იმდის ხმარებას, იმდინარი კალის, ან სხვა შენაერთების სახით, მაგრამ ამ წამლით მცურნალობას რაიმე ღირსებანიშნავი ეფაქტი არას დროს არ მიუცია. 1920 წელში უნგრეთის ექიმმა Bencke'მ შემოილო ახალი იოდის პრეპარატი „Mirion“-ი, რომელიც წარმოადგენს: „გერგასმეტილ-ტეტრამინ არ იოდოვან უელატინას.“ ამ პრეპარატში Bencke'ს მტკიცებით იოდის მოლეკულა შედის ფიზიკური შეერთებით, და ამიტომ იოდი მოქმედობს ორგანიზმში მთელი თავისი რაოდენობით. პარალიზიანებზე გატარებულმა მარტო Mirion'ით წამლობამ, განსაკუთრებული შედეგები ვერ მოვცა. კომპინაციური Salvarsan—Mirion'ის თერაპიამ ზოგ-ერთ შემთხვევაში კარგი რემისიებს მიაღწია.

Ehrlich'ის მიერ, არსენობენზოლის პრეპარატების შემოღებამ, მოახდინა ერთგვარი გარდატეხა წარმატებით მავალ სიდამბლავის თერაპიის საკითხში. პირველად Alt'მა სცადა პარალიზიანებზე სალვარსანოთერაპია და მივიდა იმ დასკნამდე, რომ „სანამ მეხი არ გავარდნილა“ შესაძლებელია კარგი შედეგების მიღება. Raecke'მა, Sehreioer'მა, Weichbrodt'მა Meyer'მა, Plaut'მა, Nonne'მა და სხვებმა დიდის ენერგიით და მაქსიმალურ დოზებით—მაგალითად Weichbrodt'ს ერთი შესხმათ შეყვადა ვენაში Salvarsannatrium'ის 40—გაატარეს სალვარსანით თერაპია, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა.

ზოგიერთი შეცნიერები უფრო მეტ იმედებს ამყარებდენ Kolle'ს პრეპარატებზე. Silber—Salvarsan'ზე და Sulfoxilat—Salvarsan'ზე. მაგალითად Sioili ამბობს: „Silber—Salvar'ი და Sulfoxilaf'ი მათი ხანგრძლივი და ენერგიული ხმარების პირობებში, პარალიზიანთა შორის, გამოკვეთების ისეთ პროპორციას გვაძლევენ, რომლის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ უბრალო შემთხვევით.“ იმავე აზრის გამოსთვევას Leredde, რომელმაც 1921 წელში პარიზის Societé de medicin'ის ერთ-ერთ ყრილობაზე განაცხადა, რომ სპეციფიური თერაპიის უშედეგობა, აიხსნება მხოლოდ ტეხნიკის უსაქმიარისობით.

ჯერ კიდევ Ehrlich'ი ფიქრობდა, რომ სალვარსანის არა საკმარისი მოქმედება წარმატებით მავალ სიდამბლავის დროს, აიხსნება ტვინის პარენქიმაზი Spirochet'ების ყოფნით, სადაც მათ ნაკლებად წვდება სისხლის ნაკადი. Weichbrodt'ის ცდებმა თაგვებზე გვიჩვენა, რომ ვენაში გაკეთებული სალვარსა-



ნი ვერ აღწევს ტვინის ქსოვილს; მეორეს მხრივ Sicard'მა და Bloch'მა უკავშირდებია. ში იპოვეს დარიშხანა, სისხლში 0,5 Salvarsan-ის შეშხაპუნების შემდგომ. საერთო სპეციფიურ თერაპიის უშედეგობის გამო ზოგიერთ ექიმებს დაებადათ აზრი და სურვილი რომ წამალი შეეყვანათ სუბდურალურ სივრცეში, ხერხემლის პუნქციის საშუალებით; ასეთი მოკლე გზით, იმათი აზრით, წამალს უფრო ადვილად შეეძლო სპირონეტებზე ემოქმედა.

Marinesco'მა და Wechselmann'მა პირველად შეუშხაპუნეს ტაბეტიანებს და პარალიზიანებს ინტრალუმბარულად Salvarsan'ი 1,5—10,5 მილლიგრამი, 1,5 პრომილურ ხსნარში. გამოკვეთება ვერ მიიღეს—თვით მეთოდი კი სახიფათოდ ჩასთვალებს. Switt'მა და Ellis'მა მოგვაწოდენ სალვარსანოვანი შრატის ხერხემლის არხში შეეყვანის წესი.

ეს მეთოდი დამყარებულია Gonder'ის ცდებზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: Gonder'მა ერლიის ინსტიტუტიდან აღმოაჩინა: თუ რომ თაგვს შეუშხაპუნებთ recurrens'ის სპირონეტებს, წინეთ Salvarsan'ით ნაწამლ თაგვის შრატიან ერთად, მას არ გამოაჩნდება ავადმყოფობის ნიშნები. შემდეგ: ასეთი შრატი ჰეურნავედა აგრეთვე Nagana ტრეპანაზომებით დაავადებულ თაგვებს. Stübner'მა ექსპრომენტალურად დაამტკიცა, რომ შრატის მოქმედება აიხსნება, მასში Salvarsan'ის ნაშთების არსებობით და არა რაიმე ბიოლოგიური ანტისეულების წარმოშობით.

Switt და Ellis'ის მეთოდის ტეხნიკა შემდეგში მდგომარეობს: ავადმყოფს შეუყვანენ ინტრავენოზურათ Salvarsan'ს, 1 საათის შემდეგ აიღებენ ამ ავადმყოფის სისხლს 40 ccm.; შედედებისას მას ცენტროფუჯით დაამუშავებენ, მეორე დღეს შრატის 12 ccm. შეურევენ ფიზიოლოგიური ხსნარის 10 ccm. სითხეს ნახევარ საათის განმავლობაში სდგავენ 56° სითბოში. ავადმყოფს უკეთებენ პუნქციას და გამოუშობენ ცერებროსპინალურ სითხის 30 ccm., რის ნაცვლად თანდათანობით და ფრთხილად შეტყავთ ზემოალწერილი წესით განზადებული შრატი.

მეორე კიდევ გავრცელებული ინტრალუმბარული თერაპიის შეთოდი Gen-nerich'ისა. ამ მეთოდს Schubert'ის მოდიფიკაციით ხმარობენ.

პუნქცია: პირველ სითხის 3 ccm. აგროვებენ Salvarsan'ის გასახსნელად მომდევნო 7,5 ინახავენ გამოსაკვლევათ. შემდეგ ტროკარს უკეთებენ. რეზინის მილს, რომლის მეორე ბოლოზე ძაბრია გაეკეთებული. ძაბრს თანდათანობით სწევენ ქვევით, რათა მასში შეგროვდეს ცერებროსპინალური სითხე. ამავე დროს პირველად მიღებული Liquor'ში ხსნან Salvarsan'ის 0,045 (მილლიგრამს), და ამ ხსნარის ერთ ან ორ მეტად კუბიკს (0,1—0,2) ( $1\frac{1}{2}$ —2 მილ.) ძაბრში მყოფ სითხეს, რომელსაც მანიპულაციის ვათავების შემდეგ ძაბრის აწევით უკანვე აპრონებენ ხერხემლის არხში.

1910 წელში ინგლისის დოსტაქარი Horsley და შემდეგ Пусკ'ი რწყავდენ ტვინს სულემით 1 : 1000,0 განზავებულს. Hamond, Ballance და Cambell'ი უშვებდენ სალვარსალოვან შრატს ტვინის პარაუქებში. Knaur'ი და Enderlein'ი უშხაპუნებდენ პარალიზიანებს Salvarsan'ის 0,6 საძილე არტერიაში. უნდა გულახდილათ ითქვას, რომ არც ერთმა ეგრედ წოდებულ „ადგილობრივი თერაპიის“ მეთოდმა საგულისხმო შედეგები არ მოგვცა.

Plaut'მა სამართლიანად სთქვა, რომ აუარებელმა ტერაპევტიული ცდებმა დაამტკიცა მხოლოდ ის, რომ პარალიზიანებს ცველაფერის გადატანა შეუძლიათ.

სპეციფიური მყურნალობის უძლურებამ დაბადა ექიმებში სხვა გზების ძეგნის სურვილი. ხმარებული იყო, Digitalis, nux vomica, ქინაქინი, ოქრო, ვერცხლი, რადიო (Marinesco 1910) ფარისებრივი ჯირკვლის პრეპარატები, ლეციტინი, რემისიაში მყოფ პარალიზიანთა შრატი და ბევრი სხვა.—რა თქმა უნდა უშედეგოთ.

არა სპეციფიურ თერაპიის უძველეს მეთოდათ უნდა ჩაითვალოს გამალიზიანებელ მაღამოების შეზელვა თავის კანში დაჩირქების გამოწვევის მიზნით. ზოგი ერთი ექიმები დიდის მუყაითობით და სიბეჯითიდ ატარებდენ ამ წამლობას მანამ, სანამ ქალას ძვალი ნეკროზს არ განიცდიდა და თავისუფალი dura არ მოსჩანდა 1878 წელში Mayer'მა გამოაცხადა, რომ აღწერილი წესით მან ვითომდაც მოარჩინა 15-დან 8 პარალიზიანი.

არა სპეციფიურ ტერაპევტიულ მეტოდთა შორის უფრო მეტი მეცნიერული საფუძველი აქვს ეგრედწოდებულ „პიროვენულ მეთოდს,“ რომელიც ემპირიულად იყო აღმოჩენილი და მუშავდებოდა 20 წლის გამავლობაში ვენის ფინქიატრების მიერ Wagner von Jaurreg's ხელმძღვანელობით. ამ მეთოდს სარჩულად უდევს დიდი ხნის ცნობილი ფაქტი, რომ მწვავე სიცხოვანი სნეულებები ახდენენ კარგ გავლენას ზოგ ერთ ფსიქოზებშე. Wagner'მა ისარგებლა ან ფაქტით და Alt-tuberculin'ის შეშხაპუნებით უწევდა ავადმყოფებს მაღალ ტეპერატურას. პირველი ცდა ამ მიმართულებით მინ მოახდინა 1900 წელში 69 ავადმყოფზე. 4 წლის შემდგომ ამათგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 8.

მასგე ყავდა სხვა ავადმყოფებიც. ამათი რიცხვიც 69 კაცით განისაზღვრებოდა. ამ ავადმყოფებს არავითარი წამლობა არ ჰქონიათ. ამადგან 4 წლის შემდგომ ცოცხალი დარჩა მხოლოდ 3. ამის გარდა მისი დაკვირვებით ნაწამლა ავადმყოფთა შორის უფრო ბევრს ჰქონდა რემისიები.

შემდეგ Wagner'ი და Pilcz'ი გადავიდენ კომბინაციური ტერაპიაზე სინდიკით და tuberculin'ით. 1913 წელში Pilcz'მა გამოაქვეყნა ამ ტერაპიის შედეგები. მას უწამლია 86 ავადმყოფი. მათ შორის 23 იმდენათ გამოკეთებულა, რომ თავის წინანდელ მუშაობას დაბრუნებიან, 20 შემთხვევაში პროცესი დაგრალა, 34 შემთხვევაში წამლობას ცვლილება არ მოუტანია.

Pilcz'ის სერიიდან 1916 წელში ცოცხალი იყვნენ 21; 7 განაგრძობდენ ჩვეულებრივი პირობებში ცხოვრებას.

1909 წელში Fischer'მა და Donath'მა დაუშეეს პარალიზიანებს Natrium nucleinici 10% ხსნარის 5 ccm. შეშხაპუნება, რით იწვევდენ ცხელებას და ჰიპერლეიკოციტოზს, რომელსაც ავტორების აზრით აქვს უმთავრესი თერაპევტიული მნიშვნელობა. Donath'ის განცხადებით ამ პრეპარატის ხმარებით, თავის შემთხვევების 47,6%-ში მან მიიღო მკაფიო გამოკეთება (ავადმყოფები დაუბრუნდენ წინანდელ ხელობას) 23,8% დაეტყოთ მცირე გამოკეთება, 28,6% დარჩა უცვლელად. Fischer-მა დააღასტურა Donath-ის მიღწევანი. რუსს ავტორები ვალ्कერ'ი და იუდინ'ი ნაკლებ ოპტიმიზმით უცქერიან ამ მე-



თოდს, მაგრამ ზოგ ერთ შემთხვევაში არ უარყოფენ Nat. nucleinici's კარგ მოქმედდებას.

მოხსენებულიდან სჩანს, რომ პიროვენულ მეთოდმა არ გააძრთლა მასზე დამყარებული იმედები, ამიტომ Wagner'მა თავი მიანება ამ მეთოდს და გადავიდა წარმატებით მავალ სიდამბლავის ინფექციური სნეულებებით წამლობაზე. თუმცა, მართალია, Wagner'მა პირველად გაატარა ფართო მაშტაბში ინფექციური თერაპია, მაგრამ ამ საკითხში პრიორიტეტი ეკუთვნის ოდესის ექიმს Rosenthalium'ს, რომელმაც 1875 წელში პარალიზინებზე რეკურენსის გადატანით 22 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში მიიღო თითქმის სრული გამოკეთება. ინფექციური თერაპიისათვის ამ უამაღ ხმარობენ შებრუნებითი ტიფს და Mal. tertian'ს რადგანაც Mal. quartana'ს და tropica'ს გადატანა მეტად სახითათ გამოდგა: quartana შემდგომი წამლობის მხრივ, tropica კი თავისდათავად ავთვისებიანობის გამო ხშირ სიკვდილიანობას იწვევდა. პირველი ცდები მალარიით თერაპიისა Wagner'მა აწარმოვა 1917 წელში. მან შეჰყარა მალარია 9 პარალიზიანს, მათ შორის სრული გამოკეთება დაეტყო მხოლოდ 3. 1921 წელში Wagner'ის მასალიდან სჩანს მალარიით ნაწამლი 120 ავადმყოფიდან, კარგი რემისიები აღნიშნულ იყო 39 შემთხვევაში.

Reese'მ და Peter'იმ პროფ. Nonne'ს კლინიკიდან 75 შემთხვევაში მალარიით წამლობის  $1\frac{1}{2}$ —2 წლის შემდგომ უტყუარი „მორჩენა“ 38 შემთხვევაში მიიღეს—რაც უდრის  $50,6\%$ . Kirschbaum და Rultenbuchi მალარიით წამლობის გატარების შემდგომ, რემისიებს აღნიშნავენ  $60\%$ -ში (?). კენისბერგის ფსიქიატრიული კლინიკა უფრო თავშეკავებულად უცემრის მალარიით თერაპიას. ამ კლინიკაში 50 ავადმყოფიდან სრული გამოკეთება აღნიშნეს მხოლოდ  $20\%$ -ში, ნაწილობრივი  $26\%$ , სულ მცირე  $36\%$ , არავითარი  $18\%$ , სიკვდილი  $18\%$ . Tophaff'ი გვაძლევს თითქმის იგივე ციფრებს, რაც კენისბერგის კლინიკა.

Bönig'ია 30 ავადმყოფს შეყარა spirovcheta recurrens Duttoni. 5 შემთხვევაში მან აღნიშნა სრული რემისია, 4-ში ნაწილობრივი, 3 შეკრა არ მოხდა, მხოლოდ 13 შემთხვევაში მიიღო სიკვდილი.

სიკვდილიანობის მაღალ პროცენტს Bönig'ი ხსნის იმ გარემოებით, რომ ძირითადი სნეულების პროცესი შორის იყო წასული. მხოლოდ 3 შემთხვევაში 13 სიკვდილის მიხეს ხედავს სამკურნალოდ შეკრილ ინფექციაში.

Sagel'ს რეკურენსისათვის აქვს შემდეგი ციფრები: მკაფიო გამოკეთება  $9\%$ , ნაწილობრივი  $4\%$ , არავითარი  $87\%$  პროცენტში. ინფექციური თერაპიის დამთავრების შემდგომ, ბევრი ავტორები გვირჩევთ სპეციფიური თერაპიის ერთი ჟურნის გატარებას. იბადება საკითხი, როგორ და რა გზით მოქმედობს მალარიის და რეკურენსის ინფექცია წარმატებით მავალ სიდამბლავებზე. რომ პიპერიტერმიას ამ შემთხვევაში არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ეს ცხადია იმ გარემოებიდან, რომ მალარიას მოაქვს კარგი შედეგები იმ დროსაც, როდესაც ტემპერატურა არ აღწევს იმ ოდენობას ( $40—41—42^{\circ}$ ), რაც აუცილებელია Weichbrodt'ის და Ihnel'ის აზრით თერაპევტიული ეფექტის მისაღება; ლეიკოციტოზის განსაკუთრებული მნიშვნელობაც უნდა უარყოთ იმ მოსაზრებით, რომ მალარიის დროს ლეიკოციტოზი არ აღინიშნება და კიდევ Natr. nucleinici'ით

თერაპიის მაგალითიდან ჩვენ ვიცით, ამ პრეპარატით გამოწვეულმა საშინელ ლეიკოციტზმა „ჰიპერლეიკოციტოზმა“ P. P. თერაპიაში ბევრი რამ არ შემატა. Ihanel'იც უარყოფს ლეიკოციტოზის მნიშვნელობას მაღარიით ტერაპიაში, რადგანაც მან ნახა პარალიზიანი, გარდაცვლილი ჩირქოვანი მენინგიტის გამო, რომლის ტვინში აღმოაჩინა აუარებელი მოძრავი სპიროხეტები. ამ ფაქტიდან Jhanel'ი დასკვნის: თუ რომ მძლავრმა ჩირქოვანმა პროცესმა, მენინგიტმა, არავითარი დადებითი მოვლენა არ მოახდინა სპიროხეტოზე, მაშ ჩვენ უნდა სრულიათ დავკარგოთ იმედი წარმატებით მავალ სიღამბლავის ჰიპერლეიკოციტოზით წამლობისა. ამ რიგად ჩვენ დაგვრჩენია ვითიჯროთ, რომ მაღარიით წამლობის დროს საქმე გვაქვს გეტეროგენულ ცილას მოქმედებასთან, რომელიც პარაზიტის დაშლის პროცესს წარმოადგენს. მაშასადამ უნდა მივიღოთ, რომ ინფექციური სნეულებების დადებითი მოქმედების მექანიზმი იგივეა, რაც პროტეინოფერაპიის დროს არსებობს.

ჯერ კიდევ Wright'ამდე იყო აღნაშნული, რომ შემთხვევითი მიღებული წითელი ქარი ქარგ გავლენას ახდენდა მჭამელაზე (Lupus), გონორეიაზე, ეპიფიდიმიტზე და სხვა პროცესების მსვლელობაზე და ამით ხელს უწყობდა ავადმყოფობიდან მორჩენას. ეს მოვლენა ექსპერიმენტალურათ შესწავლილი იყო Buchard'ის, Buchner'ის და Pavlovskий'ს მიერ, რომელნიც ხსნიდენ ამ ფაქტს ბაქტერიების ანტაგონიზმით. Kraus'მა 1914 წ. მუცილის ტიფის ვაქცინო-თერაპიით დაამტკიცა ამ აზრის უსაფუძლობა. ვაქცინების წამლობითი თვისებას Kraus'ი ხსნიდა არა ბაქტერიების ურთიერთ შორის დამოკიდებულებით, არამედ გეტორგენულ ცილის მოქმედებით ორგანიზმზე. Lüdke'მ Merck'ის დეიტერო-ალბუმზის შემთხვევით მიიღო კარგი შედეგები მუცილის ტიფის დროს და ამით დაადასტურა Kraus'ის მოსახრება. 1916 წელში Schmidt'მა თეორეტიულად და პრაქტიკულად შეაერთა ამ მიმართულებით შეგროვილი ფაქტები, რითაც შექმნა ერთი სისტემა „პროტეინით თერაპიისა.“ და სამჯერნალო მიზნით რძის ინტრამუსკულარული შეშხაპუნება შემოილო. Weichbrodt'მა ცილის მცირე დოზების შეშხაპუნების შემდგომ საცდელ ცხოველებზე მიიღო: გულის კუნთის და სხვა ორგანოების მუშაობის გაძლიერება, იმატა გამოყოფა რძის, ლიმფის, ნაღველის. Weichbrodt'ი ხსნის ამ მოვლენებს „პროტოპლაზმის აქტივიზაციით“. Bier'ის აზრით პროტეინო თერაპიის მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ცილა ალიზიანებს ორგანიზმის სუსყველა ქსოვილებს განსაკუთრებით კი ანთებით შეკყრობილებს (Reiz-therapie). Rudolf Schmidt'ის განმარტებით; „პარენტერალური შეფარვისება პროტეინული სხეულებისა იწვევს იგივე ბიოლოგიურ-ქიმიურ პროცესებს, რომელნიც სარჩულად უდევს სიცხვვან დაავადებას; ეს უკანასკნელი კი ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც მდგომარეობა ბიოლოგიურ-ქიმიურ აქტივობისა.“

სიცე მუდამ თანსდევს პროტეინის შეშხაპუნებას. პირველ ექვს-რვა საათში ის მაქსიმუმს აღწევს, შემდეგ თანდათანობით ეცემა. ლეიკოციტარული ფორმულა იცვლება. ჯერ ვითარდება ლეიკოპენია, მცირდება რაოდენობა ეოზინოფულებისა და მონონუკლეარებისა, რომელიც მაღლ ჰიმერლეიკოციტოზით იცვლება. მატულობს: სისხლის შედედების თვისება, ანტისხეულების ციტრი და სისხლის დაქანგებითი თვისება. პარენტერალურ ცილას მოქმედება ორ ფა-



ზოვანია. ეს ორ მომენტიანობა აშეარად გამოიხატება ბუდობრივი რეაქციაში. 1—ფაზა უარყოფითია—მწვავდება ანთება, თავს იჩენს ტკივილები (პროცესის მიხედვით) მატულობს სიცხე. სუბექტიურათ—ცუდი თვითგრძნობა და გუნებგანწყობილება.

II—ფაზა დადებითია—ანთების აბსოლუტური შემცირება, სიცხის დაწევა და სხვა. სუბექტიურად ერთმრია.

პროცესით თერაპია წარმატებით მავალ—სიღამბლავის დროს ტარდება პროფ. იციპოვ'ის კლინიკაში 1922 წლ. და მისი განცხადებით უმეტესს შემთხვევაში რემისიები მიუღიათ. ჩვენ კლინიკაში იყო გატარებული 5 შემთხვევა პროცესით თერაპიისა. ორ შემთხვევაში მივიღეთ მკაფიოდ გამოხატული რემისიები, რომელიც დღემდე გრძელდება. (წამლობა იყო გატარებული 1923 წ.)

P. P. არა სპეციფიური წამლობის მეტოდების გარჩილვამ მივიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სუსველაზედ უფრო ხშირია რემისიები საზოგადოთ ინფექციით მკურნალობის დროს, კერძოთ კი მაღარიით თერაპიისას.

მაგრამ, ერთის მხრივ, რაკი მაღარიის მოქმედება არსებითად ბიოლოგიურათ არის იგივე პროცესით თერაპია და მეორეს მხრივ მაღარიით მკურნალობა მეტად სახითათო მეთოდია და მისი ხმარება, გასაგებ მიზეზების გამო, ზოგიერთ შემთხვევებში მაინც შეუძლებელია, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ პროცესით-თერაპიას.

ეხლა იბადება საკითხი, რატომ არა სპეციფიურ წამლობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოილო წარმატებით მავალ სიღამბლავის თერაპიაში, ვიდრე სპეციფიურმა, მაშინ როგორ აბსოლუტურად, ამ უკანასკნელს უნდა მოეცა უკეთესი შედეგები? რატომ მძლავრმა სპირილოციდულია არსენობენზოლის პრეპარატებმა თერაპევტიული გავლენა არ იქნიეს Par. progressiva'ზე, რომელიც, როგორც უკვე ბევრჯერ იყო თქმული, წარმოადგენს ტვინის სპირონეტოზეს? მაშ უნდა არსებობდეს დაბრკოლებები, რომელნიც წინ ელობებიან სპეციფიურ თერაპიას. მართლადაც ამ საკითხის შესწავლამ აღმოაჩინა ორი დიდი დაბრკოლების არსებობა. მათ შორის პირველი გახლავთ—ცენტრალურ ნერვულ სისტემაში წამლების ცირკულაციური რაოდენობით მიღწევა.

Lomholdt'მა სინდიიკისათვის მოვცა შემდეგი ციფრები: სინდიის რაოდენობა: ტვინში—0,14%, ცენტრალურ-სპინალურ სითხეში—0,18, კუნთებში კი 1,28, ცენტრალურ-სპინალურ სითხეში—0,18%, კუნთებში კი 0,28, ლიიძლში 17%. თორქმელში 4,55%, Stühmer'მა ბაჭიის სისხლში შეყვანილი სალვარსანი ვეღარ იპოვა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში—Neo-Salvar-ჯი ტვინის გარსებში აღმოაჩინა; Riber'მა 24 შემთხვევიდან სალვარსანი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ერთხელაც ვერ ნახა. Ullmann-ი თავისი ცდების მიხედვით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ან ტვინის ქსოვილის და სალვარსანის შორის არ არსებობს არავითარი ტრაპია ან ეს ტრაპია მინიმალურია. საცდელ ცხოველების უსისხლო ტვინში Ars. საქმია ნაშნების არსებობა, ხსენებულმა ავტორმა დაადასტურა, მხოლოდ სალვარსანის ბევრჯერ შეყვანის შემდეგ. ნათქვამიდან სჩანს, თუ რომ ჩვენ გვინდა სალვარსანის პრეპარატებით მივაღწიოთ კარგ შედეგებს, ამისათვის უნდა ვიხელმძღვანელოდ ორი პრინციპით: 1. ვაწარმოვოთ საქმარისად დიდ.

დოზებით ხშირი სალვარსანის შესხმა და 2. ვეცადოთ ტვინში ქრონიკულად მიმღინარე ანთებითი პროცესი აქტიურად ვაქციოდ (ამ მოვლენას თავის და თავად აქვს დიდი შინუნელობა), რომლის დროს ტვინის ქსოვილი უკეთესს გასკულიარიზაციის პირობებში ვარდება. ამ უკანასკნელ მიზანს პროთეინოოფ-რაპით ვაღწევთ.

შეორე არსებულ დაბრკოლების ახსნა, არის თვით წარმატებით მავალ სი-ღამბლავის პატოგენეზის ახსნის ცდა.

1913 წ. Ehrlich-მა გამოაქვეყნა შესანიშნავი შრომა შემდევი სათაურით: „Aus theorie und praxis der chemotherapie“ საიდანაც ნათლად სხანს შემდე-გი: 1. ავადმყოფობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს, შეუძლიათ განიცადონ ცვლილება ავადმყოფის ორგანიზმში; 2—რე მიკროორგანიზმები იცვლებიან, როგორც ქიმიური წამლების ზეგავლენით, ისევ იმ ქიმიური სუბსტანციების მო-ქმედებით, რომელიც მუშავდება თვით ორგანიზმში; 3—მე სხვადასხვა მიკროორგა-ნიზმებს აქვს ცვლილების არა თანაბრივი უნარი, ე. ი. ყოველივე მიკროორგანიზმს შეუძლია მოგვცეს განსაკუთრებული რაოდენობა ბიოლოგიური ვარიაციებისა (Wuchsformen) და 4-ენ Spirochetapallid-ა იძლევა მეტად ბევრ ვარიაციებს.“ Ehlich-ი და Neisser-ი აღნიშნავენ რომ „ძევლი ათაშანებიანი“ ატარებს ჩვეულებ-რივ „უკანასკნელ ვარიაციის“ სპირონეტების მცირე რაოდენობას. დარჩენილი მოვიკანები, არა ვირულენტურ მიკროორგანიზმის ცხოვრებას ატარებს ანტის-ხეულებით შეიარაღებულ ორგანიზმში, მაგრამ თუ Status quo დაირღვა სპირო-ნეტები მაშინვე იჩენენ თავის პატოგენურ თვისებებს. ორგანიზმში სპირონეტე-ბის ცვლილების აღწერა უფრო ადვილია, თუ ჩვენ ვისარგებლებთ Ehlich-ის თერმინოლოგიით—ამბოცეპტორით. ამბოცეპტორით მიკროორგანიზმი ნიადაგი-დან ლებულობს საკვებ მასალას. რაც უფრო მეტი ამბოცეპტორები აქვს მიკ-როორგანიზმს, მით უფრო კარგათ ვითარდება ის სუჟველა საკვებ მასალაზე. Neissér-ის დაკვირვებიდან ჩვენ ვიცით, რომ ვისცერალური ათაშანების დროს პირველად ავადდება ელენთა, ძვლის ტვინი, ლვიძლი და სათესლე ჯირკვლები შემდეგ კი (რაც აუცილებელი არაა) ფილტვები, თირკმლები, თირკმელზედა ჯი-რკვლები, ზურგის და თავის ტვინი. მანასადამე სპირონეტების ამბოცეპტორები საკვებ მასალას პოულობენ ჯერ პირველ ჯგუფში ჩამოთვლილ ორგანოებში და შემდეგ, თუ ორგანიზმა შექმნა ადგილობრივი იმუნიტეტი, ან თერაპიის ზეგავ-ლენით შეუძლებელი დარჩად სპირონეტებს იმ ორგანოებში ყოფა, ამ ბრძოლი-დან გადარჩენილი სპირონეტების ამბოცეპტორები პოულობენ მასალას, მეორე ჯგუფის ჩამოთვლილ ორგანოებში. აღწერილ გზით ვითარდება ცნობილი ათაშან-გი à Virus nerveu. Solomon-მა 1908 წელში ვენის კონგრესზე განაცხადა: „თუმ-ცა იმუნიტეტური პროცესი ათაშანების დროს დამტკიცებული არაა, მაგრამ მიუ-ხედავათ ამისა, კლინიკური დაკვირვებით მაინც შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ზო-გიერთი ორგანოების იმუნიტეტი ფაქტია. და ამიტომ მე ვუსურვებ ყოველ ათა-შანგრანს ინფექციის 2-3 წლის შემდგომ მესამე პერიოდის კანის ათაშანებს, მა-შინ მე დარწმუნებული ვიქენები, რომ ის არ მიიღებს არც ტაბეს და არც საე-რთო პარალიზს“ თუ ჩვენ არ მივიღეთ სპეციფიური ნერვული ვირუსის არსე-ბობა, მაშენ რით ავხსნით ეგრეთ წოდებულ „შეულლეობითი ტაბეს და საე-



რთო პარალიზს.<sup>4</sup> აღწერილია შემთხვევა, სადაც ცოლი და ქმარი იყვნენ უან-ნეულებული საერთო პარალიზით. ერთ ოჯახში ქმარი, ცოლი და ქალიშვილი პარალიზიანები იყვნენ.

Morel-Lavallé და Belieres'მა გვაცნობეს ხუთ მამაკაცზე, რომლებსაც შეეყარა ათაშანგი ერთი და იმავე წყაროდან და რომელთაც შემდეგი P. P. აღმოაჩნდათ. Bauvaist-ი მიერ ნაპოვნია კიდევ ერთი პარალიზიანი, რომელმაც მიიღო ათაშან-გი იმავე ქალიდან. Brosius'მა აღწერა შემთხვევა, სადაც 7-მა მუშამ ათაშანგი შეიძინეს მინების იმ გასაბერ მილის ხმარებით, რომელიც ლუესით დასნეუ-ლებულ მუშას ეკუთნოდა. მათ შორის 12 წლის შემდგომ 5 დაემართა უტყუ-არი ტაბო—პარალიზი, 2 კი მეტად საეჭვო იყვნენ ამ ავადმყოფობის მხრივ. Nonne'ს შემთხვევაში სამი პირი დასნეულდა ათაშანგით ერთდაიმავე ღამეს ერთი და იმავე პირიდან. მათ შორის ერთმა გაათავა ტაბესით, ორმა კი საერთო პარალიზით. Erb'მა აღწერა შემთხვევა, სადაც 5-მა მამაკაცმა მიიღეს ტაბესი და წარმატებით მავალ სიდამბლავე ერთი წყაროდან. პროფ. ასათიანს ყავდა ავადმყოფი ცოლ-ქმარი—ორივე ლუეტიურ ეპილეპსით იყვნენ შეპყრობილი. ამ ფაქტების შემდგომ ფარიკოფა სპიროხეტების à virus nervosus აღვილი საქმე არ არის. ამ გვარი სპიროხეტების ვარიაციის არსებობა, მაინც არ ხსნის, თუ რატომ ამ სპიროხეტებზე სპეციფიური თერაპია არ მოქმედობს. მივმართოდ ფა-ქტებს. მაროკოში, ტრიპოლიში, აბისსინიაში, ტუნისში, ანატოლიაში, ბელგიის კონ-გოში, ინდო-ჩინეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც ჯერ არ არის ეპროპის კულ-ტურის უარყოფითი მხარეები შეჭრილი თვით მოსახლეობაში, ტაბეტიკები და საერთო პარალიზით დასნეულებულნი, Lacapére'ს May'ს Holzinger'ის მტკიცე-ბით, არ არსებობენ. Görtner'ი ატარებს სრულ პარალელიზმს წამლობის უარ-სებობას და საერთო პარალიზის არყოფნის შორის ამ ქვეყნებში. სავებით<sup>\*</sup> და-თანხმება ამ აზრზე ძნელია, ეს საკითხი ამ უამად არც გვაინტერესებს, ჩვენ უვ-რო საყურადღებოთ მიგვაჩნია ის ფაქტები რომ ათაშანგის არა საქმარისი წამ-ლობის დროს, ორგანიზმში ვითარდება სპიროხეტების ის შტამმი, რომელიც იჩენს გამძლეობას წინეთ ხმარებულ პრეპარატების მიმართ. აქედან ცხადია, თუ ჩვენ პარალიზიანს, რომელიც წინეთ, ვთქვათ, იყო ნაწამლი სინდიიკით, კიდევ სინდიკს დაუნიშნავთ, რა თქმა უნდა კარგ შედეგს ვერ მივიღებთ, იგივე ითქვის სხვა პრეპარატების შესახებ.

ამიტომ ყოველ შემთხვევაში თერაპიის დროს უნდა გატარდეს სასტიკი ინდივიდუალიზაცია და არავითარ შაბლონს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დასასრულ ულრჩეს მაღლობას ვუძლვი პროფ. მ. მ. ასათიანს ხელმძღვანე-ლობისათვის ჩემ კლინიკურ მუშაობაში და კერძოთ ამ შრომის დაწერის დროს.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი:

1. ათაშანგის არა საქმარისი და არა რაციონალური წამლობა Perali progressiveას წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზთავანია.

2. ათაშანგის წამლობის დროს კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს არა მარტო სისხლი, არამედ ცერტრო-სპინალური სითხეც.

3. ცერებრო-სპინალური სითხე უნდა გასინჯულ იქნას არა მარტო Wasmann-ის რეაქციაზე, არამედ პლეოციტოზზე და გლობულინის რეაქციებზე, რადგანაც ამ რეაქციებით ცენტრალური ნერვული სისტემის გალიზიანება ზოგი-ერთ შემთხვევებში უფრო აღრე გამომჟღავდება.

4. წარმატებით მავალ სიდამბლავის თერაპიის სიძნელე ორი ფაქტორის შედეგია:

ა. მქრთალი სპიროხეტის დაბუდება თვით ტვინის პარენქიმაში, სასაც ის, თითქმის, მიუვალია ჩვეულებრივ ანტილუეტურ წამლებისათვის.

ბ. წარმატებით მავალ სიდამბლავის გამომწვევი სპიროხეტები წარმოადგენენ სპიროხეტების იმ ვარიაციას, (Wuchsformen) რომელთაც ახასიათებს მიღ-რეკილება ცენტრალურ ნერვულ სისტემისადმი (á Virus nerveu) და შეძენილი აქვთ გამდლობა სპეციფიურ პრეპარატების მიმართ (Festigkeit).

5. Paral. progres. თერაპიაში, თუ ეს მოსახერხებელია, არ უნდა იხმარებოდეს ის პრეპარატები, რომლებითაც ავადმყოფი წამლობდა წინეთ, ვიდრე მას ზემოაღნიშნული სნეულების ნიშნები დაეტყობოდა.

6. Pal. prog. თერაპიისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის აღრე გამოცნობას.

7. წარმატ. მავალ სიდამბლავის მკურნალობის დროს ჩვენ შეგვიძლია ველოცით შედარებით კარგ შედეგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წამლობა არის დაწყებული PP.-ს ნერვასტენიულ ფაზაში და აგრეთვე როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე ექსპანსიურ ფორმასთან, სადაც უფრო ხშირი არის რემისიები.

8. ამ უამათ წარმატებით მავალ. სიდამბლ. წამლობის საუკეთესო მეთოდათ მიგვაჩნია კომბინაციური თერაპია:

სპეციფიური და არა სპეციალური (პროტეინის საშუალებით).

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა .

1. В. П. Осипов. частное учение Одушевных болезнях. Вып. I. 1923 г.
2. Krepelin. Учебник психиатрии том. II 1910 г.
3. Н. И. Бондарев и Е. И. Воробьева Опыт применения протеиновой терапии при душев. болезн. Научная медиц. № 10 1922 г.
4. Розенталь. Протеиновая терапия. Врачеб. обозрение № 10. 1921 г.
5. Гриншtein. Лечение прогрес. паралич. прививками малярии и возврат. тифа Врачеб. дело № 11—13. 1924.
6. Проф. Кричевский и Брусин. О действии сверхтоксических доз сальварсана на устойчивые расы трип. в связи с вопросом о патогенезе сонной болезни и парасифилиса. Профилак. медиц. № 7-8 1923.
7. Rud. Schmidt. Принципиальные точки зрения в вопросе о протеин. терап. Практич. врач. № 4. 1924.

8. Витке. Проблема прогрессив. паралича. Прак. Вр. № 9-10.
  9. Franz jahnel. Studien über progressive Paralyse. Archiv für Psyhiatrie und Nervenkrankheiten, Band 57 1917.
  10. Sioli. Über die Spirochete pallida bei Paralyse ፧፩፭. Band 59 1918.
  11. Scharnke. Für Aetiology der progressiven paralys. ፧፩፭ Band 62 1921.
  12. R. Weichbrodt. Die Therapie der Paralyse ፧፩፭. Band 61. 1919.
-

## 8. ჯ ი ბ უ ტ ი.

კლინიკის ორდინატორი.

### თირგმლების კანცეპტით დაავადება და მისი გაცრცელება საქართველოში. \*)

(სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკიდან.  
გამგე—პროფ. გ. მუხაძე).

ნეფროლიტიაზის საკითხი წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან და საინტერესო საგანს, მით უმეტეს, რომ ეს დაავადება, როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენში, უნდა ჩაითვალოს ძველ დაავადებად; მაგრამ მისი გავრცელების საკითხი ჩვენს ერთი, ჩვენს მიწა-წყალზედ, მისი დაკავშირება სხვა ავადმყოფობასთან ერთად და ჩვენი ხალხის კვებასთან ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია; მის შესახებ დღემდის არაფერი თქმულა.

თუ ერთი წუთით მოვიგონებთ თირკმლებს და მის უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას ორგანიზმისთვის, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება ის დიდი საშიშროება, რომელიც მოელის ადამიანს თირკმლების ყოველგვარ დაავადების დროს და გარეთვე ასეთი მძიმე დაავადების დროს, როგორიც არის ნეფროლიტიაზი. ამიტომ ნეფროლიტიაზის გავრცელების საკითხი, მისი ეთიოლოგია, განსაკუთრებით დაიგნოსტიკა, რომელიც ჩვენში დღემდის სხვა და სხვა მიზეზების გამო ძლიერ მოიკოჭლებდა, ავრეთვე მისი წამლობა—ყოველივე ეს მოითხოვს მომავლის-თვის გულმოღვინე დაკვირვებას, სათანადო შესწავლას და დამუშავებას. თირკმლების კენჭებით დაავადება უფრო გავრცელებულია ზოგიერთი მხარეებში და ადგილებში; მაგ. ინგლისში და შუა რუსეთში—მდინ. ვოლგის ნაპირზე მდებარე ადგილებში, ეს დაავადება უფრო გავრცელებულია, შედარებით სხვა ადგილებთან.

ჩვენში, ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, თირკმლების კენჭებით დაავადება არ არის ხშირი მოვლენა. ამას მოწმობს სახელმწიფო უნივერსიტეტისპიტალური ქირურგიულ კლინიკის მასალები; აგრეთვე ის სტატისტიკური ცნობები, რომელიც შეგროვილ იყო ჩემს მიერ თბილისის ყველა კლინიკების და საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებებიდან.

პროფ. გ. მუხაძის მიერ დაგზავნილ იყო თხოვნა-მოწოდებები საქართველოს ქალაქების და მაზრების საავადმყოფოებში, რომ მოეწოდებიათ ცნობები ამ საკითხის შესახებ. სამწუხაროდ პასუხი მხოლოდ ზოგიერთებიდან მიყიდეთ.

შედეგი ზემოხსენებულ შეგროვალ მასალებისა და ცნობების შემდეგია:

\* ) მოხსენდა საქართველოს ექიმთა მე-III სამეცნიერო კონგრესს 27—V—25 წ.

1. თბილისის ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში ათი წლის განმავლობაში გა-  
ტარებული 9.223 ქირურგიული ავადმყოფი; მათ შორის ნეფროლიტიაზით და-  
ავადებული ყოფილა 21. აქედან 8 შემთხვევა ეხება დროებით ჩამოსულებს უცხო  
მხარეებიდან, მაგ. ოსმალეთიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან და სხვა. მკვიდრ  
ამიერკავკასიის მცხოვრებზედ მოდის 13 შემთხვევა, რაც შეადგენს  $0,14\%$ .

2. ბავშვთა ავადმყოფობის კლინიკა. 1598 ქირურგიულ ავადმყოფზედ არც  
ერთი შემთხვევა ნეფროლიტიაზისა კლინიკურად არ ყოფილა გამოხატული.

3. სახელ. უნივერსიტ. პრობედევტოულ კლინიკაში (1921 წ. 10/V 1925 წ.)  
1355 ავადმყოფზედ მოდის ორი შემთხვევა ნეფროლიტიაზისა, რაც შეადგენს  
დაახლოებით  $0,15\%$ .

4. სახელ. უნივერსიტ. ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში 1500 ავად-  
მყოფზედ მოდის 3 შემთხვევა, რაც უდრის  $0,2\%$ .

5. რკინის გზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში 547 ავად-  
მყოფზედ არც ერთი შემთხვევა არ არის აღნიშნული.

6. სახელ. უნივერსიტ. პათოლოგო-ანატომიურ ინსტიტუტში 224 გაკვე-  
თილ გვამზედ—4 შემთხვევა, რაც უდრის  $1,78\%$ . (ერთ შემთხვევაში აღნიშნულია  
თირქმელის T. B. C. და მასში კენჭი).

7. ქალ. ოზურგეთის საავადმყოფოში (1919 წ. 1924 წ.) 1032 ავადმყოფ-  
ზედ მოდის 3 შემთხვევა ნეფროლიტიაზისა, რაც უდრის  $0,29\%$ .

8. ქალ. ჭიათურის საავადმყოფოში სამი წლის განმავლობაში (1911—1913  
წ.) პროფ. გ. მუხაძის იქ მოღვაწეობის დროს გატარებულა 1783 ავადმყოფი,  
მათ შორის ნეფროლიტიაზით ერთი.

9. ქალ. ბათონიშვილის საავადმყოფოში 1919 წლიდან 1924 წლამდი ნეფროლი-  
ტიაზით დაავადებულს ადგილი არ ქონია.  
(მთავარი ექიმის ცნობა).

10. სახელ. უნივერსიტ. ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში 7.300 გატა-  
რებულ ავადმყოფზედ (1919—1925 წ.) მოდის 23 შემთხვევა ნეფროლიტიაზისა.  
აქედან 3 შემთხვევა ექუთვნის ტომით რუსს, ჩამოსულს რუსეთიდან; მკვიდრ  
მცხოვრებზედ მოდის 20 შემთხვევა;  $0,27\%$ .

11. ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს პროზექტურაში ათი წლის განმავლობაში  
1915—1924 წ. გაკვეთილა 3.212 გვამი. მათ შორის ნეფროლიტიაზით ყოფი-  
ლა 31 შემთხვევა. აქედან აღგილობრივ მცხოვრებლებზედ მოდის 29 შემთხვევა.  
ბავშვი 10 წლამდის ყოფილა 2 შემთხვევაში.

თუ ავიღებთ ერთად მთელ გატარებულ ავადმყოფების და გაკვეთილ გვა-  
მების საერთო ჯამს და მასზედ ნეფროლიტიაზის შემთხვევებს, დაეინახეთ, რომ  
27.767 ავადმყოფზედ მოდის 75 შემთხვევა თირქმლების კენჭებისა, რაც უდრის  
დაახლოვებით  $0,27\%$ .

ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ ნეფროლიტიაზისი არ არის ჩვენში  
ხშირი მოვლენა.

პატივცემული პროფ. გ. მ. მუხაძე საქართველოში თავის მოღვაწეობის  
დროს პირადი დაკვირვებებიდან აღნიშნავს, რომ თირქმლების კენჭებით დაავა-  
დება არ ჩაითვლება ჩვენში გავრცელებულ დაავადებათ.

ამავე აზრის არიან პროფესორები ნ. კახიანი და ალ. მაჭავარიანი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ უკანასკნელ წლებში უროლოგიურ ავადმყოფთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში, რაც ახსნილ უნდა იქმნას უროლოგიურ განყოფილების არსებობით და მისი სათანადო სიმაღლეზედ დაყენებით. ხსენებულ ივადმყოფთა შორის ნეფროლიტიაზს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს; მაგ. 1924 წლიდან 1925 წლის მაისამდი 1508 ივადმყოფზედ მოდის 13 შემთხვევა თირკმლების კენჭებით; წინა წლებში კი იყო თითო-ოროლა შემთხვევებისა. პროცენტებით თუ ავიღებთ, წინა წლებში უდრიდა 0,25%, ბოლო წლებში კი—0,86%. გვაქვს საბუთი ვიფიქროდ, რომ ხსენებულ ივადმყოფთა რიცხვი ჩვენს კლინიკაში მომავალში უფრო გაიზრდება.

ეს დაავადება გვხვდება ყველა ასაში; არის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს ავადმყოფობა ხშირია ბავშობისას და მოხუცებულობისას; მაგრამ მთელი რიცი ავტორებისა ამტკიცებენ პირიქით; მაგ. Küster-ი ამბობს, რომ თირკმლების კენჭებით დაავადება ხშირი მოვლენაა 20-დან 40 წლამდის-ო; Legueu აღნიშნავს სიხშირეს ნეფროლიტიაზისა 40-დან 50 წლამდის.

Федоров-ს უმეტესი თავის შემთხვევებისა მოსდის 30 დან 45 წლამდის; მისი აზრით ეს დაავადება ბავშვობისას და მოხუცებულობისას იშვიათი მოვლენა არის. ჩვენი კლინიკის მასალა წლოვანების მიხედვით შემდევ ნაირად ნაწილდება:

17 წლიდან	20 წლამდის	4 შემთხვევა.
20 "	25 "	6 "
25 "	30 "	3 "
30 "	35 "	3 "
35 "	40 "	4 "
40 "	45 "	1 "
45 "	50 "	2 "

როგორც ზემო მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, უმეტესი შემთხვევებისა მოდის 17 წლიდან 40 წლამდის. ეს მცირე რიცხვოვანი მასალაც, ამ შემთხვევაზი, თითქმის სრულიად ეთანხმება Küster-ის მრავალ რიცხვოვან სტატისტიკურ ცნობას, რომელიც, როგორც ზემოდ ვსთქვი, უმეტეს შემთხვევებისას აღნიშნავს 20-დან 40-წლამდის. ჩვენს მასალაში აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ თითქმის ნახევარი შემთხვევებისა მოდის 17 წლიდან 25 წლამდი (10 შემთხვევა).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დანარჩენ 13 შემთხვევიდან, რომლებიც აღმტებიან 25 წელს, 6 შემთხვევაში, რომლებზედაც მე თვითონ მქონდა დაკვირვების საშვალება, ანამნეზში მეტიოდ იყო აღნიშნული ნეფროლიტიაზის სიმპტომები ახალგაზრდობის ხანაში, როგორიც არის მაგ. პერიოდული შეტევები, ჭვალი თირკმელის არეში, კენჭების გამოსვლა per vias naturalis, გემატურია და სხვა; მაშასადამე თუ ამ 6 შემთხვევასაც მიუმატებთ უკვე არსებულ ათს—გამოდის, რომ  $\frac{2}{3}$  შემთხვევებისა მოდის 25 წლამდის.

17 ნეფროლიტიაზით დაავადებულ ივადმყოფების ანამნეზში, მხოლოდ 1 შემთხვევაში იგი აღნიშნულია კლინიკურად თირკმელში კენჭის არსებობის ნიშ-



ნები 12 წლიდან, დანარჩენ შემთხვევებში ნეფროლიტიაზის სიმპტომები უნდა ჩნდებოდეს ბოდა 15—16 წლიდან და შემდეგ.

შესაძლებელია დაუშვად, რომ თირკმლებში კენჭები უნდა ჩნდებოდეს (უმეტეს შემთხვევაში) უფრო ახალგაზრდობაში (15—25 წ.), მხოლოდ მისი გამრაშვარავება კი ხდება დაგვიანებით.

თუ რატომ ხდება მისი დაგვიანებით გამომჟღავნება აქ კი დასაშვებია სხვადასხვა შესაძლებლობა, მაგ კენჭის ასეპტიური მდგომარეობა და მისი ლატენტური მიმღინარეობა; აგრეთვე შესაძლებელია, რომ მისი გამოაშვარავებისთვის რაიმე ზეგავლენა ქონდეს სქესობრივ მომწიფებას; ამ დროს ორგანიზმში ხდება მთელი რიგი ცვლილებები, განსაკუთრებით შინაგან სეკრეციის სფეროში, რაზედაც დამოკიდებულია ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დარღვევა. ეს უკანასკნელი კი ნეფროლიტიაზის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზთავნათ ითვლება.

თითქმის დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შირიმი გაცილებით უფრო მეტია ბავშობისას, ვიდრე სხვა რომელიმე ასაკში. ამას ნათლად მოწმობენ სტატისტიკური ცნობები Civiale-ს, Яковлев-ის, Розенталь-ის, რომლებიც მოყვანილი აქვს ექ. კილოსანიძეს თავის შრომაში და აგრეთვე თავის საკუთარი შემთხვევების სტატისტიკური ცნობები.

მხოლოდ საინტერესოა ერთი რამ. ექ. კილოსანიძეს გამოყავს ის დასკვნა, რომ 6% შირიმისა ეკუთვნის პირველად წარმოშობის ჯგუფს, ე. ი. კენჭები ჩნდებიან თირკმელში და შემდეგ გადაღიან შარდის ბუშტში. თუ ეს ასეა, მაშინ ნეფროლიტიაზიც ბავშობის ასაკში მეტი უნდა იყოს, ვინერ ის სინამდვილეში არის. მაგალითად, საბავშო კლინიკის ქირურგიულ განცოფილებაში 1998 ავადმყოფზედ არც ერთი შემთხვევა ნეფროლიტიაზისა არ ყოფილა კლინიკურად გამოხატული. ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს პროზექტურას სასექციო მასალები, სადაც შედარებით ხშირია ბავშების გვამების სექცია (ბავშთა კლინიკის არსებობის გამო.) არ იძლევიან ასეთ ხშირ შემთხვევებს ნეფროლიტიაზისა ბავშვობის ასაკში. სქესის მნიშვნელობა ამ დაავადების დროს დღემდის საბოლოოდ გადაუჭრელად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, Durand—Fardel-ი ამბობს, რომ თირკმლების კენჭებით დედაკაცები ხუთჯერ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები; Israel და Rafin-იც აღნიშნავენ მეტ სიხშირეს ნეფროლიტიაზისა დედაკაცებში, შედარებით მამაკაცებთან.

ზემო მოყვანილ ავტორის აზრს ეწინააღმდეგება Küster-ის მრავალ რიცხოვანი სტატისტიკური ცნობა, რომელიც 713 შემთხვევას შეიცავს; აქედან 368 შემთხვევა მოდის მამაკაცებზედ, ხოლო 345—კი დედაკაცებზედ, როგორც სჩანს მათ შორის დიდი განსხვავება არ არის. ფედოროვ-ის 242 ნეფროლიტიაზის შემთხვევიდან 152—მოდის მამაკაცებზედ, 90 კი დედაკაცებზედ.

ჩვენს 23 თირკმლების კენჭებიდან 10 იყო დედაკაცი, 13—კი მამაკაცი.

როგორც Küster-ის მრავალრიცხოვანი სტატისტიკა გვიმტკიცებს, აგრეთვე მრავალი ავტორები და მათ შორის ფედოროვ-იც, აღნიშნავენ, რომ სქესის თირკმლების კენჭებით დაავადებაში არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს-ო.

უქვე საკმაოდ დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ მარჯვენა თირქმლი შედარებით უფრო ხშირად ავადება, ვიდრე მარცხენა. იგვე Küster-ის 764 ნეტორლიტრაზის შემთხვევიდან 383-მოდის მარჯვენა თირქმელზედ, 288-კი მარცხნაზედ. ფედოროვ-ს თავის შემთხვევების ოპერაციების დიდი უმრავლესობა უწარმოებია მარჯვენა თირქმელზედ. ჩვენი 23 შემთხვევიდან ოპერაცია გავეთებული იყო 20 ჯერ. აქედან მარჯვენა თირქმელზედ ნაწარმოები იყო 14 ჯერ ოპერაცია, მხოლოდ 6 ჯერ კი მარცხნაზედ. სიხშირეს მარჯვენა თირქმელის დაავადებისას ხსნიან მით, რომ მას ხლო კავშირი აქვს ამავალ კოლინჯთან და ეს უკანასკნელი კი იწვევს მასში ინურნეციის ადვილად შეკრას; აგრეთვე მარჯვენა თირქმელს სთვლაან უფრო მოძრავად და ეს უკანასკნელი იწვევს მასში პათოლოგიურ ცვლილებებს, რაც ხელს უწყობს კენჭის გაჩენას.

ორ მხრივი კენჭები არ არის ხშირი შემთხვევა: Küster-ის ცნობით ის გვხვდება 17,78%, Kümmerl-ის 16%, Mayo აღნიშნავს 17%-ში. ფედოროვ-ი კი 14%. ჩვენ გვქონდა ორ მხრივი კენჭის 3 შემთხვევა, რაც უდრის 13%. რაც შეხება კენჭების რაოდენობას, უფრო ხშირად ვხვდებით თითოს, შემდეგ მრავალს და შემდეგ ორ-ორს. ფედოროვ-ს მოყავს Israel-ის შემთხვევიდან მაქსიმუმი კენჭების რაოდენობისა, რომელიც უდრის 36 ცალს. თვითონ ქონებია შემთხვევები 35 და 69 კენჭიანობისა. კუჟნეცკის- აქვს მოყანილი Bland-Sutton-ის შემთხვევა მრავალ კენჭიანობისა, რომელთა რიცხვი უდრის 40.000. კენჭების რაოდენობის მხრივ ჩვენი მასალა შემდეგ ნაწილდება.

ერთი კენჭი იყო 12 ჯერ, ორი კენჭი 5 ჯერ და მრავალი კი 3 ჯერ. უკანასკნელ შემთხვევაში მათი რიცხვი უდრიდა 13, 19 და 31. სიდიდის მხრივ კენჭები ძლიერ ცვალებადია; ის გვხვდება დაწყებული მცირე მარცვლიდან და ადის 2-2,5 კილოგრამამდის. უმეტეს შემთხვევებში, ასეთი გიგანტიური თირქმელის კენჭები ანატომიურ და პათოლოგო-ანატომიურ თეატრების ხვედრია, რომლებიც მხოლოდ აუტოფსიის დროს არიან აღმოჩენილნი; თუმცა ამ ბოლო ხანებში აღწერილია შემთხვევები მოზრდილი კენჭების ამოღებისა ოპერაციის საშვალებით. კუჟნეცკის- მოყავს Sheild-ის შემთხვევა, რომელსაც ნეფრეკტომიის საშვალებით ამოულია 549,0 კენჭი, ავადმყოფი განკურნებულა. Sohnseit-ს ამოულია კენჭი 339, 0. ავადმყოფი განკურნებულა. სელიხოვ-ს აქვს შემთხვევა 196,2 კენჭის ამოღებისა; ფედოროვ-ს 126,0 და 192,0, გრავე-ს კი 340,0. Legueu-ს მოყავს შემთხვევები აუტოფსიის დროს აღმოჩენილ კენჭებისა; მაგ. Le Dentu-ს 1015,0 Régnier-650,0, Rütier 175,0 და Letulle et Brun-ის, სადაც კენჭი აღმერტებოდა ორ კილოგრამს; ოვალური ფორმის, სწორი-უხორკლო, ნახული იყო თირქმელის მენჯში. შემთხვევა ეხება მამაკაცს ურაგვაიდან. (მოყანილია კუზნეცკის დისერტაციიდან).

ჩვენს შემთხვევებში უდიდესი კენჭი, (როგორც ზომით, ისევე წონით) უდრის 145,0. (იხილე სურათი).

ეს უკანასკნელი შემთხვევა საინტერესოა მით, რომ კლინიკური მიმდინარეობა ავადმყოფისა და ობიექტიური გამოკვლევა არ იძლეოდენ საბას ასეთი დიდი კენჭის არსებობისა, მიუხედავათ იმისა, რომ კენჭის არსებობაში არავთარი ეჭვი არ იბადებოდა.

მოკლედ ავადმყოფის ისტორია ასეთია: 4/XI 24 წ. კლინიკაში შემოვიდა ავ. ბ—ლი 34წ. ქართველი, მუშა ბორჯომის შუშის ქარხნისა. უჩივის ყრუ ტკივილებს ორი-30 ფერდ ქვეშა მიღამოში და წელის არეში, უფრო მარჯვნივ, შარდის სიმღვრის და მასზედ ხშირად სკლის. ავად არის 16 წელიწადია. 8 წლის წინედ შეეყარა სუსტნატი და ამის შემდეგ ტკივილებმა მოუმატა და გაუძლიერდა უფრო მარჯვნა ფერდქვეშა მიღამოში და წელის არეში, შეამნია ოდნავ შარდის სიმღვრი. ამ უკანასკნელ 5-6 თვის განმავლობაში ძლიერ გახდა, დასუსტდა და ფიზიკური შრომა აღარ შეუძლია. სამჯერ გადაუტინია ფილტვების ანთება, ერთი წლის განმავლიბაში ქონებია მაღარია; 7 წლის წინედ შეკავებია შარდი, გამოუშვიათ კატეტერით და ამის შემდეგ შარდის მილიდან გამოსულა ორი მცირე კენჭი, საშუალო მუხუდოს ოდენა. ბორჯომის წყალს ძლიერ ეტანებოდა.

*Status praesens:* საშუალო ტანის, სწორი აგებულობის, კანი ელასტიური, კანქვეშა ცხიმის სუსტი განვითარების, კუნთები საშუალო განვითარების. ლორწოვანი გარსები დასანახავ ადგილზედ მკრთალი; გულის ტონები სუფთა. მაჯა 84 წუთში, სუსტი ავსების. ორივე ფილტვები აქა—იქ მშრალი ხიხინი. ელენთა ოდნავ გადიდებული. დანარჩენ ორგანოებს ცვლილება არ ემჩნევა. მარცხენა ფერდ ქვეშა მიღამოში ხელის დაჭრით გრძნობს ტკივილებს, რომელიც გადაეცემა ამავე შარდ-საწვეთის მიმართულებით. მარჯვნა შხარეზედ ხელის შეხებით ტკივილები ნაკლები აქვს. თირკმლები არ ისნიუებიან. Goldflam-ს სიმპტომი მკაფიოდ არის გამოხატული.

შარდის რაოდენობა დღე და ღამეში უდრის 1200,0—1300,0. ოდნავ მღვრიე, ბაცი ჩალის ფერი, რეაქცია მტუტევანი, ხედრითი წონა 1,015. საშუალო რაოდენობის ნალექი. ცილა არის; შაქარი, ნაღვლის პიგმენტები არა, ურობილინი N. მიკროსკოპიული გამოკვლევა: ყველა მხედველობის არეში 10-12 ჩირქის ბურთულები, ძლიერ ბევრი ფოსფორმჟავა მარილები და ტრიპელ-ფოსფატები, მცირე რაოდენობა წითელი ბურთულებისა.


ხრომოცისტოსკოპია: ვენაში შეყვანილ ინდიგო კარმინი, მარჯვენა შარდ-წვეთიდან შეღებილი შარდი გამოიყო 5 წ. შემდეგ, მარცხნიდან-კი 10 წუთის შემდეგ.

ორივე თირკმლების რენტგენოგრამა. მარცხენა თირკმელის არეში დაბნელება.

პიელოგრაფიამ აღმოაჩინა, რომ მიღებულ სიმნივეს კავშირი აქვს თირკმელის მენჯათან.

17/XII 24 წ. ოპერაცია (პროფ. მუხაძე.) ჩვეულებრივი ირიბი განკვეთით მე 12 ნენის მიმართულებით, თირკმელი გამოყოფილ იყო ცხიმოვან კაპსულიდან. ამოიწია ზემოდ. სისხლის ძარღვების და შარდსაწვეთის გადაკვანვის და გადაკვეთის შემდეგ ამოკვეთილ იყო თირკმელი. ჭრილობა გაიკერა სართულიანი კეტ-გუტის ნაკერით. ჩაედო გემოსტატიური ტამპონი. შევიწროვდა კვანძოვანი ნაკერით.

შარდი დღე და ღამეში 1500,0—1600,0. ნაოპერაციევი ხანა გართულდა ორ მხრივი ფილტვების კატარალური ანთებით. სათანადო წამლობის შემდეგ ანთება ჩაქრა, შარდი თან და თან გასუფთავდა. ჭრილობა მცირე ჩაჩირქების შემდეგ შეხორცია. 6/II 25 წ. გაეწერა განკურნებული.



୩/୫ ଶର୍ମେଷ୍ଟାରାତ୍ରିର ସିଦ୍ଧିଗ୍ରହିନୀ, ଜ୍ଯୋ ଚରିତ ମତଲୀନାନୀ, ତନ୍ତ୍ରମ୍ଭେଲି ଗାସାରିତାଲିଙ୍କା  
ସାମ୍ରାଜ୍ୟପିଣ୍ଡ ବାଚିଥିଲେ,

ამოკვეთილი თირკმელი გარეგნულად წარმოადგენდა მთლიან ქვას შემოკრულს თხელი კანით, უსწორ მასწორო მაგარი წარზიღული ხორკლებით, ოდნავ გადადებულია. გაკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ თირკმლის პარენქიმა განიცდის ატროფიას, მთელი თირკმელის არე დაკავებული აქვს ქვას, რომელიც თავის მორჩებით ჩატანილია თირკმელის სიფრიფანა პარენქიმაში. მოყვანილობა მისი უდრის თირკმელის მენჯს და მის ფიალებს. წონა მისი უდრის 145,0, სიგრძე—11,5 სანტ. დიამეტრი 8,5 სანტ. შემადგენლობით ეკუთნის ფოფატს.

ერთ-ერთ წარზიღულ ხორკლთან, რომელიც ჩატანილია თირკმელის პარენქიმაში, მოთავსებულია კიდევ პატარა კენჭი მუხუდოს ოდენა, მოშავო ფერის, მობრტყო—მორგვალო ფორმის. წონა მისი უდრის 0,6. შემადგენლობით ეკუთვნის ურატს.

რაც შეეხება, საზოგადოდ, კენჭების ფორმას, უმეტეს შემთხვევაში ისინი ღებულობენ იმ არეს ან ღრუს ფორმას, რომელშიაც არიან მოთავსებული. ეს შეეხება უფრო საშუალო ზომის ქვებს. მცირე კენჭები სხვადასხვა ვარიაციებს განიცდიან და მრავალნაირი კონფიგურაციის არიან.

მოზრდილი და დიდვრანი კენჭები კი ღებულობენ მრავალ ნაირ ფორმას. ხშირად ასეთი კენჭები ტოტდებიან და უკანასკნელით ჩაიზრდებიან თირკმელის პარენქიმაში ან ფიალებში, ან კიდევ მენჯში და შარდასჭვეთების შესავალში.

უფრო ხშირად თირკმელის კენჭები მოთავსებული არიან მის მენჯში და ფიალაში; გხვდებით აგრეთვე არა იშვიათად თირკმელის პარენქიმაშიც. შესაძლებელია იყოს მენჯ-პარენქიმის კენჭი, როდესაც ის ნაწილობრივ მოთავსებულია მენჯში, ნაწილობრივ კი პარენქიმაში, ან სრულიად ავსებს ორივეს. ამ უკანასკნელ მდებარეობას ეკუთვნის ზემო აღწერილი შემთხვევა.

შემადგენლობის მიხედვით თირკმლების კენჭები სხვადასხვა ნაირი არიან. უმეტეს შემთხვევებში გვხვდება ურატები და ოქსალატები, შემდეგ ფოსტატები და კარბონატები. შესაძლებელია იყოს ცასტინის და ქსანტინის; იშვიათად ვხვდებით ინდიგო და ხოლესტერინიდან შემდგარ კენჭებს; უფრო იშვიათად ფიბრინისა და ცილასაგან.

თავის შრომაში, კუზნეციან-ს მოყავს Israel-ის შემთხვევა, რომელსაც თირკმელიან ამოულია კენჭი შემდგარი გოგირდიდან.

შესაძლებელია, რომ ერთ და იმავე თირკმელში იყოს სხვადასხვა შემადგენლობის კენჭი და მით უმეტეს ეს შესაძლებელია ორ მხრივი ნეფროლიტიაზის დროს.

ზემომოყვანილ შემთხვევის ავადმყოფის ისტორიაში აღნიშნულია, რომ იქ ადგილი ქონდა ერთ და იმავე თირკმელში ორ სხვადასხვა შემადგენლელ კენჭის არსებობას.

ზოგიერთ შემთხვევებში კიდევ ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი, რომ ერთი და იგივე კენჭი შესდგება სხვადასხვა შემადგენლელ ნივთიერებისაგან; ამ შემთხვევაში კენჭი ღებულობს იმ სახელწოდებას, რა ნივთიერებიდანაც შესდგება მისი გულგული.

გარეგნული შეხედულობით, კენჭის მიკუთნება ამა თუ იმ ჯგუფის შემადგენლობისთვის არ არის საიმედო და ჯეროვანი. ამას ამტკიცებს Johnson-ის

თანამედროვე მედიცინა № 10—1925.



შემთხვევები, რომელმაც ანალიზით გამოიკვლა 150 კენჭი, გარეგნული შეტელური ლობით კენჭები ეკუთვნოდენ შარდმჟავა ჯგუფის კენჭებს; მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი მათგანი ეკუთვნოდა შარდის მჟავას და მის მარილებს, დანარჩენები კი შერეული იყვნენ. ეთიოლოგია და ნაწილობრივ პათოგენეზიც ნეფროლიტიაზისა არ არის გამორკვეული და ნათლად გაშუქებული. მიუხედავათ მრავალი ჰიპოტეზებისა და თეორიებისა, ვერც ერთი მათგანი დღემდის გადაჭრით და უნაკლულოდ ვერ განმარტავს თირკმელის კენჭების წარმოშობას; არც ერთი მათგანი საბოლოოდ მიღებული და დამტკიცებული არ არის. ეს უფრო შეეხება პირველად წარმოშობილ კენჭებს.

Pousson et Garles-ი დღემდი არსებულ თეორიებს და ჰიპოტეზებს ყოფენ 3 ჯგუფად: პირველი—ფიზიკური, მეორე—ფიზიოლოგიური და მესამე—ინფექციური, გარეგან სხეულზე და ტრაუმაზე დამყარებული.

პირველი—ფიზიკური ჰიმიური ჯგუფი უფრო ემყარება Giviale-ს თეორიას, რომელიც კენჭების წარმოშობის მიზეზად სთვლის იმ მოვლენას, რომ ვითომ შარდში არსებობს შემადუღებელი ნივთიერება, რომელიც ლექს, აერთებს და აღუღებს შარდში არსებულ მარილებს.

მიკრობული თეორია და ტრაუმა-გარეგან სხეულიდან კენჭების წარმოშობა აღვილი დასაშვებია და ეს კენჭები უნდა ჩაითვალონ მეორად კენჭებად.

უფრო საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ფიზიოლოგიური ჯგუფის ოერლია Ebstein-ის და Nicolayer-ისა, სადაც ნათქვამია, რომ კოლონიდური ნივთიერება ან მკვდარი ეპიტელიალური უჯრედი თავისი ორგანიული საფუძველით იძლევიან იმ პირველად ნივთიერებას, რომელზედაც ფეხს იყიდებს შარდიდან დაკრეფილი მარილები და უკანასკნელი კი ხდებიან მიზეზად კენჭების წარმოშობისა.

ჰიმიკოსების მიერ მრავალ კვლევა-ძეგების და მტკიცების შემდეგ, დღესდღე ულად მიღებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შარდში არსებობს ერთვარი დამცველი კოლონიდები (Schutz colloide), რომლის წყალობითაც შარდში გახსნილია მასში არსებული მჟავა მარილები და ფოსფატები; მაშასაღამე, თუ ეს ასეა, მაშინ მხედველობაში უნდა ვიქნიოთ და ანგარიში უნდა გაეწიოს იმ მოვლენას, რომ ყოველგვარი წონასწორობის დარღვევა ზემოხსნებულ კოლონიდებსა და შარდში არსებულ მჟავა მარილებსა და ფოსფატთა შორის გამოიწვევს უკანასკნელთა დალექა-გამოყოფას, რაც შესაძლებელია გახდეს კენჭების წარმოშობის მიზეზად; მნაირად უნდა ახსნილ იქნას პირველადი კენჭის წარმოშობა.

Rosenbach-ი იმ დასკვნამდის მივიღა, რომ პირველადი კენჭების წარმოშობას სთვლის ურგანიულ და არა ორგანიულ დასტეზის შედეგად.

როგორც ზემოვ ვსთვე, ნეუროლიტიაზის ეთიოლოგია ჯერჯერობით ჰიპოტეზა-თეორიებზე დამყარება, მხოლოდ მის წარმოშობის ხელისშემწყო პირობები ბევრი რამ უნდა იყოს; ასეთებად ითვლება, მაგ საერთო მიღრეკილება ორგანიზმისა, შეძენილი ან შთამომავლობითი, შეუფერებელი კვება, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის წონასწორობის დარღვევა, შინაგანი სეკრეციის მოშლილობა, ხერხემლის სვეტის და ზურგის ტვინის დაავადება, ორსულობა, მოძრავი თირკმელი, ნალისებრივი ან კიდევ სხვა ანომალიურად განვითარებული თირკმელი, თვით თირკმელის ყოველგვარი დაავადება.

ზოგიერთ შემთხვევებში ნეფროლიტიაზი დაკავშირებულია თირკმლების სხვა და სხვა დაავადებასთან. ასეთ კომბინაციურ დაავადებათა შემთხვევებში სპარბობს ნეფროლიტიაზი და იმავე დროს თირკმლების ტუბერკულოზი.

პროფ. გ. მუხაძეს აღწერილი აქვს თირკმლების ტუბერკულოზი და მასში კენჭის არსებობა. კლინიკის 23 ნეფროლიტიაზის შემთხვევაში 4-ჯერ იყო თირკმელის ტუბერკულოზი და მასში კენჭი.

სიმართლესთან უფრო ახლო იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ შემთხვევებში ჯერ ხდება თირკმელების T. b. C-თ დაავადება, უკანასკნელი იწვევს მასში მთელ რიგ პათოლოგიურ ცვლილებებისას, რასაც შედეგად მოყვება (ხშირად) კენჭების გაჩენა, როგორც მეორადი მოვლენა.

როგორც ირკვევა, ჩვენში თირკმლების დაავადებას და განსაკუთრებით ნეფროლიტიაზს, ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული და ხშირად ის შეუმჩნევლად რჩება. ხშირად ოპერაციის თირკმლებზედ აწარმოებენ სრულიად სხვა დიაგნოზით, მხოლოდ შემდეგ მასში აღმოჩენილ იქნება კენჭი. რომ ნეფროლიტიაზი შეუმჩნევლად ან სხვა დიაგნოზით მიღის ჩვენგან ამის მაგალითები ბევრია. ავილოთ თუ გინდ ქ. ბათომის საავადმყოფო, სადაც მიღებულ ცნობების მიხედვით 5 წლის განმავლობაში თირკმლების კენჭებს ადგილი არ ქონია! \*) ძნელი წარმოსადგენია, რომ ზემოხსენებულ საავადმყოფოში აღნიშნულ ხნის განმავლობაში გატრაქტულ ავადმყოფთა შორის ნეფროლიტიაზის რამოდენიმე შემთხვევას ექნებოდა ადგილი, მაგრამ, აღბად, ურილოგიურ განყოფილების და სათანადო იარაღების უქმნლობის გამო ის ვერ იყო შემჩნეული. ჩვენთანაც ყოვილა შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი, სრულიად შემთხვევით ვასინჯულ იყო ურილოგიურად და მას თირკმლების კენჭები აღმოაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ის გასინჯულ იყო გამოცდილ ექიმების მიერ, რომლებსაც ეს ფიქრადაც არ მოსვლია.

კლინიკური სიმპტომები ნეფროლიტიაზისა ძლიერ ბევრია. ზოგი მათგანი უფრო დიდ მნიშვნელოვანია, ზოგიც კი ნაკლები; მაგრამ ეს სიმპტომები ძლიერ ცვალებადია, რაც დამოკიდებულია თვით კენჭის მდებარეობაზედ, მის ფორმაზედ, სიდიდეზედ, ასეპტიურობაზედ და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, ნეფროლიტიაზის დამახასიათებელ და, თუ შეიძლება ითქვას, კარტინალურ სიმპტომებათ ითვლებიან ზოგიერთი მოვლენები. ასეთია. მაგალ. ტკივილები თირკმელის არეში, ჰემოსის მიმართულებით და სასქესო ორგანოებისაკენ, პერიოდული გემატურია, კენჭების გამოსვლა per vias naturalis, პიურია და ზოგ შემთხვევაში ანურიაც. ეს სიმპტომები შეიძლება იყოს გამოხატული ტიპიურად, ან ამა თუ იმ ცვალებადობით.

მაგ. ტკივილები წელის და კენჭიან თირკმელის მხარეს გარდა, შესაძლებელია იყოს მოპირდაბირე საღ მხარეზედაც. ზემო მოყვანილ ავადმყოფის ისტორიაში აღნიშნულია, რომ ავადმყოფს ტკივილები უფრო აწუხებდა საღ თირკმელის მხარეზედ, ვიდრე კენჭიანისა. ასეთი მოვლენა ჩვენ უნდა ავხსნათ, ე.წ. რენ-რენალური (თირკმელ-თირკმელთა) რევლექსით, ასეთივე რეფლექტორული გა-

\*) მთავარი ექიმის ცნობა.



დაცემით და ორადიაციით უნდა აიხსნას მთელი რიგი მოვლენებისა, ოომლებ-საც შესაძლებელია ადგილი პონდეს და აქვს ნეფროლიტიაზის დროს. მაგ., გულის რევა, პირიდან საქმება, ტკივილები მიმართული ღვიძლისაკენ, კუჭისაკენ და სასქესო ორგანოებისაკენ; შარდზე ხშირი მიღვომა (თირკმელ-ბუშტის რეფლექსი) ან და ერთ შარდსაწვეთის კენჭით დაცვის დროს, მოპირდაპირე თირკმელში ექსკრეტორული ანურია და სხვა მრავალი.

გარდა ამ ზემოხსნებულ სიმპტომოკომპლექსებისა, მათი სრული ან ნაწილობრივი არსებობა, რომლებიც ეჭვს ბადებენ ნეფროლიტიაზით დაავადებაში, არის აგრეთვე მთელი რიგი კლინიკური დაკვირვებებისა და გამოკვლევისა, რომელიც საბოლოოდ ნათელყოფენ მის ტიაგნოზს.

დღიდან ახალი გასასინჯ იარაღებისა და მეთოდების შემოლებისა, როგორც არის ცისტოსკოპია, შარდ საწვეთების კატეტერიზაცია, პიელოგრაფია და განსაკუთრებით რენტგენოგრაფია, ნეფროლიტიაზის დიაგნოსტიკა საკმაოდ დამუშავებულათ უნდა ჩაითვალის და მისი დიაგნოზი ძნელ საქმეს არ წარმოადგენს. მიუხედავათ ასეთი თვალსაჩინო გაუმჯობესებისა, როგორც გასასინჯ იარაღებისა, ისე თვით გასასინჯ ტეხნიკის სათანადო დამუშავებისა, სამწუხაროდ, დღემდის დიაგნოსტიურ შეცდომებს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ადგილი აქვს.

ასეთ დიაგნოსტიურ შეცდომებს ეკუთნიან ის შემთხვევები, როდესაც თირკმელში კენჭი არსებობს და მისი აღმოჩენა არ ხერხდება, ან და პირიქით, კენჭი არ არის და გამოკვლევა კი იძლევა კენჭის სურათს.

როდესაც კლინიკური მიმდინარეობა ავადმყოფობისა კარდინალურ სიმპტომებთან ერთად და ობიექტიური გამოკვლევა თვით ავალყოფისა ერთმანეთს ეთანხმება და ერთი მეორეს ავსებენ, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში შეცდომებს ადგილი არ ექნება; მაგრამ, როდესაც ერთი მხარე სუსტრდ არის გამოხატული და მეორე კი უფრო მკაფიოდ და ამ უკანასკნელს ეძლევა გადამჭრელი სიტყვა, აი, ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ადგილი ქონდეს შეცდომებს. ასეთი დიაგნოსტიური შეცდომები ნეფროლიტიაზის ღროს ხშირი არაა. მაგ., Arcelin-ის ცნობით, კენჭები, რომლებიც არ გამოდიან რენტგენის სურათზედ უდრის  $1,2\%$ ; Fedorov-ის კლინიკის ცნობით კი  $1,8\%$ . Israel—Jimmelman-ის სტატიისტიკური ცნობებით უარყოფითი რადიოგრაფია უდრის  $2\%$ .

ეს კენჭები ეკუთვნიან ე. წ. „უჩინარ“ კენჭებს, როგორც ფრანგები უწოდებენ Calculus juvisibles. მიზეზი ნეფროლიტიაზის ღროს უარყოფით რენტგენოგრამისა, უფრო აიხსნება კენჭების ქიმიური შემადგენლობით. მაგ. დამტკიცებულია, რომ შარდის მეზანის კენჭი არ გამოდის რენტგენოგრამაზედ და ამას ხსნიან მით, რომ ლითონის მარილები, რომლებიც არ ატარებენ Röntgen-ის სხივებს, ასეთ კენჭებში, სრულად უმნიშვნელო. არც ცილის და არც ცისტინის კენჭები იძლევათ ჩრდილს რენტგენოგრამაზედ.

გარდა „უჩინარ“ კენჭებისა, რომლებიც თავისი ქიმიურ შემადგენლობის გამო არ გამოდიან Röntgen-ის სურათზედ, არის აგრეთვე შემთხვევები უარყოფით რენტგენოგრამისა ფისფორ მეზანის მეზანის კენჭებისა, რომლებიც ჩვეულებრივად ასეთებს არ უნდა იძლეოდეს. უკანასკნელი შემთხვევები აღწერილი აქვს კუზნეცკის და Neuhäuser-ის დაკვირვებით, ასეთ მოვლენებს უფრო



ხშირად აღგილი აქვს მაშინ, როდესაც ავადმყოფები ძლიერ მსუბუნო, და ცხიმოვანი კაბსულა განიცდის არა ჩემთვევები გასქელებას. Israel-ს ქონებია ასეთი შემთხვევები გამხდარ პიროვნებებზედაც. კუვნიკია-საც მოყავს ანალოგიური შემთხვევა, სადაც ცხიმოვანი კაბსულა განიცდიდა გასქელებას. ოღონობული სისტემის მდგომარეობასაც ქონებია ერთხაირი მნიშვნელობა. შესაძლებელია აგრეთვე, რომ კენჭი იყოს მცირე და დაფაროს ის აბლო მდებარე ნენამა ან, იშვიათად, მალების გარდა-გარდმო მორჩება.

ასეთი „უჩინარ“ კენჭების დროს, Kummell-ი იძლევა რჩევას, რომ თირკმელის მენჯში შემხაპუნებულ იყოს collargol-ი და 8 დღის შემდეგ, როდესაც მთელი collargol-ი გამოირტყება კენჭი დარჩება შეღებილი ვერცხლის მარილებით, რომელიც ნათლად გამოვა რენტგენოგრამაზედ. შესაძლებელია ამ საშუალებამ დახმარება გავვიწიოს მაშინ, როდესაც კენჭი თირკმელის მენჯშია მოთავსებული, დანარჩენ შემთხვევაში ეს მეთოდი შედეგს არ მოგვცემს.

გასაკვირველი არ არის, რომ „უჩინარი“ კენჭები ოპერაციის დროს ძნელი საპოვნი შეიქნეს. არამც თუ „უჩინარი“, არამედ იღწერილია შემთხვევები, როდესაც რენტგენოგრამით ნაჩვენები კენჭიც კი ვერ უპოვნიათ. ასეთი შემთხვევა ქონებია Федоров-ს, სადაც კენჭი ჭრილობიდან გამოსულა ერთ-ერთ შეხვევის დროს. Arcelin ს კენჭი უპოვნია, მხოლოდ ამოკვეთილ თირკმელში. გამოდის, რომ ზოგიერთ შემთხვევებში დახელოვნებული ხელიც კი ვერ გრძნობს კენჭის არსებობას, მით უმეტეს თუ იგი პატარაა და მოთავსებულია თირკმელის პარენქიმაში. ასეთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად Braasch-ი გვარჩევს, რომ ნახმარ იქმნეს რენტგენოსკოპია, ოპერაციის დროს გათავისუფლებულ და ჭრილობიდან ამოღებულ თირკმელზედ. Kingreenr-ს ქონებია შემთხვევა, რომ Röntgen-ის სურათით ნაჩვენები კენჭი ოპერაციის დროს ვერ უპოვნია ხელის შეხებით, შემდეგ გათავისუფლებულ და ამოწეულ თირკმელზედ უხმარია რენდგენოსკოპია, რის საშვალებითაც მიუვნია კენჭისთვის და ამოუკლია.

ნეფროლიტიაზის რეციდივი სხვა და სხვა ავტორებს დიდი % აქვს აღნიშნული. მაგ., Cabot და Grabtree 43 %, 1915 წ. Barney-ს იმავე კლინიკიდან 1922 წ. 32 %; ხოლო, იმის შემდეგ რაც შემოიღეს რენტგენოსკოპიის ხელება, რეციდივის % დაეცა 5-მდის. მაგ., Braasch-ესი. 1913 წ. Barney-ს 20 ნაოპერაციებ ავადმყოფის განმეორებით რენტგენოგრაფიის ექვსი თვის შემდეგ აღმოუჩენია კენჭი, რაც შეაღგენს 45 %. ასეთი დიდი პროცენტუალური მერყეობა რეციდივის მხრივ, ალბად, ასწილ უნდა იქმნეს ოპერაციის ტეხნიკის გასხვავებით, რადგან ერთი ხმარობდა რენტგენოსკოპიას (Braasch-ი) სხვები კი არა. (Cabot და Grabtree-Borney). რეციდივს ზოგი ავტორები სხნიან ოპერაციის დროს შემთხვევით დარჩენილ კენჭით. ანალოგიურ მოვლენას აღგილი ქონდა ჩვენს შემთხვევებში. საჭე ეხება მამაკაცს 31 წლისა, რომელსაც გაკეთებული ქონდა Pyelolitotomia და ამოღებულ იყო კენჭები თირკმელის მენჯიდან, რიცხვით 19. განუურნების შემდეგ, განმეორებით რენტგენოგრამამ მოიცა მცირე კენჭი თირკმელის პარენქიმაში, რომელიც არ იძლეოდა არც კლინიკურ და არც სუბიექტურ მოვლენებს. წინააღმდევ „უჩინარ“ კენჭებისა, არის შემთხვევები, როდესაც რენტგენოგრამა



იძლევა არ არსებულ კენჭების სურათს. ეს სურათები არიან ე. წ. „ყალბი“ ანუ „ცრუ“ კენჭები.

ერთ ასეთ „ყალბ“ კენჭები ჩვენი შემთხვევაც.

1921 წ. კლინიკაში შემოვიდა მამაკაცი ვაჲ წლისა. გარდა სუბიექტიურ ჩივილებისა და კლინიკურ მიმღინარეობისა, რომელმაც ეჭვი დაბადა ნეფროლიტიაზის არსებობაში, გადაღებული იყო ორივე თირკმლები. მარჯვენა თირკმელის რენტგენოგრამის ქვემთ ნაწილში გამოხატული იყო ჩრდილი, რომელიც მიჩნეულ იყო კენჭის ჩრდილად. განმეორებით რენტგენოგრამამ ასეთივე სურათი მოიცა. გაკეთებულ ქონდა ოპერაცია, მაგრამ არც თირკმელში და არც შარდ საწვეთში კენჭი არ აღმოჩნდა.

დიაგნოსტიური შეცდომები ყალბი კენჭებისა და ახლოვებით ისეთივეა, როგორც „უჩინარ“ კენჭებისა. ფედოროვ-ის ცნობით ის უდრის  $1\%$ , Haenich-ით  $1-2\%$ , Arcelin-ის სტატისტიკით კი  $2\%$ .

მიზეზი ყალბი კენჭების ლანდის წარმოშობისა რენტგენოგრამაზე დრაგალია. ასეთი ლანდი შესაძლებელია მივიღოთ მე 11 ან მე 12 ნექნის ღრტილის ნაწილობრივი გაძვალების დროს. თვით თირკმელში მთელ რიგ პათოლოგიურ ცელილებებს შეუძლია ასეთი ჩრდილის მოცემა. მაგ., პიონერობაზე, ნაწილობრივ ხაჭოსებრივ გადაგვარებას, მით უმეტეს თუ ის გაუდენთილია კირის მარილებით, და ზოგ ხორც-მეტებს. შესაძლებელია, აგრეთვე—ნალველის კენჭებიდან, თუმცა უკანასკნელნი, იშვიათად გამოდიან რენტგენის სურათზედ;

გაკირული ლიმფატიური ჯირკველი, appendices epipolicae, ან ზოგ შემთხვევაში ნაწილავში არსებულ განავლის ქვა, შემთხვევით არსებული გარეგანი სხეული, კირის ნალექი ატერომატოზულ არტერიაში, ფლებოლიტები გაკირული განგლიები, კირის ნალექი ნაწილურებში, სხვადასხვა წერტილები მენჯში, ოფლიან ხელით შეხება სურათზედ, ცუდი გამოჩინება და სხვა, ყველა ამ შემთხვევებში შესაძლებელია მიღებული იქმნას ჩრდილი თირკმლის არეში და რომელიც მიჩნეული იქმნეს კენჭის ჩრდილად. Смирнов-ს აღწერილი აქვს შემთხვევა, სადაც პანკრეასის სადინარის კენჭი მიღებულ იყო მარჯვენა თირკმლის კენჭად. იმასვე მოყავს Pförringer-ის ანალოგიური შემთხვევა. ჩვენ ზემოაღნიშნული შემთხვევაში შეცდომის შიზეზი იყო ე. წ. მენჯის წერტილები (Becken flecken).

ამ ბოლო წლებში მუცლის ღრუს ორგანოების და მასთან თირკმლების და შარდსაწვეთების დაავადების დიაგნოსტიურ მეთოდებს და საშუალებებს, მიერატია კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დიაგნოსტიური მეთოდი, ე. წ. პნეიმოპერიონეუმი.

მუცლის ღრუს პარენქიმატოზულ ორგანოების მოხაზულობა რენტგენოგრამზედ ძნელი გასარჩევია, მის ახლო მდებარე ქსოვილებისაგან, რადგან ორივე ქსოვილების გამსპეცირვალობა Röntgen-ის სხივებისთვის თითქმის ერთი და იგივეა.

ამის საწინააღმდეგოდ 1914 წ. Rautenberg-მა შემოიღო პნეიმოპერიონეუმი. მას შეყავს მუცლის ღრუსი განსაზღვრული ოდენობა ჰაერისა, რაც იწვევს ორგანოებსა და გარშემო მდებარე ქსოვილებს შორის სივრცის გადიდებას; თვისუფალ არეს იყავებს ჰაერი და ეს უკანასკნელი გარემოება ხელს უწყობს ორგანოების ნათლად გამოხატვას.

1917 წ. იგივე Routenberg-ი იძლევა წინადადებას, რომ პნეუმონიუმი ხელი ხმარებული იქმნას აგრეთვე თირკმლების და მენჯის ორგანოების დაავადების ღრუს.

ამას მოყვება Götze-ს ექსპრიმენტალური შრომა, რომელიც დაწვრილებით აქვეყნებს დაკვირვებებს და ტენიკას მის საწარმოებლად.

Смирнов-ს მოყავს 40-მდე დაკვირვება პნევმოპერიტონეუმისა და კმაყოფილი დარჩენილა. აქებს მას, როგორც კარგ დიაგნოსტიურ საშუალებას თირკმლების მდებარეობის ან მის ანომალიების გამოსარკვევად, ზოგ შემთხვევაში, თვით თირკმელის ქსოვილში გამოწვეულ ცვლილებების და შარდსაწვეთების მდგომარეობის და ტოფოგრაფიის გასაგებად. უპირატესობას აძლევს „ყალბ“ კენჭების დიფერენციაციაში; თანაც დასქნენს, რომ მისი ხმარება მოითხოვს კარგ ტენიკურ ცოდნას და ხმარებულ უნდა იქმნეს მხოლოდ უკიდურეს და განსაკუთრებულ შემთხვევაში.

უკანასკნელ წლებში ასეთივე დიაგნოსტიური თვალსაზრისით შემოღებულ იყო პნევმოპერინეფრიუმი, რაც გამოიხატება ჰაერის შეშვებაში პერინეფრიუმის არეში.

არც ეს მეთოდი წარმოადგენს არა სახითათო რამეს; იგივე გართულებები, იგივე ტენიკის უაღრესად ცოდნა, აქაც აუცილებლობას წარმოადგენს; აველა ესენი იმის მაჩვენებელია, რომ ეს მეთოდი ხმარებულ უნდა იქმნეს უკიდურეს შემთხვევაში და სიფრთხილით.

აქვე უნდა დაგხმინო, რომ უკანასკნელ ცნობებში არის აღწერილი, სადაც პნევმორალიოგრაფიას და პნევმოპერიტონაუმს აწარმოებდენ ამბულატორიულად (Файн, Успенский) და არავითარი მძიმე გართულება არ არის აღნიშნული. პიელო-ურეტეროგრაფიასაც ასე იოლ თაქრაციად უცურებენ ებლა უმრავლესობა ავტორებისა და თითქმის მას აუცილებელ საჭიროდ სოვლიან თირკმლების ყოველგვარ დაავადების დროს. როგორც სხანს, პიელო-ურეტეროგრაფიამ და პნევმორალიოგრაფია იმდენად შეაგსო თირკმლების დიაგნოსტიკა, იმდენათ ნაოცელ ჰყო ის, რომ თითქმის ისინი მოქალაქებრივი უფლებებით აღიჭურვენ ყოველგვარ თირკმლების დაავადების დროს; ბოლო ხანებში ტენიკაც უფრო გაადვილდა და დამუშავდა.

წამლობა ხეფროლიტიაზისა კლინიკაში მხოლოდ ოპერაციული საშალებით სწარმოებს. 23 \*) თირკმელების კენჭების შემთხვევებიდან ოპერაცია გაკეთებული იყო 20 ჯერ. ორ შემთხვევაში თვით ავადმყოფებმა არ მოისურვეს ოპერაციის გაკეთება და გაეწერენ თავის სურვილით, ერთ შემთხვევაში კი იყო casus inopera bi lis, რადგან ორივე თირკმლები განიცდიდენ ღრმა პათოლოგიურ და ფუნქციონალურ ცვლილებებს.

\* ) გარდა მი 23 შემთხვევებისა, რომელიც მოდის 1919 წლიდან 1924 წლის მაისამდის პოსპიტ. ქირურგ. კლინიკის უროლოგიურ განყოფილებაში 1925 წ. მაისიდან ოქტომბრამდის 477 ავადმყოფზედ იყო 4 შემთხვევა ხეფროლიტიაზისა. ამათგან დედაკაცი 2, მამაკაცი 2. მარჯვენ თირკმლის კანტი 2, მარცხნა თირკმლის—2. კენჭები რაოდნობის მიხედვით: ასეთი იყო: 2 ჯერ თითო-თითო, ერთჯერ 3—და ერთჯერ 30 კენტი. ეროვნების მიხედვით ერთი რუსი, სამი ქართველი. ოპერაცია 2 ჯერ Nefrectomia, ერთჯერ Nefrotomia და ერთჯერ Pyelolitotomia ერთ შემთხვევაში t. b. c. renis—კენჭით.



გაყეთებული იყო შემდეგი ოპერაციები:

1. Nephrectomia 12.
2. Nephrolitotomy 3.
3. Pyelolitotomy 4.
4. Nephro-pyelo-uretherotomy 1.

აქედან განკურნებული გაეწერა 18; გარდაიცვალა 2; \*) (რაც უდრის  $10\%$ ). ეროვნების მხრივ მასალა ნაწილდება შემდეგ ნაირად:

ქართველი	17.
რუსი	3.
სომები	1.
მუსულმანი	1.
ოსი	1.

ბოლოს, იქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ 23 შემთხვევიდან, ერთი შემთხვევა ვა ეხება მარჯვენა თირკმელის კენჭს და მის ნაწილობრივ გამოსვლას გულ-მკერდის ღრუდან, ტყვიით ყოფილი ჭრილობის მიმართულებით. ეს შემთხვევა აღწერილი აქვს ექ. ალ. წულუკიძეს, სადაც ის დასკნის, რომ კენჭს შეუძლია თავისი ზედ დაწოლით გამოიწვიოს თირკმელის ქსოვილის decubitus ი, მოახდინოს მის პერფორაცია და გამოვიდეს ახლო მდგბარე ქსოვილებში.

ასეთი შემთხვევა აღწერილია ლიტერატურაშიაც, მაგრამ როგორც იშვიათი შემთხვევა და თავისითავად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

ყველა ზემოხსნებულისა და მოკლე ლიტერატურული ცნობების მიმოხილვის შემდეგ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ნეფროლიტიაზით დაავადება საქართველოში არ არის ხშირი მოვლენა.
2. ნეფროლიტიაზით დაავადება უმეტეს შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ახალ-გაზრდობის ხანაში, მხოლოდ ის თავს იჩენს და აშკარავდება დაგვიანებით.
3. ნეფროლიტიაზი უნდა ჩაითვალოს თირკმელების ერთ-ერთ მძიმე დაავადებათ და მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს რაც შეიძლება ნაადრევად.
4. ნეფროლიტიაზის დიაგნოსტიკა უნდა ემყარებოდეს, როგორც კლინიკურ დაკვირვებებზე და გამოკვლევებზე, აგრეთვე რენტგენოგრამაზე და მათ შორის ურთიერთ თანხმობაზე; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თირკმლების ფუნქციონალურ დიაგნოსტიკას და მათ განვითარების ანომალიებს.
5. ოპერატიული დახმარება ნეფროლიტიაზის დროს, (მეორე თირკმელის დამაკაყოფილებელ ფუნქციის დროს) საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაი-

\* ) ერთ შემთხვევაში ავადმყოფი გარდაიცვალა ოპერაციის დღიდან მე 4 დღეს Peritonitis diffusa-ს ნიშნებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მენჯის წერტილები Röntgen-ის სურათმა აჩვენა როგორც კენჭების ჩრდილი, აგ. გაკეთებული ქონდა Netro-pyelo-uretherotomy და ხანგრძლივი კენჭის ძებნის შემდეგ, ის მაინც ცერ იქმნა ნახული.

მეორე შემთხვევა ეკუთვნის ქალს 45 წლისას. რომელიც გადმოყვანილ იყო თერაპევტულ კლინიკიდან, ავადმყოფი სრულიად კანექსიური პიროვნება—გაკეთებული ქონდა Netrectomy—გარდაიცვალა მეორე დღეს. გაკვეთამ და პათოლოგო-ანატომიურმა გამოკვლევამ დაამტკიცა ღრმა ცელილებები შინაგან ორგანოებში ქრონიკული ხასიათისა. ანატომ. დიაგნოზი: Morasmus.

თვალოს, შედარებით სხვა რაიმე წამლობასთან და უპირატესობა უნდა მიეცეს მას.

6. თირკმლების ყოველგვარი დაავადების და განსაკუთრებით ნეფროლიტიაზის დროს გაკეთებულ უნდა იქმნეს პიელო-ურეტეროგრაფია და შარდსაწვეთების კატეტერიზაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დააგნოსტიური თვალსაზრისით, აგრედევ მოსალოდნელ ოპერაციის სახის გამოსარჩვევად.

7. უკანასკნელი მანიპულიაციები ხმარებულ ან განმეორებულ უნდა იქმნეს არა უაღრეს თრი-სამი დღისა თვერაციის წინ.

დასასრულ, სასიამოგნო მოვალეობად ვრაცხ უღრმესი მაღლობა უძლვნა დიდათ პატივცემულ და საყვარელ მასწავლებელს, პროფ. გ. მ. მუხაძეს, თემის მოცემისათვის, აგრეთვე უწყალო ხელმძღვანელობისა და ლიტერატურის მოწოდებისათვის.

დიდ მაღლობას უძლვნი აგრეთვე უროლოგიურ განკუთვილების ასისტენტს, მედიცინის დოქტორს, ალ. პ. წულუკიძეს რჩევისა და შრომის გადათვალიერებისათვის.

### ლიტერატურული წყაროები.

1. Кузнецкий: „Камни почки и мочеточников“. Диссерт. 1911 г.
2. Перешивкин: Диагностика заболеваний почечной лаханки и мочеточников“. Диссертация 1912 г.
3. Федоров: „Хирургия почек и мочеточников“. Выпуск 3—1923 г.
4. Смирнов: „О ложных камнях почек“. Нов. хир. архив 1921 г. книга 3-я.
5. Карганова-Мюллер: „О трудно-диагносци. случ. почечн. заболев.“. Нов. хир. арх. № 21 1924 г.
6. Смирнов: „Пнеймоперит., как диагност. мет. в урологии „Урология“ № 4 1924 г.
7. O. Kingreen: „К методу рентгеногр. оператив. открыт. почки“. Реферат „Врачебная газета“ № 1. 1925.
8. Зროვ. გ. მუხაძე „საშარდე ორგანოების ტუბერკულოზი“. თანამედროვე მედიცინა № 1. 1925.
9. Файн: „Наблюдение над пневмографией почек“. Врачеб. газ. № 7. 1925 г.
10. Готлиб: „Техника и диагностическая ценность пиэлографии“. Русская клин. № 5 1924 г.
11. Успенский: „К вопросу о пневмоперitoneуме“. Русская клин. № 7 1924 г.
12. გ. კილოსანიძე: „შირიმი და მისი წამლობა“. ტფილ. უნივერსიტეტის მასშტაბე V 1925 წ.

## ა. ჯავრიშვილი.

უფროსი ასისტენტი.

### სიცილისი და მასთან ბრძოლის თანახედროვე გეთოდები.

(თვითმმართვის უნივერსიტეტის კანის და ვენერიული კლინიკიდან. დრ. გამგე—  
პროფ. გ. მუხაძე).

სტატისტიკური მასალის მოუწესრიგებლობის გამო ჩვენ არა გვაქვს საშუალება ციფრებით ხელში დაგანახოთ, რამდენად გიგანტიურ ნაბიჯებით მიღის წინ ვენერიულ სნეულებათა გავრცელება. ამ უკანასკნელ 10-წლის განმავლობაში მცხოვრებთა შორის, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. მიუხედავად ამისა თუ ანგარიშს გაუშევთ ისეთ ხელის შემწყობ პირობებს, როგორებიც იყვნენ: იმპერიალისტური და სამოქალაქო ოქები, ლტოლვილობა, შიმშილობა, უმუშევრობა და გაჭირვებული ცხოვრება ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ვენერიულ სნეულებათა გავრცელების სურათი. ქალაქებში და სოფლებიდან საერთოდ თუ ერთხელ მაინც თვალს გადავალებთ იმ მდგრმარეობას, რომელშიაც იმყოფება ვენერიულ სნეულებასთან და კერძოთ სიფილისთან ბრძოლის საკითხი, მაშინ აშეარა და ნათელი იქნება თუ რა გეზია საჭირო დასახელებულ სნეულებებთან საბრძოლველად, რომ სასურველ მიზანს მივაღწიოთ.

სიფილისის და ვენერიულ სნეულებათა გავრცელებაში, განსაკუთრებით სოფლებში, უპირველეს როლს თამაშობს მცხოვრებთა კულტურული დაქვეითება. სიფილის მცხოვრებლები საექიმო დახმარებას მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობა უაღრეს გამწვავებას აღწევს და როდესაც სათანადო დახმარება დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს. ავადმყოფები შეუვნებლად და მოურიდებულად სთესვენ სნებას. სიფილისი დღემდე სამარცხევინ ავადმყოფრბათაა აღიარებული, რის გამო ავადმყოფები უმეტესს შემთხვევაში ცდილობენ დაფარონ თავისი სნეულება, მიმართავენ ხშირად, ეგრედ წოდებულ შინაურ ექიმებს და უვიც ექიმებაშებს, რომელნიც მხოლოდ ზარალს აყენებენ ავადმყოფთა ჯანმრთელობას. შეუგნებლობისა გამო ავადმყოფთა უმეტესობა ხშირად არ მიღის ექიმებთან წამლობის გამეორებისათვის, რადგანაც არ ხედავს რაიმე საშიშს გარეგან ნიშნებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცხადყოფს, თუ რამდენად საჭიროა გამონახული იქმნას სწორი და მიზანშეწონილი გეზი ისეთ უდიდეს ბოროტებასთან ბრძოლისათვის, როგორიც არის სიფილისი.

ეჭვს გარეშეა, რომ სიფლის სიფილისი თავისებურია, იგი აშკარად განსხვადება ქალაქის სიფილისისაგან. ასე, მაგალითად, სიფელში თითქმის არა აქვს ადგილი სიფილისის ისეთს გართულებას როგორიც არის ზურგის ტენის სიმშ-

რაღე ან ტაბესი და წარმატებით მავალი სიდამბლე. სოფელში, შედაორებით ქალაქთან, არ არის ხშირი ნაადრევი მშობიარობის შემთხვევები, აგრეთვე მუც-ლის მოშლა, ამ უკანასკნელი ხასიათის გართულებათა მოვლენებს სიფილისით დაავადებულთ მშობიარეთა შორის ძალიან ხშირია ქალაქებში. გამოკვლევამ დაგვანახვა რომ რუსთის სოფლებში სიფილისით დაავადება ბევრს ადგილის აღწევდა 42% -ს. სიკვდილიანობა უკანასკნელ 27 წლის განმავლობაში აღწევს 21% -ს, რაც უნდა ნაწილობრივ მიეწეროს სიფილის. ბავშვთა სიკვდილიანობა ერთ წლამდე აღწევს 68-71% -ს.

უკანასკნელ 44 წლის გერმანიის დამზღვევ საზოგადოების საბუთები გვიჩვენებენ, რომ სიფილისით დაავადებულთა შორის, მავნეოვისებიან ხორცმეტებით იღუპებიან  $1\frac{1}{2}$  ჯერ მეტი, ვიდრე იმათ შორს, ვინც არასოდეს არა ყოფილა დასახელებული სნეულებით დაავადებული. იმავე მოვლენას აქვს აღილი კუჭნაწლავთა სნეულებინ ავადმყოფთა შორის. დამბლობისაგან დაღუპულნი 5-ჯერ მეტი აღმოჩნდა ათაშანგიათა შორის. აგრეთვე ზურგის ტვინის სიმშრალით დაიღუპა  $6\frac{1}{2}$ -ჯერ მეტი და აორტის ანევრიზმით 7-ჯერ მეტი. ბერლინის პროფესორის შრომპჰის დაკვირვების მიხედვით ყველა იმ ავადმყოფებთა შორის, რომელთაც მიმართეს მას კლინიკაში შინაგან ორგანოთა დაზიანებათა გამო  $11.48\%$  -ს ანამნეზში სიფილის პქონებიათ. საფრანგეთში ყველა იმ ქრონიკებთა შორის, რომელთაც მიუმართავთ ამა თუ იმ სამკურნალო დაწესებულებებისათვის  $40\%$  -ს ათაშანგი აღმოჩნდა. ბელგიაში ვენერიულ სნეულებათა საწინააღმდეგო ლიგის ცნობით იმ ავადმყოფებთა შორის, რომელთაც მიუმართავთ სამკურნალო დაწესებულებისათვის  $22\%$  ყოფილა სიფილისით ავად.

ზემოდმოყვანილიდგან აშკარაა თუ რა დიდ საშინელებას წარმოადგენს სიფილისი. ავადებს რა სიცოცხლისათვის დიდათ მნიშვნელოვან შინაგან ორგანოებს, ათაშანგი ბევრს უსპობს მუშაობის ხალის და უნარს, ამცირებს მომუშავეთა რიგებს და ამრავლებს ინვალიდებს. საბრძოლველ საშუალებათა შორის ყველაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ვენერიულ სნეულებებთან, ცენტრებში სათანადო დისპანსერებისა და პერიფერიულში ვენერიულ პუნქტების გახსნა, რომელთა სათავეში დაყუნებულნი იქნებიან და ფართო მასში გაჯანსაღებით დაინტერესებულნი საქმაოდ მომზადებული ექიმები.

ვენერიზმთან საბრძოლველად დისპანსერებში თავი უნდა მოიყარონ ყველა საუკეთესო ვენეროლოგებმა. ამ რიგად საქმის დაყენება იქნება მიზანშეწონილი და მაღალი კვალიტეტიაციის მქონე ექიმებისაღმი ნდობით აღჭურვილი ავადმყოფები მეტის სურვილით მივლენ ვენეროლოგიურ დისპანსერებში საექიმოდ და ჩვენი მიზანიც უფრო სასურველად იქნება მიღწეული.

დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი მხარე, საღაც არ მძვინვარებდეს კაცობრიობის დაუძინებელი მტერი— სიფილისი. ჩვენში, საუბედუროდ, უკანასკნელ ხანებში ამ სენმა თავი იჩინა მიყრუებულ სოფლებშიაც, და თუ ეხოდი იმ კულტურულ დაქვეითებას მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ჯერ-ჯერობით დამახასიათებელია ზემოხსენებულ სოფლებისათვის, ყველასათვის ცხადი გახდება რა მკვიდრ ბუდეს იშენებს სიფილისი და რა ღრმად იდგამს თავის საბედისწერო ფესვებს ჩვენი სამშობლოს ისეთ კუთხეებში, რომლებიც დღემდე ჯან-



საღ ადგილებად ითვლებოდნენ. დისპანსერების საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან დაწვრილებით გამოვიყვლით და შევისწავლოთ, ვენერიულ სწრულებათა მხრივ, ხალხის მდგომარეობა, შევიძლიან შევიტანოთ მასებში ფართე სინიტარული განათლება და ღონებზე დავაყენოთ სპეციალური მკურნალობა. პრინციპი უნდა გახდეს წამლობა სრულებით უფასოდ. თუ ჩვენ უარს ვიტვით, არა დაზღვეულ-თა უფასოდ წამლობაზე, ამას ის მოჰყვება შედეგად, რომ უქმიმ და გაუკურნავი დარჩება ავადმყოფთა დიდი ნაწილი. ეს კი დიდათ სახიფათოა ვენერიულ სწრულებათა გავრცელებისათვის; ექიმობის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როსკიპ ქალებს, რომელნიც თვითინ თავს ოჯახის დიასახლისებს უწოდებენ გამოკითხვის დროს. სოფლის სიფილისთან ბრძოლისთვის ჩვენ მიზნად დასახული გვაქვს დისპანსერის განმარტივებული ტიპის ვენერიული პუნქტების გახსნა. ამგვარი ვენერიული პუნქტის გახსნისათვის საჭიროა გამოკვლევა, თუ საღ არის უფრო საჭირო ასეთი პუნქტების გახსნა, ე. იგი საღ წარმოადგენს ვენერიული პუნქტის გახსნა სადღეისო და გადაუდებელ საქმეს. ამ მიზნით დროული და მიზანშეწონილი არის საჭირო ადგილებში გაიგზავნოს სპეციალური ექსპედიციები ან რაზები. ამ გვარი ექსპედიციების და რაზმების მოწყობა, მათი გაგზავნა და ინსტრუქციების მიცემა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სათანადო ორგანიზაციათა ხელში. კვლევა—ძიების მიზნით გაგზავნილ რაზმებს დავალებული უნდა ქონდეთ შეკვრიბონ ყოველი სხვა და სხვა ხასიათის მასალა, მაგალითად, რატომაა გავრცელებული სიფილისი, რა ხასიათის სიფილისია უფრო გავრცელებული და უფრო საღ. ასეთმა რაზმებმა კვლევა-ძიებასთან ერთად უნდა აწარმოვონ სანიტარული, საგანმანათლებლო მუშაობა სათანადო ლექციების და საუბრების საშუალებით, კინოს სურათების ჩვენებით და სხვა. ასეთი მიზნისათვის შეიძლება დაირაზმოს უფროისი კურსების სტუდენტობა, რომელნიც საზაფხულოდ ბრუნდებიან სახლში. მათ უნდა გააცნონ მცხოვრებლები ვენერიულ სწრულებათა შესახებ ელემენტარულ და აუცილებელ ცნებას. მხგავსი საშუალებით ბრძოლა სწარმოებს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ტუბერკულოზურ დისპანსერების სახით. ამ უკანასკნელ ორგანიზაციებს დიდი წნის ისტორია აქვთ. ისინი ბევრად ძველია, ვინემ ჩვენი—ვენერიული დისპანსერები. იქ მომუშავეთ მეტი ცოდნა, დაკვირვება და გამოცდილება აქვთ. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში აყენებს საზოგადოებრივ ვენეროლოგიაში მომუშავეთ. ეს გარემოება მოითხოვს ბევრად მეტს დაკვირვებას, სიღინჯეს და სიფრთხილეს, ის დიდი განსხვავება, რომელიც ასებობს ტუბერკულოზის და ვენერიულ სწრულებათა შესახებ მცხოვრებთა შორის, რომლებიც პარველს უყურებენ, როგორც ერთ სტიქიურ უბედურებას, მეორეს კი როგორც სამარცხინო და დამამცირებელ მოვლენას.

არის კიდევ ერთი კარგი საშუალება სიფილისთან ბრძოლაში, რომელსაც შეუძლიან დიდი საშველი როლი ითამამოს. ეს გახლავთ მხატვრული ლიტერატურა, გამოწენილი სივილიდოლოგი ფურნიე ლალადებდა, რომ სათანადო ბელეტრისტიკას შეუძლიან დიდი დამხმარე როლი ითამამოს სიფილისის მიერ გამოწვეულ და შექმნილ ინდივიდუალურ და სოციალურ მდგომარეობის გაუქმების საქმეში; თვით ფურნიე ასე მოხდენილად და ისე ხელოვნებით და გატაცებით

აწყობდა თავის ლექციებსა, ისე ესაუბრებოდა თავის მსმენელებს, რომ ძნელად თუ ვისიმე მეხსიერებიდან ამოიშლება ის ჭეშმარიტებანი, რომელსაც ასე მჭერ-შეტყველად ღალადებდა ცნობილი სიფილიდოლოგი. იგი ამბობდა: რაც გინდა პოპულიარულად იყოს ჩვენი ლექცია წაკითხული მასის წინაშე სიფილისზე, რაც გინდა მჭერმეტყველად და მოხდენილად ჩატარდეს იგი, რაც გინდა ხმამაღლა იღალადოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი, ვერ შესძლებთ შექმნათ ის შთაბეჭდილება, რომელსაც სტროგებს მხატვრული რომანის ან მოთხრობის წაკითხეა ან და რომელიმე პიესა მოხდენილად ნათამაშევი სცენაზე; რომ თქვენ მიერ ნალაპარაკევი იყოს ყურადღებით მოსმენილი და დახსნომებული მასის მიერ, რომ თქვენი რჩევა-დარიგებანი საჭიროდ ალიბეჭდონ მსმენელთა მეხსიერებაში, ამისათვის საჭიროა რომ თქვენი გადაცემა ისეთ სიტყვებში იყოს ჩამოყალიბებული, რომ ყველასათვის იყოს საინტერესო და გასაგები. ამგვარი გადმოცემა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ბელეტრისტიკის ცოცხალ სახეებს. (თემა სიფილისზე) ლიტერატურა სიფილისზე, ამბობს ვლაგე საზოგადოების და ერთა ცხოვრებაში დაიჭრს საპატიო ადგილს და ითამაშებს დიდ როლს, თუმცა მძიმე როლს, რადგანაც მან უნდა შეაჩინოს მასის სმენა ისეთ საშინელ სნეულებაზე ლაპარაკს, როგორიც არის სიფილისი, მან უნდა მიაჩინოს მოქალაქე აუღელევებრივ იმსჯელოს ისეთ სნეულებაზე, რომელიც წარმოადგენს დიდ უბედურებას. საჭიროა მიექცეს ყურადღება ხალხის ფიზიკურად გადაგვარებას. ძალიან ბევრი მიზეზებია იმის, რომ სიფილისზე დღემდე ძალიან ცოტაა მხატვრულ ლიტერატურაში ნაწერები. ერთად ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩითვალოს ის შემცდარი შეხედულება, ის უხერხულობა, რომელსაც გრძნობენ ჩვენი მწერლები, რომ იღაბარაკონ თავიანთ ნაწარმოებებში ასეთ ვითომდა „უწმაწურ“ საგანზე, როგორიც არის სიფილისი. ამის მიზეზები გახმავთ ერთგვარი მიმართულება ბელეტრისტიკაში, რომელიც გამსჭვალულია იმ აზრით, ვითომდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს არ შეუძლიანთ ემსახურონ უტილიტარულ მიზნებს. ამ მიმართულების თვალსაზრისით უხერხულია რომ მხატვრულმა სიტყვიერებამ არჩიოს საექიმო საკითხები. ამ აზრს ძნელია, რომ დავეთანხმოთ, რადგანაც ლიტერატურაში არ უნდა არკვიოს, გვასწავლოს, არამედ მან უნდა გვაჩვენოს და უნდა მოახდინოს ყურადღების ერთგვარი ფიქსაცია. საექიმი საკითხების წამოყენ ბას და მასზე ლაბარაკს მხატვრულ ლიტერატურაში არა ერთხელ გამოუწვევია მოპირდაპირეთა შეჯახება და კამათი. ბევრს ჩამორჩენილ ექიმს ოლიმპიურის რედიოლურობით დაუწყია მტკიცება, რომ მედიცინა არის ტაბარი რჩეულთაოთის, რომელიც სხვა უცხო ელემენტებისათვის ოცნებას უნდა წარმოადგენდეს; მათი აზრით ექიმები წარმოადგენენ რჩეულ კადრს და მათ შორის პროფესიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ეხლა კი ყველა შეგნებულ მოქალაქებისათვის ეჭვს გარეშეა, რომ მედიცინა მხოლოდ მოიტანს სასურველ ნაყოფს, როდესაც იგი გადაშვება მთელი თავისი ცოდნით ხალხში, თუ შეიძლება ასე ვსტკეთ, და თვისი მხნეობით, ცოდნით, მკურნალობით და დახელოვნებული მიზანშეწონილი საქმისადმი მიღვმომთ იგი მოჰვენს ცოდნის სხივებს ბნელ მასებში და ძირიანად აღმოფხვრის დაუდევრობას, რომელიც უნოყიერესი ნიადაგია ვენერიზმის მოსაგალისათვის. მე-



ძალა და ვენერიზმი არიან განუყრელი თანამგზავრნი. მათ წიხააღმდეგ ბრძოლა უნდა მიზნად ისახვდეს ისეთ საშუალებათა გამომუშავებას, რომელნიც მიმართულნი იქნება იმ პირობებთა „მოსკობისაკენ, რომლებიც ბადებენ მეძაობას და ვენერიზმს, ასეთებია, მაგალითად, გაჭირვება, უმუშევრობა და სხვა. ძველი ზომები, რომელნიც მიმართული იყო მეძავ ქალებთან ბრძოლისაკენ უკვე უფარგისადაა გამოცხადებული, ვინაიდგან ეს ზომები მიზანს ვერ აღწევენ. ამიტომ უნდა იქნეს გამოცხადებული შედგარი ბრძოლა-ყველა პირობებისადმი, რომელნიც ჰქმნიან მეძაობას. ჩვენს სინამდვილეში მეტად რთული და წყეული საკითხი მეძობის საკითხია. ამ საკითხში გამოსჭივივის ის სოციალური ფაქტორები, რომელნიც, ჩვენდა საუბრელუროდ, დგანან საექიმო ნებისყოფის გარეშე. ჩვენი მოლვაშეობა ამ დარგში ნაკლებად არის დამოკიდებული ჩვენს ძალონებებზე და უფრო კი მეტად დამოკიდებულია სხვადასხვა მიმდევრულ სოციალურ პირობებზე. თუ ჩაუკვირდებით ამ საკითხს მაშინ დავრჩმუნდებით, თუ რა სირთულეს შარმოადგენს იგი.

სამუშაო უნდა აღინიშნოს, რომ არა თუ სწორი, არავედ სინამდვილე-  
სთან დაახლოებული სტატისტიკური ცნობები ავადმყოფთა შესახებ არ არსე-  
ბობს და ეს აძნელებს ავადმყოფთა რაოდენობის აღრიცხვას. მივიღებთ რა მხე-  
დველობაში საავადმყოფოების და ამბულატორიების მკარე რიცხვს, მაგალითად,  
ქალ. თბილისში, მივიღებთ რა მხედველობაში აგრეთვე ავადმყოფების სიმრავ-  
ლეს, სადაც უმეტესობა სიფილისით დაავადებულებს შეადგენს, შეიძლება თამა-  
ბად ითქვას, თუ რა საშიშ მომავალს გვიძინებს ეს სენი. ვენერიულ სნეულე-  
ბასთან საბრძოლველი ქ. თბილისში არსებობს ამ ჟამად შემდეგი საექიმო და-  
წესებულებანი: კანისა და ვენერიულ სნეულებათა კლინიკა და მასთან ერთად  
ქალაქის მესამე საავადმყოფო ნა საწოლით, შამავაცდა და ქალთა ამბულატო-  
რიებით. ცენტრალურ სამკურნალოსთან ამბულატორიული მიღება. ხარჭუხის,  
ვერის, ავლაბრის და დიდუბის ამბულატორიები, რკინის გზის საავადმყოფოსთან  
არსებული ვენეროლოგიური განყოფილება ამბულატორიით და წითელ არმიელ-  
თა სამკურნალო დაწესებულებანი.

თბილისის მაზრაში სოფელ წალკში ახლად გაიხსნა ვენეროლოგიური პუნქტი, ვინაიდან ეს უბანი ითვლება ავადმყოფობის გავრცელების შერივ საშიშ-რად. მაგრამ არის ბევრი სხვა აღაგები სულ ახლოს მდებარე თბილისთან. სა-დაც არა ნაკლებადა გავრცელებული ეს სენი. ყველა ზემოხსენებული დაწეს-ბულებები არამც და არამც არ აქმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. საჭიროა გა-ფართოვებული იქნას სპეციალური დაწესებულებები, სტაციონალური განყო-ფილებების გაფართოვება, საჭიროა დიდ საავადმყოფოებში გამოყოფილი იქნეს პალატები ვენერიული სენით დაავადებულთათვის, რომ იქნენ განცალკევი-ბულნი ის პირები, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ სენის გადადების შერივ. მომყავას ავადმყოფთა რიცხვი, რომელნიც მყურნალობდნენ 1924-1925 წ. იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში.

## ଓର୍ବଳି ମନ୍ଦିରାଳୟ

ଅମ୍ବଦ୍ୟଳାରିନାରି

4540 40400

ეროვნული

୪୮

၁၀၈

ბავშვი სულ

ეროვნება	კაცი	ქალი	ბავშვი	უკლ
სომები	807	630	189 =	1626
რუსი	187	375	75 =	637
მუსულმანი	63	21	19 =	103
დანარჩენი	128	89	38 =	255
	2398	1644	498 =	4540

### ხ ე ლ ო ბ ა

კაცები	ქალები
ხელოსანი	582
სოფლის მუშა	248
შავი მუშა	184
უმუშევარი	297
სტუდენტი	197 } 349
მოწაფე	152 } 349
საპროთა მოსამ.	231
მექანიკე—დარ.	60
წითელი არმ.	39
მეეტლე	49
მილიციონერი	82
შოთერი	43
საექ. პერსონალ.	16
ინვალიდი	12
მუზიკანტი	27
გაჭარი ნოქარი	171
მზარეული	8
	2398
	1644

ჩვენის აზრით ვენერიულ სნეულებათა საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხი იქნება მიზანშეწონილი მაშინ, როდესაც მასსა ნათლად წარმოიდგენს, თუ რას უქადის მას ვენერიული სნეულებანი. როდის მივაღწევთ ამ მიზანს? მხოლოდ მაშინ, როცა არა მარტო ექიმი სიცილიდოლოგები, არამედ სხვა დარგის ექიმებიც მიიღებენ—მონაწილეობას ამ სენთან ბრძოლაში. მაშინ შეგვიძლია თამა-მად ესთქვათ, რომ თუ ვერ შევძლებთ საცეკვით მოსპობას ამ დაავადებისას, საგრძნობლად მაინც შევამცირებთ და იგი უკვე აღარ იქნება ჩვენთვის საშიში ისე, როგორც ამ ჟამად.

### თ ე ზ ი ს ე ბ ა.

- დისპანსერების გახსნა ქალაქებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.
- ექსპედიციის ორგანიზაცია ვენერიულ სნეულებათა რაოდენობის გამო საკვლევად და მათი აღრიცხვა.
- ექიმების მომზადება კანის და ვენერიულ სნეულებათა კლინიკაში პრო-ცინციაში გასაგზავნათ.



4. ორგანიზაცია განმეორებითი კურსების ვენერიულ სწერულებათა პრო-  
გინციის ექიმთაცვის.

5. ვენერიულ პუნქტების გახსნა იმ იდგილებში, სადაც უფრო გავრცე-  
ლებულია ვენერიული სწერულებანი.

6. სანიტარული განათლების მუშაობა ფართოდ უნდა იყოს დაყენებული.

7. ყოველივე მიზეზების გამოკვლევა, რომელნიც ხელს უწყობენ ვენერიულ  
სენის გავრცელებას, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. და სათანადო  
ზომების მიღება მათ საჭინააღმდეგოდ.

8. დაოვალიერება და გამოკვლევა სკოლებისა, ბავშვთა დაწესებულებებისა  
და სხვადასხვა ქარხნებისა, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.

9. საჭიროა ბრძოლა ძირითად მიზეზებთან, რომელნიც იწვევენ მედაობას,  
არა მედავ ქალებთან.

10. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ქალის ეკონომიურ მდგომარეო-  
ბას, მისი ოჯახის შემადგენლობას და აგრეთვე არსებობის წყაროს, შტატის  
შემცირების დროს სხვადასხვა დაწესებულებებში.

11. სასტიკი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს იმ პირთა წინააღმდეგ, რომ-  
ლებიც ამა თუ იმ სახით ხელს უწყობენ მედაობის გავრცელებას.

12. ვენერიულ სწერულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ნაყოფიერად ჩასატარებ-  
ლად, აუცილებელია ფართო კვალიფიციური უფასო წამლობა, რომ ივადმყოფს  
შეეძლოს ვისრანაც, სადაც, და როდესაც იგი მოისურ ვებს წამლობის მიღებას.

ეჩ. ა ხეალაბ.

## დასავლეთ საქართველოს რეინის გზელთა საბინაო პი- რობების სანიტარულ დახასიათებისთვის \*)

მუშათა საბინაო პირობების სოციალურ-ჰიგიენურ მნიშვნელობის დახასი-  
ათებას რუსეთისა და საერთოდ უცხოეთის ჰიგიენურ ლიტერატურაში ბოლო  
ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რასაკირველია, ამ მოვლენის უხს-  
ლოეს მიზნებათ უნდა ჩაითვალოს ის საერთო და საშინელი განადგურება და  
დანგრევა შენობებისა, რომელიც გამოიწვია უკანასკნელმა მსოფლიო და აგრეთ-  
ვე სამოქალაქო ომმა რუსეთში. ხსენებულმა მომენტებმა იქნიეს გავლენა სა-  
ბინაო პირობების გაუარესებაზე როგორც პირდაპირი, არტილერიის გამანად-  
გურებელ ცეცხლით, აგრეთვე არსებულ შენობების უყურადღებოთ მიტოვებით  
თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში. ამ ხანაში ახალი ბინები არამც თუ  
არ შენდებოდა, არსებულებსაც შეკეთება იშვიათად ელირსებოდა ხოლმე, რად-  
განაც კაცობრიობის მთელი შემოქმედი ძალები ჩამოაფიქსირდა იყვნენ საერთაშორისო  
გამანადგურებელ ბრძოლაში და მშენებლობისათვის კი ვიღას ეცალა.

მაგრამ საბინაო საკითხების გამწვავებას (სოციალურ ჰიგიენურ თვალსაზ-  
რისით) აქვს უფრო ღრმა და მასთანვე უმთავრესი მიზეზები მსოფლიო სამეცნი-  
ნეო ცხოვრების განვითარების ეტაპში. მსხვილი მრეწველობის განვითარებამ  
გამოიწვია სუკელებან, სადაც კი გამოჩნდა საქართველო წარმოება, მშრომელთა  
ყოფა-ცხოვრების ურბანიზაცია თავის საშინელ უარყოფითი მხარეებით. ინგლი-  
სელებმა, რომელთაც სუკელაზე აღრე იგემეს მსხვილი წარმოების განვითარება,  
თავის ჰიგიენისტის Simpson-ის შემდეგი სიტყვებით გამოხატეს ურბანიზაციის  
მწარე შედეგები. „ძველ დროში დასავლეთში იყო შემოლებული ასეთი ჩვეულე-  
ბა, რომ ყოველ ახალ მეფეს უნდა აეშენებია ახალი ქალაქი. ეს ჩვეულება უსა-  
თუოდ წარმოშვა იმ მიზეზმა, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოველი ქა-  
ლაქი გადაიქცეოდა ისეთ უჯანსალო ადგილათ, რომ საჭირო ხდებოდა უკვე  
მის მიტოვება“ (Simpson Principle of Hygiene).

ურბანიზაციის თან ყვება ყოველდღიურ ცხოვრების ის მოდუსი, რომელ-  
საც Hansemann-მა უწოდა „დომესტიკაცია“ და შეხეთ, რა მნიშვნელობას აძ-  
ლევენ ჰიგიენისტები თანამედროვე დაავადების ამ სოციალურ—ეტიოლოგიურ  
მომენტს.

\*) მოხსენება ტრანსპორტის სანიტარულ ექიმების მესამე საკავშირო თათბირზე ქ. თფი-  
ლისში, 1925 აპრილში.



თითონ Hansemann-ის თანახმად მესტიკაციას აქვს მთავარი მნიშვნელობა მრავალ სწორებათა პატოგენებში, რომელიც გამოიწვევიან ადამიანის სხეულზე ხანგრძლივ გავლენით ოთახის გაფუჭებულ ჰაერისა, ფიზიკურ ვარჯიშობის ნაკლებობისა, საჭმელის სიმღიდრისა აღმგზნებელ ნივთიერებით და სხვებისა.

თანახმად Stiller-ისა და Brugsch-ისა „თანდაყოლილი საზოგადო ასტენია“ სულაც არაა შთამომავლობითი მოვლენა და მისი აღმოცენება დამოკიდებულია არა საქმაო კვებისაგან, ფიზიკურ ვარჯიშობის ნაკლებობისგან და საზოგადოთ იმ მოვლენათა კომპლექსიდან, რომელიც გამოწვეული არიან თანამედროვე ციგილიზაციის პირობების მიერ—Hansemann-ის „დომესტიკაციისგან“.

Gerkner-ის აზრით გადაგვარების საკითხი არის მხოლოდ კვების და ბინის საკითხი.

Tomilin-ს მოჰყავს იმულისში ომის შემდეგ შემდგარ ერთ კომისიის დასკვნები: „მოსახლეობის თვათ პროლეტარულ ნაწილებშიაც ჩვენ კირ შექვდით მემკვიდრეობით გადაგვარების ნიშნებს; აქ ვპოულობთ მხოლოდ ფიზიკურ კეთილგანტყობალების შექნილ დასუსტებას, რომელიც არის შედეგი მხოლოდ სიღარიბისა და არა მემკვიდრეობითი თვისებებისა. საზოგადო პროგრესიული გადაგვარების ნიშნების შემჩნევა აქ შეუძლებელია“-ო.

ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია კიდევ თითონ Tomilin-ის შეხედულება. ის ამბობს: ეხლა შეიძლება დამტკიცებულათ ჩავთვალოთ ის აზრი, რომ შექნილ თვისებების არავითარი მემკვიდრეობითი გადაცემა იმგვრად, როგორც ამას დაუშვებდნენ დარვინი და სპენსერი, არ არსებობს. ჩანასახის პლაზმა არის უტონომიური შექმნი, რომელიც არსებობს სიმბიოზის პირობებში სხეულის პლაზმასთან. ცხოვრების იმ გარეგან მავნე პირობებში, რომელშიაც სცხოვრობს ადამიანი და რომლებიც გამოიწვევენ მის სწრაფ გაცვეთას და ნააღრევ სიკედილს,—შეიძლება სულაც არ იმოქმედონ ჩანასახ პლაზმის შინაგან თვისებებზე, და ასეთ ადამიანის შვილები, თუ კი იცხოვრებენ კარგ პირობებში, შეიძლება მთლად ჯანსაღი იყვნენ და წესირად განვითარებულ ორგანიზმებად. ამ აზრის დასასაბუთებლად მას მოჰყავს ლევერის შემდეგი მაგალითი. ლევერის ლივერპულის ქარხანაში მუშაობდა რამდენიმე ათასი მუშა, რომლებიც ცხოვრობდნენ განსაკუთრებით მჭიდრო საბინაო პირობებში და იძლეოდნენ ძალიან დიდ ავადმყოფიანობას ტუბერკულოზით და აგრეთვე ბავშვთა მაღალ სიკვდილიანობას. მან გადაიტანა ეს ქარხანა ზღვის პირზე და მოაწყო მასთან სანიმუშო ქალაქი—ბაღი „მზის შუქი“. რამდენიმე წლის შემდეგ ნაწარმოებმა ამ ქარხნის მუშათა შვილების ანტროპომეტრიულმა გაზომეამ შედარებით ქალაქის ბაგშვების გაზომვასთან შემდეგი შედეგები აჩვენა: (ცხრილი № 1) როგორც სჩანს ამ ცხრილიდან კარგ პირობებში ჩაყენებულ პროლეტარულ ბავშთა ფიზიკური განვითარება საგრძნობლად სჯობს შეძლებულ კლასთა ბავშვების ფიზიკურ განვითარებასაც-კი.

საბინაო პირობების სოციალურ-ჰიგიენურ მნიშვნელობის დახასიათების დასამთავრებლად ჩვენ დაბოლოს აქ მოვიყვანთ ცნობილ ჰიგიენისტის პროფ. Flügge-ის აზრს, რომელიც ამბობს რომ თუ ტუბერკულოზის საწინაღმდევონ ბრძო-

ცხრილი № 1.

	7 წლის ბავშვები.		11 წლის ბავშვები.		14 წლის ბავშვები.	
	ტანის სიგრძე	წონა გირ- ვანქებით	ტანის სიგრძე	წონა გირ- ვანქებით	ტანის სიგრძე	წონა გირ- ვანქებით
ქალაქის: სკოლები შეძლე- ბულ მოსახლეობისთვის.	45,3	44,1	53,1	61,4	58,2	95
დარიბ კლასთა სკოლები .	44	43	49,7	55,5	55,2	71,1
„მშის შუქის“ სკოლები .	47	50,5	57	79,5	62,2	180,0

ლაში არაა მიღებული ზოშები საბინაო პირობების გაუმჯობესებისთვის, სხვა დანარჩენი მიღებული ზომები მხოლოდ ბუფფონადა არის:

რასაკვირველია, რეინისგზელთა ყოფა-ცხოვრების ჰიგიენურ დახასიათებისთვის საბინაო პირობებს აქვთ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ამ დარღის მუშების უმრავლესობას უხდებათ მუშაობა მოუსვენარ, მუდმივ მიმოსვლის პირობებში, რის გამოც მათ ჯანმრთელობისათვის აუცილებლად საჭიროა ფიზიური და ხერ-ვიულ სისტემის წესიერი დასვენება სათანადო ჰიგიენურ პირობებში. ამის გამო და აგრეთვე იმიტომ რომ რეინისგზელების ნაყოფიერ მუშაობასთან ძალიან მჭიდროდ არის დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის და საზოგადოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარება. მათ საბინაო პირობებს უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ, როგორც ქვემოდ მოყანილ ცნობებიდან დაინახავს მკითხველი, არსებობს ბევრი ნაკლი, რომლების მოსპობაში ჩვენ საექიმო დაწესებულებების პროფილაქტიკურ მუშაობამ შეიძლება მოიტანოს დიდი ნაყოფი.

ამ პირობების გამოსარკვეფად მე მიმდინარე წელში ჩემ სანიტარულ რაიონში (დასავლეთ საქართველოში) მოვახდინე ნაწილობრივი გამოკვლევა საცხოვრებელ ბინებისა რაიონის 6 უფრო მჭიდროთ დასახლებულ ადგილას. გამოკვლეული იყო სულ 775 სახაზინო საცხოვრებელი ბინა და 91 საცხოვრებელი ბინად ქცეული რონოდა, სულ 2808 სული მცხოვრებლებით.

საბინაო კრიზისის უაღრესი გამწვავების პირველი ნიშანია აქ - არსებობა ე.წ. „რონოდების მოსახლეობებისა“ („ვაგონის მისამართი“). დიდი რიცვი რკინის-გზელებისა სცხოვრობს წლიდან-წლამდე რონოდებში (მაგ. ბათომში შეხვდებით ისეთებს, რომელნიც უკვე 3—4—5 წელიწადია სცხოვრობენ საქონლის სადგურებზე გამწრივებულ რონოდებში). ჩვენი ცნობების თანახმად დაკავებულია საცხოვრებლად შემდეგი რონოდებისა:



სამოცვალი  
ცხრილი № 2.

საღვ.	ბათოშში	54
"	სამტრედიაში	8
"	შორაპანში	14
"	ფოთში	15
	სულ	91

ამგვარად 91 ოჯახს (318 სული) სულაც არ აქვთ ბინები, რაღაც რო-  
ნოდაში ცხოვრებას, რასაკვირველია, ვერ ჩავთვლით ბინაში ცხოვრებათ.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ის, რომ სახაზინო ბინებში ცხოვრობს ძალიან-  
მცირე ნაწილი რკინისგზელებისა, სახელდობრ:

ცხრილი № 3.

საღ.	სამტრედიაში	1208 ოჯახიდან	მხოლოდ	258, ე. ი. 21%
"	ბათოშში	945	"	245 " 26%
"	ფოთში	350	"	95 " 27%
"	ქუთაისში	690	"	36 " 5%
"	შორაპანში	640	"	108 " 17%
"	ზესტაფონში	288	"	33 " 12%
	სულ . .	4121	"	775 " 18%

და ამ რიცხვს თუ დავუმატებთ კიდევ 91 ოჯახს, (3%) რომელიც ცხოვ-  
რობს რონიდებში მივიღებთ სულ 866 ოჯახს, ე. ი. მარტო 21% (ან  $\frac{1}{5}$ -ს)  
რკინისგზელების მთელ რიცხვისას, რომელიც ასე თუ ისე დაბინავებული არიან  
სახაზინო ბინებში.

ზოგიერთი, მცირე ნაწილი, საცხოვრებელი ბინა მოთავსებულია სამოსამსა-  
ხურო შენობაში; შემდეგში ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ უფრო ტიპიურ ბინებს,  
რომელიც მოთავსებული არიან მარტო საცხოვრებელ შენობებში. ამგვარ შე-  
ნობათა განხილვა კი ბინათა რიცხვის მიხედვით თითეულ მათში გვაძლევს შემ-  
დეგ სურათს:

ცხრილი № 4.

სახლთა რიცხვი.

ბინათა რიცხვი	სამტრედიაში	ბათოშში	ფოთში	სულ
ორამდის . . . . .	"	"	"	"
3—5-მდის . . . . .	"	"	4	4
6—10 "	1	"	1	2
11—15 "	1	2	3	6
16—20 "	11	1	1	13
21—25 "	1	3	"	4
25-ზე მეტი . . . . .	"	3	"	3



ამგვარად სჭარბობენ მრავალბინიანი სახლები, 15 ბინაზე მეტ რიცხვით; რომელთა რიცხვი შეადგენს 63% (20-ს 32-დან) საცხოვრებელ სახლების საერთო რიცხვისა.

ბინების საშუალო რიცხვი თითო სახლში შემდეგია:

ცხრილი № 5.

საღ.	სამტრედიაში . . . . .	16
"	ბათომში . . . . .	21
"	ფოთში . . . . .	8
"	შორაპანში . . . . .	12
"	ზესტაფონში . . . . .	7
"	ქუთაისში . . . . .	12,
	მთელ რაიონში კი საშუალოთ	11.

ერთ ან ორბინიან საცხოვრებელ სახლს ჩვენ აქ სულაც არ შევხდებით. იმავე დროს კი დასავლეთ საქართველოს ქალაქების და დაბების აღგილობრივი მოსახლეობა სცხოვრობს სწორედ ერთსართულიან პატარა ერთმანეთისგან კარგ მანძილზე დაშორებულ და ეზოთი გარშემოკრულ ხის სახლებში, რომლებიც დადგმულნი არიან მაღალ ავურის ან ტინობის მჭიდრო ბოძებზე; სამზარეულო კი ჩვეულებრივ მოწყობილია სრულიად განცალკევებულ შენობაში, საცხოვრებელ სახლის უკან. მოსახლეობის ასეთი ტიპი, რასაკვირველია, უფრო შეეფერება დასავლეთ საქართველოს კლიმატიურ და ნიადაგის პირობებს, რომელნიც ხასიათდებიან ნიადაგის წყლის მაღალა დგომით და ატმოსფერულ ნამის დიდ რაოდენობით, ე. ი. დიდ სინოტივით, რეინის-გზელთა მოსახლეობანი კი იქვე წარმოადგენენ სრულ წინააღმდეგობას აღგილობრივ მცხოვრებთა მოსახლეობის ჩვეულებრივ ტიპთან. დასავლეთ საქართველოს ქალაქები და დაბები სრულიად ემზადებიან ბუნებრივად ქალაქებს—ბაღებს, საბინაო მშენებლობა აქ თავის-თავად, ბუნებრივად, ემპირიულად, მთელ ჩვენი ისტორიის მსვლელობაში განვითარებულა იმ გზით, რომლითაც ეხლა მიისწრავის დასავლეთის და რუსეთის მუშათა ბინების აღმშენებლობის განვათარება, და რომელსაც უწოდებენ ქალაქ-ბაღების მშენებლობას. რეინის-გზელების ბინების აშენების დროს კი უცხოეთიდან ჩამოსულ „კულტურტრეგერებს“ აღბათ სულაც არ გაუწევიათ ანგარიში, განგებ თუ შეუგნებლივ, ადგილობრივ პირობების და ზნე-ჩვეულებების უცოდინარობის გამო, ადგილობრივ მცხოვრებთა ემპირიზმისთვის საცხოვრებელ ბინების აღმშენებლობის საქმეში, და დასავლეთ საქართველოს კოხტა, ლანაზ და მწვნე ბაღებში ჩამაღლულ დაბა-ქალაქებთან, გაუშენებიათ უცხოეთიდან ჩამოტანილ შაბლონით უზარმაზარი ქვის ტომჩები, რომელნიც ძრიელ მოგვაგონებენ დიდ ქალაქების ღარიბ მცხოვრებთა მჭიდრო დასახლებულ ნაწილებს. როგორც ეტყობა მთელ ამიერ-კავკასიის რეინის გზაზე, რომელიც გადის თავის ბუნებრივ მხრით მრავალფეროვან და ერთი მეორესგან ძალიან განსხვავებულ აღგილებში, საბინაო სახლები უშენებიათ ერთი და იმავე შაბლონით ბაქოში, ევლაბში, განჯაში და აგრძელებულ ფოთში, სამტრედიაში და ბათომშიაც, აღგილობრივ ნიადაგის და ატმოსფერულ პირობებისთვის ყურადღების მიუქცევლად და მათვის ანგა-

რიშის გაუწევლად. ამის მშარე შედეგებს ჩვენ ეხლა ვხვდებით არა მარტო მჭიდრობის სახით, საბინაო ფართის დიდ სივიწროვის გამო, არამედ აგრეთვე იმ ბინების უკიდურეს დანოტივების სახითაც, რომლის გამოც წინეთ, როდესაც კერძო ბინების შოვნა აღვილი იყო, უმეტესობა რკინისგზელებისა, აღვილობრივ მცხოვრებთაგანი მაინც გვერდს უხვევდა სახაზინო ბინებს და სცდილობდა იქ არ ეცხოვა. ცხადია, რომ მათ აშენების დროს სულ არ გაუწევიათ ანგარიში იმ წესითვის, რომელიც გამოთქმულია ამ შრომის წინ მოყვანილ ამერიკელ ჰიგიენისტის Gordon Masken Fair'ის სიტყვებში, რომ ბინათა შენება არსებითად ეროვნულია და მის ხასიათი დამოკიდებულია აღვილობრივ ჰავისაგან, ნიადაგისაგან, ფაუნისგან, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებისგან, ექონომიკურ პირობებისგან და კიდევ ბევრ სხვა აღვილობრივ პირობებისგანამ, რის გამოც არ მოინახება არა თუ ორი სხვადასხვა ქვეყანა, არამედ ერთ ქვეყნის ორი სხვადასხვა ნაწილიც კი სადაც შეიძლება შეგხვდეს ერთი და იგივე ტიპი მოსახლეობისათ.

ჩვენი გამოკვლევის შემდეგი ცნობები ასეთია:

ცხრილი № 6.

საშუალოთ ერთ სახლზე მოდის მცხოვრებთა რიცხვი.

სადგ.	სამტრედიაში . . . . .	61	სული.
"	ბათომში . . . . .	74	"
"	ფოთში . . . . .	29	"
"	შორაპანში . . . . .	21	"
"	ზესტაფონში . . . . .	29	"
"	ქუთაისში . . . . .	45	"

საშუალოთ სუყველგან 41 "

სახლთა რიცხვის განრიგება მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით თითეულ მათში გვაძლევს შემდეგ სურათს:

ცხრილი № 7.

### სახლთა რიცხვი.

მცხოვრებთა რაოდენ. სამტრედიაში. ფოთში. ბათომში. ჯამი.

10-დის	"	"	"	"
20 "	"	4	"	4
30 "	1	1	"	2
40 "	1	"	"	1
50 "	2	"	2	4
60 "	4	2	"	6
70 "	6	"	1	7
80 "	2	"	2	4
90 "	"	"	1	1
100 " და მეტი	"	"	3	3

ამგვარად, როგორც ვხედავთ ამ ცხრილიდან, სჭარბობენ სახლები 50 სულზე მეტ მცხოვრებლებით, რომელთა რიცხვიც შეადგენს 69% სახლთა საერთო რიცხვისა.

ერთ ბინაზე ხვდება საშუალოთ მცხოვრებთა შემდეგი რიცხვი:

ცხრილი № 8.

საღ.	სამტრედიაში	3,6	სული.
"	ბათომში	3,5	"
"	ფოთში	3,5	"
"	შორაპანში	3,7	"
"	ზესტაფონში	5,3	"
"	ქუთაისში	3,8	"
სუსტელგან კი საშუალოთ			3,7

ბინათა განრიგება კი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით სამტრედიაში და ბათომში ასეთია:

ცხრილი № 9.

### ბინათა რიცხვი.

მცხოვრებთა რიცხვი საღგ. სამტრედიაში საღგ. ბათომში

1 სული	29 (13%)	23 (12%)
2 ,,	31 (14%)	33 (17%)
3 ,,	43 (19%)	53 (28%)
4 ,,	49 (22%)	44 (23%)
5 ,,	37 (16%)	22 (12%)
6 ,,	21 ( 9%)	7 ( 4%)
7 ,,	8 ( 4%)	" "
8 ,,	6 (2,5%)	5 ( 3%)
9 ,,	1 (0,5%)	2 ( 1%)

ამგვარად ბინების უმრავლესობას ( $57\%$  და  $63\%$ ) აქვს აქ მოსახლეობა 3—5 სულამდე.

საშუალოდ ერთი ბინა შეიცავს ოთახების რიცხვს:

ცხრილი № 10.

საღ.	სამტრედიაში	1,5	ოთახი
"	ბათომში	1,2	"
"	ფოთში	1,5	"

მცხოვრებთა რიცხვი ერთ ოთახში საშუალოთ ასეთია:

ცხრილი № 11.

საღ.	სამტრედიაში	2,5	სული
"	ბათომში	3,3	"
"	ფოთში	2,5	"

ბინების განრიგება ოთახთა რიცხვის მიხედვით ასეთია:

ცხრილი № 12.

## ბინათა რიცხვი.

ოთახთა რიცხვი თითო ბინაში	საღვ. სამტრედიაში.	საღვ. ბათომში	საღვ. ფოთში
1 ოთახი	111 (49,8%)	166 (82%)	45 (61%)
2 „	109 (48,9%)	21 (17%)	24 (32%)
3 „	3 (1,3%)	2 (1%)	5 (17%)

ასე რომ ბინათა უმრავლესობა შესდგება მხოლოდ ერთ ოთახისაგან, იმავე დროს კი მათ არ აქვთ ცალკე სამზარეულო 50%-ში, ხშირად კი თითონ საცხოვრებელი ოთახიც წარმოადგენს ყოფილ სამზარეულოს. ოროთახიან ბინებში მეორე ოთახით სარგებლობენ როგორც სამზარეულოთი და აგრეთვე საცხოვრებელ ოთახითაც ერთ და იმავე დროს. საჭმელის მომზადება—მოხარუშვა, სარეცხის რეცხა, აგრეთვე სურსათის მარაგის შენახვა ხდება უმრავლეს შემოხვევაში იგივე საცხოვრებელ ოთახში, ასე რომ საზღვარი სამზარეულოს და საცხოვრებელ ფართის შუა არ არსებოს სულაც, გადალახულია. ეს მოვლენაც წარმოადგენს სრულ წინააღმდეგობას ადგილობრივ მცხოვრებთა საცხოვრებელ ბინების ხასიათთან, რადგან დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივ სამზარეულო და სხვა სრულიად გამოტანილია საბინაო შენობიდან გარედ, განცალკევებულ შენობაში, და ამგვარად გატარებულია მტკიცე საზღვარი ბინის და სამზარეულოს შუა.

რკინისგზზელთა სახაზინო ბინების შემდეგ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის რომ ერთოთახიანი ბინები აუცილებლივ მოთავსებული არიან შენობის ერთ ძხრივ, რის გამოც შეუძლებელია მათი სათანადო განივეხდა, რაც კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ნესტიან ბინებისთვის.

საშუალოთ ერთ ბინაზე მოდის შემდეგი საცხოვრებელი ფართი:

ცხრილი № 13.

საღ. სამტრედიაში . . . . .	3,9	წესუართ საერთ
,, ბათომში . . . . .	5,0	,,
,, ფოთში . . . . .	4,4	,,
,, შორიპანში . . . . .	6,5	,,
,, ზესტაფონში . . . . .	6,7	,,
,, ქუთაისში . . . . .	11,0	,,
საშუალოდ სუსველგან . . . . .	5,3	,,

ბინების განრიგება ფართის რაოდენობის მიხედვით გვაძლევს შემდევ სურათს:



## ბინათა რიცხვი.

ფართის რაოდენობა	სამტრედიაში	ბათომში	ფოთში	სუსყელგან
1,5 წესვ. საუ. -- დე.	19 ( 8% )	4 ( 2% )	11 ( 15% )	23 ( 5% )
1,5—3,0 „ „	86 ( 39% )	60 ( 32% )	31 ( 43% )	157 ( 32% )
3,0—4,5 „ „	8 ( 4% )	57 ( 30% )	8 ( 10% )	96 ( 20% )
4,5—6,0 „ „	103 ( 47% )	37 ( 20% )	20 ( 27% )	148 ( 30% )
6,0—10,0 „ „	4 ( 2% )	22 ( 12% )	4 ( 5% )	46 ( 10% )
10,0-ზე მეტი „ „	9 ( 4% )	„ „	13 ( 3% )	„ „

მაშასადამე სჭარბობენ ბინები ფართით 4,5 წესვართ საუნამდას; მათი რიცხვი შეადგენს 57%-ს საერთო რიცხვისა, ე. ი. ბინების უმრავლესობის ნაწილს არ აქვს ფართის ნახევარი ნორმაც კი, რომელიც თანამად შრომის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილებისა უნდა უდრიდეს 9,5 წესვართ საუნამდას.

საშუალოთ ერთ სულზე მოდის შემდეგი საცხოვრებელი ფართი და სიკრცე:

## ციული № 15.

ფართი	სიკრცე
სად. სამტრედიაში 1,08 წესვართ საუ.	1,78 წესსივრც. საუ.
„ ბათომში 1, 4 „ „	2, 3 „ „
„ ფოთში 1, 3 „ „	2,14 „ „
„ ქუთაისში 3, 1 „ „	5, 1 „ „
„ ზესტაფონში 1, 3 „ „	2,14 „ „
„ შორაპანში 1, 7 „ „	2, 8 „ „

ეს ცნობები ერთი შეხედვით სრულიად დამაქმაყოფილებელია, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ განხილული იმ კრიტიკულ თვალსაზრისით, რომ მათში გაერთიანებულია საცხოვრებელი და სამზარეულოს ფართი და სივრცე, და აგრეთვე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ისიც, რომ როგორც სხანს შემდეგ ცხრილიდან: საცხოვრებელი ფართი არაა თანასწორათ გაინაწილებული, შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის 35% აქვს ფართი თითო სულზე 0,48 წესვართ საუნამდას ნაკლები, და რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს (სახელდობრ 66% -ს) აქვს ფართი სულზე 1,1 წესვართ საუნამდე, და, მაშასადამე, რკინისგზელთა უმრავლესობას სულაც არ აქვს ყოვლად უვარებისი და შერეული (საბინაო და სამზარეულოს) ფართის ნორმალური რაოდენობაც კი.

ამ გვარად ჩვენ სდგას სურათი სახაზინო სახლების ნამეტან მჭიდროთ დასახლებისა რკინისგზელებით. თუ დავუმატებთ ამას აგრეთვე იმას, რომ ეს სახლები უკვე ბევრი ხანია არ შეკრებულან, რის გამოც განების უმეტეს ნაწილში ჭერიდან ჩამოდას წვიმა და მრავალ ჭრუტიდან და ხვრეტიდან ათას-გვარი ჰია-ღუა, მეტენარები და ვირობა-თაგვები არავითარ განვითარებას არ აძლევენ შიგ მცხოვრებლებს, ადვილათ წარმოვიდგენთ სრულ უვარებისობას, როგორც

## საზუალო ფართით მრთ სულხე

	0,2—0,45-მდე.				0,46—0,9-მდე.			
	გინების რიცხვი.	გცხლებით რიცხვი.	საცხლელებელი ფართი.	საშუალო ფართი ერთ.	გინების რიცხვი.	გცხლებით რიცხვი.	საცხლელებელი ფართი.	საშუალო ფართი ერთ სულხე.
სადგ. სამტრედიაშვი. 5 (2,2%)	29 (3,7%)	9,16	0'32	47 (22,4%)	208 (26,5%)	154,85	0,73	
სადგ. ბათომშვი . . .	2 (1%)	12 (2%)	4,51	0,38	39 (19%)	22 (34%)	132,67	0,7
სადგ. ფოთშვი . . .	—	—	—	—	35 (47%)	140 (54%)	115,67	0,8
	7 (1%)	41(2%)	13,67	0,3	121(25%)	569 (33%)	403,19	0,48

## შესვართ საზოვებ ში.

0,91—1,35-მდე.				1,36—1,8-მდე.				1,81—ზე მეტი.			
ბინების რიცხვი.	მცხოვრებთა რიცხვი.	საცხოვრებელი ფართი.	საშუალო ფართი ერთ სულწე.	ბინების რიცხვი.	მცხოვრებთა რიცხვი.	საცხოვრებელი ფართი.	საშუალო ფართი ერთ სულწე.	ბინების რიცხვი.	მცხოვრებთა რიცხვი.	საცხოვრებელი ფართი.	საშუალო ფართი ერთ სულწე.
64 (30,4%)	304 (38,8%)	342,38	1,13	60 (28,2%)	175 (22,3%)	267,45	1,53	36 (17%)	68 (8,7%)	152,34	2,24
49(25%)	170 (25%)	187,88	1,1	52 (27%)	130 (19%)	233,79	1,8	57(28%)	137 (20%)	388,11	2,8
11(15%)	44 (18%)	46,07	1,0	18(25%)	49(20%)	69,66	1,4	10(13%)	26(8%)	93,6	3,6
124 (26%)	518 (31%)	576,33	1,1	130 (26%)	354 (21%)	570,9	1,6	103 (22%)	231 (13%)	634,05	2,7

თვისებითს ისე ოდენობითს იმ საცხოვრებელ ფართისა, რომლითაც რკინის გზა აქმაყოფილებს თავის მუშა-მოსამსახურეებს და ისიც მხოლოდ მათ მცირე-ოდენ რიცხვს ( $\frac{1}{5}$ -ს).

მჭიდროთ დასახლება და უქონლობა ვარგისი ბინებისა განსაკუთრებით დაუშვებელია იქ, სადაც გვაქვს ბუნებრივი ძლიერი ნოტივობა და სადაც ძლიერ გავრცელებულია მაღარისა და აუცილებლად საჭიროა, როგორც სახოგადო—ჰი-გიენური, იგრეთვე მაღარისათან წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, იქნეს მიღებული საჭირო ზომები, და საბინაო მშენებლობას კი იქ უნდა მიეცეს სულ სხვა მიმართულება.

თავის თავად ცხადია, რომ აქ სრულიად უნდა მიტოვებული იქნეს ქვის ტომრების სახაზინო, შაბლონური მშენებლობა, ბოლოს და ბოლოს უსათუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში ადგილობრივ მცხოვრებთა ემპირიზმს ამ დარღვში. რა-საკირველია ადგილობრივ საბინაო შენობათა ტიპების იდეალიზაციაც არა სა-სურველია, მაგრამ დაუშვებელია გვერდი ჩავუაროთ და არ შევამჩნიოთ ადგი-ლობრივ მცხოვრებთა მისწრაფება შორი-შორს განკერძოებულ პატარა სახლები-სადმი. ეს მისწრაფება ეხლავე უნდა შევამჩნიოთ და დავსდოთ მას შესაუერი ფასი, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, სანამ ჯერ კიდევ ჩვენი ეკონომიკის ინდუს-ტრიალიზაცია, მასთან თანდაყოლილ ურბანიზაციით და დომესტიკაციით, ეხლა ხან იწყებს მხოლოდ თავის განვითარებას. საჭიროა რომ ჩვენ აღარ გავიმეოროთ დასავლეთის და რუსეთის შეცდომები ამ საქმეში და თავიდანვე მივცეთ მუშათა ბინების აღმშენებლობის საქმეს შესაფერისი, რაციონალური, ჩვენი ქვეყნის ბუ-ნებრივ პირობებთან შეფარდებული მიმართულება, მით უმეტეს ეხლა, როდესაც როგორც რკინის გზაზე, ისე სხვა მრეწველობის დარგებშიაც ფართოვდება ადგი-ლობრივ მუშა-ხელის გამოყენება.

საჭიროა მეცნიერულ-ექსპერიმენტალურ გზით გავარკვიოთ ადგილობრივ მცხოვრებთა საბინაო შენობათა არსებულ ტიპების დადებითი და უარყოფითი მხარეები, და ამ გზით გამოვიმუშაოთ ჰიგიენურ თვალსაზრისით უფრო სასურ-ველი ტიპები საცხოვრებელ სახლებისა საქართველოს სხვადასხვა რაიონისთვის. ამ საქმეს უნდა უმეტეს გულდასმით მოვკიდონ ჩვენი საექიმო და ტეხნიკური ფართო წრეები.

მე ნება მივეცი ჩემს თავს შემეჩერებინა ჩვენი მკითხველთა ყურადღება ამ საკითხზე, რადგანაც აქმდის თითქმის სუსელები არსებობდა და ჩვენში ახლაც არსებობს საექიმო წრეებში დიდი ინდიფერენციზმი ამ საკითხისაღმი, როგორ-საც ასე ახასიათებს კაშკადამის-ი: „ჰიგიენისტების შორის ამა თუ იმ საკითხე-ბის გამოკვლევისაღმი მისწრაფება უფრო მიმართულია სასმელ და უვარების წყლების, ჰიგიენის და საკვებ მასალებისაღმი. საბინაო საკითხებს კი ჰიგიენისტები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ“. თუ ეს ასე იყო ბოლო ხანებამდის რუსეთში, ეხლა იქ სამაგიეროთ ვხედავთ საექიმო წრეებში და ლიტერატურაში ფართოთ განვითარებულ შოძრაობას საბინაო საკითხების გამოკვლევისაღმი და ავრეთვე აქტიურ ჩართვას საბინაო პირობების გასაუმჯობესებელ მუშაობაში.

ჩვენში კი ჯერჯერობით მდგომარეობა ისევ ისეთია. ჩვენ საექიმო ლიტე-რატურაში ვერ შეხვდებით აქამდის ვერც ერთ შრომას ამ საკითხის შესახებ. სა-

ბინაო კოოპერატიული საქმეც ძალიან სუსტადაა განვითარებული, მათში ექიმების მუშაობა არ ჩანს, თითქოს ამ საქმეში ჩვენ ექიმებს არც ერთი ნაკლი არ გვაწუხებდეს, თითქოს ეს სოციალურ-ეტიოლოგიური მომენტი სულ უმნიშვნელო იყოს ჩვენ გაძლიერებულ დაავადებაში. საჭიროა რომ ამ საკითხებს ჩვენც, საქართველოშიც, მეტი ყურადღება მივაქციოთ და შემდეგში მაინც არ დავუამოთ ეს საქმე სრულიად მხოლოდ მარტო ინჟენერებს და ტეხნიკ-ალმშენებლებს, რომელნიც თავის მუშაობაში, როგორც ამბობს კაშკადამოვი ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ თავის ტექნიკურ შაბლონებით და სრულიად ანგარიშს არ უწევენ აღგილობრივ პირობებს. ჩვენი ექიმების ვალია აქტიურად ჩავერიოთ ამ საქმეშიაც და ვაძლეოთ ტეხნიკური ძალები შემდეგში შეუფარდონ ეს საქმე აღგილობრივ ბუნებრივ პირობებს ჰიგიენის უმთავრესი წესების დაცვით მაინც\*).

\* ) ზემოთ მოყვანილი ცნობები იყო მოკლედ მოხსენებული ჩემ მიერ ტრანსპორტის სანიტარულ ექიმების საკავშირო თათბირზე ქ. ტფილიში ამა წლის აპრილში, რომელმაც თავის რეზოლუციაში საბინაო საკითხის შესახებ აღნიშნა აუცილებელი საჭიროება ანგარიშის გაწევისა დაგილობრივ პირობებისთვის ბინების მშენებლობის დროს და დაგმო ყოველგვარი შაბლონიშაცია ამ საქმეში.

ექ. გ. გელოვანი.

## შარდის ბუშტის საზარდულის თიაქრის კაზუისტიკი- სათვის

(ქუთაისის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილებიდან).

გამგე გ. გ. როდევიჩი).

შარდის ბუშტის თიაქარი შედარებით სხვა ორგანოების თიაქართან ქირურგიულ პრაქტიკაში იშვიათად ხვდება და მისი დიაგნოსტიკა უმეტეს შემთხვევაში ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ თითოული მისი შემთხვევა ყურადღების ღირსა. პირველ შემთხვევას შარდის ბუშტის თიაქრისას აღწერს Dominicus Sola 1520 წელს. თიაქრის ოპერატიული ტეხნიკის განვითარების შემდეგ შარდის ბუშტის თიაქრის შემთხვევების აღმოჩენა უფრო გახშირდა. Smidt-ით შარდის ბუშტს უჭირავს მე-7 დე ადგილი შედარებით სხვა ორგანოებთან, რომელიც ლებულობენ მონაწილეობას თიაქრის შემადგენლობაში, მხოლოდ საშვილოსნო და მუცლის დიდი ჯირკვლები მაზე უფრო იშვიათად ხვდებიან. Ayer-მ შეკრიბა სულ 55 შემთხვევა შარდის ბუშტის თიაქრისა. Lotheisen-ით სიხშირე შარდის ბუშტის თიაქრისა, რომელიც ხშირათ ოპერაციამდის გამოუცნობელი რჩება, გამოიხატება 3, 2%. Morin-ით 2, 7%, სალიშვილი 5, 8%. Eggenberger-ის სტატისტიკით 6,778 თიაქრის შემთხვევის მიხედვით შარდის ბუშტის თიაქარი იყო ნახული 75-შემთხვევაში, რაც უდრის 1, 1%. Самохокцкий-მ საზარდულის თიაქრის 300-შემთხვევაში შარდის ბუშტი ნახა 8-ჯერ. ქუთაისის საავადმყოფოში 600 მეტ საზარდულის თიაქრის შემთხვევაში შარდის ბუშტი პირველადა ნახული. ყველა ავტორების სტატისტიკის მიხედვით, რომლებიც სპეციალურათ იყვნენ დაინტერესებული შარდის ბუშტის თიაქრის შესწავლით სიახლის რომ უმეტეს ნაწილათ ბუშტი ღებულობს მონაწილეობას საზარდულის თიაქარში. რუსულ ლიტერატურაში ლევიტ-მა 1903 წლამდი ნახა სულ 4-შემთხვევა შარდის ბუშტის ბარძაყის თიაქრისა. ლიპარტ-ი იხსენიებს თითო შემთხვევას Herniae vesicae obturatoria et herniae vesicae perinealis. Ayer-ის გამოკვლევით საზარდულის შარდის ბუშტის თიაქრის 40-ც შემთხვევაში, შორისის შარდის ბუშტის თიაქარი იყო 8-შემთხვევაში, obturatoriae 3 ჯერ, თეთრი ხაზის 2-ჯერ, საჯდომის და ბარძაყის თითოჯერ. თიაქარი foraminis obturati და ბარძაყის ქონდა მხოლოდ ქალებს. კონიკოვ-ი აღწერს ერთ შემთხვევას თეთრი ხაზის თანდაყოლილ შარდის ბუშტის თიაქრისას. Lotheisen-ის სტატისტიკით 124—შემთხვევის მიხედვით ხნოვანობით ავალმყოფები განიყოფებან შემდეგ ნაირად: 14-წლამდი 4-შემთხვევა, 21—30-დი 7, 30—40-დი 18, 40—50-დი 24, 50—

60-დი 31, 60-წლიდან და ზევით 23-შემთხვევა. გალეპერი-ით საზარდულის შარდის ბუშტის თიაქარი ხვდება მეტ წილად 50—60-წლიდი. აუე-ს 55 შემთხვევაში თიაქარი 40-წელზე ძველით იყო ნახული მხოლოდ 3 შემთხვევაში. აქედან ცხადია, რომ შარდის ბუშტის თიაქარი ჩნდება ხანში შესულობის დროს, ბამაკაცებში უფრო ხშირათ, ვიდრე დედაკაცებში. მიზეზი იმისა, რომ შარდის ბუშტი იშვიათად ლებულობს მონაწილეობას თიაქარში, როგორც მისი შემაღენელი ნაწილი, მდგომარეობს ამ ორგანოს ანატომიურ მდებარეობაში. ცნობილია, რომ რომელიმე ორგანოს თიაქარში მონაწილეობისათვის აქვს მნიშვნელობა მის ანატომიურ მდებარეობას და მოძრაობას. ამ მხრით პირველი აღილი უკირავთ დიდ ბადექონს და წვრილ ნაწლავს. შარდის ბუშტს არა აქვს არავთარი დამოკიდებულობა თიაქრის კარებთან, რომლებშიც მეტ ნაწილად ჩამოდის თიაქარი. ეს კარები არის უმეტეს შემთხვევაში საზარდულის ლრმულები *foveolae inguinialis* რიცხვით 3. Interna, media et externa. როდესაც შარდის ბუშტი რამე მიზეზის გამო გაგანიერდება, მაშინ მისი ანატომიური მდებარეობა შეიცვლება და ის ადვილად ჩამოვა თიაქარში. განკვეთები უჩვენებენ რომ შარდის ბუშტი როდესაც ის ლებულობს მონაწილეობას თიაქარში არის გაგანიერებული, მას დაკარგული აქვს თავისი ელასტიურობა. ასეთი ბუშტი რომ წყლით ავავსოთ, ის ბევრათ არც სიდიდეს მოიმატებს და არც ფორმას შეიცვლის. ამიტომ Werdie-ს აზრით პატარა მიზეზია საკმარისი, რომ ბუშტი ადვილად ჩავიდეს თიაქრის კარებში. ზოგიერთი ავტორები ბუშტის თიაქრის მიზეზად სთვლიან ქვას. Ayer-მ ას-შემთხვევიდან ათ შემთხვევაში ნახა ბუშტში ქვა. Gueterbock-ი იმ აზრისა, რომ ქვა კი არ არის შარდის ბუშტის თიაქრის ბიზეზი, არამედ თიაქარი უწყობს ხელს ქვის გაჩენას. უმრავლესი ავტორების აზრით შარდის ბუშტის თიაქრის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ბუშტში, არამედ ბუშტს გარეთ. დამახასიათებელი თვისება, რომელიც აღმოჩნდა შარდის ბუშტის განკვეთის დროს მდგომარეობს იმაში, რომ მისი კედლები გასქელებულია არა კუნთოვანი, არამედ ცხიმოვანი ქსოვილის მიხედვით. დაკვირვებანი გვიჩვენებენ. რომ შარდის ბუშტის თიაქარს წინ ახლავს ცხიმის თიაქარი ე.წ. Lypocelle. უკანასკნელი შესდგება ცხიმოვანი ქსოვილისაგან, რომელიც აკრავს ბუშტის წინა კედელს. რაც შეეხება იმას თუ საიდან ლებულობს დასაწყისს ეს ბუშტის წინამდებარე ცხიმოვანი ქსოვილი თიოდ და Delaqeniere ამ გარემოებას ხსნია ამ გვარად: ბუშტის გიპერ ტროფიასთან და გაგანიერებასთან დაკავშირებულაა ამ ორგანოს მუცილის წინა კედელზე მიყრდნობა და ამიტომ ბუშტის წინ მდებარე ცხიმოვანი ქსოვილი გაიზრდება იმ მიმართულებით, საითაც წოლა ნაკლებია, ესე იგი გვერდებისაკენ. Gueterbock-ი ბუშტის გვერდებისაკენ ცხიმის განვითარებას ხსნის არა დაკლებული წოლით, არამედ იმ გარემოებით, რომ ამ ადგილს მეტი არეა ცხიმის გასავითარებლათ, ვიდრე ბუშტის უკანა ნაწილში, სადაც ის შეხრდილია მუცილის კედელთან და სწორ ნაწლავთან. ეს ბუშტის წინამდებარე ცხიმოვანი ქსოვილი ერთის მხრით მაგრათ შეეზრდება ბუშტის კედელს, მეორე მხრით ჩავა თიაქრის კარებში და მოღუნებულ ბუშტის ნაწილსაც თან ჩაიტანს. წინამდებარე ჯირკვლის გიპერტროფია, ძველი სტრიქტურები, რომლებიც იწვევენ შარდის დაგუბებას ბუშტში, ხელს უწყობენ შარდის ბუშტის თიაქ-



რის გაჩენას. Eggenberger-ით ანთებითი მოვლენები მცირე მენჯში იწვევენ შარდის ბუშტის შეხორცებას პერიტონეუმთან და თუ კი ახლო არის თავაქარი, ის საზარდულის მიღმი ჩასვლის დროს თან წაიყოლებს შარდის ბუშტს. ამ თეორიებში უმრავლესი ავტორების მიხედვით ყველაზე უფრო საფუძლანია თეორია ლიპომების გავლენის ბუშტის თავაქრის წარმოშობაზე ისე, როგორც Roser-ის თეორიით ცხიმს აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვეულებრივი ბადექონის და ნაწვების თავაქრის წარმოშობის დროს, თუმცა Herulanos-ს Roser-ის თეორიის მოწინააღმდეგის უკვერს თუ რატომ ცხიმოვანი ქსოვილი, რომელსაც უჭირავს ორგანიზმში პასიური როლი, იქნეს შარდის ბუშტის თავაქრის წარმოშობის დროს ასეთ აქტივობას. რაც შეეხება იმას თუ ბუშტის რომელი ნაწილი ჩამოდის თავარში, დაკვირვება გვაჩვენებს რომ მეტ ნაწილად ჩამოდის წინა კედელი. ცნობილია, რომ ბუშტის წინა კედელს პერიტონეუმი არ ფარავს. მაშასადამე აქ თავაქრის ბუშტ არ იქნება ისე როგორც სხვა ორგანოების თავაქრის დროს. Curtis-ის მიერ ნიუიორკის კლინიკებში შეკრძილ მასალებიდან 51-შემთხვევის მიხედვით ბუშტის წინა კედლის თავაქარი ყოფილა 34-ჯერ. იმავე მასალებიდან მხოლოდ 4-შემთხვევაში შარდის ბუშტი ყოფილა დაფარული პერიტონეუმით. არის აგრეთვე შერეული შემთხვევები, როდესაც ნაწილი ბუშტისა მდებარეობს პერიტონეუმის შიგნით, ნაწილი კი მის გარეთ. ასეთი კლასიფიკაცია ეკუთნის Jabauly-ს და Wielard-ს. უხსლოესი შედეგები შარდის ბუშტის თავაქრისა არის შარდის დაგუბება ბუშტის იმ ნაწილში, რომელიც მონაწილეობს თავაქრის შემადგენლობაში. ანთებითი პროცესები შეიძლება გავრცელდეს ზევით თირკმელებისკენ და გამოიწვიოს სიკვდილი ურემიული მოვლენების გამო. დიაგნოსტიკა შარდის ბუშტის თავაქრისა ძნელია არამც თუ თერაციამდე, არამედ ოპერაციის დროსაც. ყურადღება უნდა მიექცეს შარდის დაჭცევას. ზოგიერთ შემთხვევაში შარდის დაჭცევა არა ნორმალურად სწარმოებს. გალერი-ის აზრით შარდის ბუშტის თავაქრის გამოცნობა შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით: თუ ავადმყოფი რამოდენიმე ხნით შეაჩერებს შარდის დაჭცევას თავაქრის აღვილას მას გაუჩნდება მაგარი სიმსივნე. შარდის გამოშვების შემდეგ სიმსივნე დაცხრება. სიმსივნეს რომ ხელი დავაჭიროთ ავადმყოფს მოუნდება შარდზე გასვლა. ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია ის გარემოება, როდესაც ბუშტის თავაქარი ძალიან დიდია. Duplay და სხვები ამბობენ, რომ დიაგნოზი ამ დაავადებისა ადგილი დასასმელია, თუ შარდის ბუშტს ავაგებთ წყლით ის მოიმატებს. ხელის დაჭრით ავადმყოფს შარდზე გასვლა მოუნდება, მაგრამ ეს ნიშნები შეიძლება სრულებით არ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხვრელი ბუშტის ინტრაგერინიალურ და ინტრაადომინალურ ნაწილებს შორის ვიწროა. მეტ ნაწილად როგორც Jmbert-ი ამბობს ბუშტის თავაქრის გამოცნობა შეიძლება მხოლოდ ოპერაციის დროს. როგორც ქვევით მოყვანილ სტატისტიკიდან სჩანს, ლიტერატურაში მეტი წილი ავტორებისა მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სწორი დიაგნოზა ძალიან ძნელია ოპერაციის დროსაც კი და შარდის ბუშტის მთლიანობის დარღვევა ხშირად წარმოადგენს თერაციის არა სასიამოვნო გართულებას. პრატიკამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში შარდის ბუშტის თავაქრის დიაგნოზი იყო დაშული ბუშტის გაკვეთის შემდეგ, როდესაც ჭრილობიდან შარდი გამოვიდა. Curtis-ი ნი-



უიორენგში უჩვენებს, რომ 55-შემთხვევაში ბუშტი, მისი მთლიანობის დარღვევამდი ყოფილა გამოცნობილი მხოლოდ 23-ჯერ. Lotheisen-ით ბუშტის თიაქარი იყო გამოცნობილი ოპერაციამდი თერთმეტჯერ, ოპერაციის დროს 65-ჯერ Eggenberger-ის მასალით 110-შემთხვევის მიხედვით მხოლოდ 18-ჯერ იყო დასმული დიაგნოზი ოპერაციის წინ. Ayer მასალით შარდის ბუშტის თიაქარი იყო გამოცნობილი ოპერაციამდის 14-ჯერ, ოპერაციის დროს 13-ჯერ და ოპერაციის შემდეგ 28-ჯერ. ავტორს მოყავს შემდეგი საინტერერესო მაგალითი ელენეს კლინიური ინსტიტუტიდან. დედაკაცი, 47-წლისა, შემოვიდა კლინიკაში ბარძიყის ჩაჭელილი თიაქრით. კანის, კანქვეშა ცხიმის და fascia superficialis გაკვეთის შემდეგ გამოჩნდა მრგვალი სიმსივნე. ოპერატორმა ის მიიჩნია თიაქრის ბუდეთ და გაჭრა, გამოვიდა ცოტა ოდენი სითხე. შემდეგ გაიჭრა მუცულის კედელი პუბარტის იოგის ზევით. გამოირკვა, რომ ნაწლავებს არავთარი საერთო თიაქრის ბუდესთან არ ქონდათ. თიაქრის ბუდის კედლები მიეკერა კანის ჭრილობას. ჭრილობაში ჩაიდავა იოფოფურომიანი ტამპონი. მეორე დღეს ნახეს, რომ ნახვევი გაიერინთა და შარდი გადმოლილა ჭრილობიდან. სამი თვის შემდეგ ჭრილობა დაიხურა და ავადმყოფი გაეწერა განკურნებული. გალეპერ-ს აგრეთვე მოყავს შემთხვევა, როდესაც მან გაჭრა ბუშტის კედელი თიაქრის ოპერაციის დროს. ვინაიდან ბუშტის გაჭრა ოპერაციის დროს ხშირი მოვლენა შეიქნა Lotheisen-ი ურჩევს თვითეულ თიაქრის ოპერაციის დროს ვიქონიოთ მზათ ბუშტის ინსტრუმენტები. შარდის ბუშტის მთლიანობის დარღვევა იყო სხვა და სხვა ხასიათის. ზოგიერთ შემთხვევაში ბუშტის კედელი მარტო გაიჭრებოდა, ან და ბუშტის ნაწილი, რომელიც შეცდომით მიჩნეული იყო თიაქრის ბუდეთ, მთლად მოიკვეცებოდა. ზოგიერთში კი ბუშტის კედელი მიეკერებოდა ახლო მდებარე ორგანოებს. ბუშტის გამოცნობა ოპერაციის დროს შეიძლება ბევრი ცხიმის მიხედვით. თუ კი მოუხედავად ყოველ გვარი სიფრთხილისა მისი მთლიანობა მაინც დაირღვა, კედელი უნდა გაიკეროს სათანადო წესით. ზოგიერთები ორი დღით უკეთებებს cateter à demeure. სიკვდილიანობის პროცენტი საერთოდ ძალიან მცირეა. ის მატულობს ბუშტის გაჭრის შემჯეგ. Lotheisen-ის 65-შემთხვევაში 12-ჯერ სიკვდილი მოხდა ბუშტის მთლიანობის დარღვევის შემდეგ. 55-შემთხვევაში კი სადაც ბუშტი არ იყო გაჭრილი სიკვდილი მოხდა სამჯერ სხვა მიზეზის გამო. მოვკეუავს ჩევნი შემთხვევა: ავადმყოფი ლ. გ. 62-წლისა, შორაპნის მაზრის მცხოვრები, პროფესიით მიწის მუშა, შემოვიდა საავალმყოფოში 22-ივნისს 1925-წ. საოპერაციოთ მარცხენა საზარდულის თიაქრის გამო, ავადმყოფის დაკითხვიდან გამოიირკვა, რომ სიმძიმის აწევის გამო 20-წლის წინად მას ჩამოუვიდა მარცხენა საზარდულში პატარა კაკლის ოდენა თიაქარი, რომელიც მას ბევრათ არ აწუხებდა. ხუთი თვის წინად თიაქარი ქათმის კვერცხის ოდენა შეიქნა და სიარულის და მუშაობის დროს დაიწყო გაჩრა. ამ დროს ავადმყოფი გრძნობდა წვას შარდზე გასვლის დროს. ვენერიულ ავადმყოფობას და ოლკოპოლიზმს უარყოფს. Status praesens: ავადმყოფი საშუალო ტანისაა, სწორი აგებულობის, საშუალო კვების. to და P № გულისა და ფილტვების მხრით ცვლილებანი არ აღინიშვნებიან. Prostata ნორმალურია. მარცხენა საზარდულში აქვს თიაქარი დაახლოვებით კაცის მუშტის ოდენა. საზარდულის მილის გარეთა რეოლი გაგანიერებული

ლია. ხელის დაჭირებით თიაქარი სავსებით არ სწორდება. 24-ივნისს ქლოროფორმის ნარკოზის ქვეშ გაუკეთდა ოპერაცია, რომელიც გაგრძელდა მთელ ნახევარ საათს, დაიხარჯა 50,0. აპონევროზის გაკვეთის შემდეგ გამოჩნდა ცხიმოვანი სიმსივნე, რომელიც მიჩნეული იყო თიაქრის ბუდეთ. იყო ცდა მისი გამოვანი სიმსივნის ქვეით გამოჩნდა თიაქრის მეორე პატარა ბუდე. მასში ცალქევებისა. სიმსივნის ქვეით გადაისკენა სათანადო წესით და მოიკვეცა. ამის შემდეგ ცხიმოვანი სიმსივნე იყო მჩნეული თიაქრის ბუდის მეორე კამერათ და მისი გამოცალქევების ცდა კვლავ გრძელდებოდა. სათესლე ბაგირაკი ისინჯებოდა ცალქე. ცხიმის სიბევრის მხედვით ეჭვი იყო შეტანილი ბუშტი. იქმნა გატარებული ლითონის კატეტერი, მაგრამ ცუდი დაყირავების გამო მისი წვერი სიმსივნეში არ გამოჩნდა. ამის შემდეგ ცდა სიმსივნის გამოყოფისა გაგრძელდა. ამ მანიპულაციის დროს სიმსივნე, რომელიც შემდეგში შარდის ბუშტი გამოდგა, გაიჭრა ორ აღგილას. კატეტერის გატარებამ, რომლის წვერი გამოვიდა ცრილობაში, დააღასტურა დიაგნოზი. ბუშტის კედელი გაიკერა ორ სართული-ცრილობაში, დააღასტურა დიაგნოზი. ბუშტის კედელი გასწორდა. სახარდულის მიანი ნაკერით, გაუკეთდა cateter a demeurs, ბუშტი გასწორდა. სახარდულის მილი გაიკერა Juca championier-ის წესით. მეორე დღეს კატეტერში გამოდის სისხლიანი შარდი. მესამე დღეს კატეტერი გამოღებულია, ავადმყოფი უჩიგის წვეს შარდის დაჭვების დროს. სისხლი შარდში ცოტაა. 28 ივნისი. შარდის დაწვევა ნორმალურია. სიცხემ მოუმატა, ჭრილობა დაჩირქდა, რამოდენიმე ძაფი ქვევა ნორმალურია. 7 ივლისი. ჭრილობა იწმინდება. 8 ივლისი. გაუკეთდა შარდის ანალიზი: მაკროსკოპიულათ ბევრი ლორწო, რეაქცია ტუტე. ხეცდრითი წონა 1016. შაქარი, გემოგლობინი არ არის. ინდიკანი ნორმა. მიკროსკოპში ტრიკოლო, ფოსფატები და ლეიკოციტები 15-20-თვალთა ხედვის არეში. 15 ივლისს ჰელ ფოსფატები და ლეიკოციტები 15-20-თვალთა ხედვის არეში. 15 ივლისს ჭრილობა ხორცდება, ავადმყოფს მიეცა სიარულის ნება. 25-ივლისს გაეწერა მორჩენილი. მაშასადამე ჩვენს შემთხვევაში გვქონდა შარდის ბუშტის წინა კედლის თიაქარი. დიაგნოსტიკის მხრით ჩვენ შევუერთდით უმრავლესობას ავტორებისას, რომელთა მიერ შარდის ბუშტის თიაქარი იყო გამოცნობილი ოპერატორებისას, ციის დროს ბუშტის კედლის გაჭრის შემდეგ, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენს შემთხვევაში სურათი ნათელი იყო და ბუშტის გაჭრა უნდა მიეწეროს უფრო გაუფრთხილებლობას.

**წყაროები:** 1. Gueterbock. К учению о грыжах мочевого пузыря. (Deutsche Reitschr. für chir., Bd 32, N. 3л. 4. 1891) Военно-медицинский журнал 1891 г. август.

2. Г. Х. Ауэ. К вопросу о грыжах мочевого пузыря медик. обозрение 1891 г. № 5 хир. вестник 1890 г. №№ 10, 11.

3. Curtis. Wounds of the bladder in operations for uernia (annales of surgery) мед. обозр. 1895 г. № 16

4. Lotheisen. Die inguinalen Blasenbrüche (Beiträge rur klin. chirurgie Bd XX) мед. обозр. 1898 г. ноябр.



შარდის ბუმბის საზარდულის თიაქრის კაზუისტიკისათვის, ეროვნული ბიბლიოთეკი

5. А. П. Гальпери. Паходая грыжа мочевого пузыря. Военно-мед. журнал 1909 г. Июн.
  6. В. М. Конюков. Случаи врожденной грыжи мочевого пузыря, хир. архив. Вельяминова 1914 г. кн. 6-ая.
  7. Левит. К Казуистике ущемленной бедр. грыжи Врач. газета 1911 г. № 28.
-

ეპიზო აცდრია ღგებუაძე.

### შემთხვევა ეკლამასის დროს სიბრმავისა \*).

ეკლამპსია ეკუთხნის ისეთ ავადმყოფობას, რომლის წარმოშობის მიზეზი დღესაც არ არის საბოლოოდ გამორკვეული.

ამ საკითხზე არა ერთი მეცნიერის მიერ იყო წამოყენებული ესა თუ ის აზრი, მაგრამ ეკსპერიმენტალურმა ცდებმა ვერც ერთ წამოყენებულ დებულებაში უტყუარი საბუთები ვერ ნახა.

მეცნიერი Bouchard-ი ამტკიცებს, რომ ეკლამპსია არის ერთი მთავარი სახე „ურემიისა“.

ზოგნი ამტკიცებენ, რომ ეკლამპსის მოვლენები მშობიარე ქალის ნერვიულ სისტემის დაავადების შედეგია.

ამ ბოლო ხანებში დიდი გასავალი მიიღო პლაცენტარულ თეორიამ. მეცნიერი Veit-ი და Scholten-ი ამტკიცებენ, რომ მშობიარობის დროს დედის სისხლის მიღებში ვადადიან პლაცენტიდან სინციტიალური ელემენტები, რომელიც არიან შხამის სინციტიატოქსინის მტარებელნი და ესენი სწამლავენ რა სხეულს, იწვევენ ეკლამპსიას.

ეს აზრი თითქმის უმრავლესობის მიერ მიღებულია. ამ რიგად, როგორც ზევით მოგახსენეთ, ნამდვილი წარმომშობი ეკლამპსიისა საბოლოოდ არ არის ჯერაც გამორკვეული და ეკლამპსიას სამართლიანად ეძახიან „თეორიების ავადმყობას“.

მე ამ შაქს მიზნად შევეხო ამა თუ იმ აზრის გაცვლა-გამოცვლას ეკლამპსიის წარმომშობის შესახებ, მხოლოდ ამ მხარეს მე იმდენად შევეხე, რამდენადაც ეს დამეხმარება ჩემი შემთხვევის, როგორიცაა ეკლამპსიის დროს სიბრმავე, ახსნას.

ამა წლის იანვრის თვეში მე მიმიწვიეს ქ. ზუგდიდში, საღამოს ტ საათზე, მოქალაქე მაშა ქაქუთიასთან.

Anamnesis: ავადმყოფი მაშა ქაქუთია ორსულობის უკანასკნელ თვეშია, მოელის მორჩენას სამი კვირის მერე; უკანასკნელი ორი კვირამდის სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა თავს. ორი კვირაა რაც შეამჩნია სახის და ფეხების შეშუცება და შარდის სინაკლებე. ამ დილიდან იგრძნო საშინელი თავის ტკივილები, პირს აღებინა, ერთი საათია რაც სრულიად თვალთ დაუბნელდა, არას-ფერს ხედავს. დილიდან ჩაწერა ლოგინში. მუცლის ტკივილებს არ გრძნობს; ყავა

\*) მოხსენებულია ქართველ ექიმთა III კონგრესზე.

სამი შვილი, მეოთხე ჯანმრთელი დაებადა და მერე მოკვდა; ავადმყოფის ორ-სულობაც და მშობიარობაც ყოველთვის ნორმალურად მიმდინარეობდა. 7 წელია რაც ორსულად არ ყოფილა, ალკოჰოლს არ ხმარობს, ვენერიული აფალ-მყოფობით ავად არ ყოფილა. ცხოვრების პირობები კარგი აქვს; ბინა კარგი, ჭამა-სმა საკმარისი.

Status praesens: სახით ვა, კარგი კვებისა და სწორი მოყვანილობისა. შუბლის ძვალზე დაჭირების დროს გრძნობს საშინელ ტკივილებს, თვალის გუგა ოდნავ დავიწროვებული აქვს; გულის ტონები აჩქარებული აქვს, პირისახე და ფეხები შეზეპებულია; t<sup>o</sup> ნორმალურია; ორსულობის მე-9 თვეში საშვილოსნოს ყელი თითქმის დახურულია. მხედველობა სრულიად დაკარგული აქვს.

სიბრძნეები დამაფიქრა, გადაწყვეტით არა მითქვამს რა. ავადმყოფს დაუნიშნე ანტიპირეტიკა და მივეცი რჩევა: თუ ავადმყოფის მცგომარეობა გართულ-და, შემატყობინეთ მეთქი. 1) 2 საათის შემდეგ ისევ მიმიწვიეს. ახლა კი ჩემს თვალწინ გარდაიშალა სრული სურათი ეკლამპსიისა: კრუნჩება კლონიური, რომელსაც სკვლიდა ტონიური, ნათლად გამოხატული ობისტოტონუსი, კისრის კუნთები დაკიმული, კბილების ლრაჭუნი და ქაფი პირიდან. შეტევას ახალი შეტევა მოსდევს 5-10 წუთის დასვენებით.

ავადმყოფთან რჩევისათვის მოწვეულ იქნა ექ. მუჯირი; ეკლამპსიის დიაგნოზი მიღებულ იქნა. ავადმყოფს დაენიშნა მორფოუმი კან ქვეშ და ქლორალ ჰიდრატი იყნით; გადაწყვეტით ნაყოფის დაუყონებლივი მოშორება; მაგრამ ეს ქმრის რჩევით და თხოვნით გადადებულ იქნა მეორე დილამდის. ავადმყოფთან დატოვებულ იქნა ბებია ქალი.

მეორე დილას კრუნჩების შეტევები, მორფისა და ქლორალჰიდრატის ზეგავლენით შენელებული იყო, ავადმყოფს გათენებისას ნაყოფი თავისით გამოეგდო. შეტევები კრუნჩებისა მეორე და მესამე დღეს გრძელდება, მხოლოდ ერთობ მოკლედ და არა ხშირი იყო. მეოთხე დღეს კი სრულიად შეწყდა. სიბრძნევა კი ისევ გრძელდება, როგორც შეტევამდის იყო. ავადმყოფის შარდი გაშინჯულ იქნა მეორე დილითვე, შარდში, აღმოჩნდა ცილა 2 promille, რაც კრუნჩების შეტევები ნელდებოდა შარდი მით მეტი გამოსდიოდა, მე 5 დღეს შარდი ხელახლად იქნა გასინჯული, ცილა არ აღმოჩნდა. მეექვსე დღეს დილით ავადმყოფს მოულოდნელად დაუბრუნდა მხედველობა.

ჩვენთვის საინტერესო არის გავიგოთ, თუ რა იყო მიზეზი ეკლამპსიის დროს სიბრძნეებისა.

პროფესორი ბუმი აღნიშნავს, თუ რა იყო მიზეზი ეკლამპსიის დროს სიბრძნეებისა.

პროფესორი ბუმი აღნიშნავს, რომ ეკლამპსიის დროს შესაძლებელია თვალებში მხედველობის აჭრელება (пестрение в глазах), სიბრძნეზე და ისიც ორივე თვალების სრულ სიბრძნეზე, ის არას ამბობს.

ცნობილი ოკულისტი კრისტიანი ამბობს, რომ ამავრობზი, ისიც ორივე თვალებზე ჩნდება ტკინის მოწამვლის დროს, როდესაც წყდება, ან ერთობ მცირდება შარდის დენა და ხდება სხეულის ინტენსიურია შარდის სხვა და სხვა შემაღენელი ნაშილებისაგან; ასეთი ამავრობზი, მომეტებულ შემთხვევებში,



საქართველოს

კულტურული

ჩნდება მშობიარობის დროს და ამას ის უწოდებს „ურემიულ ამავროზეს“. კოიუკოვი ამბობს, რომ მხედველობა რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ უბრუნდება ავადმყოფს.

მე, ამ ჩემი შემთხვევიდან ვსარგებლობ რა მეცნიერი Bouchard-ის დებულებით ერთის მხრით, რომ ეკლამპსია არის ერთი მთავარი სახე ურემიისა და მეორეს მხრით ოქულისტი კრიუკოვის ახსნით ურემიულ ამავროზის შესახებ, გამომყავს ის დასკვნა, რომ ეკლამპსიის წარმომშობი უნდა იყოს ურემია. თუ არა ეს, რით შეგვიძლია აგხსნათ ურემიული ამავროზი ორივ შხარეს და ეკლამპსიის მოვლენები.

---

## ს. გიორგი ბარათაძე.

ნევროპათალოგის დოქტორი.

### ბიოლოგიური რეაციების მნიშვნელობა ნევროპათოლოგიაში \*)

როგორც ბიოლოგიურს, ისე კლინიკურ მეთოდს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნერვულ სწორებათა დიაგნოსტიკისა და ორაპიდისათვის. შემცდარი იქნება ისეთი აზრი, რომელიც ერთ-ერთს მათგანს განსაკუთრებულად გადაჭარბებულ მნიშვნელობას მიაკუთხნებს. ასეთია უმრავლესობის შეხედულება ამ საკითხზედ. განიხილავს რა სხვა და სხვა სალაბორატორიო მეთოდებს სიმპატიური ნერვული სისტემის დიაგნოსტიკისას, Guillaupe თავის მშენები მონოგრაფიაში ერთს ადგილზედ სწერს: „კლინიკური კონცეპტია არც ისე მოკლებულია მნიშვნელობას, როგორც ეს ზოგიერთ ლაბორატორიის მუშაკებს გონიათ“ (Le Sympathique გვ. 14). მეორე ადგილას იგი დასძენს: „არასოდეს კლინიკურ და ბიოლოგიურ ფაქტების დაპირდაპირების დროს არ უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ერთს და უნდობლად მოექცე მეორეს, არამედ უნდა ეცადო ერთსა და მეორე წყაროდან მიღებული ფაქტები თანასწორ საფეხურზედ დააყენო, მოსძებნო მიზეზი მათ შორის არსებულ წინააღმდეგობისა და კიდევ ერთხელ დაარწინო შენი თავი, რომ ლაბორატორიის მიერ მოცემული ფაქტები უფრო მაღალი, შეუცოდველი კი არ არიან, არამედ კვლევის გაგრძელებას წარმოადგენერი იმ მიმართულებით, რომლისკენაც უამისოთ სკოლა შეუძლებელი იქნებოდა“-თ (იქვე 158).

Targowla კი თავის შრომაში ჰემორალური სინდრომების მნიშვნელობის შესახებ p.-p.-ს დიაგნოსტიკისათვის ბოლოში დასძენს:

„ბიოლოგიური დიაგნოსტიკა პროგრესული სიდამბლისა ტექნიკური პრობლემა კი არა, კლინიკური პრობლემა არის (Pr-med. № 7, 1925)

ცხადია უკამათოთ, რომ სალაბორატორიო მეთოდებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი ლირის არიან ჩვენი ყურადღებისა, შესწავლისა და შეფასებისა.

მხოლოდ ზემოდ აღნიშნული პირობების დაცვა აუცილებელია. საჭიროა არსებული მეთოდების სიფრთხილით ხმარება, რადგან უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს დებულება, რომელიც აღიარებს, რომ რაც უფრო ფაქიზია გამოკვლევის მეთოდი, მით უფრო ლირებულია იგი, მაგრამ მართალია ისიც, რომ სწორედ ასეთი მეთოდი იძლევა უფრო დიდს პროცენტს შეცდომებისას.

მექნება რა მხედველობაში აქ მოყვანილი აზრი, შეუდგები საკითხის განხილვას.

\*) წაკითხულია სამკურნალო ფაკულტეტის სხდომაშედ, როგორც საცდელი ლექცია დაცენტის თანამდებობის მოსაპოვებლად.



მე არა მაქვს მხედველობაში წარმოგიდგინოთ ნუსხა ყველა იმ რეაქციებისა, რომელიც ნევროპათოლოგიაში იხმარება. ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ჩემს მიზანს არც კი შეეფერება. მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება იმ რეაქციებზე, რომელთაც მოქალაქობრივი უფლება მოიპოვეს, რომელთა ხმარება მიღებულია და რომელთა მნიშვნელობა ასე თუ ისე საკმარისად გამორკვეულია.

აქ საგანი ორად უნდა გაიყოს. ნაშილი რეაქციებისა დანიშნულია ნერვული სისტემის იმ ნაშილის მდგომარეობის გამოკვლევისათვის, რომელსაც სომატიური ანუ „დამოკიდებულებათა ნერვული სისტემა ჰქვიან“. ეს ის ნაშილია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც თავის და ზურგის ტვინს მათი ჰერიფერიული ნერვებით და უმაღლეს გრძნობათა ორგანოებით.

იგი დანიშნულია გარემოსთან ბრძოლის; ღროს ორიენტაციისთვის, რის-თვისაც მას მოძრაობის, მგრძნობელობის და ორფლექსების ფუნქციები აქვს მინიჭებული. დღემდე ჩვენ მხოლოდ ეს სისტემა გვაინტერესებდა, მის ფუნქციებსა და პათოლოგიის ვანდომებდით ჩვენ ჩვენს შრომასა და ღროს; მთელი ირ-სებული ნერვული პათოლოგია ამ ნერვული სისტემის პათოლოგიას წარმოადგენს. მაგრამ არის მეორე სისტემა ნერვებისა, რომელიც ანატომიურად ცნობილი იყო ძველადაც, მაგრამ ფიზიოლოგიურად და კლინიკურად მისი შესწავლა კი სრულიად ახალი საქმეა. მე სიმპატიურ ნერვულ სისტემაზედ, ან უცემ რომა ვსთქვათ, ორგანო-ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე ვლაპარაკობ. ეს მეორე ნაშილი, რომელსაც მოცულობით უფრო მცირე აღგილი უკავია, და რომლის წარმომადგენლობა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეადგენს ფრიად მნიშვნელოვან ნაშილს ნერვული სისტემისას. მისი ფუნქციათა მაშლი იძლევა პათოლოგიაში ცნობილ მრავალი მოვლენებს. ეს სისტემა უფრო ნაკლებად არის შესწავლილი. ამ სისტემის პათალოგიის შესწავლა ჯერ-ჯერობით განსაკუთრებულ პიროვნებათა როგორ წარმოდგენს. ამიტომ არის, რომ დღეს მე მინდა შევეხო იმ რეაქციებსა, რომლებიც ამ მეორე სისტემის მდგომარეობას აშუქებენ.

საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ ეს სისტემა გატოტვილია ყველა ორგანოებსა და ქსოვილებში, რომ იგი აწარმოებს გულის, სასუნთქვი ირგანოების, ნაწლავების, თირკმლების ქსოვილის ფუნქციათა რეგულიაციას, რომ იგი ორგანიულად და ფუნქციონალურად დაკავშირებულია ენდოკრინულ სისტემასთან, რომ ჩვენი ინტერესი ამ სისტემის მიმართ სრულიად საფუძვლიანად ჩავთვალოთ აქ ჩვენ უნდა შევეხოთ ფარმაკოლოგიური აგენტებით და ჯირკველების ექსტრაქტებით გამოწვეულ რეაქციებს და ე. წ. ბაზალურ მეტაბოლიზმის ცდას, რომელსაც ამ უამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ სიმპატიურ ნერვული სისტემის იმ ნაშილის მუშაობის გამოსაკვლევად, რომელიც თვით ქსოვილთა ანატომიური ცხოვრების რეგულიაციას აწარმოებს.

--

დავიწყებ სომატიურ ნერვული სისტემის ბიოლოგიურ ან, რომ უკეთ ვსთქვათ, ჰუმორალური რეაქციებიდან.

ყველა რეაქციები, რომელსაც მე მინდა შევეხო, დანიშნულია ორგანიზმი და განსაკუთრებით ნერვულ სისტემაში სპეციფიურ ინფექციის აღმოჩენისათ-

ვის. ცნობილია, რომ თითქმის ნახევარი ნერვულ სისტემის დაავადების კლინიკური ფორმებისა „სიფაილიტიური ეთიოლოგიისა“ არიან.

არიან ისეთი ფორმები, რომელთაც შეიძლება ქონდეთ როგორც სიფილიტიური, ისე არა სიფილიტიური ეთიოლოგია: მაგ. პერიფერიული ნერვული სისტემის დავადების მაგალითებიდან: ნეირიტები განსაკუთრებულ ნერვთა, პოლინევრიტები.

ზურგის ტვინის ფორმებიდან: პოლიოიმიელიტი, სიჩინგომელიური სინდრომები, კომპრესიული სინდრომები, სხვა და სხვა ფორმები პროგრესიული ატროფიებისა, სპასტიური დამბლა.

თავის ტვინის ფორმებიდან: ჰემიპლეგია, თავის ქალაში წნევის აწევის სინდრომები, ჰიდროცეფალია, მენინგიტები. ზოგი ფორმები კი მხოლოდ სიფილიტიურ ინფექციის შედეგად ითვლებიან, მაგ: Tabes-ი და პროგრესიული დამბლა. მაშასადამე, სიფილისის გამოცნობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაღაცაც ეს გამოცნობა მოვცემს საშუალებას ენერგიული ზომები მივიღოთ სნეულებასთან ბრძოლის დროს.

მოვიგონოთ ის დრო, როდესაც სრულიად უარყოფდენ ნერვული სისტემის მნიშვნელობას სნეულებათა განვითარებისათვის:

Hunter'-ი ათავსებს ნერვულ სისტემას იმ სასიცოცხლო ნაწილთა რიგშით, სწერს Vernet 1887 წ. თავის შრომაში p.p ს შესახებ „რომელთაც შეიძლება სრულიად არ აქვთ ავალმყოფობაზედ გავლენა“.

ამ ხანას მოყვა პერიოდი, როდესაც უკვე მიმხვდარი არიან ნერვული სისტემის მნიშვნელობას, მაგრამ სრულებით არ აქვთ წარმოლენილი მის ნაწილთა მნიშვნელობა სხვა და სხვა ფორმების განვითარებისათვის.

ნერვული სნეულებანი ითვლებიან ექსტრაორდინარულად, მათ ზოგჯერ „ორთქლის სნეულებათა“ სახელს არქმდება. არ არსებობს აღწერა სხვა და სხვა ფორმებისა. ყოველგარ მოძრაობის მოშლას დამბლას უწოდებენ.

გენიალური აღმოჩენა Duchenne de Boulogne-ისა იმ Duchenne-ისა, რომელმაც ჩაყარა საფუძველი თანამედროვე ელექტროფიზიოლოგიისა, საშუალებას იძლევა კლინიკური ფორმების გარჩევისას. Duchenne უკვე არჩევს დამბლას ატაქსისაგან, რის გამოც დამბლა გამოყოფილია tabes-ის სურათიდან. უკანასკნელ ლოკომოტიულ ატაქსის უწოდებენ.

შემდეგ იწყება ბრწყინვალე პერიოდი ნეროპათოლოგიის სამეცნიერო განვითარებისა. Charcot აარსებს სპეციალურ განყოფილებას Salpêtrière-ში და ანატომო-კლინიკური მეთოდის საშუალებით ამყარებს საფუძველს თანამედროვე სამეცნიერო ნეროლოგიისას. Charcot განმარტავს მრავალ კლინიკურ ფორმებს, აღმოჩენას ახალ ფორმებს და ასაბუთებს მათ თავისებურებას ანატომიური შესწავლით: ამიოტროფიული გვერდითი სკლეროზი, გაფანტული სკლეროზი—მისი სახელის სნეულებანი არიან. იგი ამყარებს განსხვავებას ფუნქციონალურ და ორგანიულ სნეულებათა შორის და შეისწავლის დიდათ გავრცელებულ და საიდუმლოებით მოცულს ისტერიას.

Charcot-ის მოწაფეები საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში აწარმოებდენ მუშაობას კლინიკურ ფორმების შესწავლისთვის და რიცხვი ნერვულ სნეულებათა



ახალი ფორმებისა სწრაფად იჩრდება: ზურგის ტვინის დაავადების ფორმები, რომელთა შორის სპასტიურ პარაპლეგია Erb-ის მიერ არის აღმოჩენილი და შესწავლილი, ატროფიის სხვა და სხვა ფორმები და მრავალი სხვა.

ეს არის პერიოდი ნევროპათოლოგიის სამეცნის ზრდისა. ამ ხანადვე ვრცელდება ტვინის პიროლოგიურ შესწავლა და ვითარდება. მცნება ფუნქციათა ლოკალიზაციის შესახებ. Fritz და Hitzig-ის ცდები გადატანილია კლინიკაში და Charcot და Pitre-ის მეოხებით შედგენილია გეოგრაფიული ქარტა თავის ტვინისა.

ამავე მიზანს ემსახურებიან Obersteiner-ის და სახელგანთქმული Monacov-ის შრომანი ტვინის ფუნქციების ანატომიური ლოკალიზაციის შესახებ.

ვითარდება მცნება აუაზიის და მეტყველების ტენტრების ლოკალიზაციის შესახებ.

Tabes-ის და p. p-ს კლინიკური შესწავლა სვამს საკითხს მათი ეთოლლოგიის შესახებ. მაგრამ ეს საკითხი გადაუშევეტელი რჩება, რადგანაც ჯერ ბიოლოგიური მეოხედი კიდევ ხმარებაში არ არის.

ნევროპათოლოგია, როდესაც მისი სამეცნი საქმარისად დიდია, შეუდგება სნეულებათა გამოკნობის მეოხედის გაუმჯობესებას.

ხშირათ შეცდომანი და ორვე-დარვევა ფუნქციონალურ და ორგანიულ შემთხვევათა შორის და თერაპიის მხრივ არვე დარვეს იწვევენ. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს სიმპტომათოლოგიის განვითარებისაკენ მისწრაფებას. ამ შესწავლას აწარმოებს საუკეთესო ძალები მაშინდელი კლინიკისტებისა. ვითარდება სემიოლიგიური მიმართულება ნევროპათოლოგიაში.

ამ დრომდე ნერვულ სნეულებათა გამოცნობა ემყარება ავადმყოფის ყოფა-ქვების დაკვირვებაზედ. ადამიანი ცუდად დადის—ცალი მხარე მისი სხეულისა ცუდათ მუშაობს—ეს ჰემიპლეგი არის; ადამიანი ცუდათ დადის, მაგრამ მას დაბბლა არა აქვს; ფეხებს კი განზედ ისკრის—ეს არის ატაქსია; ადამიანის კუნთები ძალზედ გამხდარია—ეს არის ატროფია და სხვა.

ამ ნიადაგზედ ისეთი ნიშნების აღმოჩენა, როგორც არის Westfal-ის ნიშანი—ე. ი. მუხლის რეფლექსის დაკარგვა tabes-ის ღროს, Romberg-ის ნიშანის და Argyll-Robertson-ის ნიშანის აღმოჩენა იმავე სნეულების ღროს დიდ წინსვლას წარმოდგენს. ელექტრო-დიაგნოსტიკის განვითარებას, რომელიც აღმოჩენის და შესწავლის დიდება Erb-ს, Remak და Duchenne-ს ეკუთვნის, შეაქვს შუქი ატროფიების კლასიფიკაციაში. მაგრამ ნამდგილი აყვავება სიმპტომატოლოგიურ ხანისა, იწყება Babinski-ის შრომებით. ეს განსაკუთრებული ნიჭის Charcot-ს მოწაფე წმინდა კლინიკური მეოხედის საშუალებით აღწევს სიმპტომატოლოგიის ისეთი განვითარების დამყარებას, რომლის მოწმენი ჩვენ დღესა ვართ. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ვისარგებლებ პროფ. Guilain-ის სიტყვით, რომელიც Charcot-ს ღლესასწაულზედ მან Baibinsk-ის მიმართა: „და თქვენ ბ-ნ არა Babinski-Charcot-ს მოწაფევ, ნევროლოგიური. საზოგადოება გიძლვნით მაღლობის შრომათა იმ განმაცვითობებელ სერიისათვის, რომელიც თქვენ მას მიართვით, თქვენ რომელმაც აღწერეთ ნიშანი მთელი ქვეყნის მიერ ცნობილი (Babinski ს ნიშანი), განმარტეთ პატარა ტვინის მთელი სიმპტომატოლოგია, თქვენ რომელმაც გვასწავლეთ ზურგის ტვინის კლინიკისათვის სიმპტომატოლოგია, რომლის საშუა-

ლებითაც თქვენ ხელმძღვანელობდით დოსტაქებს ავაღმყოფთა ვანკურნვისათვის, იმ ავაღმყოფთა, რომელნიც უთქვენოდ დავრდომილნი დარჩებოდენ.

ბ-ნო Babinski, თქვენ მიანიჭეთ ჩვენს ქვეყანას დიდება, რომლითაც იგი ამაყობს".

არ შეიძლება უკეთესი დახასიათება Babinski-ის შრომებისა: მან გვასწავლა ნერვული ავაღმყოფობის ისეთი შესწავლა, რომელიც სამაგალითოა ყველა სხვა დარგის წარმომაღენელისათვის; ამისი გავლენით შემუშავდა ახალი თეორია ისტერიის შესახებ, რამაც საშუალება მოგვცა ამ ავაღმყოფობის საზღვრები ფრიად ძლიერ შეგვევეცა. შესაძლებელი შეიქნა ნერვულ სნეულებათა დეტალური ლოკალიზაცია. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტვინის ქირურგიის განვითარებისათვის, და ნერვული სისტემის სნეულებათა თერაპიაც გაუმჯობესდა, რადგანაც შესაძლებელი შეიქნა მათი ნააღრევი დიაგნოსტიკა. მაგრამ ნერვულ სნეულებათა ექიმობა ვერ განვითარდებოდა მანამ, სანამ მათი ეთიოლოგიის საკითხი ბნელი დარჩებოდა.

ბაქტერიოლოგიის განვითარების საშუალებით აღმოჩენილი იყო ზოგიერთ სნეულებათა ინფექციური ეთიოლოგია. ჯერ-ჯერობით ამან პრაქტიკული შედეგები ვერ მოგვცა.

მხოლოდ ზოგიერთ სნეულებათა სიფილიტიური ეთიოლოგიის აღმოჩენამ დიდი სამსახური გაუწია ნეკროპათოლოგიას.

პირველ ხანებში ეს ეთიოლოგია ფრიად საკამათო საგანს შეადგენდა.

ზოგი სრულებით უარყოფდა სიფილისის მნიშვნელობას ნერვულ სნეულებათა ეთიოლოგიისათვის, ზოგი კი სცნობდა ერთგვარ კავშირს, მაგრამ tabes-ს და p.p-ს ნერვული სისტემას სიფილისად არ სთვლიდა. მეფობდა ე. წ. მეტასიფილიტიური თეორია Fournier-ხი.

საინტერესოა ეს კამათი და ამისი შედეგი, რომელსაც მე გავეცანი პარიზის სამეცნიერო სამკურნალო აკადემიის 1905 წლის, ანგარიშიდან Vernet-ს დისერტაციიდან 1887 წლისა და Leredde-ის შრომიდან, რომელიც 1903 წელშია დაწერილი. Vernet-ს თავის დისერტაციის ისტორიულ ნაწილში მოყავს Esmarck-ის და Jessen-ის აზრი, რომელნიც სთვლიდნ, რომ p. p. ყოველთვის სიფილიტიური ბუნებისა არისო. Munk-ი კი იღებს მხოლოდ სიფილიტიურ „პსევდო-დამბლის არსებობას. Grasset-ის აზრით პროგრესიული დამბლა სიფილისიანებს ხვდებათ, მაგრამ ყველა იმ აზრის არის, რომ სნეულებათა შორის არსებობდეს დამკიდებულება მიზეზისა—შედეგთანაო.

თვით დისერტაციის ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სიფილიტიური წარმოშობის პროგრესიული დამბლა არსებობს სინამდვილეში და იდენტიურია პროგრესიულ დამბლასთან სიმპტომატოლოგიურად. ამაში არწმუნებს მას ის გარემოება, რომ სპეციალური წამლობა სიფილისისა აუმჯობესებს პროგრესიული დამბლის მიმდინარეობას, იწვევს ისეთს ხანგრძლივ გაუმჯობესებას, რომელიც ნებას გვაძლევს ვიზუალურ რემისიაზედათ. სხვა შემთხვევებში კი შესამჩნევ გაუმჯობესებას იწვევს.

ცხადია, რომ ამ ხანაში პროგრესიულ დამბლას არ სთვლიან ტვინის სიფილისის განსაკუთრებულ ფორმად.



უმეტესობა საკითხსაც კი სვამს იმის შესახებ, რომ ის პროგრესიული დამბლა, რომელიც სიფილისიანებს ემართება, დამოკიდებულია თუ არა სიფილისზედათ.

ამ საკითხის გადაწყვეტა რომ ბნელი იყო, ამას შემდეგიც გვაჩვენებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1889 წ. და 1891 წ. Fournier-მა იღმოაჩინა 100 tabes-იანში 93 სიფილისით ავაღმყოფი, Erb-მა 89 სიფილისიანი, Strumpel მა 90, Dejerine-მა 97, Raymond-მა 90, Quinque-მა 100%, მიუხედავად ამისა tabes-ს მაინც სიფილიტიურ სნეულებად არ სთვლიდენ. უმრავლესობა ემყარებოდა იმ გარებოებას, რომ Cornil-მა და Nageotte-მა პროგრესიული დამბლის დროს ნახეს დიფუზური მენინგი—ენცეფალიტი, ისეთი პროცესი რომელიც მათი აზრით, რომელსაც სხვებიც ეთანხმებოდენ, სიფილიტურ პროცესს არ გავდა.

ამ აზრზე დამყარებული ზოგი სრულიად უარყოფდა დამოკიდებულებას სიფილისისა და tabes-ის და პროგრესიულ დამბლის შორის, ზოგი კი მხოლოდ იმ პროგრესიულ დამბლის სთვლიდა სიფილისის შედეგად, რომელიც სიფილისის შემდეგ ვითარდებოდა. მაგ. Leredde ასე ვამარტავს თავის დასკვნას: მოშლილობანი, რომელიც 1902 წ. დასახული იყო როგორც tabes-ი და პროგრესიული დამბლა, როდესაც ისინი ვითარდებიან სიფილისიანი ორგანიზმში, არიან სიფილიტური ბუნებისა და ამ შემთხვევაში მათ მორჩენა შეიძლება გერცხლის წყლის საშუალებით.

იმ გარემოებას, რომ p. p. არ რჩებოდა ექიმობის გავლენით, ავტორი ხსნის იმით, რომ წამლობა საქმარისად ენერგიული არ იყო და, გარდა იმისა, ზოგ შემთხვევებში ნერვული ცენტრების დაზიანება იმდენად ძლიერი იყო, რომ სიფილიტიური პროცესის მოსპობა მათ ფუნქციას ვეღარ აღაღვენდა.

Tabes-ი და P. P. (თუ ავაღმყოფები ესენი სიფილისიანები არიან) არ არიან განსაკუთრებული სნეულებანი და დამოკიდებული არიან ანათომოკლინიკური პროცესის თავისებურ დიფუზიაზედ, ამ პროცესის ნელ განვითარებაზედ. ამ ფორმებისა და ნერვული სისტემის სიფილისის შორის აჩვებობს მრავალი გარდამავალი ფორმები.

თანამედროვე შეხედულებასთან შედარებით ამ აზრს აკლია ერთი რამ: ავტორს უნდა ეთქვა, რომ tabes-ი და P. p. ყოველთვის ნერვული სისტემის სიფილის წარმოადგენენ და არა მარტო ზოგჯერ მხოლოდ.

მიუხედავად ამისა 1905 წელში სამუშაოლო სამეცნიერო აკადემია იწვევს Fournier-ს, პარიზის გამოჩენილ სპეციალისტს ამ საგანხედ დისკუსიისათვის.

მომხსენებელი ორია: Fournier და Raymond-ი, Charcot ს მოადგილე Salpêtrière-ში.

პროფ. Fournier-მ განვითარა თავისი შეხედულება პროგრესიულ დამბლაზედ, მან შეადარო პროგრესიული დამბლის და ტეინის სიფილისის განვითარება და იმ დასკვრამდე მივიდა, რომ პროგრესიული დამბლა ვითარდება  $3,5\%$ -ში მეორე წლიდან—მეექვეს წლიდე, პირველ წლებში კი სრულებით არ არსებობს, ტეინის სიფილისი კი  $8\%$ -ში; მესამედან მეექვემდე კი  $50\%$ -ში; პროგრესიული დამბლა იძლევა მე 6 წლიდან—მე-12 წლამდე  $65\%$ , ავაღმყოფებს, სიფილისი კი დაახლოე-

ბით 8%; პირველ წლებში სიფილისი იძლევა ნერვული სისტემის დაავადებას, შემდეგში კი პროგრესიულ დამბლას. მაშასადამე, აქედან დასკვნის მომხსენებელი ტვინის სიფილისი და პროგრესიული დამბლა ერთი და იგივე ხარისხის სწერულებას არ წარმოადგენს.

გარდა ამისა ექიმობა არჩენს ტვინის სიფილისს და სრულებით არ მოქმედობს პროგრესიულ დამბლაზედათ. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ექიმობას მხოლოდ პროფილაქტიური მნიშვნელობა აქვს. Fournier-ს სტატიისტიკით 79 პროგრესიულ დამბლით ავადმყოფებში 4-ს გაუთავებია ექიმობა ძლიერი (4 წლის განმავლობაში), 12-ს უფათანა (2 წლ. განმავლობაში), 3-ს ერთი და ნახევარი წლის განმავლობაში, 16-ს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, 43-ს ერთი თვედან—6 თვემდე უექიმებია. არა საკმარისი ექიმობა აადვილებს პროგრესიული დამბლის განვითარებას მომხსენებელის აზრით.

ამ ავადმყოფობის განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა ფაქტორებს, როგორც პსიქოურ დასაჭმიანებას, ალკოჰოლიზმს, შთამომავლობას.

ახდენს რა სიფილისის განვითარების ყოველ პირობათა ანალიზს, ავტორი დაასკვნის რომ, სიფილისს გრალი ედება არა მარტო მოშლილობათა შეჯგუფებაში, რომელიც უკვე გავრცელებული და რთული არიან, და რომელთაც მას ყველანი ერთსულოვანად აღიარებენ, როგორც სპეციფიურ მოშლილობათ. იგი გარდა ამისა სხვასაც შერჩება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოშლილობათა გარეშე, რომელიც უთულო სპეციფიური ხასიათისა არიან, მოშლილობათა წარმოშობით და ბუნებით სპეციალური ხასიათისა, იგი იძლევა მრავალ სხვა ნიშნებს, რომელთაც არავითარი საერთო აღარ აქვთ სიფილისთან ანატომიურად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპეციფიური არიან იმ თვალსაზრისით, რომ ისინი გამომდინარეობენ, დაბადებული არიან სიფილისისაგან, პროდუქტი არიან მისი არსებობისა, მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, არ შეეძლოთ განვითარებულიყვენ უიმისიღ.

მაშასადამე, მოშლილობანი ამ ხასიათისა წარმოიშობიან სიფილისიდან, ისინი მას ეკუთვნიან, იგი მათთვის პასუხისმგებელია; მათი ამოღება მისი პათოლოგიური პორობელიდან შეეძლებელია.

სწორედ ეს მოშლილობანი წარმოადგენს იმ ჯვუფს, რომელსაც მე ვუწოდე პარასიფილტიური მოშლილობანი და ამათი გროვა კი წარმოადგენს პარასიფილისს". (99).

აქედან ცხადია, Fournier-ს შეხედულება პროგრესიული დამბლის ეთიოლოგიაზე. ასეთსაც აზრს აღიარებდა იგი tabes-ის შესახებ. მისი დასკვნა წმინდა ქლინიკური დედუქციას შედეგია. მისი მეგობარი და მოწაფე, პროფ. Raymond ი-ეთანხმება მას; იგი ამბობს: „მე უნდა განვიმორო, რომ პროგრესიულ დამბლას უყვარს სიფილისიანი ნიადაგი“. Raymond, განმარტავს Fournier-ის აზრს და ამბობს, რომ ყველა თანახმა არის, რომ სიფილისი წარმოადგენს „მარტიულ ნიადაგს“ პროგრესიული დამბლისათვის, დამატებას, ისე როგორც მეღვინის დახლი ტუბერკულოზისათვის, იმ ეკალს, როგორც Joffroi-ის სურს, რომელიც ოვისი ლოკალიზაციით თავის ტვინის ძარღვებში ჰქმნის ნიადაგს მენინ-გონციფალიტის განვითარებისათვის და სხვა.. Lanceraux-ს გარდა ჩვენ ყვე-



ლანი თანახმა ვართ იმაში, რომ სიფილისი ბატონობს პროგრესიული დამბლის პაოლოგიაში..... იგივე ითქმება *tabes-ზედო*“.

**ამნაირად სამკურნალო სამეცნიერო აკადემია 1905 წელს ცერს უკრავს Fournier-ს აზრს პარასიფილისის შესახებ, უარყოფს პროგრესიული დამბლის და *tabes*-ის ორაპის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ 1903 წელს Le-redde წინაღმდეგს ამტკიცებს. ასეთი დასკვნას საფუძვლად სპეციფიური თერაპის უძლურება და ანატომიური სურათის ტიპიური სიფილიტიური სურათისაგან განსხვავება უძევს საფუძვლად. საჭირო იყო აღმოჩენა მკრთალი სპიროხეტის და ამავე სპიროხეტის აღმოჩენა *tabes*-იანების და დამბლიანების ტვინის ქსოვილში, რომ Fournier ს აზრი დამარცხებული ყოფილიყო.**

ბიოლოგიური რეაქციების განვითარებამ კიდევ უფრო მეტი საბუთები შეიტანა იმ აზრის დასამტკიცებლად რომ ხსენებული ორი სნეულება ნერვული სისტემისა სიფილისის სპეციალურ ფორმას წარმოადგენ.

დღეს ცხადია, რომ *tabes*-ის და პროგრესიული დამბლის გამომწვევი აგენტი სიფილისი არის. ამას ამტკიცებს სპიროხეტის აღმოჩენა ტვინის ქსოვილში, მაგრამ ასეთი აღმოჩენა ფრიად იშვიათია. შეიძლება თითებზედ ჩამოთვალის ადამიანმა შემთხვევები ასეთი დადებითი გამოკვლევისა. რამდენად არაჩვეულებრივია ასეთი აღმოჩენა გვაჩვენებს ის ფაქტი, რომ პრეპარატი ასეთი ტვინიდან მიღებული მოვზაურობს უცხოეთში ერთი კლინიკიდან შეორესაკენ.

უფრო დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დადებითი სეროლოგიური რეაქციის არსებობას იმ სითხეში, რომელიც ზურგის ტვინის გარშემო არის და რომელსაც ტვინის პარკუტებით აქვს კავშირი.

ზურგის ტვინის სითხის პათოლოგია **ახალგაზრდა არის.** მხოლოდ მის შემდეგ რაც Widal-მა მიაქცია ყურადღება ამ სითხის ბიოლოგიურ ცვლილებებს და მისმა მოწაფეებმა პირველად 1901 წელში აღმოაჩინეს ლიმფოციტოზი ამ სითხეში სიფილისის დროს, მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება დებულება სიფილისისა და ზემოხსენებული სნეულებათა დამოკიდებულების შესახებ.

1906 წელში Wassermann-მა და Plaut-მა გვაჩვენეს, რომ კომპლემენტის ფიქსაციის რეაქცია ზურგის ტვინის სითხეშიაც არსებობს. დაიწყო სისტემატიური შესწავლა ამ სითხისა სიფილისის დროს და განსაკუთრებით ნერვული სიფილისის დროს, აღმოჩნდა, რომ ეს სითხე იცვლება პათოლოგიური მიმართულებით ნერვული სიფილისის დროს:

1) მასში გთარდება ლიმფოციტოზი, თუ ნორმალურად ლიმფოციტი მასში უდრის  $1-1,5$  კბ  $m/m$ -ში, პათოლოგიურ შემთხვევებში იგი  $10-15, 1001$ -ს და კიდევ მეტს შაბუჭებს ხოლმე.

2) მასში ცილას რაოდენობა იმატებს: ალბუმინები, რომელიც მასში ლიტ-რჩედ  $0,22$  შეადგენენ, პათოლოგიურ შემთხვევაში  $1,0-2,0$  ახწევენ.

3) გლობულინის რაოდენობა იმატებს, რაც სპეციფიური რეაქციებით მტკიცდება.

4) Wassermann-ის რეაქცია დადებითი ხდება.

5) არსებობს დადებითი კოლოიდალური რეაქცია.

ეს ცვლილებანი ზურგის ტვინის სითხისა შეიძლება უკვე მეოთხე პერიოდში არსებობდენ. ამ შემთხვევაში ისინი ნერვულ სიფილისის წინამორბედები შეიძლება იყვნენ.

უმთავრესად კი მესამე პერიოდში ვითარდებიან და ნერვულ სიფილის თან სდევენ. სისხლში Wassermann-ის ოეაქციის არსებობა ზურგის ტვინის ოეაქციების არსებობისათვის საჭირო არ არის. მესამე პერიოდში სისხლში შეიძლება 50%, თუ არსებობს დადებითი ოეაქცია. გარდა ამისა ამ ოეაქციის არსებობა არ მისდევს პარალელურად ნერვულ სისტემაში ცვლილებათა არსებობას.

ამიტომ ნერვული სისტემის სიფილისის გამოცნობისათვის სწორედ ზურგის ტვინის სითხის რეაქციების შესწავლას აქვთ მნიშვნელობა.

ამ ოეაქციების მნიშვნელობის გათვალისწინებისათვის ვიხელმძღვანელებ Kafka-ს, Papenhejm-ის, Lochelongue-ის Lacapere-ის თხზულებებით და Targowla-ს შრომით. რა მნიშვნელობა აქვთ ხენებულ რეაქციებს პრაქტიკული დიაგნოსტიკისა და თერაპიისათვის?

მრავალია შემთხვევები, სადაც კლინიკაში ისმება საკითხი სიფილიტიურ ეთიოლოგიის შესახებ. თითქმის ყველა ორგანიული სნეულებანი მოითხოვენ სიფილისის გამორიცხვას ან დამტკიცებას; იქნება ეს ჰემიპლეგია, რომელიც განვითარდება აღრე, იქნება ეს სპასტიურ პარაპლეგია, თუ რამე ფორმა პერიფერიული სნეულებისა, იქნება ეს მძიმე ნევრასტენიული მოვლენები, სულ ერთია, საჭიროა ვიცოდეთ აქვთ თუ არა მათ დამოკიდებულება სიფილისთან; იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ანამნეზში არის ცნობა სიფილისის შესახებ, გადაჭრილად არ ითქმის, რომ სნეულება სწორედ ამ სიფილისის მიერ არის გამოწვეული; გარდა ამისა კლინიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი სწორედ ნერვული სიფილისის გამოცნობის შესახებ, არის ესა თუ ის ფ.რ.მა დასაწყისის tches-ის თუ ტვინის სიფილის წარმოადგენს? როდესაც არის კლინიკური ფორმა, სადაც ზოგი ორგანიული ნიშანი არსებობს მძიმე ნევრასტენიულ მოვლენებთან ერთად, ისმება საკითხი ტვინის სიფილისია ეს თუ პროგრესიული დამბლის დასწყისი?

ამაზედ პასუხს იძლევა ე. წ. ჰუმირალური სინდრომების შესწავლა.

ნერვული სიფილისის დასამტკიცებლად საჭიროა არსებობა სინდრომის, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

ჰიპერალბუმინოზი, ჰიპერლიმფოციტოზი, Pandi-ს და Weichbrodt-ი ოეაქციები დადებითი, W. R. დადებითი, კოლოიდალურ ოეაქცია დადებითი,

შეიძლება ზოგი ნიშანი აკლდეს, მაგრამ უმრავლესობა კი დადებითი უნდა იყოს.

არ არსებობს ძირითადი გარჩევა ჰუმირალურ სიმპტომთა შორის სხვა და სხვა ფორმების დროს. მხოლოდ პროგრესიული დამბლა იძლევა ოეაქციებს უფრო ძლიერად გამოხატულს.

ამ ავადმყოფობის დროს ლიმფოციტოზი დიდია, Pandi-ს და Weichbrodt-ის ოეაქციები ფრიად დადებითი, ალბუმინის რაოდენობა 1,0 უდრის, ოეაქცია Was-



sermanno-სა დადებითია სისხლში და სითხეში, კოლოიდალური Guillain-ის ფრიად დადებითია.

მაგრამ ამ ორექციების სიძლიერე აბსოლუტიურ დიფერენციალურ დიაგნოსტიურ ნიშანს არ წარმოადგენს. როდესაც ძლიერ ჰუმორალური სინდრომი შეეფარდება სათანადო კლინიკურ სურათს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ზოგჯერ უძინოსოდაც ჰუმორალურ სინდრომი თავის თავადაც გადას- წყვეტს საკითხს, თუ ის გასინჯული იქნება მრავალჯერ თერაპიის მიმღინარეობაში.

აქ საჭიროა ოდნავ პროგრესიული დამბლის და ტვინის სიფილისის დიფერენციალურ დიაგნოსტედ შევჩერდე.

კლინიკაში, როდესაც ნახულობენ ავადმყოფს, რომელსაც სიფილისა ჰქონდა და რომელიც ამ ეამად ორგანიულ ნიშნებს იძლევა (თვალის გუგის რეფლექსების ცვლილება, მყესთა რეფლექსების ცვლილება, მეტველების გამოცვლა და სხვა) ფიქრობენ ან დაწყებითი პროგრესიულ დამბლის შესახებ, ან ტვინის სიფილისზედ.

არსებოდეს არ შემთხვევა ითქვას წინასწარ, რომ, ესა თუ ის მაგალითი ამგვარი შემთხვევისა პროგრესიული დამბლით არ გათავდება. Guillain-ი ამბობს: ერთს შემთხვევაში, რომელიც ფრიად მძიმე შემთხვევას წარმოადგენდათ, გამოვიტანეთ ცუდი პროგნოზი. სპეციფიურმა წამლობამ ავადმყოფს შველა მისცაო. მეორე შემთხვევაში ავადმყოფს მცირე ფსიქიური მოვლენები და მცირევე ორგანიული მოვლენები ჰქონდათ. პროგნოზი კარგი იყო. ავადმყოფმა მიუხედავად ენერგიული წამლობისა ცუდათ გაათვაო. ამ შემთხვევებში სითხე გასინჯული არ ყოფილა. ამდენად ძნელია კლინიკურად დიფერენციალური დიაგნოზი. პსიქიურ მოვლენების არსებობას პროგრესიული დამბლის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

Claude ამბობს, როდესაც განიხილავს საკითხს პროგრესიული დამბლის ექმობის შესახებ, რომ ზოგიერთის აზრით პროგრესიული დამბლა სიფილისის ის ფორმაა, რომელიც არ რჩებათ. ამიტომ დიფერენციალური დიაგნოზისთვის — ავადმყოფის სიკვდილს უნდა მოუკადოთ, და თვით საკითხი პროგრესიული დამბლის მორჩენის შესაძლებლობის შესახებ გადაუწყვეტილი რჩებათ.

Claude მოწაფეს Targowla-ს ერთგვარი გაუმჯობესება შეაქვს ამ საკითხის გადაწყვეტაში; მისი დაკვირვებით იმ შემთხვევებში, რომელნიც პროგრესიული დამბლით ათავებენ, მიუხედავად ენერგიული ექიმობისა, ჰუმორალური სინდრომი უცვლელი რჩება მიუხედავად კლინიკური გაუმჯობესებისა.

მაგ., შემთხვევა პროგრესიული დამბლის კლინიკური ნიშნებით და შემდეგ ჰუმორალური სინდრომით:

ლიმფოციტიზი--9,6 c.m./m. ში, 0,36 Alb R. Pandyjet Weich brodt+, ორექცია კოლოიდალურ Guillain-ის <sub>(Subpositive)</sub> 11100.22222,22000. ორექცია W. +. ეს ჰუმორალური

სინდრომი თავის კოლოიდალურ ნაწილში არ წაიგავს პროგრესიულ დამბლის სინდრომს. მართლაც ექიმობის საშუალებით სინდრომი გაპქრა, რამაც დაამტკიცა Iues cerebri-ი არსებობა. მეორე შემთხვევაში იყო შემდეგი ჰუმორალური სინდრომი:

ლიმფ. 160 Alb. 0,54 RP.++W. R.+++ R. B. Col. 22221.2222.20000  
ექიმობის შემდეგ — 2 თვე:

ლიმფ. 55,6 Alb. 0,42 " + W. R. +01100.22222.10000  
კიდევ ერთი თვის შემდეგ:

ლიმფ. 7,2 Alb. 0,44 " + W. R. 0-01000.22222.10000  
მაშასადამე ეს შემთხვევაც პროგრესიულ დამბლად არ ჩაითვლება. ასეთი  
ცვლილება ჰუმორალური სინდრომის პროგრესიული დამბლის დროს არ ხდება  
ხოლმე, მიუხედავად კლინიკური გაუმჯობესებისა.

ასეთია ბიოლოგიურ რეაქციების მნიშვნელობა ნერვიული სისტემის განვი-  
თარებული ფორმების დიაგნოსტიკის და თერაპიისათვის.

მავრამ ამით არ განისაზღვრება მათი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ზურ-  
გის ტვინის სითხეში რეაქცია Wassermann-ის და Guillain-ის ვითარდება მეორე  
პერიოდში. თუ სიფილის უკვე შეეხო ნერვულ სისტემას — შეიძლება კლინიკუ-  
რი ნიშნები ამ ხანაში სიფილისის განვითარებისა კიდევ არ არსებობდენ. ამი-  
ტომ სათანადო პერიოდში ზურგის ტვინის სითხის გასინჯვას დიდი მნიშვნელობა  
აქვს. ამ გასინჯვით შეიძლება გატარებული იყოს პროფილაქტიური ენერგიული  
წამლობა ნერვული სისტემის დაავადების წინააღმდეგ.

ჰუმორალურ რეაქციის შორის გარდა Guillain-ის რეაქციისა ყველა რეაქ-  
ციები იძლენად ცნობილია, რომ მათზედ შეჩერება ზედმეტად მიმაჩნდა.

Guillain-ის რეაქცია წარმოადგენს კოლოიდალური ოქროს რეაქციის მაგიერ  
რეაქციას. კოლოიდალური ოქროს რეაქციისთვის საჭიროა დამზადება ოქროს  
კოლოიდალური ხსნარისა. ამ ხსნარის დამზადებისათვის საჭიროა სპეციალური  
ლითონის ჭურჭელი. თვითონ ხსნარი სტაბილური არ არის და ამიტომ ეს რეაქ-  
ცია საყოველთაოდ ხმარებაში ვერ შევიდა.

Mastic-reaction, რომელიც Emanul-ის მიერ იყო მოწოდებული არ იძლევა  
დამაქმაყოფილებელ შედეგს. იგი 36% დადებითია ისეთს სნეულებათა მიმღინა-  
რებაში, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ სიფილისთან და გარდა ამისა  
ხსნარის დამზადებაც ძნელია.

ამ მოსაზრებით Guillain-მა თავისი თანამშრომლებით მოგვაწოდა ახალი  
რეაქცია, რომელიც იძლევა დამაქმაყოფილებელ შედეგებს და არც სიძნელეს  
წარმოადგენს.

კოლოიდალური ხსნარის მოსამზადებლად gummi benzoës იხმარება. რეაქ-  
ციის წაკითხვა ფრიად ადვილია. იგი მიუთიერებს არამც თუ სპეციალური ინფექ-  
ციის არსებობაზე, არამედ მოწმეა მისი ევოლიციური ხასიათისა.

გარდა ამისა მისი გრადაციები დახასტოვებით პროცესის სიძნელეს გამო-  
ხატავს. რეაქციისათვის საჭიროა 16 საცდელი ლულა, რომელშიაც ვასხამთ მა-  
რილიან წყალს, ზურგის ტვინის სითხეს და კოლოიდალურ სითხეს. თითო ლუ-  
ლაში 1,0 სითხე არის, რომელსაც რძის ფერი აქვს.

თუ რეაქცია უარყოფითია, ილექება მარტო შუათანა მილები მე-6, 7, 8-ე;  
შეიძლება მე-9 და 10-ც დალექილი იყოს. სიფილისის დროს ილექება პირველი  
შ მილი და მე-6—7, 8-ე. პროგრესიული დამბლის დროს ხშირია რეაქცია, რომე-  
ლიც იწვევს დალექას მე-10—11-ე მილებშიაც.

თანამედროვე მედიცინა № 10—1925.

თუ არსებობს მენინგეალური პროცესი არა სპეციფიური ხასიათისა, ილე-ქნება მარტო უკანასკნელი მილები.

რეაქცია დადებითია სიფილისის დროს, tabes-ის და პროგრესიული დამზ-ლის დროს. იგი პარალელურია Wassermann-ის რეაქციასთან —  $83\%$ -ში,  $11\%$ , იგი უარყოფითია, როდესაც W. R. დადებითია,  $6\%$ -ში იგი დადებითია, როდესაც W. R. უარყოფითია.

ფრიად მნიშვნელოვანია ამ რეაქციის მნიშვნელობა ეპიდემიური ენცეფა-ლიტის დროს, რომელიც სიფილისის მსგავსს ნიშნებს იძლევა. იგი ყოველთვის უარყოფითია ამ ავაღმყოფობის დროს.

რაც შეეხება გაფანტულ სკლეროზს (Sclerosis disseminata), ამ ავაღმყო-ფობის დროს იგი სუბპოზიტურია, W. R. კი უარყოფისა. ასეთი რეაქციის არსებობა, გაღიანტული სკლეროზის ფარულ შემთხვევებში ფრიად დიდ დახმა-რებას გვიწევს კლინიკაში.

შეგვიძლია დასასრულ ვსოფათ, რომ ბიოლოგიური რეაქციების ხმარება სომატიური ნერვული სისტემის დაავადებათა მიმდინარეობაში დიდს სამსახურს გვიწევს, როგორც დიაგნოსტიკის, ისე თერაპიის დროს.

შესაძლო ხდება სიფილისის გამოცნობა მრავალ სინდრომების დროს, შე-საძლო ხდება მისი ნაადრევი დიაგნოსტიკა, რაც შესაძლებლობას მასთან შებრ-ძოლვისას და თერაპიის კონტროლისას აორეცეცებს.

თერაპია, რომელიც ბიოლოგიური რეაქციებით ხელმძღვანელობს აღარ არის სიმპტომატიური, არამედ მიზეზობრივი და მიზანშეწონილია, კლინიკისტი აღარ გარჩევდობს, იგი გამოიცნობს ავაღმყოფობას.

ახლა გადავიდეთ სიმპატიური ნერვული სისტემის რეაქციებზეც. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ეს არის ორგანოთა და ქსოვილთა ნერვული სისტემა. იგი გა-ნავებს ორგანოთა ფუნქციას და ყველა სასიცოცხლო ფუნქციების რეგულიაციას აწარმოვებს, აპსტრაქტიულად. რომ განვიხილოთ მისი ფუნქციები, ორგანოთა მუშაობას, უნდა ვსოფათ, რომ ორგანიზმის სიცოცხლის შესანახად საჭიროა საზრდოს მიღება გარემოდან, ამ საზრდოს გადამუშავება ისეთ ნივთიერებებად, რომელთა შეწრუტვა სხეულში შესაძლებელი იყო. ამისათვის საჭიროა მასაზრ-დოებელ ორგანოების — კუჭ-ნაწლავების მუშაობა, რომელთა ფუნქცია საჭმლის მონელების დროს — როგორც სეკრეციაში, ისე მოძრაობაში მდგომარეობს.

შემდეგ საჭიროა ნაჩენების გარემოსათვის დაბრუნება და სასარგებლო ნივთიერებათა შეწრუტვა. ამით საჭმლის მონელების პროცესი თავდება.

მეორე პროცესი არის დამზადებული მასაზრდოებელი ნივთიერებათა ასი-მილიაცია (მეტაბოლიზმის — ანაბოლიური მხარე) და მასაზრდოებელ ნივთიერე-ბათა თაღარიგის სათანადო ორგანოებში დამზადება და სისხლში გადასვლა. ეს პროცესი დართულია ზედმეტ ნივთიერებათა ტოქსიკურ თვისებათა ნეიტრალიზა-ციით და ზოგის ორგანიზმიდან უკუგდებით (ლვილის და თორმელების ფუნქცია).

ორგანიზმი მოიხმარს მასში შეწრუტულ და შეთვისებულ ნივთიერებად; იგი ხარჯავს თაღარიგს — ეს არის მეტაბოლიზმის კატაბოლიური მხარე.

ყველა ამ ფუნქციათა რეგულიაციას აწარმოებს ის ნაწილი ნერვული სის-ტემისა, რომელსაც ავტონომიური ნერვული სისტემა დაარქვეს. მასში ვარჩევთ

ორ ნაშილს, რომელთაც ანატომიური თავისებურება ქვეთ და ფიზიოლოგიურა-  
დაც განსხვავდებიან.

ნამდვილი სიმპატიური ნერვული სისტემა შესდგება სიმპატიურ კვანძები-  
საგან, რომლებიც მოთაცისბულია ხერხემლის ორთავე მხრივ, და რომელიც ერ-  
თის მხრივ ზურგის ტვინის ფესვების საშუალებით დაკავშირებულია ზურგის  
ტვინთან და მისი შუამდგომლობით თავის ტვინთანაც, და მეორე მხრივ იძლევა  
ტოტებს ჰერიფერისაკენ, რომლებიც ორგანოებისაკენ მიღაან.

აქედან მიღიან ტოტები თვალის კაკლისკენ, გულის კვანძებისაკენ, მუცლის ლრუს კვანძებისაკენ და ამ კვანძებიდან თირკმლებში, კუჭში, ნაწლავებში, საშეკრისნოში და ბუშტში. გარდა ამისა დამოუკიდებელი ძაფები მიჰყვებიან სისხლის ძარღვებს და ამათთან ერთად ქსოვილში იტოტიზან.

ამ ნაწილს ნერვული სისტემისას ზურგის ტეცნში თავისი ცენტრები აქვს და როგორც დღეს ფიქრობენ თავის ტეცნშიაკ.

დამახასიათებელ თვისებას ამ სისტემისას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ამისი პერიოდული ძაფები რომელიც ორგანოებისაკენ მიღიან, არასოდეს პირ-დაპირ ორგანოში არ თავდებიან, არამედ ყოველთვის რომელსამე კვანძში სწყლებიან. შეიძლება ეს უკანასკნელი თვით ორგანოს კედლებში მოგზარეობოს.

მეორე ნახევარი ავტონომიური სისტემისა წარმოდგენილია ორ ნაწილათ: ერთი იწყება ტვინის ღეროში და ეკუთვნის თვალის მამოძრავებელი, ცომილი, ენასახის ნერვის და Wrisberg-ის ნერვების სისტემას და მეორე კი წარმოადგენს საკრალუს ნაწილს, რომელიც მენჯის ორგანოებში, სწორ ნაწლავში და ბუშტში იტოტება. ამ სისტემის პერიფერიული ტოტებიც არასოდეს პირდაპირ ურგანოში არ იტოტებინ, არამედ რომელსამე კვანძში სწყლებიან წინასწარ. ეს სისტემა რომელსაც პარასიმპატიურ სისტემას უწყლდებენ, ანერვიანებს თვალს, ნერწყვის ჯირკვლებს, გულს, ფაილტვებს, კუშქევეშა ჯირკვალს, ღვიძლს, კუჭს, ნაწლავებს. ჟესანიშნავია უკვე ის ანატომიური თავისებურება, რომ ეს ორი სისტემა მოპირდაპირეა ერთიერთმანეთისა: მაგ., პარასიმპატიური სისტემა იტოტება ნაწლავების და ბუშტის კედლებში და ანერვიანებს მათ კუნთებს, რომელნიც საჭმელს და შარდს გარემოსკენ დენიან, სიმპატიური სისტემა კი იტოტება ნაწლავების და ბუშტის სუინქტორებში. სიმპატიური ნერვული სისტემა ანერვიანებს ცველა სისხლის ძარღვებს და ამათი საშუალებით შედის ქსოვილებთან ინტიმურ დამკიდებულებაში.

სიმპატიური ნერვული სისტემის პათოლოგია სულ ახალი საქმეა. აქ უმ-  
თავრებად ამერიკელ და ინგლისელ მეცნიერთა შრომის შედეგებს ვხედავთ. სხვა  
ქვეყნებშიც მუშაობდენ ამ სისტემის შესასწავლად. მაგ., ძირითადი შრომა ვა-  
გოტინის შესახებ ვენელ ვეტორებს Eppinger-ს და Hess-ს ეკუთვნით. საფრან-  
გეთში Laegnel—Lavasstne-მა დიდი წიგნი გამოუშვა 1925 წელში, კარგი მო-  
ნოგრაფიები ეკუთვნის აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერს Cuillaume-ს.

თუ ეს სისტემა ასე გავრცელებული ორგანობში, იგი დიდ მონაწილეობას უნდა იღებდეს მათი დაავალების დროს. მართლაც მოელი რიგი სხეულებათა ამ სისტემის დაზიანებას უნდა მიეწეროს, როგორიც არიან მაგ. ე. წ. ორგანოთა ნევროზები, ანგიონევროზები, მრავალი მოვლენები პსიქონევროზების დროს.



ცნობილია რამდენიმე სინდრომი, რომელსაც სომატიური ნერვული სისტემას დაავადების დროს ვხვდებით, მაგ. თვალის გუგის დაეიჭროვება, თვალის კალის ჩაღრმავება და თვალის ქუთუთოს ჩამოწევა—Horner-ის სინდრომი; Argygyl,—Robertson-ის სინდრომში აქვს თავისი როლი სიმპატიურ სისტემას. ცნობილია სინდრომები ამ სისტემის სხვა და სხვა გულმკერდის და მუცილის ღრუში განვითარებული პროცესების მიერ დაავადებისა, რაც ე. წ. პილომოტორულ რეფლექსის მოშლას იწვევს, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა პათოლოგიაში ამ სისტემის ტონუსის წონასწორობის მოშლას აქვთ. ნორმალურად ამ ორ სისტემათა შორის ფიზიოლოგიური წინააღმდეგობა არსებობს:

**გულის მხრივ:** სიმპატიური სისტემა აჩქარებს და აძლიერებს გულის ცემას და სწევს სისხლის წნევას.

პარასიმპატიური ნერვული სისტემა ანელებს გულის ცემას, და ამცირებს სისხლის წნევას.

**კუჭის მხრივ:** პარასიმპატიური სისტემა აძლიერებს სეკრეციას და ამორავებს კუჭის კუნთებს.

სიმპატიური კი ანელებს მოძრაობას და სეკრეციას და იწვევს სპინქტერების შეკუმშვას.

**ბუშტის მხრივ:** სიმპატიური სისტემა ანერვიანებს სფინქტერს.

პარასიმპატიური იწვევს ბუშტის კუნთების შეკუმშვას.

ყველგან არსებობს ან ანატომიური ან ფუნქციონალური ანტაგონიზმი ამ ორ სისტემათა შორის.

ყოველივე რხევა ერთი სისტემის ტონუსისა იწვევს სათანადო და მოპირდაპირე რხევას მეორე სისტემისას.

მომეტებულ ტონუსს პარასიმპატიური ნერვული სისტემისას უუწოდებთ ვაგოტონიას, სიმპატიურ სისტემის ტონუსის აწევას კი—სიმპატიკოტონიას.

ნორმალურ ორგანიზმი ეს ორი სისტემა თანასწორი ტონუსისა არის, მაგრამ უკვე ფიზიოლოგიურ პირობებში ხდება ტონუსის წონასწორობის მოშლა.

მაგრამ ასეთი უთანასწორობა ტონუსისა თუ პერმანენტული ხდება, იგი არანორმალურ მოვლენას წარმოადგენს. ორთავე სისტემა იმყოფება სხვა და სხვა ჰიორმონების ზევაგლენის ქვეშ, ე. ი. მუშაობს შიგნითა სეკრეციის ჯირკვალთა გავლენის ქვეშ. ასეთი ჯირკვლებათ სიმპატიური ნერვული სისტემისათვის ითვლებიან ფარისებრი ჯირკვალი და თირკმელზედა ჯირკვალი.

მაგრამ გარდა ჯირკვალთა სეკრეტებისა არსებობს ისეთი ნივთიერებანი, რომელთაც ანალოგიური გავლენა აქვთ ამ სისტემაზეც.

ატრობინი იწვევს პარასიმპატიური ნერვული სისტემის დამბლას, პილოკარბინი კი მის ჰიპერტონიას.

სიმპატიური ნერვული სისტემის გამალიზიანებელ ნივთიერებად ადრენალინი ითვლება.

ამ ნივთიერებათა საშუალებით შეგვიძლია გამოვიწვიოთ ხსენებულ სისტემათა ხელოვნური ჰიპერტონია, რომელიც სრულებით წააგავს პათოლოგიაში არსებულს.



სანამ ამ მიზნით შემუშავებულ რეაქციების აღწერას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე Eppinger-ის და Hess-ის მიერ აღწერილ ვაგოტონიაზედ და სიმპატიკოტინიის სურათზედ, რომელსაც Basedow-ის ავადმყოფობა იძლევა. ეს ავტორები სამართლიანად განმარტავენ, რომ მიღებული აზრი ორგანოების ნერვოზების შესახებს არ არის დამყარებული მათი ნერვების ფუნქციებისა და პათოლოგიის შესწავლაზედ. მის შემდეგ, ამბობს იგი, რაც ფიზიოლოგიაში დაამტკიცა, რომ არსებობს ერთგვარი ტონუსი ცოომილი ნერვისაო, ულოდიკა არ იქნებოდა, რომ ასეთი დასკვნა პათოლოგიისათვის გამოგვეუწიოდა.

მრავალია დაკვირვებანი, რომელნიც ამტკიცებენ რომ არსებობს ინდივიდუალური და ცვალებაზი ტონუსი ცოომილ ნერვისაო. ასეთი ტიპი ინდივიდუალურისა ჩვენ აღვნიშნეთ, როგორც ვაგოტონიებით. „ვაგოტონიის სახელით ჩვენ შევაჯუფეთ კონსტიტუციონალური მდგომარეობანი, რომელშიაც გარდა ვაგუსის ტონუსის აწევისა და მისი გადამეტებული რეფლექსური აგზებულებისა არსებობს აგრეთვე გადამეტებული მგრძნობელობა პილკარპინის მიმართ. ვაგოტონიური კონსტიტუციის მქონე შემდეგ სურათს წარმოადგენს:

ეს არის ავადმყოფი, რომელიც ნერვასტენიის დიაგნოზის ქვეშ ტარდება: უმატვილი ადამიანი, რომელიც მოდის თქვენთან კუჭის ან გულის დაავადებაზედ ჩივილით. მისი მოძრაობა ჩქარია, მისი სახის ფერი ცვალებადია, ხან ძალზედ წითელია, ხან მკრთალი; ავადმყოფი ამას გრძნობს და ამის შესახებ სწუხს.

თუ ავადმყოფი იხასის ტანთსაცმელს, ამჩნევთ რომ მისი ტანიც ფერს ხშირად იცვლის ისე, როგორც სახე. ხელები ლურჯი აქვს, სცელი და ცივი და მკრთალ ფერს იღებს ხელის დაჭრის შეძლებ. ხელის გულის კანი, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი არ ჰქონიას, სქელია.

ავადმყოფს ოფლი მოსდის ზოგჯერ მთელ სხეულზედ, ზოგჯერ მცირე მიზეზის გამო. ზოგს სახეზედ, ან მარტო კისერზედ მოსდის ოფლი.

მღელვარების გამო სახე ფითრდება და ოფლის წვეთები ჩნდება ნიკაზედ და შუბლზედ.

თვალის ნაპრალი ფაზთოა და Basedow-იან ავადმყოფს მოგაგონებთ.

კანზე ხედავთ acnae vulgaris-ს ან მის კვალს. მხედველობის სიმახულის დაშვეითება და სტრაბიზმი. ენის ფოლიკულები ფრიად გადიდებულია; ლიმფატიური ჯირკვლები სახისა ფრიად დიდია. ხშირია ანგინა. ცხვირი მუდამ დახურული აქვთ, როგორც სურდოანებს. ხახის რეფლექსი დაწეულია.

სუნთქვა ღრმაა და ნელი; ზოგჯერ ავადმყოფი დაბრკოლებას გრძნობს სუნთქვის დროს.

საძილე არტერიების პულსაცია თვალსაჩინოა; გულის ცემა მოსჩანს გულ მკერდის დათვალიერების დროს.

პულსის სიჩქარე ფრიად ცვალებადია. უსიამოვნო გრძნობა გულის არეზი ფრიად ხშირია. პულსის ამპლიტუდა ცვალებადია: პულსაცია ძლიერი, იცვლება მცირე პულსაციით უმიზებოდ. მადა ცვალებადია. ავადმყოფს ხან აფალარათებს, ხან მუცელშია შეკრული.

შარდი ბევრი მოსდის, მღვრიეა და იძლევა ლექს იქსალატების და ფოსფატებისას.



ენის და ქუთუთოების კანკალი. დერმოგრაფიზმი მეტიოდ გამოხატულია. ამ ავადმყოფზედ პალოკარბინის მცირე დოზა იწვევს ძლიერ თფლის დენას და სალიფაციას; ადრენალინი კი პოლიურიას და გლიკოზურიას არ იწვევს.

რაც სიმპატიკოტონიას შეეხება, ავტორები აღნიშნავენ შემდეგს: ეკზოფ-  
ტალმია, Graefe-ს ნიშანის არყოფნა, Moebius-ის ნიშანი, ადრენალინით გამოწვე-  
ული მიდრიაზი (Lewi-ს ფენომენი), თვალის კაკლის სიმშრალე, შაქარი არ არის,  
დიარეა არ არის, თმის ცეცხა, სიცხის აწევისადმი მიღრეკილება, ეოზინოფი-  
ლიას ადგილი არა აქვს, სუნთქვის მოშლა არ არსებობს, ალიშენტარული გლი-  
კოზურია, ადრენალინის მიერ გამოწვეული გლიკოზურია და პოლიურია; პი-  
ლოკარბინი ჩევულებრივ მოვლენებს არ იწვევს.

Eppinger და Hess-ის შრომა გამოქვეყნებულია 1910 წელში, ევტორები  
ეთანხმებიან ამათ მიერ აწერილ ფაქტებს. დაკვირვება ადასტურებს ზემოთხსე-  
ნებულ ნერვულ სისტემათა ჰიპერტონიულ მდგომარეობის არსებობას იმ განს-  
ხვავებით, რომ ასეთი წმინდა სინდრომები ხშირი არ არის.

ზოგჯერ არსებობს ისეთი მოვლენები, რომლებიც ამტკიცებენ ორთავე სის-  
ტემის ტონუსის აწევას, რაც გამოიხატება ტერმინით Neurotonia. შეიძლება  
ორთავე სისტემის ტონუსის აწევა ერთდროულად არსებობდეს, მაგრამ შეეხ-  
მოდეს სხვა და სხვა ორგანოებს, ან და კიდევ სიმპატიკოტონია ვაგოტონიით  
იცვლებოდეს ავადმყოფობის მიმდინარეობაში.

თავისთავად ცხადია მანიშნელობა დიაგნოსტიკისათვის ამ სისტემათა ტო-  
ნუსის განმარტებას, მით უმეტეს, რომ მეტიოდ კლინიკურად გარკვეული შემთ-  
ხვევები მცირე რიცხვოვანია. საჭიროა მაშასადამე ბიოლოგიური ცდების წარ-  
მოება, როგორც ამას თვით Eppinger-ი და Hess-ი აწარმოებდენ. ცდა ადრენა-  
ლინით (Eppinger-ი და Hess-ი) 0,001 კანს ქვეშ სიმპატიკოტონიის დროს იწვევს  
კანკალს, სიცივის შეგრძნებას, გლიკოზურიას, სისხლის წნევის აწევას; ნორმა-  
ლურ სუბიექტზედ და ვაგოტონიანზედ არავითარ ეფექტს არ ძლევა.

#### Göetsch-ის ცდა

0,5 cm. c. Parke Davis Adrenal-ისა კანს ქვეშ იწვევს მოვლენებს ჰიპერ-  
ტონიეოიდიზმის დროს:

პულსის აჩქარებას, სისხლის წნევის აწევას, კანკალს, შიშს, ტუჩების  
სახის სიმკრთალეს, თფლს, ტემპერატურის აწევას და შარლის გადამეტებულ  
გამოყოფას.

ეს ცდა გამოსარკვევია ჰიპერტიონიდიზმის აღმოსაჩენად. უკანასკნელი კი  
სიმპატიკოტონიაში გამოიხატება უმთავრესად.

ზოგვე ცდა ჰიპეტიონიდიზმის შესახებ არავითარ ეფექტს არ იწვევს.

ვაგოტონიის აღმოსაჩენად ხმარობენ ჰილოკარბინს და ატროპინს.

პილოკარბინი იწვევს ვაგოტონიის დროს: ნერწყვის დენას, თფლს, გულის  
რევას, ცრემლის დენას, სახის სიჭითლეს, დერმოგრაფიზმს, სისხლის წნევის და-  
ცემას. ატროპინი იწვევს შემდეგ მოვლენებს: გულის ფრიალს, პირის სიმშრალეს,  
გულის ქვეშ შევიწროების გრძნობას. შუათანა დოზები სხვა და სხვა ეტორების  
მიხედვით ადრენალინისთვის და ატროპინისთვის ქანაობს 0,0005 და 0,001 შო-

რის. Guillaume-ის აზრით სჯობს მცირე დოზიდან დაწყება და ცდის განმეორებით წარმოება.

სიმპატიურ ნერვული სისტემას ტონუსის გამოკვლევა შეიძლება ქიმიური ცვების გატარებით.

1) ნახშირ-წყლების მიმართ თმენის ცდა.

2) ცხიმების მიმართ თმენის ცდა.

ორგანიზმი ითმენს 100,0 გლიუკოზას. აძლევენ ავადმყოფს 50,0 დან—100,0-მდე გლიუკოზას უზმოჩედ. და ერთი საათის შემდეგ ყოველ საათს უშვებენ შარდს და გამოკვლევენ მასში შაქრის რაოდენობას. ჰიპერვაგოტონიანი ვერ ითმენს ვერც ამის ნახევარს.

ცხიმების თმენის ცდის დროს ავადმყოფს ეძლევა 100,0—150,0 კარაქი საჭმელთან ერთად. შემდეგ კეთდება განავალის ანალიზი. ნორმალური ადამიანი იტანს 100—150,0 ცხიმებს; ვაგოტონიანი უფრო მეტს ცხიმებს ითვისებს, ვიდრე სიმპატიკოტონიანი.

ამ უკანასკნელი ცდებით მყარდება ავტონომიური ნერვული სისტემის ნივთიერებათა გაცვლა გამოცვლის ინტიმიურ პროცესებზედ გავლენა. ვინ არ იცის რომ, მაგ. Basedow-ის ავადმყოფობის დროს ავადმყოფი კარგავს წინაში, რადგანაც მისი მეტაბოლიზმი შეცვლილია. იგი მეტს ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ნორმალური ადამიანი.

პირიქით მეტაბოლიზმი მიქსედემის დროს დაქვეითებულია. სიმპატიური ნერვული სისტემის მოქმედების ამ ინტიმიურ მხარეს გამოსაკვლევად უკანასკნელად შემუშავებულია მეთოდი, რომელიც ამერიკაში დაიბადა და ამ ქამად ეპონაში დიდ ხმარებაშია.

ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას გადაფშრათ საკითხი თუ რამდენად ინტენსიურად სწარმოებს ორგანიზმში გაცვლა-გამოცვლის ძირითადი პროცესები.

რაღაც ამ პროცესების სიჩქარე ახასიათებს ზოგიერთ სწეულებათა მიღლინარეობას, ამას პირდაპირ კლინიკური მნიშვნელობა ექნება.

ვაცით, რომ ნორმალურ ადამიანისათვის საჭიროა კალორიების განსაზღვრული რიცხვის შეყვანა ორგანიზმში, რათა მას ცხოვრება შეეძლოს, რომ ამ კალორიათა რიცხვი ცვალებადობს იმის მიხედვით თუ, რა მუშაობას აწარმოებს ადამიანი.

წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი არავითარ მუშაობას არ აწარმოებს; იგი მიუხედავა ამისა მაინც ხარჯავს ნივთიერებას, იგი გამოჰყოფს განსაზღვრულ რიცხვს კალორიებისას. მაშასადამ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ, რათა ორგანოებს და ქსოვილებს სახარჯი მასალა ჰქონდეთ ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის.

თუ ადამიანი წევს, თუ მისი კუნთები სრულიად მოღუნებულია, თუ მას 16—20 საათი არაფერი უჭამა, ე. ი. იგი თავისუფალია საჭმლის მონელების პროცესის წარმოებიდან, იგი ხარჯავს მინიმუმს ენერგიისას, რომელიც განისაზღვრება, როგორც ძარითადი პროცესებისათვის დინიშვლი ნივთიერებათა გაცვლა გამოცვლა, ანუ ძირითადი მეტაბოლიზმი.

ეს ძირითადი მეტაბოლიზმი იცვლება სხვა და სხვა პათოლოგიურ მდგრამა-  
ბარებათა მიხედვით. მაგ. ჰიპერსიმპატიკოტონია მას აძლიერებს, რასაც ჩვენ  
Basedow-სა და საზოგადოთ ჰიპერტირეოიდიზმის დროს ვხედავთ. იგი ქვეით-  
დება myxoedem-ისა და საზოგადოთ ჰიპოტირეოიდიზმის დროს.

კლინიკური მიღებულია გამოანგარიშება არა იმ კალორიათა რიცხვისა,  
რომელსაც მთელი ორგანიზმი ხარჯავს 24 საათში, არამედ იმ კალორიების  
რიცხვისა, რომელიც იხარჯება ერთი საათის განმავლობაში აღამიანის სხეულის  
ერთი მეტრის ზედაპირზე.

თვით კალორიათა ოდენობის გამოანგარიშება ხდება არა პირდაპირი და-  
ზომით სათანადო კამერაში, არამედ შემდეგნაირად.

ვზომავთ ჰაერს, რომელიც ამოისუნთქა ავადმყოფმა, ვსთქვათ, ათი წუთის  
განმავლობაში.

ამ ჰაერში გამოვიყვლევთ ანალიზის საშუალებით გამოყოფილ  $\text{CO}_2$ -ნახ-  
შირმევას და შესუნთქებული  $\text{O}_2$ -ჟანგბადის რაოდენობას.

ამისათვის არსებობს აპარატები, რომელთა შორის უფრო მარტივი და იავი  
Guillaine-ის აპარატია. ნახშირმევასა და ჟანგბადის მიხედვით ვკვლევთ კა-  
ლორიათა რიცხვს, გამოყოფილს ერთი საათის განმავლობაში.

შემდეგ სათანადო ტაბულების მიხედვით ვანგარიშობთ აღამიანის ზედა-  
პირს მისი წენის და სიმაღლის მიხედვით და მიღებულ კალორიების რიცხვს  
ზედაპერზე დაყოფთ. ვიღებთ ძირითადი მეტაბოლიზმის რიცხვს, რომელიც ახა-  
სიათებს ნივთიერებითა გაცვლა-გამოცვლის ინტენსივობას.

ძირითადი მეტაბოლიზმის შესწავლა გვაძლევს საშუალებას თვალყური ვა-  
დევნოთ პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობას და ერთგვარი კონტროლი  
გაუწიოთ მას თერაპიის დროს.

Myxoedem ის დროს მეტაბოლიზმი დაწეულია 35—40% -მდე. Plumie-ს  
აზრით მეტაბოლიზმის დაწევა 17%-ით ჰიპოტიროიდიას ნიშნავს.

ამ შემთხვევაში thyreoidini-ს დანიშვნა სწევს მეტაბოლიზმს ნორმამდე.  
Herann-ს და Abel-ს გამოუქვეყნებია შემთხვევები როდესაც thyreoidin-ით ეჭი-  
მობას მეტაბოლიზმი, რომელიც ნაკლები იყო ნორმაზე —69%, ასულა 5ორმას  
ზევით 44%, და მეორე შემთხვევაში —30%, დან +46% -მდე.

Cretinisme-ის დროს დაწეულია 30%, და ზოგჯერ 42% -ითაც.

უბრალო კოლოიდალური ჩიყვი. ამ სწორულებას ვხვდებით იქ სადაც წყალი  
მოკლებულია იოდის. საქმარისია მიუმატო წყალს 1:1.000.000 იოდი, რომ ეს  
ავადმყოფობა არ განვითარდეს. იქ მეტაბოლიზმი დაწეულია 5—18% -ით. ოპერა-  
ცია ნაჩვენები არ არის ამ სწორულების დროს. ადვილი გასარჩევია ეს სწორულება  
ექზოტალმიანი ჩიყვიდან, თუ მეტაბოლიზმი იქნება გასინჯული.

ადენომია ფარისებრი ჯირკვლისა უჭიპორტირეოიდით.

მეტაბოლიზმი ნორმალურია.

ადენომატოზური ჩიყვი ჰიპერტირეოიდით.

მეტაბოლიზმი აწეულია 35% / მაინც. ამ შემთხვევებში მეტაბოლიზმი იწევს  
ოპერაციის შემდეგ. მაგ. მეტაბოლიზმია დაიწია +76% +14% -მდე ოპერაციის  
შემდეგ.



## ბიოლოგიური ოჯახების მნიშვნელობა ნევროპათოლოგიაში

უსამართლო

Basedow-ის ავადმყოფობა, მეტაბოლისი აწეულია 100%, შუათანა შემთხვევებში 75%-ით, ან 45%. მეტაბოლისმის აწევა პარალელურია პულსის სიჩქარესთან. იგი მოასწავებს ავადმყოფობის სიძნელეს.

3 თვის განმავლობაში მოსვენებით ექიმობამ დასწია მეტაბოლისმი 44%-დან 28%-მდე სამი თვის შემდეგ, 22%-მდე ექიმი თვის შემდეგ, და 19%-მდე ერთი წლის შემდეგ. ამ ავადმყოფობის ექიმობას დროს უნდა დავემყაროთ მეტაბოლისმის გასინჯვას. არასოდეს არ უნდა გაკეთდეს ოპერაცია მეტაბოლისმის ძლიერი აწევის ხანაში. ლოგატურამ, მეორე ოპერაციამ და მოსვენებამ დასწია მეტაბოლიზმი+68%-დან 20%-მდე.

Menopausa-ის ჰიპერტირეოიდიზმი ეწვევს მეტაბოლისმის აწევას 20%-დან 90%-მდე.

ამნაირად მეტაბოლისმის გასინჯვა ფრიდ სასარგებლობა სიმპატიური ნერვული სისტემის მუშაობის გამოსაკვლევად. ზურგის ტვინის სითხის პათოლოგიის შესწავლით, სიმპატიური ნერვული სისტემის ბიოლოგიურ მეთოდების საშუალებით შესწავლილი ნევროპათოლოგია შედის კლინიკურ დისკიპლინათა იმ რიგში, რომელიც თავის განვითარებას ბიოლოგიის განვითარებაზედ ამყარებს.

## პრეზიდენციის.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 16/IV 1925 წლის სხდომის ოქმი.

დაქსწრო წევრი 85, სტუმარი 60.

მოხსენება პირველი.

**ექ. ჯიბუტი.** „თირკმლების კენჭიბი. ჰოსპიტალური კლინიკის მასალის მიმოხილვა“

ექვსი წლის და სამი თვის განმავლობაში ჰოსპიტალურ ხირურგიულ კლინიკას ყოლია 7060 ავადმყოფი და მათ შორის მხოლოდ 18 ნეფროლიტიაზით, ასე რომ ამ სწორულებით დაავადება საქართველოში არ უნდა იყოს ხშირი.

მარჯვენა თირკმლის დაავადება უფრო ხშირია, ვინემ მარცხენასი. დაავადება იწყება ახალგაზრდობაში და თავს იჩენს დაგვიანებით. მოყვანილ 18 შემთხვევიდგან 12 ყოფილა 25 წლამდე. სქესის მხრივ მასალა თანასწორია. კლინიკაში ყოფილა შემთხვევა ცხრამეტი კენჭისა; სიდიდის მხრივ ყოფილა კენჭი 145,0 გრამი წონით. კენჭების ადგილმდებარება უფრო მენჯი და ფიალებია. ეთიოლოგია გამოურკვეველია. არსებობს ფიზიკო-ქიმიური თეორია, ფიზიოლოგიური და ინფექციური თეორია მოყავს Ebsthein-is Nicoloyer-ის და Rosenbach-ის თეორიები. დიაგნოსტიკა გაადვილა ცისტოსკოპიის, შარლაშვილების კატეტერიზაციის პიელო და ურეტროგრაფიის და რადიოგრაფიის შემოღებამ, დიაგნოსტიური მიზნით მიმართვენ აგრეთვე პნეიმოპერიტონეუმს და პნეიმოპერინეფრიუმს.

ერთ შემთხვევაში კენჭი გამოუღიათ გულ-მკერდის ლრუიდგან ერთ-ერთ პატარა ოპერაციის დროს.

მომხსენებელმა წარმოადგინა პრეპარატები, ურეტროგრაფიული და რადიოგრაფიული სურათები.

**ექ. ცეცხლაძე.** რით აიხსნება მარჯვენა თირკმლის არეში ტკივილები, როდესაც კენჭი მარცხენა თირკმელში მდებარეობს?

**ექ. გველესიანი.** ჩემის ფიქრით იმ დასკვნებისათვის, რომელიც მომხსენებელს გამოყავს 18 შემთხვევა საკმაო არ არის და ძლიერ სასურველი იქნებოდა ავტორის მეტი მასალა შეეკრიბა, თუ გინდ სხვა და სხვა საავადმყოფოებში.

**პროფ. თიკანაძე.** სასურველად მიმაჩნია მეტი სინამდვილისათვის გამოკვლეულ ყოფილიყოს გვამები და პათალოგო-ანატომიური სურათები, ვინაიდან ეჭვს გარეშეა ბევრ შემთხვევაში სიცოცხლეში კენჭები შეუმჩნეველი რჩებიან.

**პროფ. მუხაძე.** ასახელებს შემთხვევებს, რომლების დროს შეიძლება კენჭი იყოს, მაგრამ ვერ აღმოვაჩინოთ, ან და პირიქით შეიძლება არ იყოს კენჭი

და გვევონოს რომ არისო. მოყავს შემთხვევა, სადაც ერთმა ცნობილმა დოსტა-  
ქარმა საერთაშორისო ყრილობაზე ყოველი მხრით დასაბუთებული კენჭის არ-  
სებობა ოპერაციის დროს ვერ აღმოჩინა.

**ექ. წულუკიძე.** განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად სთვლის იმ შემთ-  
ხვევას, სადაც კენჭი გულ-მყერდის ღრუში აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევა საღის-  
თაქარო დარღში ჯერ არ ყოფილა აწერილი.

**ექ. გველესიანი.** (მომხსენებელი) — 18 შემთხვევა, რასაკვირველია, ცოტაა  
საბოლოო დასკვნების გამოსატანად, მაგრამ, თუ ამ შემთხვევებს შეუფარდებთ  
იმ 7060 შემთხვევას, რომელიც საზოგადოდ ჩატარდა კლინიკაში, ჩვენ საბუთი  
გვაქვს ვიფიქროთ ნეფროლიტიაზის სიცირრეზე საქართველოში.

**თავმჯდომარე პროფ. ნათიშვილი.** ხახს უსვამს იმ მეთოდებს — Phyelographin,  
Rentgenograph-ს და სხვა — რომლითაც მომხსენებელს უსარგებლია და რომ-  
ლებიც ახალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

მოხსენება მეორე.

**ექ. მ. მგალობლიშვილი.** ავტორი აკეთებს ლიტერატურის მოკლე მიმო-  
ხლვას საშვილოსნოს ფიბრომიომების ეთოლოგიის და ჰისტოგენეზის საკითხის  
შესახებ და აღნიშნავს: რომ არც ერთი თეორია დღემდე გამოთქმული, არ არის  
საბოლოოდ ცნობილი.

ავტორი მოკლედ ეხება საკვერცხეს, როგორც შინაგან სეკრეციის ორგა-  
ნოს და ლიტერატურის მიხედვით ამტკიცებს ამ ორგანოს დიდ მნიშვნელობას  
საშვილოსნოს ნორმალურ ზრდა-განვითარებაში და მის ფუნქციების ნორმალუ-  
რად წარმოებაში.

ის მოსაზრება, რომ საშვილოსნოს ფიბრომიომა ჩნდება მწოლოდ მოწი-  
ფულობის გაღვიძების და ყყვავების ხანაში, რომ Menopaus-ის დაღომისას ის  
შეიძლება თავის თავადაც დაპატარავდეს (ზოგჯერ კი სრულიადაც გაქრეს);  
რომ კასტრა-ოპერატიული იქნება ის, თუ რენტგენის სხივებით გამოწვეული  
იძლევა სიმსიმეზის, როგორც შეჩერებას, ისე ატროფიასაც. ყველა ეს მოსაზრე-  
ბა საბუთს აძლევს ავტორს იფიქროს საკვერცხების ფუნქციის აშლილობაზე  
როგორც ფიბრომიომის წარმოშობა-განვითარების ეთოლოგიურ მომენტზე.

ამ მიზნით მას გაუსინჯავს გისტოლოგიურად 32 საკვერცხე ოპერაციით  
ამოკევთილი ფიბრომიომებთან ერთად, მას უსარგებლია აგრეოვე კლინიკის  
ძველი მასალით და ნახულ ცვლილებათა მიხედვით გამოყავს შემდეგი დასკვნე-  
ბი: 1) კლინიკურად ფიბრომიომების ზრდის საქმეში საკვერცხეს მნიშვნელობა  
უეჭველია, 2) ფიბრომიომების დროს არსებული პატალოგო-ანატომიური ცვლი-  
ლებანი საკვერცხეში არ აისხება მაოტო ხორცმეტის, ან ანთებითი პროცე-  
სით გამოწვეულ გავლენით, 3) დადასტურებული ცვლილებანი გამოხატავს ალ-  
ბად საკვერცხს დისფუნქციას, მის შინაგან სეკრეციის აშლას. ეს დისფუნქცია  
თანდაყოლია და წარმოადგენს საზოგადო კონსტიტუციონალურ ანომალიას ერთ-  
ერთ მხარეს. 4) საკვერცხს დისფუნქციის მოსპონით ისპობა როგორც მიღრე-  
კილება ხორცმეტის ზრდისადმი, ისე ამ ხორცმეტის დაპატარავება.

## შეკითხვები და კავათი.

**ექ. წულუკიძე**—სასურველია გავიგოთ, თუ რით ხსნის მომხსენებელი კასტრაციის დროს მომზდარ ატროფიას შინაგანი სეკრეციით ხომ არა?

**პროფ. ნათოშვილი**. როგორ შეიძლება წარმოედგინო ფიბრომიომების ზრდა, თუ უჯრედები ფიზიოლოგიურად მომწიფებული არ არიან. უჯრედების ზრდა წარმოუდგენელია. რატომ არის რომ თქვენ არ მოგიხსენებიათ Riberta-ის და აგრეთვე ინფექციური თეორია?

**პროფ. თიკანაძე**—რენტგენის სხივების მოქმედება შეიძლება იყოს პირდაპირი მიომის უჯრედებზე, თუ არა?

**ექ. მგალობლიშვილი**. (მომხსენებელი) კასტრაციით საკვერცხებს ჩვენ ვაშორებთ გორმონებს, რომლებიც ალბალ გამაღიზიანებლათ მოქმედობენ ფიბრომიომის უჯრედებზე და იშვევენ მათ პატოლოგიურ პროლიფერაციას; არა სრულ დიფერენციაციის უჯრედებს შეუძლიათ ჰისტოლოგიური თვალსაზრისით მომწიფებულად გამოცხადდენ, მაგრავ ფიზიოლოგიური ფუნქცია ნორმალურ უჯრედებისა ვერ აწარმოონ. მალლა მდგომ უჯრედად უნდა ჩაითვალოს ის უჯრედი, რომელიც ფიზიოლოგიურად არის მომწიფებული და რომელიც აშვდის ორგანიზმს საჭირო სეკრეტს და რომლის კვება-გამრავლება და ფუნქციის ასრულება შეფარდებულია მეზობლად მყოფ სხვა უჯრედთა ამავე პროცესებთან. Riberthis და ინფექციონალურ თეორიებზე მოხსენებაში მაქვს ნათქვამი, მხოლოდ ამაზე არ შექმნილი, რადგან დღეს ამ თეორიების მნიშვნელობა უარყოფილია. რენტგენის სხივებს შეუძლია იმოქმედოს მიომის უჯრედებზე, მხოლოდ საჭიროა დოზა იყოს საჭმაო.

ქართველ ექიმთა 30/IV 1925 წ. საზოგადოების სხდომის ოქმი.

დაესწრო წევრი 95, სტუმარი 67.

**პროფ. Wassermann-ის** ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვას წარმოსთქვამს  
**ექ. ტყეშელაშვილი**.—აღნიშნავს იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც W-ის აღმოჩენამ შეიტანა სიფილიდოლოგიაში, ასახელებს საკითხის იმ მხარეებს, რომლებიც დასახელებულ აღმოჩენამდე დიდ სიძნელეს წარმოადგენდენ დიაგნოსტიკის მხრივ ძნელ და თავსამტკრევ საკითხებად იყვნენ აღიარებული. W-ის რეაქციამ მთელი რევოლუცია მოახდინა, როგორც დიაგნოსტიკის, ისე ტერაპიის მხრივ, ძირიან ფრენისანად შეცვალა ბევრი ძელი შეხედულებანი ნერვულ სისტემის დაავადების, თანდაყოლილი და შთამომავლობითი ათაშანგის, არტრიტის და სხვა მრავალ საკითხთა შესახებ.—შესაძლებელია მეცნიერულმა წინმსვლელობამ ბევრი რამ შეცვალოს W-ის რეაქციაში, შესაძლებელია ამ რეაქციის ადგილი ისეთმა ახალმა რეაქციებმა დაიკავონ, როგორიცაა დალექითი რეაქციები ზაქს-გეორგისა, მეინიკესი და სხვების, მაგრამ ის მძლავრი იდეა, რომელიც ასეთი ნიჭითა ჩაქსოვილი ამ რეაქციის წარმოშობაში, უკვდავი დარჩება საექიმო მეცნიერებაში ისე, როგორც თვით ამ იდეის პირველი მატარებე-

ლი პროფ. ვასერმანი. შეორე სიტყვას Wassermann-ის ხსოვნისათვის წარმოს-  
თქვამს პროფ. ამირაჯიბი. ოომელიც ლაპარაკობს W-ის მეცნიერულ ნამუშე-  
ვარჩე საზოგადო—იმუნიტეტურ და სეროლოგიურ ხსიათის მის შრომებზე  
(აუტორეფერატი არ არის წარმოდგენილი).

მეცნიერულ მოხსენებას აკეთებს პროფ. ვირსალაძე. — „ამებიაზის პრო-  
ლემა“ (აუტორეფერატი არ არის წარმოდგენილი).

**ექ. ზ. მიქელაძე.** მაინტერესებს იატრინის მოქმედება ამებიაზის დროს.  
გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში გადაჭარბებული გატაცება წამოყენე-  
ბული ამ საკითხის შესახებ. ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც ივალებულის კლინი-  
კურად არა ემჩნევა-რა, ექსპერიმენტებში აღმოაჩნდება ამება, მას მთელი თვეო-  
ბით დიეტაზე აჯერენ და ას ავად ხდება ნეირასტენით. ჩვენის აზრით კი ავად  
უნდა იქმნას ცნობილი მხოლოდ ის ავადმყოფი, რომელსაც ამების აღმოჩენის  
გარდა კლინიკურადაც აღმოაჩნდება ამებიაზის მოვლენები. ზოგიერთების აზ-  
რით ემეტინი მოქმედობს წითელ ბურთულებზე და არა პირდაპირ ამებებზე.  
ეპვი მებადება, რომ per klysma შეზობილმა იატრინმა აღვილობრივ იმოქმედოს.  
ვამჯობინებდი შიგნით დანიშვნას.

**ექ. ანთაძე.** აწერილია Amebo Uretrogenital. შინდა გავიგო აქვს ამას რა-  
იმე დამკიდებულება დიზენტერიის ამებასთნ, თუ არა.

**პროფ. ამირაჯიბი.** უკანასკნელ ხანებში ბევრს ვლაპარაკობთ ამებიურ  
დიზენტერიაზე და მის გავრცელებაზე. სასურველია ვიცოდეთ რა მოუფიდა ბა-  
ცილიალურ დიზენტერიას? ჩვენში დიზენტერიის პანდემია რაღაც თავისებუ-  
რია. აბცესები ცოტაა. თითქმის ასი პროცენტი ამ ამების მატარებელია, კლი-  
ნიკურად კი ძალიან ცოტაა იმით ავადმყოფი, საჭიროა მეტი დაკვირვება ავად-  
მყოფობის გამოსაცნობად. შეიძლება არსებობდეს უმანკო და ერთ და იმავე  
დროს მანებელი ამებები.

**პროფ. ნათოშვილი.** აღნიშნავს Emetin-ის კომულატიურ მოქმედებას და გა-  
რისთვამს შიშ მისი ხმარების შესახებ.

**ექ. წულუკიძე.** თუ ამებების გადატანა სისხლის და ლიმფატიური მილე-  
ბის საშუალებითაც ხდება, მაშინ შესაძლებელია აბცესების გაჩენაც.

**პროფ. ვირსალაძე.** (მომხსენებელი) იატრინის მოქმედების შესწავლა და-  
სრულებული არ არის. ზოგი ფაქტობს, რომ მისი მოქმედება აღვილობრივი ხა-  
სიათისაა, ზოგს კი გონია, რომ ეს მოქმედება ზოგადი ხსიათისაა.

**Uretrogenital-ურ ამებების შესახებ** უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ორგა-  
ნოებში მართლაც იპოებიან ამებები, მაგრამ მათ პატოგენური თვისებები არ  
აქვთ. ემეტინს კომულატიური ხსიათი, მართლაც აქვს და ამიტომა რომ ხმა-  
რების დროს პაუზებს ვაკეთებთ. არსებობს ბაცილიალური დიზენტერია და არსე-  
ბობს ამებური დიზენტერია. ეს უკანასკნელი ომის დროს გავრცელდა გერმა-  
ნიაში, ეხლი კი კლებულობს. ემეტინის ერიტროციტებზე მოქმედების შესახებ  
არსებობს ცალკე აზრი, მაგრამ ეს ჯერ დამტკიცებული არ არის. იტრინის ად-  
გილობრივ მოქმედების შესახებ არსებობს ბევრი ავტორიტეტის აზრი და მარ-  
თლაც per klysma—მისი ხმარება ბევრ შემთხვევაში მიზანშეწონილი,—ამე-  
ბიურ დიზენტერიის გავრცელების შესახებ გადაჭარბება შესაძლებელია, მართ-



ლაც არსებობდეს, მაგრამ ამებური დიზენტერია რომ გავრცელებულია ჩვენში ეს, ყოველ ეჭვს გარეშეა. გამოკვლევა და მეტი შესწავლა საკითხისა, რასაკვირ-ველია, საჭიროა და მეტად სასურველიც.

**ქართველ ექიმთა საზოგადოების 7/V 1925 წ. სხდომის ოქმი.**

დაესწრო 70 წევრი და 45 სტუმარი.

**ექ. ა. შატილოვი.** გარდაცვალებულ ცნობილ ოკულისტ Hirschbergi-ს ხსოვ-ნისათვის წარმოსთვევამს სიტყვას, რომელშიაც ახასიათებს მას, როგორც მეც-ნიერს, რომელმაც ბევრი იშრომა ოფთალმალოგიის გასაუმჯობესებლად, შემოილო ახალი წესი ოფთალმოსკოპიისა, მაგნეტოოპერაციისა, დაარსა ოფთალმოლოგიის უურნალი და სხვა.

მოხსენება პირველი.

**ექ. ლ. ანთაძე.** ცხოველებზედ Treponema Sodoku-თ გატარებულ ცდების შედეგები—დასახელებულ სპიროხეტების ვირულენტობის შესამოწმებლათ ავ-ტორს აულია 4,0 კულტურისა, აუცრია თეთრი ვირთაგვისათვეს, რომლისაგან შეკრებილ ექტოპარაზიტებში ცამეტიდან ორში უპოვნია მიკროსკოპიულად უტ-ყუარი სპიროხეტები. ამან ის დააინტერესა ეპიდემიოლოგიური თვალთაზრისით და წამოაყენა დებულება ამ უცნობ ექტოპარაზიტთა მიერ Gumesiden-ის ოჯა-ხიდან Sodoku-ს გადატანა-გავრცელების შესახებ ცხოველთა შორის.

ამ მიზნით მას უწარმოებია შესაფერი ცდები და მისულა შემდეგ დასკვნამდე:

- 1) მიღებული Trepon. Sodoku-ს კულტურა ვირულენტურია.

- 2) Treponema Sodoku-ს—კულტურით ცკრილ თეთრუირთაგვებზე მყოფ და იქედან შეკრებილ Gumesiden-ის ოჯახის ტკიპა, რომლის სახეობა დადგენილი იქნება შეიცავდა ზემოდ დასახელებულ სპიროხეტებს მაშინ, როდესაც ცდაში არ ნაყოფი ვირთაგვებიდან შეკრებილი ამავე სახის ტკიპები მათ არ შეიცავდა.

- 3) სპიროხეტთა შემცველ ექტოპარაზიტთა ემულსიით ბულიონში შესაძლოა ვირთაგვებზე ექსპერიმენტალური Morbus Sodoku-ს მიღება.

- 4) ჩვენ მიერ დასახელებულ ტკიპებში არსებულ სპიროხეტებით ვირთაგ-ვების დაავადება ემულსიის სახით კანქვეშ შეშხაბუნებით არის ხელოցნური გზა ინფექციის შეყვანისა ცხოველის ორგანიზმში.

- 5) ორგანოებში ნახული სპიროხეტები ოდენობით და ხვეულთა რიცხვით ისეთივეა, როგორც სხვა ქვეყნებში აწერილი.

### შეკითხვები და კავათი.

**ექ. წულუკიძე.** ყველა სპიროხეტები ერთი და იგივე ფორმისაა, თუ სხვა და სხვა გვარი?

**პროფ. ამირაჯიძი.** საინტერესოა შესაძლებლობა ამ სნეულების სხვა ცხო-ველების საშუალებით გადატანისა. როგორც ვხედავთ ერთგვარ მწერებს ქონიათ სნეულების გადატანის უნარი.



**ექ. გველესიანი.** საიღან იყო გადატანილი ასაკრელი მასალა?

**ექ. ანთაძე.** (მომხსენებელი) ჩემიგნით აწერილი სპიროხეტები არ განსხვავდებიან სხვებისგან მიღებულ სპიროხეტებისგან. მასალა აღებულია იმ აღვილებიდან, სადაც ვიცოდით, რომ ნამდვილად იქნებოდნენ სპიროხეტები.

**პროფ. ნათოშვილი.** (თავმჯდო.) აღნიშნავს სიამოვნებით, რომ იმ სნეულების გადამტან ცხოველების გამოკვლევა სწარმოებს საქართველოს ლაბორატორიაში დიდი ენერგიით და მაღლობას უცხადებს მომხსენებელს კრების სახელით ფრიად საინტერესო მოხსენებისათვის.

მოხსენება შეორე.

**ექ. ანთელავა.** „ფილტვების ჭლექის ქირურგიული წამლობა“ (აუტორეფერატი არ არის წარმოდგენილი).

**ექ. ცეცხლაძე.** არიან თუ არა ავადმყოფები მოაჩენილი?

**ექ. ცხაკაია.** სუსველა თვრამეტ შემთხვევაში კარგი შედეგები მიიღეთ, თუ არა გაუმჯობესება მულმივია, თუ დროებითი?

**ექ. გაგამიარი.** პნევმოტორაქსი ახალი არ არის, დაკვირვებები ბევრია 500 – 600-მდე და მეტიც. თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს სიცხის დაკლებას. საქართველოში პნევმოტორაქს აწარმოებდენ ექიმები კ. ლორთქიფანიძე, კრესტიკვი და მე. ერთი საკითხია საინტერესო, როდის უნდა გაკეთდეს პნევმოტორაქსი. მასალის ამორჩევა ძნელია. პნევმოტორაქსის შემდეგ ხშირად ჩნდება პლევრიტი, ხანდისხან დაჩირქიანებაც, მაგრამ ეს კვ საშიში არ არის. ხელოვნური პნევმოტორაქსი, ჩემის აზრით, მეტად საჭირო საშუალებაა ტუბერკულოზის წამლობაში. რაც შეეხება ზუურბუხის ოპერაციას, მას არ მოაქვს კარგი შედეგები.

**ექ. წულუკიძე.** მოხსენება საინტერესოა იმით, რომ მომხსენებელს პროვინციაში უწარმოებია ქირურგიული შეთოდები. ეს მეთოდი ცნობილია და ყველა მიღებული. N. phrenicetus-ის ამოგლეჯა არის უბრალო ოპერაცია, მაგრამ ეს საკმარისი როდია, ამიტომ უმატებენ ან თორაკოპლასტიკას, ან პნევმოტორაქსი.

**ექ. ნაზარაშვილი.** ჩემის აზრით წინასწარ საჭიროა გადაღებულ იქნას რენტგენის სურათები.

**პროფ. მუხაძე.** თორაკოპლასტიკის ოპერაცია ძნელი ოპერაციაა, განსაკუთრებით ისეთ ავადმყოფზე, როგორც ტუბერკულოზებიანი არიან. ჩენი დაკვირვებით ეს ოპერაცია ხშირად სიკვდილით ბოლოვდება ხოლმე და მას უნდა მივწართავდეთ განსაკუთრებულ პირობებში.

**პროფ. წინამდღვრიშვილი.** პნევმოტორაქსი არ წარმოადგენს ქირურგიულ წესს. თქვენ აღბად ითვალისწინებდით როგორც ანატომიურ დაზიანებას, აგრეთვე ბიოლოგიურ რეაქციას. წამლობის დროს საჭიროა სრული და ნამდვილი კლასიფიკაცია. საინტერესოა აგრეთვე გავიგოთ მოხდა თუ არა მომხსენებლის მიერ აწერილ შემთხვევებში სრული აღდგენა; იყო თუ არა გამოკვლევა სისტემისა და სხვა და სხვა?

**ექ. ანთელავა.** (მომხსენებელი). მთელად მოსარჩენად საჭიროა 1—1 $\frac{1}{2}$  წელიწადი, ეხლა კი ნაექიმარი ავადმყოფები იმდენად გამოსწორებულები არიან, რომ შეუძლიათ იმუშაონ. 18 შემთხვევიდან რომ გარდაიცვალა, თთხ შემთხვევაში ვერ მივიღეთ კარგი შედეგები. პნევმოტორაქს ხმარობენ ორივე მხარეზე



და ფართოდ. ჰაერი შეგვყავს სულ ცოტა. დაჩირქიანების შიში ზედმეტია; მოყავს სტატიისტიკა, საიდანაც სჩანს, რომ პნევმოტორაქს ფართოდ ხმარობენ. N. phrenicus-ის ამოჭრასთან ერთად ამოიგლიჯება ხოლმე სხვა შტოებიც. ტორაკუპლასტიკა ძნელად გადასატანი ოპერაცია რჩება მხოლოდ 34%.

**თავმჯდომარე პროფ.** ნათიშვილი. მოხსენება საინტერესოა. ქირურგიული მეთოდები გატარებულია პროვინციაში, სადაც ნაკლები შესაფერი პირობებია. აბასთუმნის ჰაერი, კარგი კვება, მზე, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა კარგ შედეგების მიღებას. N. phrenicus-ის ამოგლეჯის დროს საჭიროა სიფრთხილე, რადგან ანატომიურად ხშირად არ ვიცით სად მდებარეობს ეს ძარღვი—ზოგჯერ ის სისხლის ძარღვებს მისდევს, ზოგჯერ კი შიგ ვენაში გაიღლის.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 14/V—1925 წ. სხდომის ოქმი.

დაესწრო 45 წევრი და 35 სტუმარი.

მოხსენება პირველი.

**დოცენტი ასათიანი.** „ფსიხოპატიური კონსტიტუციები“ (აუტორეფერატი არ წარმოუდგენია).

ექ. გილოზანიძე. თქვენ მიერ, როგორც მოხსენებიდან სჩანს, მიღებულია კრებმერის კლასიფიკაცია. ბავშვის ასაკისათვის უფრო მისალებია მასლოვ-ის კლასიფიკაცია.

ექ. გეგეშკორი. ასტენიური ტიპები, თანახმად თქვენი მოხსენებისა, უფრო ხშირად ავად ხდებიან შიზოფრენით პიკნიური, ტიპები კი ცირკურიალური პისხით. რადგანაც ჩვენში გავრცელებულია უფრო ასტენიური ტიპი, მე მაინტერესებს აგრეთვე ხშირი შიზოფრენია, თუ არა?

**დოც. ასათიანი.** (მომხსენებელი) ბავშვებზე, რასაკვირველია, ძნელია გამოცნობა, თუ რომელი ტიპს ეკუთვნება იგი მომავალში, მაგრამ ზოგიერთჯერ აშკარა გამოხატულ ნიშნების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დასვათ დიაგნოზი, თუ რომელ კონსტიტუციას ეკუთვნის ესა თუ ის ბავშვი. სრულ წლოვანთათვის კრებმერის კლასიფიკაცია საქსებით დამაკმაყოფილებელია და მისალები. იმის თქმა, თუ რომელი ხასიათის დაავადება უფრო ხშირია ჩვენში—ძნელია, რადგან ამის სტატიისტიკა ჩვენ არ ვვაქვს ჯერ-ჯერობით.

**თავმჯდ. პროფ.** ნათიშვილი. როგორც ვხედავთ კონსტიტუციის საკითხი ჯერ-ჯერობით სავსებით არ არის შემუშავებული. რაც შეეხება იმას, თუ რომელი კონსტიტუციის შატარებელი ვართ ქართველები, ამის თქმა ეხლა არ შეგვიძლია. ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი დაკვირვება და მუშაობა. აქ უდიდესი აღვილი ექნება ანატომიის შესწავლას. საბოლოო დამუშავება საკითხისა ეკუთვნის პსიხიატრებს.

მოხსენება მეორე.

ექ. წულუკიძე. დიდი ბადექონის ზოგიერთი დამცველობითი თვისებანი. (აუტორეფ. არ წარმოუდგენია).

**ექ. დემეტრაძე.** როდესაც ბაქტერიებს უშხაპუნებლენ, როგორ მდგომარეობაში იყო პერიტონეუმი?

**ექ. თოდაძე.** როგორ ბოლოვდებოდა ავალმყოფობა იმ შემთხვევაში, როდესაც ბადექონი იყო ამოკვეთილი და ზიანდებოდა ორგანოები. მეორე, როგორ მოხდა, რომ ზოგიერთ ავტორებს ბადექონის ამოკვეთის დროს ცხოველები ეხოცებოდათ და თქვენი ცდების დროს კი არა. მესამე, აქვს თუ არა ბადექონს დამსველებელი თვისებები?

**ექ. ცეცხლაძე.** აქვს თუ არა მნიშვნელობა ენდოტელიუმის დაზიანებას, როგორც ვიცით, ჟეწებები ხდება მაშინ, როდესაც დაზიანებულია ენდოტელიუმი. მუცილის ღრუში და კანქვეშ ბაქტერიების უშხაპუნების დროს ზიკოვს სულ სხვა შედეგი მიუღია. რით ხსნით ასეთ განსხვავებას. აქვს თუ არა ბადექონს მოძრაობის უნარი.

**ექ. იასელიანი.** ზოგიერთი ავტორი დად ბადექონს აკუთვნებს სითხის შემწვრეტელ ორგანოს თვისებას, ზოგიც ფიქრობს, რომ იგი სისხლის წარმოშობი ორგანოა.

**პროპ. ამირაჯიბი.** მე ვგონებ, რომ ორივე გამოთქმული აზრი მართალია, რადგან ჩენ ვიცით, რომ სხვადასხვა ქსოვილებს აქვს სხვადასხვა გრძნობიერებაც და ცდების შედეგებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქსოვილით ვსარგებლობთ.

**პროფ. მუხაძე.** მომხსენებელი ბადექონს უფრო ჟეწებების უნარს აკუთვნებს. ეს კი ბიოლოგურ თვისებათ უნდა ჩაითვალოს. რაც ჟებება ბადექონის დაგრძელებას, აქ, ჩემის აზრით, საქმე გვაქვს მის რამე პათოლოგიურ ცვლილებასთან, როგორც, მაგალითად, არის ჰიპერტონია, რომელიმე გამაღიზიანებელი მიზეზების გამო.

**ექ. წულუკიძე.** (მომხსენებელი) თუ ზიკოვის ცდები მართალია, რატომ არ შეიძლება მართალი იყოს იცის ციცელის და წულუკიძის ცდები. შეხორცების პროცესს აქვს ბიოლოგიური მნიშვნელობა. ზოგიერთის აზრით ბადექონის მოძრაობის უნარით უნდა იხსნებოდეს ის შემთხვევები, როდესაც მას თადრის პარკში პოულობენ. მე კი მგონია, რომ ამ შემთხვევაში ნაწლავებმა ჩაიყოლია ბადექონიც. მიწებება, რასაკვირველია, ხდება როდესაც დაზიანებულია ენდოტელიუმი. ცხოველების დახმცვა და გადარჩენა უნდა მიეწეროს ტენიკას და ინფექციას. ლიტერატურაში გამოთქმულია ის აზრი, რომ ბადექონს დამსველებითი თვისებები აქვს; სითხის შემწვრეტელ თვისებების შესახებ მე საკუთარი ცდები არ მიწარმოებია და ვერას ვიტყვა.

**თავმჯდ. პროფ. ნათოშვილი.** საკითხი საინტარესოა, როგორც კლინიკურად, აგრეთვე ანატომიურად.

**ანატომიის მხრივ** ეს საკითხი არ არის ჯერ-ჯერობით სავსებით გამოკიდებული. საჭიროა დიდი მასალის დაგრძელება და დამუშავება. აქ ერთი რამ არის შესამჩნევი. სხვადასხვა ცხოველებს სხვადასხვა სიგრძის და სხვადასხვა თვისებების ბადექონი აქვთ. ამიტომ ცდები უნდა ტარდებოდეს ერთ და იმავე ცხოველზე და მიღებულ ჟედეგები, რა თქმა უნდა, დიდის სიფრთხილით უნდა იყოს გადატანილი აღამიანზე.



ქართველ ექიმთა საზოგადოების 18/VI 1925 წ. სხდომის ოქმი.

დაესწრო სულ 52 კაცი.

**პროფ. თიკანაძე.** წარმოსთქვამს სიტყვას პროფ. ბუმის ხსოვნისათვის—დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბუმი მძიმედ ავად გახდა: მას გამოაჩნდა ნალვლის ბუშტის ემპიერის და მისი პერფორაციის ნიშნები. საჭირო გახდა ოპერაცია, რომლის გაკეთების მესამე დღეს პროფ. ბუმი გარდაიცვალა. განსვენებული იქნებოდა სულ 67 წლისა, მაგრამ ის იყო ძალონით და ენერგიით აღსაგეს და შეეძლო შეექმნა კიდევ ბევრი რამ საექიმო სამეცნიერო დარგში.

გერმანელ მეცნიერთა შორის მას დიდი სახელი მოუხვეჭა დედაკაცის პონორეით დაავადების შესახებ მის მიერ დაწერილმა შრომებმა და ამ სენის სუფთა ქულტურის მიღებამ.—ბაზელის უნივერსიტეტის ქალთა კლინიკის გამგეთ ყოფნის დროს მან დაამუშავა თავისი შესანიშნავი სახელმძღვანელო მეანობის შესახებ. ეს სახელმძღვანელო ცნობილია და გადათარგმნილი ყველა ევროპიელ ენაზე. ნათარგმნია ქართულადაც. 1904 წ. ის იქმნა მიწვეული ბერლინის უნივერსიტეტის ქალთა კლინიკის გამგეთ, საღაც მან დიდი ცოდნა და უნარი გამოიჩინა ძველი კლინიკების მეცნიერულად თანამედროვე მოთხოვნილებისა და გვარად დაყენების საქმეში. ბუმი იყო დიდი ენა-მეტყველი და დიდი ხელოვანი მხატვარი; დიდხანს ხელმძღვანელობდა Arehiv für Gynekologie-ს რედაციისა.

**ექ. ი. ახმეტელი.** მოახსენებს კრებას ლენინგრადში მომხდარ დოსტაქართა ყრილობის შესახებ.

მეცნიერული მოხსენება ექ. გ. კაკოიშვილისა „შარდ საწვეთების ანომალიები“.

წარმოდგენილია ექვსი შემთხვევა, რომლებიც აღმოჩენილია სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტში უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში.

აღნიშნულ შემთხვევებში სამა იყო ცალმხრივი შარდსაწვეთების გაორკაპებით—ორი მარჯვენა მხარეზედ და ერთი მარცხენა მხარეზედ. ორ შემთხვევაში გაორკაპება არსებობდა ორმხრივი, ერთ შემთხვევაში კი აღგილი ქონდა ორმხრივ გაორადებას, რომლებიც საკუთარი ხერელით იხსნებოდენ შარდის ბუშტის კედელში. მომხსენებელმა მოიყვანა სხვა და სხვა თეორიები შარდსაწვეთების გაორადების და გაორკაპების ემბრიონალურ განვითარების შესახებ; აღნიშნა აგრესუ სხვა და სხვა ავტორების შეხედულობა ამ ანომალიების შესახებ და დაჰყო ეს ანომალიები რიცხვის, მიმართულების, შარდსაწვეთების ზემო და ქვემო ნაწილის სხვა და სხვა სახით დაბოლოებას, სიკრძის და სანათურის შიხედვით.

დასკვნები შემდეგია.

1. შარდსაწვეთების გაორადება საზოგადოთ ორივე მხარეზე შესაძლებელია.
2. შარდსაწვეთების გაორადება უფრო ხშირად მარცხენა მხარეზე ხდება, ვიდრე მარჯვენაზე.

3. შარდსაწვეთების დუპლიკაციის დროს სასურველია გაგარჩიოთ გაორადება ნაწილობრივი—duplicativ uretis partiolaris და მთლიანი გაორადება duplicativ uretis complectus, ანუ პირდაპირი—duplicativ uretis, sen ureter dplet



4. ორი შარდსაწვეთის არსებობის გამოაშკარავების დროს კატეგორიულად დიაგნოზის დასმა შეზრდილ თირკმლების არსებობის შესახებ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

5. ზოგიერთი ავტორების აზრი, რომ არ შეიძლება ერთი შარდსაწვეთი ერთ თირკმელს ეკუთვნოდეს—შემცდარია.

მცირე შეკითხვების და მათზე პასუხის გაცემის გარდა კამათი არ ყოფილა

### ქართველ ექიმთა საზოგადოების 11/VI 1925 წ. სხდომის ოქმი.

ექ. მ. კოკოჩაშვილი. „Mleothoracopagus-ის შემახვევა“. (იხ. თანამედროვე მედიცინა № 9).

**პროფ. ნათიშვილი.** ეს შემთხვევა ყოველი მხრით საინტერესოა და წარმოადგენს ჩვენი ანატომიური ინსტიტუტის განძეულობას, რომელიც უძლენა მას ქალაქ. პირველი სავადმყოფოს სამეცნიერო განყოფილების გამგემ ექიმმა მონინმა, რომელსაც მაღლობას ვუძლივით. — ასეთ სიმახინჯეს აქვთ მეცნიერული ანტერესი, მას აქვს ერთი ჭიბულარი, შინაგან ორგანოთა სხვა და სხვა გვარი განსხვავება. მოხსენება მეორე.

**პროფ. ვირსალაძე.** „ზოგიერთი ახალი ქემო და ფარმაკოტერაპევტიული მიღწევანი გერმანიაში“ (ავტორებ. არ არის წარმოდგენილი).

ექ. შატრილოვი. ოპტორინის ოპტალმალოგიაში ვებარობთ Ulc. corno-ს დროს, მაგრამ მე ვერ ვნახე მისი უპირატესობა სხვა მედიკამენტებთან შედარებით. ამ პრეპარატის ხმარების დროს აწერილია შეედლელობის დაზიანება.

**პროფ. ვირსალაძე.** ოპტორინის მიცემა შეიძლება მხოლოდ სამი დღის განმავლობაში—სულ ერთად 3,6.

**პროფ. ნათიშვილი.** როგორც მოხსენებილგან სჩანს გერმანიაში ამ უკანასკნელ ხანებში გამოშვებული ყოფილა ბევრი სხვა და სხვა მედიკამენტები, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ცოტაოდენს გამოუჩენია კარგი უნარი და ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

### ქართველ ექიმთა საზოგადოების 8/X 1925 სხდომის ოქმი.

დაქვემდებრი წევრი 68, სტუმარი 45.

მოხსენება პირველი.

ექ. ვარ. ჭიჭინაძე. „Atrophy alveolaris proecox“.

მომხსენებლის სიტყვით დასახელებული სნეულება იშვიათი დაავადებაა; თავისი შედეგებით წააგას Pyoerhaen alveolaris-ს სურავანდს და რეგრესიულ ფიზიოლოგიურ პროცესს — Atrophy senilis. დაავადების სურათს წარმოადგენს ნაადრევად ალვეოლარული მორჩის კიდეების ატროფია—შესუტვაში. ამ გვარ პროცესს განიცდის უმეტესად ფრონტალური კბილები, განსაკუთრებით ქვედა ყბისა. ავადმყოფობა მიმღინარეობს უჩინარ მიზეზების გამო უანთვოთ, უჩინარ და ამავე დროს Sig. circular. იშვევს ზევით, ან ქვევით მჭიდროდ ჩაჭედილი



კბილებზე, ვიდრე კბილის ფესვი სულ არ გაშიშვლდება და კბილები არ დასცვივა. დაავადება ხდება უმეტესს ნაწილად 30 წლის ასაკში. ეთიოლოგია გამოურჩეველია. ავ ტორების უმეტესი ნაწილი ფიქრობს რომ მიზეზი ნეირისტენია და ტროფო-ნერვიული აშლილობა.


**პროც. მუხაძე.** ტერაპია არ არსებობს — კბილები დასცვივა.

**პროც. მუხაძე.** როგორც მოხსენებიდგან სჩანს Pyorrhæ alveoli. გავრცელებული ყოფილა Atrophy alveolar. კი იშვიათი. მინდა გავიგო ასეა მხოლოდ ჩვენში, თუ იგივეა სხვა ქვეყნებშიდაც.

**ექ. ჭიჭინაძე.** (მომხსენებელი) — ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ მაინცა და მაინც ბევრი არ არის ნათქვამი, მაგრამ რაოდენადაც გაცნობილი ვარ ლიტერატურას, ამავე მოვლენას აღგილი აქვს სხვა ქვეყნებშიც.

**პროც. ნათიშვილი.** ვ. ჭიჭინაძის მოხსენება წელს ჩვენ საზოგადოებაში მესამეა — პირველი Cystoma alveolar. მეორე Pyorrhæ alveoli. და მესამეც დღეს Atroph. alv. — ყველა ამ დაავადებას მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადო კონსტი. ტუკიონალურ საკითხთან, ეს არ არის უბრალო ადგილობრივი დაავადებანი. აქედან ცხადია, რომ ოდონტოლოგიას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა ჩვენი დარგის სპეციალურ საგანს. პროფესორი აღნიშნავს მომხსენებლის 30 წლის მუშაობას ოდონტოლოგიურ დარგში და მის მოღვაწეობას ოდონტოლოგიურ კლინიკის კედლებში.

**პროც. მუხაძე.** აღნიშნავს მომხსენებლის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს გადახდას, ხახს უსვამს მომხსენებლის პოპულარობას როგორც ექიმთა წრეებში, აგრეთვე ფართო საზოგადოებაში, დაწვრილებით ჩერდება მის დაულალავ მუშაობაზე და დიდ დამსახურებაზე ოდონტოლოგიაში.



მიმდინარე გ. ლ. ელიაზა.

ქართველ ექიმთა მცირე რიცხვს მოაკლდა საუკეთესო წევრი—ექიმი გრიგოლ ლავრენტის-ძე ელიაზა აღზრდილი საუკეთესო ტრადიციებზედ, გატაცებული უზომო სიყვარულით თავისი ერის, იგი ყოველთვის ზრუნავდა საზოგადო-ებრივ საკითხებზედ და ღებულობდა დიდ მონაწილეობას ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს განახლებულ ცხოვრებას, მისი კულტურულ ზრდას იგი შეხაროდა და უკვე დაავალმყოფებული მაინც არ აკლდებოდა ექიმთა კონგრესებს და საექიმო საზოგადოების კრებებს. მთელი თავისი ენერგია, ახალგაზრდობა მან შესჭირა ბათუმს, სადაც 32 წლის განუწყვეტლივი მუშაობით დასტოვა საუკეთესო მოგონებანი. დიდი გამოცდილება, ცოდნა და კეთილი გული იზიდავდა აუარებელ რიცხვს ავალმყოფებისა. ბერი აყალმყოფი იგრძნობს დიდ დანაკლისს და მოიგონებს ხშირად იმ ადამიანს, რომელიც ყოველთვის ზრუნავდა მათზედ და დაულალავად ყოველ დროს ემსახურებოდა მათ.

გრიგოლ ელიაზა დაიბადა 10 თებერვალს 1856 წ. სოფ მარტვილაში (სენაკის მაზრა), საშუალო სწავლა მიიღო ჯერ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დასტოვა მალე



და შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში მე-პ-ე კლასში. 1878 წ. შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ, რომელიც დამთავრა 1883 წ. ამავე წელს დაინიშნა ტფილისის მიხეილის სააკადმყოფოში შტატის ორდინატორად, სადაც სამი წლის სტაუ გაატარა. 1885—1888 წ. მსახურობდა ჯერ ბაქოს გუბერნიაში (კუბაში ქალაქის ექიმად და გეოგრაფიული სოფლის ექიმად) შემდევ ჭალ. სტავროპოლში. 1888—1892 წ. მსახურობდა სოფ. საჩხერეში. 1892 წელს გადაყვანილ იქმნა ქ. ბათუმში ქალაქის ექიმად და აქ იმყოფებოდა 1924 წლამდე. აფადმყოფობის გამო იმავე წელს გადმოვიდა ტფილისში. ბათუმში 32 წლის გატარებულ დროს განმავლობაში იყო ხმისანი ქალაქის საბჭოსი (1894—1921 წ.), ქალაქის საბჭოსთან არსებულ სხვადასხვა კომისიების წევრი ან თავმჯდომარე, თავმჯდომარე ქართველთა შორის წერა-კიოხხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილებისა, თავმჯდომარე ბათუმის ექიმთა საზოგადოებისა, ქართული ექლესიის ამშენებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ბათუმის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორი 1920—1921 წ., ბათუმის ქართულ ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე (1918—1921 წ.). ტფილისში გადმოსცვლის შემდევ ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ აირჩია საპატიო წევრად; 1924 წლიდან წევრია ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა.

მთელი წლობით შეუწყვეტლივ მუშაობამ დასტოვა თავისი კვალი და გულით ავადმყოფობის გამო (მიოკარლიტი) გარდაიცვალა 29 ოქტომბერს 1925 წ.

6. უ—ძე.

## ქ რ მ ნ ი პ პ .

● საექიმო ფაკულტეტის დეკანია პროფ. გრიგოლ მუხაძე მ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. 13 ნოემბერს გახდა ავად პარტახტიანი ტიფით. ინფექცია საშუალო ინტენსივობისა იყო, შეთორმეტე დღეზედ სიცხვე კრიტიკულად დაიწია და ავადმყოფს უკეთობა დაეტყო, მაგრამ სამი დღის შემდეგ დაერჩა მიმედ გართულება—ფილტვების შეშუცება და ჰითოსტატიური პნევმონია და ავადმყოფი ერთ დროს საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ უამაღ ავადმყოფს უკეთოსობა ემჩნევა და სრული იმედია, რომ ახლო მომავალში გრ. მუხაძე დაუბრუნდება თავის ფრიად სასარგებლო მოღვაწეობას. მის ავადმყოფობას გამოიხმაურა ფართო საზოგადოებრივი წრები, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან დეპარტმენტი კითხულობდენ ავადმყოფობის მსვლელობას და ოვით ტფილის აუარებელი ნაცნობები და პაციენტები დიდი ყურადღებით ეპირობოდნენ ავადმყოფის მდგომარეობას. სწამლობდნენ პროფესორები მ. წინამძღვრიშვილი, ა. ალადაშვილი, ს. ვირსალაძე და ექიმები კონ. ლორტეტივანიძე, ნიკ. ყიფშიძე. მისი ასისტენტები—წულუკიძე, ცხაკარია, ახმეტელი და ორდინატორები ხახარაძე, ხუციშვილი, გაგუა მორიგეობას განუწყვეტლივ ატარებდნენ ავადმყოფთან.

● ტფილის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფ. ი. ანფიმოვი თანახმად მისი თბოვნისა განთავისუფლებულია ნერვული კლინიკის გამგიობისგან. იგი დატოვებულია უნივერსიტეტში და მინდობილი აქვს რჩეული ლექციების კითხვა.

● ნერვულ კლინიკის გამედ საექიმო ფაკულტეტის მიერ არჩეულია დოკტრი ყუშიძე.

● ნერვული კლინიკა თანახმად ფაკულტეტის დადგენილებისა და ჯანმრთელობის კომისარიას სურვილისა გაფართოვდა. მას მიემატა 30 საწოლი (სულ 60 საწოლია) და გადაეცა ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის ფინიო-თერაპევტიული კაბინეტი. გაფართოვდა აგრეთვე შინაგან სწეულებათა ჰისპიტალური კლინიკა, რომელსაც მოემატა 25 საწოლი (სულ 90 საწოლია). შედეგად ამ ცვლილებისა ინსტიტუტში გაუქმდა საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილება—45 საწოლი.

● ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის (ყოფილი მიშეილის საავადმყოფო) დირიქტორად დანიშნულია პროფ. ერიგოლ მუხაძე.

● პროფ. გრ. მუხაძის ავადმყოფობის გამო, საექიმო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას დროებით ასრულებს პროფ. გარლაზ მოსეშვილი.

● 10 წოებების შესდგა ქართულ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წლიური კრება, რომელზედაც არჩეულია ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ა. ალადაშვილი (თავმჯდომარე), პროფ. ვლ. ელენტი, დოც. ს. ყიფშიძე, ექ. მ. მგალობლიშვილი და ექ. კ. ტყეშელაშვილი (მდივანი). სარევიზიო კომისიაში შედიან პროფ. მ. წინამძღვრიშვილი და ექიმები ნიკ. ყიფშიძე, კლ. ცომაია \*).

● წლის შესრულდა 30 წელიწადი, რაც კბილის ექიმი ვარლამ ჭიჭინაძე საექიმო და საზოგადოებრივ ასპარეზზედ მუშაობს. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება მორიგ კრებაზედ მიესალმა ვ. ჭიჭინაძეს დღესასწაულის გამო და გამგეობის წინადადებით დაადგინა იშვამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა დაუბრუნდეს იუბილიარს სოფლის მაული ნიშნად მისი ნაფოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისა.

● 27-30 ნოემბერს შესდგა ყრილობა სრულიად საქართველოს ექიმთა კავშირისა. ყრილობაში მოისმინა მიხსენებები გამგეობისა, ჯანმრთელობის კლიერსარჩება, წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარისა და სხ. არჩეულია ახალი გამგეობა, შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ა.

\* ) დაწვრილებითი წლიური ანგარიში დაბეჭდილი იქნება შემდეგ ნომერში.



ალადაშვილი, პროფ. ს. გოგიტიძე, ექიმები პ. კიკალეიშვილი, ალ. ქუთათელაძე, ალ. წულუკიძე, ნ. ვესელივზოროვი, ი. გოლდმანი, არუშანოვი, ანჩაბაძე, ლორთქიფანიძე, ვალ. პაპავა, კლ. ცომაია, ჭავჭავაძე იოსებ და სხვ.

● 16 დეკემბერს ქ. ბაქოში შესდგება ყრილობა ამიერ-კავკასიის ქირურგებისა. ქართველი ქირურგების მიერ წარმომადგენლად არჩეული არიან პროფ. ა. მაჭავარიანი და ექ. ეფ. ზაქარაია. ყრილობაზედ გაემგზავრნენ 23 ქირურგი, რომლებიც წაიკითხავნ მოხსენებებს. უმთავრესად მოხსენებები არის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკებიდან.

● მთავრობის თავმჯდომარეობით სასახლეში ში შესდგა ყრილობა საქართველოს კურორტების მოწყაბის შესახებ, რომელსაც დაესწრენ ექიმები, გეოლოგები, ქიმიკოსები და სხ. ყრილობამ მოისმინა ვ. აბზანიძის მოხსენება, რომელშიაც დახასიათებული იყო დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი კურორტებისა და ის ზომები, რომელიც უნდა მიღებული იყენეს ახლო მომავალში კურორტების გასაუმჯობესებლად. კამათის შემდეგ არჩეული იყო კომისია, რომელმაც უნდა იმუშავოს მთავარ საკურორტო სამმართველოსთან ერთად. კომისიაში შედიან პროფ. ალადაშვილი, ღამბარაშვილი, თიკანაძე, გოგიტიძე, ვირსალაძე, კაზიანი, ექიმები ზანდუკელი, ნიკ. ყიფშიძე, გომაძე, მამულია და სხ. კომისიამ უკვე დაიწყო სათანადო მუშაობა.

● გინეკოლოგიურ კლინიკის უფროსმა ასისტენტმა მიხ. მგალობლიშვილმა დაიცვა დისერტაცია „სამეცნიერო ფიზიოლოგიის ეთიოლოგიის და წამლობის საკითხისათვის“ ქირურგიის დოქტორის ხარისხის მისალებად. ოფიციალური ოპონენტებად ფაკულტეტის მიერ დანიშნული იყვნენ პროფ. ღამბარაშვილი, თიკანაძე და ულენტი. კამათში მიიღეს მონაწილეობა პროფ. მუხაძემ და ღოლობერიძემ.

● გინეკოლოგიურ კლინიკაში (გამგე პროფ. ღამბარაშვილი) დაიდგა მეორე ახალი კონსტრუქციის Röntgen-ის აპარატი.



# „სეპარაცია ზითხე“

ორგანო - ტერაკევტიული ლაბორატორია

## „გალენ-მოსკვა“

დამზადებული პროცესორ ბიუსტერის მიერ  
სასქესო ჯირკვლების ახალი თესლისაგან, ნებადაროულია ჯან-  
სალკომის მიერ, № 8362

დარჩება წამლის მიღების შესახებ:

## ყოველგვარი ნებრასტენია

დალლილობა, სიბერის გავლენა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ორ-  
განიზმის სისუსტე, — ტიფის, ინფლუენცას, სიფილისის, მშობიარო-  
ბის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროტიული ცვლილებანი მი-  
ლებისა. კონსტიტუციონალური ავადმყოფობანი: სისხლნაკლულობა,  
ჰლექი, დიაბეტი, ხერხემლის გახმობა. აღვილად ითვისებს ყველა.  
არავითარი ზიანი არ მოაქვს ამ წამლის ხმარებას. ერიდეთ სიყალ-  
ებს. უსათულ მოითხოვთ მწვანე ბენდეროლით, წარწერით: „კონ-  
ტროლ“. სეკარის სითხე, გენერალური წარმომადგენლობა ამიერ-  
კავკასიაში — თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2. იყიდება სახ-  
მედვაჭრობის ყველა აფთიაქების მაღაზიებში, სააფთიაქო სამარ-  
თველოებში და წითელი-ჯვრის აფთიაქებში ამიერ-კავკასიის რეს-  
პუბლიკებში. იგზავნება ფოსტითაც, ლირებულების 20 პროც. ბეს  
მიღებისთანავე, არა ნაკლებ 4 ფლაკონისა.

— ფასი 2 მან. და 50 კ. ფლაკონი —

ზერილები, ზეკვეთები და ფული უნდა გამოიგზავნოს შეადგ-  
ები მისამართით:

კოოპერატივ გალენის ამიერ კავკასიის წარმომადგენლობას, თბი-  
ლისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. თამაშშ. პასაჟი) № 2, მე-  
ორე სართული, გაფ. 30.

Письма, заказы и деньги адресовать: Зак. Представительство  
Кооператива ГАЛЕН, Тифлис, пл. Свободы № 2 (б. пассаж.  
Тамамшева) второй эт., отд. 30.

ფასი 1 მან.

7/59

ქურნალის დასია:	1924 წლის სეზონი კომპლექსი 5 მარტი.
ცალკე ნომერი . . . . .	1 მარტი.
თრმაგი ნომერი . . . . .	1 მარტი. 50 კაპ.

ქურნალი „თანამედროვე მედიცინა“ გამოვა ყოველთვიურად და-  
ახლოვებით 70-80 გვ. ქურნალში მი იავსებული იქნება ორიგინალური  
წერილები თეორიულ, კლინიკურ და საზოგადოებრივი მედიცინიდან,  
მიმოხილვები, რეფერატები სამკურნალო მეცნიერების ყველა დარგიდან,  
სამედიცინო საზოგადოების სხდომების ანგარიში, კორესპონდენციები, ბი-  
ბლიოგრაფია და ქრონიკა.

ორიგინალური წერილების ავტორებს მიეცემათ მათი ნაშრომების  
ცალკე ამონაბეჭდი.

წერილები უკვე საღმე დაბეჭდილი ქურნალში არ დაიბეჭდება. წე-  
რილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე ზედმიწევნით გარკვე-  
ული ხელით ან მანქანაზე გადაბეჭდილი. რედაქცია იტოვებს უფლე-  
ბას საჭიროების მიხედვით წერილები შეამოკლოს.

რედაქცია სოხოცს პროვინციის ამხანაგებს გამოაგზავნონ ცნობები და  
კორესპონდენციები პროვინციის სამკურნალო ცხოვრების გასაშუქებლად.

რედაქციის მდივანია—ექიმი პ. ჩავთარაძე—(ყორღანოვის  
ქუჩა № 20), რომელსაც უნდა მიმართოს ყველამ, ვისაც სურს რე-  
დაქციის და ქურნალის შესახებ რაიმე განმარტება ან ცნობა მიიღოს.

ქურნალის მეტობრმეტე ნომერი უკვე იბეჭდება და გამოვა დე-  
კემბრის დამლევისათვის.

ქურნალი „თანამედროვე მედიცინა“-ს წარმომადგენლები—მქურნალნი, სა-  
ქართველოს ქალაქებში: ქუთაისში—დ. ჩეჩელაშვილი (ნინოშვილის ქ. № 41),  
ბათომში—პ. გიგინეიშვილი, ლანჩხუთში—ვ. ბარამაძე, სენაკში—ი. ჩხეტია, ხა-  
შურში—გ. ციციშვილი, სოხუმში (აფხაზეთი)—ა. გრიგოლია, ზუგდიდში—ანთე-  
ლავა, რომელთაც ქურნალის საქმეების გამო უნდა მიმართონ პროვინციელ  
ამხანაგებმა.